

შალვა მარიანიშვილი

სპინსუბის ქვეყანაში



საბლიცამი



მ. მარიანიშვილი

სვინესების ქვეყანაში

3445



საქ. აღკვ ტკ
საგავერძო და ახადგაზრდობის ღიჯგაემთხელოჯა
თბილისი — 1940 წ.

შესავალი

„...შენ მოგმართავ მე, ღვთაებრივო მდინარევე, შენ გიწინასწარმეტყველებ მომავალს: სისხლთა ნაკადნი-შერყვნიან შენს წმინდა წყლებს და მორწყავენ ნაპირთ; მკვდართა რიცხვი გადააჭარბებს ცოცხალთა რიცხვს. გადარჩენილნი მხოლოდ ერთი ჩაითვლებიან ეგვიპტელებად, მარამ თავისი ხნე-ჩვეულებით გარდიქმნიბიან უცხოელებად“...

(ახსლავიდან).

ყოველი ქვეყნის ხალხს თავისი შორეული წარსულის ისტორია აქვს. ისტორიის საშუალებით ჩვენ ვგებულობთ, როგორ და რა პირობებში უხდებოდა ამათუიმ ქვეყნის ხალხს ცხოვრება და ბრძოლა არსებობისათვის. საუკუნეების მანძილზე, არსებობისათვის ბრძოლაში, ბევრი ძლიერი და კულტურული ერი დაიღუპა და დაკარგა თავისი სახე, ისინი მტრების მიერ ან სრულიად განადგურდნენ, ან გაითქვიფნენ სხვა ერებში. მათ ოდესღაც არსებობას მხოლოდ ისტორიის საშუალებით ვგებულობთ. ასეთი მწარე ხვედრი ხვდა წილად სახელგანთქმულ ერს—ეგვიპტელებსაც.

ეგვიპტე, სადაც პირველად დაირწა კაცობრიობის კულტურის აკვანი, ეგვიპტე, რომელიც სხვა ქვეყნებისათვის ტონის მიმცემი იყო, მტრებთან უთანასწორო ბრძოლებში მთლიანად განადგურდა, ოდესღაც უაღრესად კულტურული მისი მოსახლეობა კი დაკნინდა და გადაგვარდა და, ერთი მეცნიერის თქმის არ იყოს, „ამ ერისაგან დარჩა მხოლოდ მდინარე ნილოსის ნაპირების გასწვრივ ქალაქების, ტაძრებისა და სასაფლაოების ნანგრევები“. მხოლოდ ეს მუნჯი მოწმენი, სახელოვანი ცხოვრების იშვიათი ნაშთები, რომელთაც საუკუნეები გადმოულახავთ და ჩვენამდის მოუღწევიათ, ლაღადებენ ეგვიპტელების უდიდეს კულტურულ წარსულზე...

Handwritten text at the top of the page, possibly a title or author's name, written in cursive.

უძველეს დროს ეგვიპტის საზღვრებს მაღალი და მძლავრი კედლები ჰქონდა შემოვლებული, უცხოელებისათვის შესავალი დახშული იყო. დამოუკიდებლად, საკუთარი ძალითა და საშუალებებით ქმნიდნენ ყველაფერს ეგვიპტელები და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს, არამც თუ ჩამორჩნენ კულტურის მხრივ სხვა ქვეყნებს, არამედ კიდევ გაუსწრეს მათ და მოწინავე ადგილი დაიკავეს მთელს მსოფლიოში. უფრო გვიან სხვა ერებმა, როცა ეგვიპტეში შესვლა მოახერხეს, მისგან ბევრი სასარგებლო ცოდნა შეიძინეს. ამ მხრივ ეგვიპტელებმა კაცობრიობას დიდი სამსახური გაუწიეს და მისი კულტურულად აღორძინება დააჩქარეს.

...ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მთელი ევროპა ველურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მისი მოსახლეობა ნადირის ტყაფჩაქმული გამოქვაბულში ცხოვრობდა და ქვის ნაჯახებითა და კეტებით შეიარაღებული სანადიროდ მიდიოდა, ეგვიპტეში უკვე ყვაოდა მეცნიერება და ხელოვნება... უძველესი დროის ეგვიპტელებმა იცოდნენ ყველა სახის ხელოსნობა და ხელოვნება, რომლებიც კი ჩვენ დროს არსებობენ.—წერს ისტორიკოსი პიმენოვი.

ეგვიპტე უძველესი დროიდან იპყრობდა უცხოელთა უდიდეს ყურადღებას, ბევრი ცდილობდა მის ნახვასა და შესწავლას. მაგრამ ეგვიპტეში შესვლა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. ეგვიპტე თავისი უხვი ბუნების წყალობით, რომელიც მოსახლეობამ თავდადებული შრომით თავის სასარგებლოდ გარდაქმნა, იმ დროს ძალიან მდიდარ ქვეყნად ითვლებოდა. ეს მდიდარი და მშვენიერი მხარე მტრებს ხიბლავდა და იზიდავდა, მას ხშირად ესხმოდნენ თავს სხვადასხვა ტომები, რომლებიც ძარცვავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას და ანგრევდნენ ყველაფერს, რასაც კი მისწვდებოდნენ. ამიტომ ეგვიპტელებს არ უყვარდათ უცხოელები და ეჭვის თვალით უყურებდნენ მათ. მაგრამ ცხოვრება აიძულებდა ეგვიპტელებს, რომ დათმობაზე წასულიყვნენ და უცხოელები შეეშვათ თავის მიწაწყალზე...

ოთხას ორმოც წელს ჩვენს ერამდე (ე. ო. ორიათას სამას ოთხმოცი წლის წინათ) ეგვიპტეს ეწვია ერთი ბერძენი ისტორიკოსი, სახელად ჰეროდოტე. ჰეროდოტე ძალიან ჭკვიანი, დაკვირვებული და ცნობისმოყვარე კაცი იყო. მან თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი მოგზაურობაში გაატარა და თითქმის ყველა იმდროინდელი მოწინავე ქვეყანა ინახულა და საფუძვლიანად შეისწავლა. თავის დროზე საქართველოსაც ესტუმრა და ჩვენი წარსული ცხოვრებიდან ბევრი საინტერესო ცნობა შეაგროვა და ჩაწერა. ჰეროდოტემ ეგ-

ეგვიპტეში რამდენიმე წელი დაყო და დაწვრილებით შეისწავლა და აღწერა მისი ბუნება და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება. ვინაიდან ყველაზე პირველად სხვადასხვა ქვეყნების ხალხის ისტორია ჰეროდოტემ აღწერა, რისთვისაც მას „ისტორიის მამამთავარს“ უწოდებენ. მისი ისტორიული ცნობებით ბევრმა მწერალმა ისარგებლა თავისი შრომებისათვის, ზოგმა მხატვრული ნაწარმოები, მოთხრობა და რომანიც კი დაწერა. წინამდებარე წიგნის დაწერის დროს ჩვენ ჰეროდოტეს წყაროებით უხვად ვისარგებლეთ¹.

¹ სხვათაშორის, როდესაც ჰეროდოტეს ეგვიპტე და საქართველო შემოუვლია და ამ ორი ერის ყოფა-ცხოვრება და ზნეჩვეულება შეუსწავლია, ქართველები ეგვიპტელების მონათესავე ერად მიუჩნევია. ამის შესახებ იგი წერს: „...კოლხიდელები რომ ეგვიპტელები არიან, მე თვითონ მივედი ამ დასკვნამდე, ვიდრე სხვებისაგან გავიგებდე“... (როგორც ჩანს, ჰეროდოტეს ამ საკითხში თანამოაზრენიც ჰყოლია. შ. მ.) ქვემოთ განაგრძობს: „...კოლხიდელებზე კიდევ შემიძლია ზოგიერთი ცნობის მოწოდება იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ეგვიპტელების მონათესავე ხალხია. მხოლოდ კოლხიდელები და ეგვიპტელები ამზადებენ ქსოვილებს ერთგვარი საშუალებებით... გარდა ამისა, ამ ორი ხალხის მთელი ყოფა-ცხოვრება და ენა ერთნაირია“...და სხვ. (ჰეროდოტე—„ისტორია ცხრა წიგნად“, წიგნი მეორე, გვ. 165-166;-1885 წ., რუსული გამ-მა).

იყო თუ არა ჰეროდოტეს გამოკვლევა სწორი, ჯერ-ჯერობით ამის თქმა აქნელია. ამას შესწავლა უნდა.

ი ბ ვ ი ვ ვ ე

საქართველოდან ძალიან შორს, ხმელთაშუა ზღვის იქით, არის ქვეყნიერების ყველაზე უფრო ცხელი, მაგრამ მშვენიერი და თვალწარმტაცი მხარე, რომელსაც აფრიკა ეწოდება¹. აფრიკა დედამიწის უდიდესი ნაწილია, მთელი ხმელეთის ერთი მეხუთედი, სამჯერ მეტია ევროპაზე და მისი მოცულობა ოცდაათ მილიონ კვადრატულ კილომეტრს უდრის. სიგრძით რვაათას კილომეტრს აღწევს. სიგანით შვიდიათას ხუთას კილომეტრამდეა.

აფრიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს მისი სიამაყე, ზღაპრული ქვეყანა—ეგვიპტე.

ეგვიპტეს ჩრდილოეთით საზღვრავს ხმელთაშუა ზღვა, აღმოსავლეთით—წითელი ზღვა, ხოლო დასავლეთით—ლივიის უდაბნოს სილის ზღვა.

ეგვიპტე ფერადი მთაგრებილების შუა მომწყვდეული; აღმოსავლეთის მხრით მის მარადიულად ამწვანებულ და აყვავებულ ბუნებას თავს დაჰყურებს ვერცხლისფერი მთაგრებილი, ხოლო დასავლეთით ბაჯაღლო ოქროს ფერი ლიბიის მთაგრებილი. ამ ფერად მთაგრები-

¹ „აფრიკა“ რომაელებმა დაარქვეს, როდესაც ისინი პირველად შეიჭრნენ ამ ქვეყანაში და ძლიერი სახელმწიფო კართაგენი დაიპყრეს. ეს მოხდა მეორე საუკუნეში (146 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). იმ დროს კართაგენში ცხოვრობდა მრავალრიცხოვანი ტომი, ე. წ. აფარიკები. რომაელებმა ბევრი არ იფიქრეს, სახელწოდება „აფარიკები“ „აფრიკად“ გადააკეთეს და ქვეყნის ეს ნაწილი ამ სახელწოდებით მონათლეს.

ლთა შუა ეგვიპტე მწვანე ველივითაა ჩაწოლილი, რომელიც შუაზე გადასერილია ცისფერი ზოლით—მდინარე ნილოსით.

ეგვიპტის ტერიტორიის მოცულობა 935.275 კვ. კილომეტრს უდრის, მაგრამ ამ ტერიტორიის მხოლოდ 30 ათასი კილომეტრია მოსავლისათვის ვარგისი ნიადაგი, დანარჩენი კი უსიცოცხლო უდაბნოს წარმოადგენს.

ეგვიპტემ არ იცის, რა არის ჩვენებური ზამთარი და ყინვები, იცის მხოლოდ მარადი ზაფხული და დიდი სიცხეები. ამიტომაც ჰავა იქ ძალიან ცხელია დამშრალი, განსაკუთრებით მის ზემო მხარეში, სადაც ისე გავა ორი-სამი წელი, რომ წვიმის ერთი ცვარიც არ ჩამოვარდება. ამ პირობების გამო ეგვიპტე თითქოს უდაბნოს უნდა წარმოადგენდეს, სადაც ადამიანის ცხოვრება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, მიუხედავად ცხელი და მშრალი ჰავისა, ეგვიპტე ყველაზე უფრო აყვავებული ქვეყანაა. კიდევ მეტიც—არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება ძნელი ნოყიერი და უხვი მოსავლის მომცემი ნიადაგი, როგორც ეგვიპტეში.

ბუნების რა ძალა აყვავებს ასე ეგვიპტეს და საიდან იღებს იგი სასიცოცხლო წყაროს? ბუნების ეს ძალა არის ბარაქიანი ნილოსი, რომელსაც ყოველწლიურად მოაქვს ეგვიპტის მოსახლეობისათვის აუარაცხელი სიმდიდრე და ბედნიერება...

მდინარე ნილოსმა გააცოცნლა ეგვიპტის ოდესღაც მკვდარი ბუნება, სადამდისაც კი მიწვედა მისი ტალღები, უდაბნო ააყვავა და დაამშვენა.

და, აი, ამ აყვავებულ ბუნებას გარსშემორტყმია თვალგადაუწვდელი უდაბნოს სილის ზღვა და წალეკვას ემუქრება. მაგრამ ნილოსის ძლევა მოსილი ტალღები ყოველწლიურად შორს ერეკება. მას და ეგვიპტეს ერთგულ დარაჯად უდგას.

ჩვენმა ნაცნობმა ჰეროდოტემ თქვა: ეგვიპტე ნილოსის ნაჩუქარიაო. და მართლაც, როგორც ქვემოთ გავეცნობით, ნილოსზე ყოფილა დამოკიდებული ეგვიპტის არსებობა.


მაშასადამე, ეგვიპტის შესწავლა ჩვენ დავიწყეთ მდინარე ნილოსის აღწერით.

მდინარე ნილოსი

აქა სიცოცხლე წალკოტს ჰგავს,
ოცნებით მოსაჩვენარსა

(„ქილილა და დამანადან“)

აფრიკის მაღალ და ფართო მთაგრეხილზე გაბნეულია უამრავი ტბა. ეს ტბები ზოგი პატარაა, ზოგი კი უზარმაზარი, მაგრამ მათ შორის განირჩევა თავისი სიდიდითა და ბუნების იშვიათი სილამაზით ორი ტბა. პირველს, რომელიც უფრო დიდია, ვიქტორია-ნია ნზე ეწოდება, ხოლო მეორეს—ალბერტ-ნიანზა¹. ეს ტბები წარმოა-



ნილოსის ნაპირები.

დგენენ მდინარე ნილოსის სათავეს. მაგრამ ნილოსს ბევრი სხვა წყაროცა აქვს: გზაზე უამრავი დიდი და პატარა მდინარე ერთვის, ნილოსს კი ძალიან ძნელი და დიდი მანძილი აქვს გადმოსალახავი.

¹ ტბა ვიქტორია 69.000 კვ. კილომ. მოცულობისაა, ალბერტი — 4.500 კვ. კილომეტრი.

ექტორიას ტბიდან მომავალმა ნილოსმა საშიათას ექვსასი კილომეტრი უნდა გამოიაროს, რომ მოუახლოვდეს მთიან ქვეყანას. აბისინიას, სადაც მას უერთდება მეორე დიდი მდინარე, ე. წ. ცისფერი ნილოსი.

ამ უზარმაზარი მანძილის გასწვრივ თვალწარმტაცი სილამაზისაა ნილოსის ნაპირები: პალმებით, პაპირუსებით, ბანანის, აკაციის ხეებითა და ათასგვარი სურნელოვანი ყვავილით აფერადებულ-შემკობილია მისი ბუნება. მთელი წლის განმავლობაში ამწვანებულ-აყვავებულა ეს მიდამოები. ამ მარადიულად აყვავებულ ბუნებას თავს ევლებიან აფრიკის მომხიბლავი ფრინველები, რომელთა გალობა აღვიძებს და ატკბობს არე-მარეს...

მრავალი კილომეტრის მანძილზე მდინარე ნილოსის ნაპირებზე აღმართულია ტროპიკულ მცენარეთა მწვანე კედლები, რომელთა სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს. ეს მწვანე კედლები ძალიან ხშირია და გაუვალი და მათ ძირში კი მარადიული ჩრდილია გამეფებული. ალაგ-ალაგ კედლები გაყოფილია ნილოსის ნაკადებით, რომლებიც ვერცხლის ზოლებივით მიიკლაკნებიან მათ შორის. ხანდახან ეს ვერცხლის ზოლები ზევიდან ჩამოცვინული ყვავილებით და სხვადასხვა მწიფე ნაყოფებით აფერადდებიან და მოძრავ ხალიჩებს გვანან. მწვანე კედლების ჩრდილში ადამიანს შეუძლია ისე გადაცუროს ნავით ათეული კილომეტრები, რომ აფრიკის ცხელმა მზემ ოდნავადაც არ შეაწუხოს.

ამ ზღაპრულ მხარეში ჰაერი რბილია, სუფთა და მუდამ გაჟღენთილი ყვავილების სურნელოვანებით. მოგზაური აქ უდიდეს სიამოვნებას გრძნობს და თავდავიწყებას ეძლევა...

მომხიბლავია ნილოსის ეს მიდამოები. აქ მოსახლეობენ თავის-წერწეტა ქოხებში აფრიკის შავკანიანი და მაგარკუნთებიანი ტომები, ბუნების ეს ლალი შვილები. აქვეა ცხოველთა და ფრინველთა სამეფო, რომლის მსგავსი მსოფლიოში არ მოიპოვება.

სანამ აბისინიას მიუახლოვდებოდეს, ნილოსის წყალი რძესავით თეთრია, ამიტომაც არაბებმა მას ბახრ-ელ-აბიად, ანუ „თეთრი მდინარე“, დაარქვეს. დღესაც ამ მხარეში მას „თეთრ ნილოსს“ უწოდებენ.

აბისინიის მიწაზე გამოვლისას თეთრ ნილოსს უერთდება ცისფერი ნილოსი. ცისფერი ნილოსის სათავეა უდიდესი ტბა ტანა, რომელიც მდებარეობს აბისინიის მაღალ და ფართო მთაგრებილზე. ცისფერი ნილოსის წყალი ცოტა მღვრიეა და მოლურჯო ფერი დაჰკრავს. არაბებმა მას ბახრ-ელ-აზრეკ, ანუ „მღვრიე მდინარე“, დაა-

რქვეს. მართალია, ცისფერი ნილოსი უფრო პატარაა თეთრ ნილოსზე, მაგრამ სამაგიეროდ მდიდარია მინერალური ნივთიერებებით და ჭუდიდესი სარგებლობა მოაქვს როგორც აბისინისათვის, ისე ეგვიპტის ნიადაგის განაყოფიერებისათვის.



თეთრი ნილოსის გამოსვლა ალბერტ-ნიანზას ტბიდან.

თეთრი და ცისფერი ნილოსების შეერთების შემდეგ მდინარე უკვე უზარმაზარი ხდება და მას „თეთრ ნილოსსა“ და „ცისფერ ნილოსს“ კი აღარ უწოდებენ, არამედ მხოლოდ „ნილოსს“. ნილოსი ბერძნებმა დაარქვეს, უძველეს დროს კი ეგვიპტელები მას იფთერს, ანუ „დიდ მდინარეს“, ეძახდნენ. უფრო გვიან კი იარო დაარქვეს...

ზემოაღნიშნული ორი მდინარის შეერთების შემდეგ მდინარე ნილოსის წყალს გემრიელი გემო აქვს და ძალიან სასიამოვნო სასმელია. ამ მხრივ მას ვერც ერთი მდინარის წყალი ვერ შეედრება. ერთერთი ევროპიელი მოგზაური, რომელსაც ბედნიერი შემთხვევა მიეცა და ნილოსის წყალი იგემა, წერს: მდინარე ნილოსის წყალს ისეთივე ადგილი უკავია სხვა მდინარეებს წყლებს შორის, როგორიც შამპანიურს სხვა ღვინოებს შორისო. ეს შედარება ოდნავადაც არაა გადაჭარბებული. ვისაც ერთხელ მაინც უგემია ნილოსის წყალი, სიკვდილამდის არ დაავიწყდება. ნილოსის წყლით აღტაცებული არაბები ამბობენ: რომ ჩვენი მაჰამედი¹ ეგვიპტელი ყოფილიყო და ნილოსის წყალი ესვა, ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებოდა. ალაჰისადმი² მისი პირველი თხოვნა იქნებოდა თხოვნა მარადიულ სიცოცხლეზე, რომ მარადიულად შესძლებოდა ნილოსის წყლის სმაო. ნილოსის წყალი უძლებს შორს გადატანას, არ ფუჭდება და არც კარგავს თავის სასიამოვნო გემოს. ცნობილია, რომ თურქეთის ზოგიერთ სულთანს ეგვიპტიდან გაჰქონდა ნილოსის წყალი და მხოლოდ იმას სვამდა.

ნილოსის წყალს სამკურნალო თვისებებიც აქვს: ძალიან უხდება კუჭსა და დაავადებულ ნერვებს. ნილოსს ამ სამკურნალო თვისებებს უმთავრესად ცისფერი ნილოსი აძლევს: აბისინიის მთები მდიდარია მინერალური წყლებით-წყაროებით, რომლებიც საბოლოოდ თავს იყრიან ცისფერ ნილოსში...


აბისინიის შემდეგ მდინარე ნილოსს ძალიან ძნელი გზა აქვს გასავლელი, დიდი დაბრკოლებები უნდა გადალახოს და კლდე-ღრეებზე გადაიაროს. ამ მოუსვენარ მდგომარეობაში დაახლოებით ცხრაასი კილომეტრი უნდა გაირბინოს. ამ მთა-გორიან მხარეს ნუბიის ქვეყანას უწოდებენ, სადაც ნილოსს კიდევ უერთდება ერთი დიდი მდინარე, ე. წ. ათბარუ. ეს მდინარე ნილოსის უკანასკნელი შენაკადია. არსად ნილოსი ისეთი მოუსვენარი და მშფოთარე არ არის, როგორც ამ მხარეში. გზაში მისი მძლავრი ნაკადები ყვილაფერს გლეჯს (მიწას, მცენარეს და სხვ.) და თან მიაქვს. უკანასკნელი ჩანჩქერების გადმოვლის შემდეგ, ეგვიპტესთან მიახლოებისას, ნილოსი უკვე შედარებით წყნარად მიმდინარეობს და მოტანილ მიწას ნაპირებს უტოვებს.

ეგვიპტეს საზღვრებში ნილოსი ჯერ ვიწრო კალაპოტში მიმდინარეობს.

¹ მაჰამედი — მაჰამადიანთა „წინასწარმეტყველი“.

² ალაჰი — მაჰამადიანთა „ღმერთი“.

ნარეობს, მომწყვედელი გრანიტის კლდეებში, რომელთა კიდეები მრავალი კილომეტრის მანძილზე აფერადებულია იშვიათი ქვების ფენებით. აქ იხილავს კაცი ვარდისფერ ქვას, წითელ-ყვითელს, მუქ-მწვანეს, მტრედისფერს მწვანე წერტილებით, თოვლივით თეთრს და კუპრივით შავს თეთრი წერტილებით. ამ ქვებისაგან გამოქანდაკებულია ეგვიპტური ხელოვნების სახელოვანთქმული ძეგლები, რომელთა შესახებ გზადაგზა გვექნება საუბარი... შემდეგ ნილოსი თანდათან იწყებს გაფართოებას, მისი კალაპოტიდან მრავალ კუნძულს ამოუ-



ნილოსი ნუბის მხარეში.
(მდინარეში მოჩანან უზარმაზარი ლოდები)

ყვია თავი. ეს კუნძულები ზოგი პატარაა, ზოგი კი დიდი. მაგრამ ყველაზე დიდია ე. წ. კუნძული ფილე. ამ კუნძულზე ეგვიპტელებს აუმართავთ მშვენიერი ტაძრები, თავისი ღმერთების—ოზირისისა და იზიდას—პატივსაცემად. კუნძულების გამოვლის შემდეგ ნილოსი უახლოვდება ეგვიპტის პირველ ქალაქს ასუანს. ასუანიდან ნილოსმა ათას კილომეტრზე მეტი უნდა გადალახოს, რომ შეუერთდეს ხმელთაშუა ზღვას. მაგრამ ვიდრე ნილოსი ხმელთაშუა ზღვას მიუახლოვდებოდეს, ას ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით ტოტებდა იყოფა და ამ გზით ერთვის მას. იმ ადგილს, სადაც ნილოსი ტოტებდა იყოფა, ჰქვია დელტა. „დელტა“ ბერძნებმა დაარქვეს, რადგან ეს ადგილი ბერძნულ ასოს (Δ) დელტას ჰგავს. დელტასთან მდებარე ეგვიპტის ნაწილს ქვედა ეგვიპტეს ეძახიან.

ქვედა ეგვიპტე მართლაც რომ მთლიანად ნილოსის ნაჩუქარია. ოდესღაც, ასეული ათასი წლის წინათ, ეს ადგილი წყლით იყო დაფარული და ხმელთაშუა ზღვა შუა ეგვიპტემდე იყო შეჭრილი. მაგრამ ნილოსის მიერ მოტანილმა შლამმა ზღვას თანდათან უკან დაახევინა, ბოლოს მას ვეება ტერიტორია გამოჰკლიჯა და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ზღვის ტალღები თამაშობდნენ, ახლა მშვენიერი ქალაქები და სოფლებია გაშენებული...

ეგვიპტის საზღვრებში ნილოსის სიგრძე ათას ხუთას კილომეტრს უდრის, სიგანე კი ზემო ეგვიპტეში ხუთას მეტრამდე აღწევს. ქვედა ეგვიპტეში—ცხრაას მეტრამდე.

ნილოსი მსოფლიოში ერთერთი უდიდესი მდინარეა და დასაწყისიდან ზღვამდის სიგრძით ექვსი ათას კილომეტრამდის აღწევს. მაგრამ არსებითად ნილოსი ძალიან განსხვავდება სხვა მდინარეებისაგან და, ჰეროდოტეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „მდინარე ნილოსი არა ჰგავს სხვა მდინარეებს“.

მდინარე ნილოსი ყოველი წლის განსაზღვრულ დროს იწყებს ადიდებას და რამდენიმე დღის შემდეგ ზღვასავით გადმოდის ნაპირებიდან. ვისაც კი ადიდების პერიოდში უხილავს ნილოსი, განცვიფრებულია და აღტაცებული.

ადამიანი ვერ ნახავს ბუნებაში ისეთ იშვიათ და საინტერესო მოვლენას, როგორც მდინარე ნილოსის ადიდების სურათია: ათასი წლობით ებრძოდნენ ეგვიპტელები მდინარე ნილოსის სტიქიას. არც ერთ ქვეყანაში ადამიანებს არ უხდებოდათ ბრძოლა ბუნების მოვლენებთან ისე, როგორც ეგვიპტელებს მდინარე ნილოსის ადიდებასთან. საჭირო იყო ნილოსის დამორჩილება, მისი სასარგებლოდ გამოყენება. მაგრამ როგორ, რა გზით? რა საშუალებით? აი ამაზე იტყვებდნენ თავს და ბევრს ფიქრობდნენ ეგვიპტელები. ამისათვის იგონებდნენ სხვადასხვა საშუალებასა და ხერხებს. დადი დროსა და შრომის დახარჯვა დასჭირდათ, ვიდრე შეერთებული ძალით დაიმორჩილებდნენ ნილოსს და ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. ამას მოანდომეს ასეული და ათასი წლები. ნილოსის სტიქიასთან სისტემატურ ბრძოლაში გამოიკაჟნენ და გამოიწაფნენ. ნილოსი აიძულებდა მათ, რომ ბევრი, ძალაან ბევრი ეშრომათ და ახალახალი საშუალებების გამოსაძებნად ბევრი ეფიქრათ. მაგალითად, საჭირო იყო ისეთი საშუალებები გამოენახათ, რომ მოვარდნილი წყალი სასურველ ადგილზე დროებით შეეჩერებინათ, რომ ნოციერ შლამს მეტის რაოდენობით მოესწრო დალექვა, საჭირო იყო ნილოსის

ადიდების დაწყებამდე წინასწარ ცალ-ცალკე საყანე მიწების ფართობთა გაზომვა და სხვადასხვა ცნობების შეგროვება, ადიდების დაკლების შემდეგ კი არსებული ცნობების მიხედვით პატრონებისათვის კუთვნილი ნაკვეთების მიზომვა; ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მიწათწილობისა და არითმეტიკის განვითარებას. შემდეგ—საჭირო იყო, რომ მიწების მოსარწყავად მთელ ეგვიპტეში წყალი თანაბრად გაენაწილებინათ და აგრეთვე მოემარაგებინათ. ამან კი ხელი შეუწყო არხების, ხელოვნური ტბებისა და აუზების გაკეთებას და ბოლოს, საჭირო იყო ნილოსის ადიდებასთან ბრძოლის დროს მთელი მოსახლეობის ერთსულოვნური, შეთანხმებული მოქმედება, საერთო ენის გამონახვა და სხვ. ამ გარემოებამ კი ეგვიპტელები შეამჭიდროვა, შეაკავშირა, საზოგადოებრივი ცხოვრების წესებს შეაჩვია და პიროვნების მოქმედება საზოგადოების მოქმედებას დაუქვემდებარა. ყოველივე ამან, რასაკვირველია, ხელი შეუწყო და დააჩქარა ეგვიპტელების გონებრივად განვითარება...

მაგრამ როგორ იწყება და მიმდინარეობს მდინარე ნილოსის ადიდება? გავეცნოთ ამ საინტერესო სურათს.

წარმოვიდგინოთ, ჩემო მკითხველო, რომ ჩვენ შემთხვევით მოხვდით ეგვიპტეში, ვთქვათ, ჩვიდმეტ ივლისს (ამ დღიდან იწყებს ნილოსი ადიდებას). ჩვენ, რასაკვირველია, გვაინტერესებს ნილოსის ადიდებისათვის თვალ-ყურის დევნება. მივეშურებით სანახავად. აჩქარობთ, რომ არ დავიგვიანოთ. აი, როგორც იქნა, მივედით და რას ვხედავთ: სიციხისაგან ნახევრად დამშრალია და თითქმის უძრავია ნილოსი, კაცი ვერ შეატყობს საით მიიმართება. მისი ნაპირები ეგვიპტის ცხარე მზეს დაუწყავს და ღრმად დაუხეთქავს. ჰაერში საშინელი ბული და მიხაკისფერი მტვერი ტრიალებს.

მზეს დედამიწა ისე გაუხურებია, რომ ალმური ასდის და წითელ ბურთივით ვარვარებს. სიციხისაგან სუნთქვა გვიკირს და თვალები გვიწვის. გარშემო სამარისებური სიჩუმეა. არსაიდან ოსმის ხმაური.

ადამიანები, პირუტყვები, ფრინველები და ყველა სულიერი არსება მწვავე სიციხეს დამალვია და სადღაც შეუფარებიათ თავი.

ამ საერთო სიჩუმის დროს ნილოსი უცბად იწყებს გამოცოცხლებასა და მოძრაობას: ბობოქრობს და ამოდის ზევით. დახეთქილი ნაპირები ნელნელა ივსება წყლით, ვახურებული ჰაერი ოდნავ იწყებს აგრილებას.

გადის საათები და მდინარეში წყალი თანდათან მატულობს... უცბად—ჰოი, საკვირველებავ: მდინარეში წყალი გამწვანდა. ეს ისე

უეცრივ მოხდა, რომ ჩვენ გონს ვერ მოვდივართ. ჯერ გვეგონია, რომ მხედველობა გვატყუებს, მაგრამ ჩქარა ვრწმუნდებით სინამდვილეში.

ვიღებთ ჭიქით და ვსინჯავთ: წყალი მართლაც მწვანეა. გვინდა გემოც გავუსინჯოთ, მაგრამ როგორც კი პირთან ვიკარებთ, უცბათ ვიშორებთ: წყალს მწარე გემო და ცუდი სუნის აქვს. აშკარაა, რომ ჩვენთვის უცნობ ნივთიერებას წყალი მოუწამლავს და მწვანე ფერი მიუცია.

რაც დრო გადის, წყალი თანდათან სქელდება, მუქდება და მისი მოძრაობაც ძალიან მძიმდება. მიხაკისფერ ფერდობებს შუა ნილოსი მწვანე ველივით ჩაწოლილა და ქვევით მძიმედ მიიმართება...

ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ აქვს, როდესაც მეოთხე დღეს დილით ვხედავთ, რომ ნილოსს მწვანე ფერი კი აღარ აქვს, არამედ წითელი, სისხლივით წითელი მდინარე ერთიორად მომატებულია და მისი ტალღები წითელ ენებივით ელვარებენ ამომავალი მზის სხივებზე. ვხედავთ ამ საოცარ სანახაობას და თვალს არ ვუჯერებთ. ნილოსი დაბმული წითელი ვეშაპივით ბობოქრობს და ლელავს, ნაპირებს გააფთრებით უტევს და ლამობს აწყვეტას... შუადღისას მან ერთი ღრმად ამოისუნთქა და ნაპირებზე გადმოსკდა ზღვასავით. მზისაგან გადამწვარი თვალგადაუწვდენი ველები, მინდვრები და ყანები წითელი წყლით იფარება.

მისწრაფის წინ ნილოსი და მიაგორებს წითელ ზვირთებს... ჰაერი სავსეა აუარებელი ფრინველით, ნილოსს მოსდევენ და თავს დასტრიალებენ. მათი ყვილ-ხივილით ადამიანის ყურთასმენა წალებულია. ზოგი მათგანი წყალს გაჰკვრია და ისე მოფრინავს: ეტყობა, თევზებზე ნადირობს.

მოუსვენარი თევზები დროგამოშვებით აჩენენ ბრწყვიალა ზურგებს წითელ ტალღებში, ზოგი მათგანი ცდილობს ტალღებს გადაახტეს, მაგრამ გაუფრთხილებლობის მსხვერპლი ხდება: ფრინველებს კლანჭებში უვარდება.

აი, ტალღებს აფრიკის მახრჩობელა გველი ურეუსი აუთრევი და მოაგორებს, ამაოდ ცდილობს იგი ნაპირზე გაცურვას.

გველის უკან, ათი მეტრის დაშორებით, ნიანგების ხროვას თევზებზე ნადირობა გაუმართავს.

ჩქარა ხროვას ერთი უზარმაზარი ნიანგი გამოეყო და დაწინაურდა: აშკარაა, გველი შეამჩნია.

ერთ წამში მასთან გაჩნდა.

ერთი-ორჯერ კიდევ მოავლო პირი, მაგრამ მსხვერპლის მაგივ-

რად წყალი დაიჭირა: გველი მოხერხებულად გაუსხლტა და ისარი-
ვით წინ გაცურდა.

ნიანგი გაშმაგებით დაედევნა.

გველმა უკანასკნელ ხერხს მიმართა: წყალში ჩაიყურყუმალა. ნი-
ანგიც თან ჩაჰყვა...

მაგრამ, აი კულდმოჭმული გველი გამოჩნდა წყლის ზედაპირზე,
იმავე წამს ნიანგმაც თავი ამოყო, მსხვერპლს თვალი შეავლო და
დაფაცურდა... ერთი წამიც -- და ღონემიხილი გველი აღმასის
კბილებში უნდა მოიგდოს.

მაგრამ დახეთ მის უბედურებას: უეცრად ნიანგს ზურგიდან
ვეება ფრინველმა -- იბისმა წაჩოქროლა, ცხვირის წინ აართვა მსხვე-
რპლი და ერთ წამში ჰაერში აიტაცა. მოულოდნელობამ ნიანგი დაა-
ფრთხო, გულგახეთქილი უკან მიაწყდა, მოქიშპეს გაუბედავად ახე-
და. ერთხანს გახევებული მისჩერებოდა, თითქოს მსხვერპლის დაკა-
რგვას ნანობსო, ბოლოს მიტრიალდა და პირში ჩალაგამოვლებული
წყალს მძიმედ გაჰყვა...

გამარჯვებული იბისი ნადავლს ხმელეთისაკენ მოაქროლებდა,
მისი მძლავრი ფრთები ჰაერს მძიმედ მოაპობდა. როგორც ეტყო-
ბოდა, ტვირთი უმძიმდა. ურეუსი ამის კლანჭებში ტკივილებისაგან
იკლანკებოდა, ცდილობდა თავის განთავისუფლებას. ბოლოს, რო-
გორც იქნა, მოახერხა, ამოიბრუნა თავი და იბისის ფეხს პირი წაა-
ტანა, მაგრამ იმავე წამს ნისკარტი ისე მძლავრად ჩაჰკრა იბისმა,
რომ თავგაჩეხილი გველი ჰაერში მათრახივით დაეკიდა. იბისმა
მსხვერპლი ჩვენ თავზე გადაატარა და ჩქარა თვალთ მიეფარა...

ადიდებულმა ნილოსმა სიციხით დასუსტებული ქვეყანა გამოა-
ცროცხლა და ამოძრავა. მთელი მოსახლეობა გარეთ გამოსულა, მას
შეჰხარის და თავს დასტრიალებს. ბევრს ნავებით ნადირობა გაუ-
ჩაღებია. ზოგი ფრინველებს ხოცავს, ზოგი თევზებს იჭერს და ზო-
გი კი ვინ მოთვლის რას. ნილოსმა ეგვიპტელებს აუარებელი სარჩო
მოუტანა. ყველა ცდილობს ბედნიერი შემთხვევა არ გაუშვას ხელი-
დან და რაც შეიძლება მეტი ისარგებლოს...

მეთევზეები ფრთხილად იქცევიან: ემინიათ, ნიანგი არ მოეპა-
როთ. ერთი კაცი გამუდმებით ირგლივ იყურება, ხელში შუბი აქვს
მომარჯვებული...

ნიანგი ძალიან ძლიერი და ცბიერი ცხოველია, მსხვერპლს ჩუმიად
ეპარება და უეცრად ესხმის თავს. წყალში სწრაფად დაცურავს,
მაგრამ ხმელეთზე შედარებით ნელა მოძრაობს: სქელი და მოკლე
ფეხები არ აძლევენ საშუალებას ჩქარა ირბინოს. მას ძალიან მძლა-

ერი კუდი აქვს, რომელსაც მოხერხებულად იყენებს. ერთი დარტყ-
მით შეუძლია ნავი. ნაფოტებად აქციოს, ადამიანი შორს გატყორ-
ცნოს. ადვილად იტაცებს ხარს, ცხენს და აქლემსაც კი. ერთი ახი-
რებული ზნე აქვს: დაჭერილ მსხვერპლს ჯერ წყალში ახრჩობს, შემ-
დეგ კი ჭამს. იკვებება ყველაფრით, რის ჭამაც კი შეიძლება, უმთა-
ვრესად კი თევზით. როცა მშვიერია, თავის პატარა ბანამოძმეებს.
არ ინდობს და შეუბრალებლად მუსრს ავლებს.

სიგრძით ნილოსის ნიანგი ათ მეტრს აღწევს. საკვირველია, რომ
ეს უზარმაზარი ცხოველი ვითარდება პატარა კვერცხიდან, რომ-
ელიც ბატის კვერცხზე ცოტათი დიდია, თვითეული ნიანგი 20-
დან 90-მდე კვერცხს დებს. კვერცხები ცხელ ქვიშაში აქვს. ღრმად
ჩაფლული, რომ ცხოველებმა და ფრინველებმა არ შეუჭამონ. ხშირ-
ხშირად ნახულობს და თუმცა ძალიან ფრთხილადაა, მაინც ბევრ
კვერცხს უნადგურებენ. ძალიან ემტერება. არწივის მსგავსი დიდი
მტაცებელი ფრინველი იბისი იბისმა თუ სადმე მიაგნო ნიანგის
კვერცხებს, არ მოეშვება, სანამ სულ არ შეჭამს. მაგრამ ნიანგის
კვერცხებს ყველაზე უფრო ემტერება წყლის დიდი ხელიკი. მონატო-
რი, რომელიც სიგრძით მეტრნახევრამდე აღწევს.

მონატორი კვერცხების ხელში ჩასაგდებად მეტად ცბიერ ხერხს
მიმართავს: წინ გაუჩერდება ნიანგს, როცა ეს უკანასკნელი თავის
კვერცხებს ყარაულობს, და მანამდის აჯავრებს, სანამ მოთმინებ-
დნარ გამოიყვანს. განრისხებული ნიანგი დაედევნება მონატორს,
მასაც ეს უნდა და წყლისაკენ გარბის, რომ რაც შეიძლება შორს
გაიტყუილოს კვერცხების პატრონი. ვიდრე ნიანგი მონატორს დას-
დევს დასაჭერად, ამ დროს მეორე მონატორი, რომელიც შორი-
ახლოსაა ჩასაფრებული, მივარდება კვერცხებს, სწრაფად ამოთხრის
და აჩქარებით ჭამს, რომ ნიანგმა არ მოუსწროს. პირველი მონატო-
რი ადვილად გაუხსლდება მდევარს, თავის ამხანაგს. უერთდება და
ერთად შეეჭკვიან კვერცხებს. მოტყუებული ნიანგი დაჰპირის მტერე-
ვით გამოიბის, მაგრამ ვიდრე მოაღწევდეს, დაუპატიჟებელი სტუმ-
რები კვერცხებს უნახევრებენ.

ნიანგის თავი და ზურგი დაფარულია ძვალოვანი ნივთიერებით,
რომელშიაც ტყვია ვერ ატანს. ასეთი ჯავშნის ქვეშ თავს უშიშრად
გრძნობს ნიანგი და ცხოველთა სამეფოში მას მტერი არა ჰყავს.
ყველა ნადირი და ცხოველი გაურბის და ეშინია მასთან პირისპირ
შეხვედრისა. თვით ნადირთა მეფე, ძლიერი ლომიც ვერ ბედავს მას-
თან შებრძოლებას. ნიანგის არ ეშინია მხოლოდ ერთ პატარა წყლის
ჩიტს, რომელიც მისი მუღმივი თანამგზავრია და მის კმაყოფაზე იმ-

ყოფება. სამაგიეროდ ჩიტი დიდ სამსახურს უწევს მას. ნიანგი დროს უმთავრესად წყალში ატარებს, ამიტომ მისი ღრძილები მუდამ საესეა წურბელებით. წურბელებისაგან შეწუხებული ნიანგი ნაპირზე გამოდის, ალებს ხახას და ამით ჩიტს უხმობს. როგორც კი ჩიტი ხახადალებულ ნიანგს დაინახავს, უშიშრად შეუფრინდება ხახაში და უსუფთავებს ღრძილებს წურბელებისაგან. ეტყობა, ნიანგი ამით ძალიან კმაყოფილია და თავის პატარა მეგობარს ოდნავ ზიანსაც არ აყენებს...

ნიანგისაგან განსაკუთრებით საწყალ მაიმუნებს არა აქვთ მოსვენება: ჩუმიად მიეპარება, როცა ძსინი მიწაზე არიან ხამაშიმ გართულნი; სტაცებს პირს და ერთ წამში სიცოცხლეს ასალმებს. მაგრამ თუ მაიმუნებმა შეამჩნიეს მისი მოახლოება, ერთ ალიაქოსს ტტენენ და თან სეტყვასავით დააყრიან ქვებსა და ჯოხებს. როგორც კი ხმაურობას გაიგებს ნიანგი, იმ წამსვე გაწვება და გაიტვრინება: ვითომ მკვდარია, უნდა ამ ხერხით მაინც მოიტყუილოს თავისი მსხვერპლი. დიდმა მაიმუნებმა კარგად ჩუხან მისი ოინები და პატარებს აფრთხილებენ, რომ ახლოს არ მიეკარონ, მაგრამ პატარა მაიმუნები ხომ ძალიან ცნობისმოყვარენი არიან და თან მოუსვენარნი. გამოტოვლი ნიანგი ერთ ხანს აფრთხობს მათ, მაგრამ გადის დრო და ის რაღაც საშიში ცხოველია, არ ინძრევა (ნიანგს შეუძლია მთელი დღე უძრავად ეგდოს), ნელნელა უახლოვდებიან, ჯერ სიფრთხილი სათვის კუდზე შეახტებიან და თან უყურებენ: ინძრევა თუ არა. რაკი დარწმუნდებიან, რომ „მკვდარია“, მის ზურგზე ჯირითს მართავენ. ნიანგს პირში ნერწყვი მოსდის, მაგრამ ითმენს იცის, რომ მაშინვე დაფრთხებიან, როგორც კი გაინძრევა, და ამდენ ხანს მიწაზე გდება უნაყოფოდ ჩაჭვლის. მოხერხებულ დროს უტდის და მიზანსაც აღწევს. ზოგი გათამამებული მაიმუნი ცნობისმოყვარეობით უწყებს თვალებსა და პირში თათით ჩხიკინს, ნიანგიც სწრაფად „გაცოცხლდება“ და გაბრიყვებული მაიმუნი მისი მსხვერპლი ხდება.

ნიანგებს ჯგუფად უყვართ ცხოვრება და ნადირობა. ნადირობენ უმთავრესად მზის ჩასვლის შემდეგ, როდესაც სხვა ცხოველებს თავის ბუნაგებში სძინავთ.

მთელი ღამე აქეთ-იქით ყაჩაღებივით დამძრწიან და მძინარე ცხოველებს ეპარებიან და ჭამენ.

დღისით, თუ მადღრები არიან, ნიანგები იშვიათად გამოდიან სანადიროდ; მთელი ღამე მძინარის ნაპირას შამბებში წვანან და ტკბილად სძინავთ, ერთი მათგანი კი საუთშაგოზე და მძინარე თანამომძებებს გარშემო უვლის, რომ მტერი არ მიეპაროთ.

ნიანგის ერთადერთი მტერი ადამიანია. ადგილობრივი მცხოვრებნი მის დასაჭერად შემდეგ ხერხს მიმართავენ: აიღებენ ხორცის მოზრდილ ნაჭერს, წამოაგებენ მოკაუჭებულ წვეტიან რკინაზე, რომლის ბოლოს გამოაბამენ ტყავის გრძელ თასმას და ამის შემდეგ წაიღებენ და დააგდებენ მდინარის ნაპირას. რომ დიდხანს ლოდინი არ დასჭირდეთ, ხაფანგიდან ცოტა დაშორებით, მოფარებულ ადგილას, დააწყებინებენ გოჭს ჭყვირილს, რომ ნიანგის ყურადღება მიიპყრონ. ნიანგი, როგორც კი მისთვის სასიამოვნო ხმას გაიგებს, იმ წამსვე გამოეშურება მსხვერპლისაკენ. გზაში, რასაკვირველია, პირველად ხორცის მოზრდილ ნაჭერს წააწყდება და გავლით ჯერ იმას სტაცებს პირს და მახვილი რკინაც ხახაში ღრმად წავა. ჩასაფრებულ მონადირეებსაც ეს უნდათ, სწრაფად წამოცვივდებიან ფეხზე, ჩააგლებენ თასმას ხელს, რაც ძალა და ღონე აქვთ გაიქცევიან, თან „ანკესზე წამოგებულ“ ნიანგსაც გაითრევენ. ათრევენ იმდენხანს, სანამ ნიანგს სმენისა და მხედველობის უნარი არ დაეკარგება და არ გაბრუდება, შემდეგ მისცვივდებიან ჯოხებითა და შუბებით და სიცოცხლეს ასალმებენ. მოკლული ნიანგის ხორცს ჭამენ, მისი ქონით კი ღრმა ჭრილობებს ირჩენენ...

ადამიანის დასაჭერად ნიანგიც თავისებურ და მეტად გონივრულ ხერხს მიმართავს: ჩასაფრება მდინარის იმ ნაპირას, საიდანაც ადამიანს წყალი მიაქვს, წინასწარ კი ნაპირის მახლობლად მიწასა და ქვებს წყლით ასველებს: ნაპირის მახლობლად მიწას კუდის ქნევით რწყავს, ხოლო ნაპირიდან დაშორებულ ადგილებში მიაქვს პირში ჩაუჭებული წყალი და იმით რწყავს, ასეელებს მიწასა და ქვებს. ადამიანის მოახლოებას წყლიდან უთვალთვალებს, რომ არ დააფრთხოს. ჯერ აცლის, რომ ახლოს მოვიდეს, მერე სწრაფად ამოხტება წყლიდან და დაედევნება მსხვერპლს. მოულოდნელობით გულგახეთქილი ადამიანი გარბის, რაც ძალა და ღონე აქვს, მაგრამ სველ ქვებზე ფეხები უსხლტება და ვარდება. ნიანგსაც ეს უნდა, ადვილად ეწევა მას, სტაცებს პირს და წყლისაკენ მიაქანებს...

ნიანგზე ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი, ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენ მეთევზეებს, რომლებიც ადიდებული ნილოსის წითელ ტალღებზე დავტოვეთ თავისი პატარა ნავებით.

მეთევზეებს უკვე მოუსწრიათ აუარებელი თევზის დაჭერა და დატვირთული ნავით მოცურავენ გახარებულნი... უცბად მათი ნავის წინ რაღაც ცხოველმა ამოყო თავი და მისი ფართო ნესტოებიდან მაჯის სიმსხო წყლის შადრევანებმა ამოხეთქა. დაინახა თუ არა მეთევზეები, დაალო თავისი საზარელი პირი, საიდანაც უსწორმასწო-

რო სქელმა და მძლავრმა ეშვებმა გამოანათა, დაიღმუვლა ხარივით და ნავს წაეტანა. გულგახეთქილმა მეთევზეებმა ნავი მეორე მხარეს გააბრუნეს და, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ნიჩბები მოუსვენეს: მხოლოდ სისწრაფესა და მაგარ კუნთებს შეეძლო მათი გადარჩენა.

გაქცეულებს საშინელი ცხოველი უკან დაედევნა, მაგრამ მისი ვეება და მოუხეშავი სხეული წყალს მძიმედ მიაპობდა და ჩქარა კიდევ კარგა მანძილზე ჩამორჩა. ბოლოს დარწმუნდა, რომ ნავს ვეღარ დაეწვოდა, ისევ წყალში ჩაიყურყუმალა და გაქრა... ცხოველი, რომელიც მეთევზეებს გამოუდგა, ბეჭემოტი ანუ ჰიპოპოტამი იყო.

ბეჭემოტი უზარმაზარი და ტლანქი ცხოველია. მას ტყავი ძალიან სქელი და თითქმის ტიტველი აქვს. მეტწილად წყალში უყვარს ცხოვრება და მას წყლის ცხოველს ეძახიან. ეგვიპტელები მას წყლის ხარს ეძახდნენ, რადგან მისი ღმუილი ხარის ღმუილს წააგავს. ბეჭემოტზე ნადირობას ეგვიპტელებისათვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა და მისი მოკვლა დიდ გამირობადაც ითვლებოდა. ხორცი მას გემრიელი აქვს და ეგვიპტელები სიამოვნებით შეექცეოდნენ. მოკლული ბეჭემოტის კბილებისაგან აკეთებდნენ სხვადასხვა მკრეღ იარაღებს, რომლებსაც დოსტაქრები ხმარობდნენ, ტყავისაგან კი აკეთებდნენ საბრძოლო მუზარადებსა და ფარებს.

ბეჭემოტი მთელ დღეს წყალში ატარებს. ღამით კი გამოდის ნაპირზე და ყანებს მიაშურებს. გათენებამდის მთელ ყანას აოხრებს, ჭამს, თანაც თავისი ტლანქი, ბოძების მსგავსი ფეხებით ჯეგავს და აფუჭებს ჯეჯილს. გათენებისას კი გამაძლარი მძიმედ გაემართება ნილოსისაკენ, შეცურდება წყალში და მთელი დღე არხენინად ისვენებს და თვლემს.

შართალია, ბეჭემოტი ადამიანის ხორცს არა ჭამს, მაგრამ მისი შეხვედრა ფრიად სახიფათოა; ბევრი გაუფრთხილებელი მოზანავე დაუხრჩვია ნილოსის ტალღებში.

ადიდებული ნილოსი კი შეუჩერებლივ მიიწვევს წინ, ეგვიპტის შუაგულისაკენ. მიიწვევს წინ და მის წითელ ზვირთებს თან მიაქვს ყოველი სოფლისათვის, ყოველი ქალაქისათვის სიცოცხლე და ბედნიერება. მოსახლეობა სიხარულით ეგებება ძვირფას სტუმარს.

სისხლისფერმა წყალმა დაგვიანტერესა. გვინდა ისიც გავსინჯოთ, მაგრამ ფრთხილად ვიქცევით: ვშიშობთ, რომ ისიც მწარე არ გამოდგეს, როგორც „მწვანე ნილოსის“ წყალი. ვიღებთ და გემოს ვუშინჯავთ. პირს ვეღარ ვაშორებთ; წყალს კი არა, თითქოს შარბათსა

ვსვამდეთ! ასეთი გემრიელი და გამაგრილებელი წყალი ჩვენს სიცოცხლეში არ დაგვილევია. ვსვამთ და კიდევ გვინდა...

ახლა, ჩემო მკითხველო, დროებით უკან დავიწიოთ და ავხსნათ შემდეგი საკითხები: პირველი, რა მიზეზები იწვევს მდინარე ნილოსის აღიდებას? მეორე, რადარა ნივთიერება აძლევს ნილოსის წყალს ჯერ მწვანე და შემდეგ კი წითელ ფერს და, ბოლოს, მესამე—რა სარგებლობა მოჰქონდა და მოაქვს ნილოსს ეგვიპტისათვის?

არ, ამ საკითხების ახსნის შემდეგ მდინარე ნილოსზე უკვე ნათელი წარმოდგენა გვექნება.

*

უძველეს დროს ეგვიპტელები ნილოსის აღიდების ნამდვილ მიზეზს არ იცნობდნენ და როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ბუნების ამ საინტერესო მოვლენას ღვთაებრივ ძალას მიაწერდნენ.

„ეგვიპტელები ფიქრობდნენ, — ამბობს ისტორიკოსი ივანოვი, — რომ მდინარე ნილოსს სათავე ზეცაში აქვს. ზეციური ნილოსი დროგამოშვებით მატულობს და კლებულობს, ასევე ემართება მიწიერი ნილოსსაც. თუ რა იწვევდა ზეციური ნილოსის აღიდებას, ამაზე ეგვიპტელები შემდეგნაირად უპასუხებდნენ: ქალღმერთი იზიდა, ბრწყინვალე მზის ღმერთის ოზირისის და, დასტირის თავის ძმას. მისი ძმა—ოზირისი ყოველი წლის დაახლოებით ივლისის ნახევარში კვდება. ამ დროს იზიდა იწყებს მოწყენასა და ტირილს. და, აი, მისი ცრემლები ვარდებიან მდინარეში და იწვევენ მის აღიდებას და ნაპირზე გადმოსვლას. ასე „ხსნიდნენ“ ქურუმები¹ ნილოსის აღიდების გამომწვევ მიზეზებს.

ეგვიპტელებს ჰქონდათ წარმოდგენილი, ვითომ მდინარე ნილოსის ზევით, ძალიან შორს, არსებობდა რაღაც უცნაური კუნძულები, ამ კუნძულებზე დათარეშობდნენ ზღაპრული ცხოველები—უზარმაზარი გველეშაპები. ადამიანის იქ მისვლა შეუძლებლად მიაჩნდათ, ვინც კი გაბედავს და წავა, სიცოცხლეს უნდა გამოესაღმოს, აუცილებლად დაიღუპებაო. ქურუმები უკრძალავდნენ ხალხს ეგვიპტიდან შორს წასვლას.

ამრიგად, ეგვიპტელებისათვის ღიძხანს სიბნელით იყო მოცულნი როგორც ნილოსის აღიდების ნამდვილი მიზეზები, ისე მისი ფერის ცვალებადობა. ეს საკითხი უცხოელმა მოგზაურებმა გამოიკვლიეს და საფუძვლიანადაც შეისწავლეს.

¹ ქურუმი—კერპთმსახური, კერპთთაყვანისმცემელთა მოძღვარი.

მდინარე ნილოსის ადიდების შემდეგ გარემოება იწვევს: თებერვალსა და მარტში შუა აფრიკაში ინდოეთის ოკეანიდან ქარებს მოაქვთ აუარებელი ორთქლი. ორთქლი თანდათან გროვდება, სქელ ღრუბლებად იქცევა და არე-მარეს აბინდებს. ბოლოს ამ ღრუბლებიდან იწყება დაუსრულებელი, ტროპიკული (კოკისპირული) წვიმა: რამდენიმე თვის განმავლობაში წვიმს, შხეც ამ დროს ძალიან მწვავედ აცხუნებს, აფრჩკის მაღალ მთებზე თოვლი სწრაფად იწყებს დნობას და მდინარეებად ეშვება ჯაბლს.

აი, ერთის მხრივ, მოვარდნილი წვიმის ნიაღვრები და, მეორეს მხრივ, მთებიდან ჩამოსული დამდნარი თოვლის მდინარეები იწვევენ მდინარე ნილოსს ადიდებას.

მაგრამ ვიდრე ეს ყოველი მხრიდან მოვარდნილი ნიაღვრები მდინარე ნილოსამდე მიადწევდნენ, დიდი დრო გადის, გზაში მათ ხვდება მრავალი მდინარე, უზარმაზარი ჭაობები და ტბები. ჭაობები სწრაფად იესება მოვარდნილი ნიაღვრებით და გადმოდის ნაპირებზე. მათ უერთდება ადიდებული მდინარეებისა და ტბების წყლები და ყველა ესენი მოისწრაფიან და ვარდებიან ნილოსში...

თუ შენ, ჩემო მკითხველო, ოდესმე გაგივლია ჭაობიან ადგილებში, აუცილებლად შეამჩნევდი, რომ მათ მოძვანო ფერი დაჰკრავთ და ცუდ სუნს გამოსცემენ. ეს იმიტომ, რომ ჭაობებში აუარებელი მცენარე ლება და ესენი აძლევენ მწვანე ფერსა და ცუდ სუნს.

ასეთი ჭაობები კი ცენტრალურ აფრიკაში უამრავია.

როგორც ზევით აღვნიშნე, ვიდრე მოვარდნილი წვიმების ნიაღვრები მდინარე ნილოსს შეუერთდებოდნენ, პირველად ამ ჭაობებში ვარდებიან.

აი, სწორედ ეს ჭაობები აძლევენ ნილოსს მწვანე ფერს, მწარე გემოსა და ცუდ სუნს. ამ ჭაობებიდან მდინარე ნილოსს სამიოდედ დღის განმავლობაში აქვს მწვანე ფერი. ამ დროს ნილოსის წყლის დაღვევა ადამიანისათვის შეუძლებელია. ბუ ვინმემ, შემთხვევით, უცოდინარობის გამო დალია, რამდენიმე დღის განმავლობაში მუცლის საშრნელი ტკივილები შეაწუხებს. მოსახლეობა ამ დღეებისათვის წინასწარ იმარაგებს დასალევ წყალს.

მდინარე ნილოსის ადიდების ამ პერიოდში ადგილობრივი მცხოვრებნი მას უწოდებენ „მწვანე ნილოს“.

მაგრამ რისაგან ეძლევა მდინარე ნილოსს შემდეგ წითელი ფერი?

როგორც უკვე ვიცით, ცენტრალურ აფრიკაში თებერვალ-მარტში გამუდმებით მოდის კოკისპირული წვიმები, მთებზე თოვლი

განავრძობს სწრაფად დნობას. აქედან წარმოშობილ ნიაღვრებს, უშვებიან რა მთებიდან, თან მოაქვთ ამ მთების წითელი აუარებელი მიწა.

აფრიკის მთებიდან მოტანილი წითელი მიწა აძლევს ნილოსს სისხლივით წითელ ფერს და სასიამოვნო გემოს. ამ წითელ მიწას მოჰქონდა და მოაქვს ეგვიპტის მოსახლეობისათვის უდიდესი სარგებლობა. ეს მიწა ისეთი რბილი და ნოყიერია, რომ მასში დათესილი ყოველგვარი მარცვლეულობა ძალიან სწრაფად და უხვად აღმოცენდება. მაგალითად, პურის ჩაღის სიმაღლე ორნახევარ მეტრს აღწევს და თავთავი სამასზე მეტ მსხვილ მარცვალს შეიცავს, კიტრი ნახევარი მეტრის სიგრძე იზრდება, ნესვი ოც კილოგრამზე მეტს იწონის, ყურძნის მტევანი კილოგრამამდეა. ბალახი ძალიან მაღალი და ხელის სიფართოე იზრდება, ისე რომ ცხენიანი კაცი შიგ ადვილად დაიმალება. მოსავლის აღებას კი წელიწადში სამჯერ ასწრებენ.

მაგრამ წითელი მიწის შეგროვებაზე და შემდეგ თანაბრად განაწილებაზე ეგვიპტელები დიდ შრომასა და დროს ხარჯავდნენ.

ეგვიპტელებმა ადრევე შეამჩნიეს, რომ მოსავალი იმ ადგილას უფრო უხვი იზრდებოდა, სადაც მეტხანს იყო გაჩერებული წყალი. რომ მოვარდნილი წყალი რამდენიმე ხანს შეეჩერებინათ სასურველ ადგილას, ამისათვის ხელოვნურ საშუალებებს მიმართავდნენ: ნილოსის ადიდებამდე ყანებსა და მინდვრებში აგებდნენ დროებით ჯებირებს. ამ ჯებირების დანიშნულება იყო—შეეჩერებინათ მოვარდნილი წყალი, რომ მიწის შლამს მეტის რაოდენობით მოესწრო დალექვა. რასაკვირველია, ეს დროებითი ჯებირები არ იყო ძალიან მკვირი და დიდხანს ვერ უძლებდა მოვარდნილ ტალღებს, შლამი ადვილზე მაინც საკმაო რაოდენობით რჩებოდა.

შლამის დიდი რაოდენობით დასაგროვებლად სხვა ხერხსაც მიმართავდნენ: უზარმაზარ აუზებს აკეთებდნენ, მოვარდნილი წყლით ავსებდნენ და შიგ დიდხანს აჩერებდნენ. დალექვის შემდეგ აუზიდან წყალს გაუშვებდნენ და იქიდან ამოღებულ შლამს ბალებსა და ბოსტნებში ანაწილებდნენ...

ნილოსის ადიდების დროს ეგვიპტის დაბლობი ადგილები—ყანები და მინდვრები—წყლის სივრცით იფარება. რასაკვირველია, წყალი ამ დროს შლის და ერთმანეთში ურევს მიწების მიჯნებს, ისე რომ პატრონს უკვე აღარ შეუძლია თავისი საყანე მიწების გამოცნობა. რომ მიწების პატრონებს შორის მოსალოდნელი დავა თავიდან ყოფილიყო აცილებული, საჭირო იყო ამ მიწების შესახებ წინასწარ სხვადასხვა ცნობის ჩაწერა.

მდინარის აღიდებამდე ფარაონები ყოველ სოფელში აგზავნიდნენ თავის კაცებს—სოფლის მწერლებს, რომლებსაც უნდა ჩაეწერათ ცალცალკე ყველას მიწის ფართობი, გაეზომათ სიგრძე, სიგანე და აღენიშნათ მიწების ადგილმდებარეობა.


როდესაც მდინარე დაიკლებდა და ყანები წყლისაგან განთავისუფლდებოდა, მწერლები ჩაწერილი ცნობების მიხედვით ყველას მიუზომავდნენ კუთვნილ მიწას. ამიტომ იყო, რომ უძველესი დროიდან ეგვიპტელებმა კარგად იცოდნენ მიწათმზომელობა და არითმეტიკა.

ხდებოდა ხოლმე, რომ აღიდებული ნილოსი დააზიანებდა ამათუიმ მიწის ნაკვეთს. ამ შემთხვევაში მწერლები დაზარალებულ პატრონს ან ახალ ნაკვეთს მიუზომავდნენ, ან სახელმწიფო გადასახადს ნაკლებს შეაწერდნენ.

საერთოდ გადასახადს აწერდნენ იმის მიხედვით, თუ როგორი მოსავალი იქნებოდა, ეს კი დამოკიდებული იყო მდინარე ნილოსზე: თუ მეტი რაოდენობის შლამს მოიტანდა—კარგი მოსავალი იქნებოდა, ნაკლებს მოიტანდა—ნაკლები მოსავალი იქნებოდა. გადასახადიც მუდამ იცვლებოდა; ხან მეტი იყო, ხან ნაკლები. ყოველივე ამას თვალყურს ადევნებდა და გადასახადის რაოდენობას განსაზღვრავდა სოფლის მწერალი.

სოფლის მწერლის ვინაობასა და უფლება-მოვალეობაზე ჩვენ დაწვრილებით შემდეგ გვექნება საუბარი.

ეგვიპტელებს მდინარე ნილოსის ნაპირებიდან ყველა ქალაქისა და სოფლების მიმართულებით გაყვანილი ჰქონდათ არხები. ეს არხები უხსოვარი დროიდან არსებობდა და ეგვიპტელებმა არ იცო-



ნილოსის სიმალის საზომი-ნილომეტრი.

დნენ, როდის დაიწყეს მათმა წინაპრებმა მათი გაყვანა. ჯერ კიდევ ექვსიათასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოიპოებოდა ცნობები არხების არსებობის შესახებ.



ხვნა-თესვა.

არხებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტელებისათვის: ჯერ ერთი, მათი საშუალებით მთელ ეგვიპტეში წყალი თანაბრად ნაწილდებოდა, რაც ესეოდენ საჭირო იყო ქვეყნისათვის, მეორე—არხები რომ არ ჰქონოდათ, წყალი ჩაღრმავებულ ადგილებში დაგუბდებოდა და ჭაობებად გადაიქცეოდა, ჭაობები კი ხელს შეუწყობდა ათასგვარი სნეულების გავრცელებას, ადამიანის ცხოვრება ეგვიპტეში შეუძლებელი იქნებოდა. არხების შემწვობით ეს უბედურება თავიდან აცილებულია. ამ არხებით რწყავდნენ შემდეგ მიწებს.



მკა.


ეგვიპტეში, როგორც ვიცით, დიდი სიციხეები იცის და ამიტომ წიადაგი, ძალიან ჩქარა შრება და ხმება. ამის თავიდან ასაცილებლად ეგვიპტელებს ხშირად უხდებოდათ მიწების მორწყვა. მიწების მოსარწყავად მათ ჰქონდათ ხელოვნური ტბები და სურვილისამებრ შეიძლებოდა მათი გაღება და დახურვა. ტბებიდან მიდიოდა ყანბღსაკენ არხების ქსელი. სადაც არხი არ უდგებოდა, იქ ამოთხრილი ჰქონდათ კეები.

მიწების მოსარწყავად ეგვიპტელები ძალიან დიდ დროსა და შრომას ხარჯავდნენ, დიდი სიმაღლეებიდან უხდებოდათ წყლის ამოღე-

ბა. იმ დროს არ იყო წყლის ამოსაქაჩავი და მოსარწყავი რაიმე მანქანები, ფიზიკური ძალით და პრიმიტიული საშუალებებით უხდებოდათ მიწების მორწყვა (იხ. სურათი). სამაგიეროდ შრომა ერთი-ათად უნაზღაურდებოდათ, ნიადაგი არაჩვეულებრივ კარგსა და უხვს მოსავალს იძლეოდა.

ეგვიპტეში ქალაქები და სოფლები მაღალ ადგილებსა და ვორუკებზეა გაშენებული და ეს გასაგებიცაა, ნილოსის ადიდების დროს, როგორც ვიცით, მთელი ეგვიპტის დაბლობი ადგილები წყლით იფარება. ამ დროს ეგვიპტე იშვიათ სანახაობას წარმოადგენს, ქალაქები და სოფლები ზღვად ქცეულ ნილოსში დიდ და პატარა კუნძულებად მოჩანს.

უძველესი დროიდან ეგვიპტელებს ქალაქები და სოფლები და-ცული ჰქონდათ მძლავრი ჯებირებით, რომ ნილოსის ადიდების დროს მოვარდნილ წყალს მოსახლეობა არ დაეზარალებინა.



მოსავლის ჩაყრა ბელლებში.


ნილოსი ერთნაირად როდი დიდდება: ხან ძალიან მატულობს, ხან ნაკლებად, ეს კი დამოკიდებულია შუა აფრიკის ტროპიკული წვიმების სიხშირესა და ხანგრძლივობაზე, ამიტომაც, ყოველი შემთხვევისათვის, დასახელებულ ადგილებს ჯებირებით იცავდნენ.

ქალაქებსა და სოფლებს შორის მიმოსვლისათვის მიწაყრილებზე, გზები ჰქონდათ გაყვანილი. გზების ორივე მხარეს მიიმართებოდნენ მკვრივი ჯებირები. ჯებირები იცავდნენ გზებს მოვარდნილი ნიადაგებისაგან. ამ გზებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მიმოსვლისათვის ფართოდ ჰქონდათ გამოყენებული ნაგები და პატარა ხომალდები.

ნილოსის სიღრმე ადიდების დროს ზემო ეგვიპტეში ცხრა მეტრს აღწევს, ქვემო ეგვიპტეში, დელტასთან—შვიდ მეტრს. შუა-ოქტომბრიდან ნილოსი თანდათან იწყებს კლებას.

როდესაც მდინარე იწყებს კლებას, ნაპირებზე აუარებელი თევზი რჩება და გუბებში ირევა. ვიდრე წყალი საკმაო სიღრმისაა, თევზები თავისუფლად დაცურავენ, მაგრამ როგორც კი წყალი იწყებს კლებას, მათი მოძრაობა ფერხდება და პირდაპირ მიწაზე ფართხალობენ. ამ დროს მათ დასაჭერად, რასაკვირველია, არც ანკესია საჭირო და არც ბადე, გახარებული ბავშვები მათ პირდაპირ ჭელით იჭერენ.




ზღვადქცეულ ნილოსში მოჩანან ქალაქები და სოფლები.

ნილოსმა მრავალნაირი ძალიან გემრიელი თევზი იცის, ზოგი თევზი ოცი კილოგრამზე მეტს იწონის და ბევრ ქვირითს იძლევა.

ნილოსის წყლები მდიდარია თევზეულობით, რადგან აქ იყრის თავს ადიდების დროს აფრიკის მდინარეებისა და ტბების თევზები. ამიტომაც მდინარის დაკლების შემდეგ არემარე თევზებითაა მოყვნილი. მოსახლეობა თუმცა ძალიან ცდილობს, მაგრამ მათ აკრეფას ვერ აუღის. ამ საქმეში ადამიანებს ბეჯითად ეხმარებიან იბისები, წეროები, ყანჩები და სხვა მრავალი ფრინველი. იმ დღეებში ნილოსის ნაპირებზე ფრინველთა ზემოთა გამართული, რომლებიც იოლად ნაშოვნ-ნადავლს არხეინად შეექცევიან...

ნილოსის როგორც აღიღება, ისე დაკლება ხუთ-ექვს თვეს გრძელდება. საბოლოოდ დეკემბერში ვარდება ეს მდინარე თავის კალაპოტში.

ნილოსის აღიღების შემდეგ ჩქარა მთელი ეგვიპტე ამწვანებულ აყვავებულ ქვეყნად იქცევა.



აღიღებული ნილოსი.

მდინარე ნილოსზე ნადირობას ეგვიპტელებისათვის უძველესი დროიდან უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა. ორი-სამი დღის ნადირობით ერთ კაცს შეეძლო მთელ თვეს გამოეკვება თავი.


მაგრამ ნილოსზე ნადირობა ძალიან საშიში იყო და ხშირად უბედურებით თავდებოდა: ბევრი ხდებოდა ნიანგის, ბეჭემოტისა და სხვა ცხოველების მსხვერპლი.

ეგვიპტელებს ყველაზე უფრო ეშინოდათ ერთი ძალიან დიდი გველისა, რომელსაც ნილოსის ნაპირებზე უყვარდა ნადირობა. ამ გველს ურეუს ეძახდნენ. ურეუსი სიგრძით სამ მეტრამდე აღწევდა და ძალიან შხამიანი იყო, მისი შხამი ელვის სისწრაფით მოქმედებდა. პატარა ცხოველები მისი კბენით ერთ წამში იღუპებოდნენ.

როდესაც ურეუსი მოახლოებულ მსხვერპლს დაინახავდა, ყალყზე შედგებოდა, კისერს გაიბერავდა და საშინელი შხუილით ესხმოდა

თავს. დაჭერილ მსხვერპლს თავის მძლავრ კუდს ორ-სამ კეცად შემოახვევდა და რამდენიმე წამში სიციოცხლეს. ასალმებდა.

ურეუსის დანახვაზე ეგვიპტელები წარმოუდგენელ შიშს გრძნობდნენ და მუდამ ამჯობინებდნენ გაქცევით თავის შევლას. შეშინე-



ბეჭემოტზე ნადირობა.

ბული ეგვიპტელები მას უძლეველად თვლიდნენ და შებრძოლებას ვერ უბედავდნენ. ბოლოს ცრუმორწმუნეობამ იქამდის მიიყვანა ეგვიპტელები, რომ ურეუსი ერთერთ თავის ღმერთად აღიარეს, ტაძრებში დგამდნენ მის ქანდაკებას და თაყვანსა სცემდნენ. ამ გზით ცდილობდნენ ურეუსის რისხვისათვის „თავის დაცვას“.

ფარაონები გვირგვინის წინა მხარეს იკეთებდნენ ურეუსის თავს, ოქროსაგან ჩამოსხმულს. ეს იყო ნიშანი ფარაონის „ღვთაებრივობა“ ძალისა და, ეგვიპტელების ფიქრით, მტერს აღარ ძალუძდა მისი დამარცხება.

ეგვიპტელებს ძალიან ეშინოდათ აგრეთვე ნიანგისაც და მასაც, როგორც ურეუსს, აღმერთებდნენ. ნიანგის სახელზე იყო აგებული

დიდი ტაძარი. ქურუმები ამ ტაძარში ინახავდნენ ხალხის საჩვენებლად და დასაშინებლად მოშინაურებულ ნიანგს. ნიანგის ტანი მთლიანად ოქროს ბეჭდებით, სამკაულებითა და ძვირფასი ქვებით იყო მორთული და სინათლეზე მრავალფერად ბრწყინავდა. ეს, რასაკვირველია, იმისათვის, რომ ცრუმორწმუნე ეგვიპტელებზე მეტი შთაბეჭდილება მოეხდინათ.

ნიანგის სიკვდილის შემდეგ მის ლეშს დიდი ცერემონიით მარხავდნენ იმავე ტაძრის ქვეშ.

ტაძარში იდგა ნიანგის ქანდაკება — ადამიანის ტანითა და ნიანგის თავით, მას სებექს ეძახდნენ.

ეგვიპტელები აღმერთებდნენ როგორც ადამიანის მტრებს, მტაცებელ ცხოველთ, ისე ისეთ ცხოველებსა და ფრინველებს, რომლებსაც ადამიანისათვის რაიმე საარგებლობა მოჰქონდათ.



გველი ურეუსი საბრძოლო მდგომარეობაში.

ეგვიპტელები ყველაზე უფრო დიდ მეგობრად თვლიდნენ ფრინველ იბისს. იბისი დიდი, მტაცებელი და გულადი შავი ფრინველია. მას ძალიან მაღალი, ბასრი კლანჭებით შეიარაღებული ფეხები აქვს. მოლუნული გრძელი და მძლავრი ნისკარტით იგი მსხვერპლს ადვილად იმორჩილებს. ადამიანს არ ერჩის, მაგრამ გველის დაუძინებელი მტერია, როგორც კი თვალს მოჰკრავს, იმ წამსვე მოხერხებულად დააფრინდება კისერზე, გაუყრის ბასრ ბრჭყალებს და მძლავრი ნისკარტის რამდენიმე დარტყმით თავს ორად უშობს. შემდეგ მსხვერპლს წაიღებს მოფარებულ ადგილას და არხეინად შეექცევა.

ეგვიპტელები იბისს შემდეგი მოსაზრებით აღმერთებდნენ: იბისის მოფრენა ქვეყანას აუწყებდა მდინარე ნილოსის ადიდების დასაწყისს, ეს კი ეგვიპტელებისათვის უდიდეს სიხარულს წარმოადგენდა; შემდეგ იბისი იკვებებოდა ნიანგის კვერცხებით, ნიანგი კი ადამიანს

ნის მტერი იყო; დაბოლოს — იბისი დიდი რაოდენობით ანადგურებდა გველებს, მაშასადამე, იბისი ადამიანის მეგობარია და ეხმარება მას მტრებთან ბრძოლაშიო, — ამბობდნენ ეგვიპტელები. იბისის შემთხვევით ან განზრახ მოკვლისათვის დამნაშავეს სიკვდილით სჯიდნენ, მასზე ნადირობა, რასაკვირველია, აკრძალული იყო.



ცერემონია მსხვერპლის შესწირვის დროს. კუთხეში დგას ღმერთის სეხეჟის (ნიანგის) ქანდაკება; მის წინ დგას ფარაონი, რომელიც ხელგაშეშებული ადიდებს მას და სთხოვს მფარველობას.

იბისის სახელი ეგვიპტეში უდიდესი პატივისცემითა და ქება-დიდებათი იხსენიებოდა. როდესაც ომში მიდიოდნენ, წინ, როგორც დროშა, იბისის ქანდაკება მიჰქონდათ, მას მიჰყვებოდნენ სხვა ღმერთების ქანდაკებები.

იბისის თავით იყო გამოხატული ღმერთი ტოტი, ტოტი კი იყო განსახიერება ეგვიპტის მთელი კულტურისა. ეგვიპტელები მას აღიარებდნენ მეცნიერებისა და ყველა დარგის ხელოვნების ღმერთად.

„ტოტმა გამოიგონა დამწერლობა, მათემატიკა, ნილოსის საზომი ხელსაწყო და სხვა მრავალი“, — ამბობდნენ ეგვიპტელები. ტოტს თვლიდნენ მართლმსაჯულების ღმერთადაც. ერთი სიტყვით, ცრუმორწმუნე ეგვიპტელებისათვის ტოტი ითვლებოდა ერთერთ მთავარ ღმერთად.

ეგვიპტელები აღმერთებდნენ აგრეთვე ნილოსს, რომელიც წარმოადგენდა მათთვის საარსებო წყაროს.

რა დაემართებოდათ ეგვიპტელებს უნილოსოდ? ისინი უდაბნოს მსხვერპლი გახდებოდნენ, და სიცხით და შიმშილით დაიხოცებოდნენ. უნილოსოდ მათ არ შეეძლოთ არსებობა, ნილოსი იყო მათი განუყრელი მეგობარი, ერთგული გუშაგი და უდაბნოს დაუძინებელი მტერი. ნილოსი იყო მათი „მამამფარველი“, „ქვეყნისათვის სიცოცხლისა და პურის მომცემი“ და სხვა



ღმერთი ტოტი. მარცხენა ხელში ტოტს უჭირავს ჩასაწერი ცხრილი, მარჯვენაში—ნილომეტრი

და სხვა... და, აი, ეგვიპტელები თავის უდიდეს მეგობარს ნილოსს აღმერთებდნენ და ჰაპის ეძახდნენ.

ნილოსისადმი იყო მიძღვნილი ქება-ლოცვა, რომელსაც ქურუმები ტაძრებში გალობდნენ და აღიღებდნენ „ქვეყნის მსხნელს“.

ტაძრებში ნილოსი კაცის სახით იყო განსახიერებული, რომელსაც ერთი ხელით მიჰქონდა პურის ხორბალი და სხვადასხვა ნაყოფი, ხოლო მეორე ხელით—მცენარე პაპირუსი. თავი კი შემკობილი ჰქონდა ლოტოსის ყვავილების გვირგვინით. ეს იშვიათი მცენარეები შემთხვევით როდი ჰქონდა ნილოსს ხელში დაჭერილი, შემთხვევით როდი ჰქონდა თავი ლოტოსით შემკობილი—როგორც ქვემოთ, გავეცნობით, პაპირუსსა და ლოტოსს უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა ეგვიპტელებისათვის და მათი მოცემა შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ ბარაქიან ნილოსს.

პაპირუსი მაღალტანიანი და ძალიან სასარგებლო მცენარე იყო. ხარობდა ნილოსის ნაპირებზე, ჭაობიან ადგილებში. უძველეს დროს ეგვიპტელებისათვის მას მრავალნაირი სარგებლობა მოჰქონდა: ნორჩი პაპირუსის ყლორტებს ხრაკავდნენ და სჭამდნენ, უფრო მოზრდილი პაპირუსიდან აკეთებდნენ ტკბილს, შარბათის მსგავს წვენს და სიამოვნებით სვამდნენ, დიდი პაპირუსის ტანიდან კი აკეთებდნენ ფართო მოხმარების საგნებს: ფეხსაცმელებს, კალათებს,

თოკებს, სხვადასხვა საოჯახო ნივთებს და მცირე სიდიდის ნაგებ-
საც კი. ფესვებს კი ხმარობდნენ საწვავ მასალად, ლითონების გა-
დასადნობად.

მაგრამ პაპირუსს სხვა მხრივ მოჰქონდა უდიდესი სარგებლობა



ღმერთ ჰაპი
(ნილოსი).

ეგვიპტელებისათვის: მისგან აკეთებ-
დნენ ძვირფას და ძალიან გამძლე სა-
წერ ფურცლებს, რომლებსაც შემდეგ-
ნაირად აკეთებდნენ: პაპირუსს გამო-
აცლიდნენ მაჯის სისხო გულს, შემ-
დეგ ჭრიდნენ გრძელ ლენტებად. და-
ჭრილ ლენტებს აწყობდნენ სუფთა
ფიცრებზე, ზევიდან ადებდნენ სიმძი-
მეს და ამ სახით აშრობდნენ მზეზე.
აშრობის შემდეგ ლენტებს ერთიმე-
ორეზე სიგრძით აწებებდნენ და აკე-
თებდნენ ძალიან გრძელ ხვეულს, რო-
მელსაც ყვითელი ფერი ჰქონდა. სი-
ნესტეს რომ არ გაეფუჭებინა, ერთ-
გვარ სითხეში ჟღენთავდნენ. ამის
შემდეგ ქაღალდი ისეთი მკვრივი და
გამძლე ხდებოდა, რომ ათას წლებს
უძლებდა და ჩვენ ეპოქამდის მოალ-
წია. მუზეუმში ინახება 3-4 ათასი
წლის პაპირუსის ქაღალდები ეგვიპ-

ტური წარწერებითა და მხატვრული სურათებით. ასეთი სარგებ-
ლობა მოჰქონდა ამ იშვიათ მცენარეს.

ლოტოსი ეგვიპტელებისათვის არა ნაკლებ სასარგებლო მცენა-
რედ ითვლებოდა. უმთავრესად მას საკვებ მასალად ხმარობდნენ.
გარეგნულად საამო შესახედავი იყო და ლამაზ ყვავილებს იკეთებ-
და. ყვავილები შორიდან გარეგნულად ძალიან წააგავდნენ ყაყაჩოს.

ლოტოსი რამდენიმე ფერისა იყო: ვარდისფერი, ცისფერი და
თეთრი. ყვავილები იკეთებდნენ მსხვილ მარცვლებს, რომლისგანაც
ეგვიპტელები მაღალი ხარისხის ფქვილს აკეთებდნენ, ფქვილისაგან
კი კეთდებოდა ძალიან ნოყიერი და გემრიელი ნამცხვარი, რომე-
ლიც საამო სუნს გამოსცემდა.

ლოტოსი მსხვილს და მრგვალს ფესვებს იკეთებდა, რომლებიც
როგორც გარეგნულად, ისე გემოთი ვაშლს წააგავდა და ეგვიპტე-
ლებისათვის სანუკვარ რამეს წარმოადგენდა.

აღარც ეს იშვიათი მცენარე ხარობს ეგვიპტეში, ოდესღაც კი ნილოსის ნაპირები აფერადებული იყო მისი ყვავილებით.

უძველეს დროს ეგვიპტელები „ღმერთ ნილოსს“ სწირავდნენ ადა-შიანის მსხვერპლს.

ნილოსის ადიდებისას ყოველ სოფელს მსხვერპლად მოჰქონდა ერთი ახალგაზრდა ქალი, როგორც „ღმერთი ნილოსის“ საცოლვე.

ეს ველური ადათი შემდეგნაირად ხდებოდა: როგორც კი ნილოსი დაიწყებდა ადიდებას, ქურუმების მითითებით ხალხი აარჩევდა ერთერთ ქალიშვილს, მორთავდნენ საზეიმოდ, შეამკობდნენ ყვავილების გვირგვინით და ამის შემდეგ წაიყვანდნენ ნილოსის ნაპირისაკენ.


ხალხს წინ მიუძღოდა კვერთხით ხელში ქურუმი. ოდესღაც ნაპირს მიუახლოვდებოდნენ, ყველა მონაწილე, გარდა ქურუმისა, პირქვე დაემხობოდა. ქურუმი ნილოსისაკენ გაიშვერდა ხელს და დაიწყებდა მის ქება-დიდებას. ხალხი იმეორებდა მის სიტყვებს. ლოცვის დროს კერპთმსახური უკრავდნენ არფებს და გალობდნენ. განწირული ქალის ირგვლივ კი მოცეკვავე ქალები უვლიდნენ და უბედურს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ართობდნენ, ეთხოვებოდნენ. ცერემონიის გათავების შემდეგ ქურუმი უბრძანებდა ხალხს მიეცათ ნილოსისათვის თავისი საცოლვე. მოცეკვავე ქალები შემოეხვეოდნენ განწირულს, აიტაცებდნენ ხელში და აწევდნენ რაც შეიძლებოდა



პაპირუსი.

მაღლა ისე, რომ პირით ნილოსისაკენ ყოფილიყო. რომ მსხვერპლი-სათვის სიკვდილის წინა წუთებში მდგომარეობა შეემსუბუქებინათ, წინასწარ წამლების საშუალებით აბრუებდნენ. ამის შემდეგ მსხვერპლს წინააღმდეგობის გაწევის უნარი ერთმეოდა და საშინელ ხვედრს გულგრილად შეჰყურებდა... ამ დროს ქურუმი მიმართავდა უკანასკნელად ნილოსს შემდეგი სიტყვებით: ჰოი, ნილოს, ჩვენო ბრწყინვალე! ღმერთო, მიიღე ესე საცოლე შენი და მოგვეცე ჩვენ სიცოცხლე და ბედნიერება!—მოგვეცე ჩვენ სიცოცხლე და ბედნიერება,—იმეორებდა ხალხი. ამ სიტყვების შემდეგ საბრალო ქალს პირდაპირ ნილოსში აგდებდნენ. როდესაც მსხვერპლი დაიმალებოდა ნილოსის აქაფებულ ტალღებში, ხალხი დაიწყებდა მხიარულებას, რადგან „ღმერთმა ნილოსმა“ მიიღო საცოლე და, მამასადამე, ეგვიპტელებს წყალობის თვალით გადმოხედავდა და კარგი მოსავალი იქნებოდა.

ასეთი ველური ჩვეულება მეორდებოდა ყოველწლიურად, ვიდრე ბოლოს ეგვიპტელები არ დარწმუნდნენ მის უაზრობაში... რასაკვირველია, აღნიშნული ჩვეულება ჩვენში გაკვირვებასა და სამართლიან გულისწყრომას იწვევს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ხდებოდა უძველეს დროს, როდესაც ადამიანის გონება ჯერ კიდევ ბუნების ტყვეობაში იმყოფებოდა და ცრუმორწმუნეობის ბურუსით იყო მოცული.



II

ე გ ვ ი ვ ზ ე ღ ე ბ ი

ეგვიპტელები ერთერთ უძველეს და თავის დროზე კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომს ერს წარმოადგენდნენ. მათი წარმოშობის შესახებ მეცნიერებ-ეგვიპტოლოგებს¹ შორის ერთიმეორის საწინააღმდეგო სხვადასხვა აზრი არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამბობს, ეგვიპტელები ადგილობრივი წარმოშობისა არიან და აფრიკის შავკანიანი ტომების მონათესავე ხალხს ეკუთვნიანო. ეს შეხედულება ემყარება, ერთის მხრივ, ჰეროდოტეს ცნობას, რომ „ეგვიპტელები შავგვრემანი ხალხია და ხუჭუჭი თმები ეზრდებათ“ და, მეორეს მხრივ, ემყარებიან ეგვიპტური ენის ნათესაობას აფრიკის ხალხის ენებთან.

მეცნიერთა მეორე ნაწილი კი საწინააღმდეგო შეხედულებისაა. მათი აზრით, ეგვიპტელები ადგილობრივი წარმოშობისა კი არ არიან, არამედ აზიიდან არიან გადასახლებულნი და კავკასიის ტომების მონათესავე ხალხია. მათივე თქმით, ეგვიპტელებს ოდესღაც კანის ისეთივე ფერი ჰქონდათ, როგორც კავკასიელებს, მაგრამ მრავალი საუკუნეების მანძილზე აფრიკის ცხელი მზის გავლენით მათი კანის ფერი თანდათან შეიცვალა და გაშავდა. ეგვიპტელების თავის ქალის მოყვანილობა ისეთივეა, როგორც კავკასიელებისო და სხვა საბუთებიც მოჰყავთ ამ შეხედულების დასამტკიცებლად.

მეცნიერების უმრავლესობა ეგვიპტელების წარმოშობის შესახებ ასეთი შეხედულებისაა: უხსოვარი დროიდან ეგვიპტის მიდამოებში მისულა უცხო ქვეყნიდან ხალხი და ნილოსის ნაპირებზე დასახლებულა. პირველ ხანებში ახლადმოსულებს ადგილობრივ ტომებთან დიდი ბრძოლები ჰქონიათ, მაგრამ ბოლოსა და ბოლოს შერიგებულან და მათ შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდნილა. მკვიდრი მცხოვრებნი მოსულ ხალხთან შერეულან და ნათესაური კავშირი გაუბამთ,

¹ ეგვიპტოლოგი—ეგვიპტის უძველესი ძეგლების მკვლევარი.

დროთა განმავლობაში ამ შერეული ტომებიდან წარმოიშვნენ ეგვიპტელები.

ეგვიპტე ხუთიათასი წლის წინათ, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე, ოლქებად ანუ ნომებად იყო დანაწილებული. სულ ორმოცი ნომი იყო. ნომების სათავეში იდგნენ მთავრები და ლმერთების სახელით განაგებდნენ. ყოველ ნომს თავისი საკუთარი მფარველი „ლმერთი“ ჰყავდა, რომელიც ცხოველის ან ფრინველის სახით იყო წარმოდგენილი (მაგალითად, ლომის, შვეარდნის და სხვ.). ნომები ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს მიწების ხელში ჩაგდების მიზნით. ზოგი ნომი სამხედრო კავშირს; კრავდა მეორესთან, რომ მესამე ნომს თავს დასხმოდა და გაენადგურებინა.

გარეშე მტრები სარგებლობდნენ ეგვიპტის ბრძოლებით, ხშირად თავს ესხმოდნენ ცალკეულ ნომებს, ადვილად ერეოდნენ და არბევდნენ. რასაკვირველია, დაუსრულებელი ბრძოლები და სისხლისღვრა ქვეყანას ასუსტებდა და მის განვითარებას ხელს უშლიდა.


ნილოსის ადიდებასთან ბრძოლაც მოითხოვდა შეთანხმებულ მოქმედებას და ერთიან ხელმძღვანელობას. ამ მიზეზებმა აიძულეს ნომები გაერთიანებულიყვნენ და ერთი მძლავრი სახელმწიფო შეექმნათ. პირველად ეგვიპტე ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაიყო; ზედა ეგვიპტეს ერთი მეფე, ანუ ფარაონი, განაგებდა, ქვედა ეგვიპტეს — მეორე. პირველის სატახტო ქალაქი იყო ნეხეპტი, მეორის — დეპ-ბუტო. ზედა ეგვიპტის ფარაონი ბოთლისებურ თეთრ გვირგვინს ატარებდა, ქვედა ეგვიპტის ფარაონი კი წითელი ფერის გვირგვინს, რომელსაც წინ დაკლანკნილი ოქროს გველი ჰქონდა გაკეთებული. ეგვიპტის გაერთიანებისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. სამი-ათას ოთხასი წლის წინათ ჩვენს ერამდე ზედა ეგვიპტის ფარაონმა მენესმა დიდი მსხვერპლის გაღებით შესძლო ეგვიპტის გაერთიანება. შუა ეგვიპტეში მან ააგო მშვენიერი ქალაქი მემფისი, რომელიც გახდა გაერთიანებული ეგვიპტის პირველი სატახტო ქალაქი.

ფარაონი მენესი გამბედავი და ენერგიული კაცი იყო, წყლის ნაგებობათა მშენებლობაზე უდიდესი მუშაობა ჩაატარა. მან ნილოსის საბოლოოდ დამორჩილა და ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენა; ქალაქებსა და სოფლებში ააგო მძლავრი ჯებირები, რომ ნილოსის წყალდიდობის დროს მოსახლეობა არ დაეზარალებინა; გააკეთა უზარმაზარი ხელოვნური ტბები, საიდანაც გაიყვანა არხები ყანების მოსარწყავად; ამოაშრობინა მრავალი ჭაობი და მათ ადგილას მშვე-

ნიერი ბალები გააშენებინა. მის ხელში ეგვიპტემ სწრაფად იწყო განვითარება.

მენესი მამაცი მეომარიც იყო და შიშის ზარს სცემდა გარეშე მტრებს, ადვილად ვერავინ ბედავდა ეგვიპტის წინააღმდეგ გამოლაშქრებას. მენესი დაიღუპა ბეჭემოტებთან ბრძოლის დროს...

გაერთიანების შემდეგ ეგვიპტის მოსახლეობა ორ მთავარ ფენად დაიყო; პირველ ფენაში შედიოდნენ: ქურუმები, სამხედრო, წარჩინებული და მდიდარი პირები; მეორე ფენაში შედიოდნენ: ხელოსნები, მიწათმოქმედნი, მწყემსები, მონადირეები და სხვანი. უკანასკნელნი არავითარი სამოქალაქო უფლებებით არ სარგებლობდნენ და ზემოჩამოთვლილი პირების ყმებად ითვლებოდნენ. ყველას განაგებდა და მბრძანებლობდა ფარაონი.



ეგვიპტელი მწყემსი.

ეგვიპტეში შვიდ მილიონზე მეტი მცხოვრები იყო, აქედან ოთხ-მეხუთედს დაბალი წოდება შეადგენდა, რომელთა მდგომარეობა ძალიან სავალალო იყო. თუმცა მდიდარი და უხვი იყო ეგვიპტის ბუნება, მაგრამ მძიმე და გაჭირვებული იყო მდაბიო ხალხის ცხოვრება. არაადამიანურ შრომაში, სიღარიბესა და მონობაში წელში წყდებოდნენ, მაგრამ სულიერად მაინც არ ეცემოდნენ და შეუპოვრად იბრძოდნენ არსებობისათვის...

ეგვიპტელი ძალიან მოხერხებული, მუყაითი და შრომისმოყვარე იყო. თუ დაიწყებდა რომელიმე ნივთის გაკეთებას—აუცილებლად უნ-

და დაემთავრებინა, შუა გზაში არ გაჩერდებოდა, დარწმუნებული იყო, რომ გააკეთებდა და მიზანსაც აღწევდა. ხელოსნობაში ხომ განსაკუთრებულ ნიჭს იჩენდა; რას ისურვებდა კაცი, რომ ეგვიპტელს არ გაეკეთებინოს... დღესაც მათი ხელოსნური ნაწარმი ადამიანს ხიბლავს და სულიერ სიამოვნებას აგრძნობინებს.


ძალიან ბევრს მუშაობდნენ და ბევრსაც ქმნიდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ არა თავისათვის, არამედ სხვისთვის—გაბატონებული ფენებისათვის.

ბუნებით ეგვიპტელი გულკეთილი და მშვიდობიანობის მოყვარე იყო, თავისი ოჯახის მიმართ კი ძალიან მგძრნობიარე და გულთბილი. ცოლი მისთვის სულიერი მეგობარი იყო და მუდამ ცდილობდა მისი მძიმე მდგომარეობა შეემსუბუქებინა. ამ მხრივ ეგვიპტელები

ძალიან განსხვავდებოდნენ სხვა ერებისაგან, რომლებიც ქალს უყურებდნენ როგორც უუფლებო არსებას და მამაკაცის მონას.

ეგვიპტელი შვილის მიმართაც ნაზად მოსიყვარულე მამა იყო, ყოველმხრივ ცდილობდა შვილი შესაფერისად აღეზარდა და სწორ გზაზე დაეყენებინა. აი, როგორ არიგებდა ეგვიპტელი შვილს, როცა უკანასკნელი დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგებოდა:

„...არასოდეს არ დაჩაგრო ბავშვი: ის ხომ ჯერ სუსტი არსებაა, მუდამ



ეგვიპტური ხის კოვზები

მზრუნველობით და დახმარებით გაუწოდებ ხელი. შენი გართობის მიზნით ნუ შეავიწროებ სხვას, ვინც შენზედაა დამოკიდებული... ნუ იქნები ცოლისადმი მკაცრი, ნუ დაუწყებ ბრძანების კილოთი მიმართვას: სად არის ესა და ეს!“ და სხვა.

ასეთი გულთბილი იყო ეგვიპტელი ოჯახის მიმართ და ოჯახიც სიყვარულითვე უპასუხებდა. მხოლოდ თავის ოჯახში შეეძლო მას ფიზიკურად და სულიერად დაესვენა და თავისუფლად ეგრძნო თავი. მაგრამ ძალიან ხანმოკლე იყო ეს „თავისუფლება“.

ვინ გინდა, რომ არ ავიწროებდა და არ ჩაგრავედა საბრალო ეგვიპტელებს. შინაური და გარეშე მტრები მოსვენებას არ აძლევდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ. არც ერთ ქვეყანაში არ უხდებოდა ხალხს ისეთ მონურ პირობებში ცხოვრება, როგორც ეგვიპტელებს თავის სამშობლოში. ქურუმები ხომ უფრო უწყობდნენ ხელს მათ დაბეჩავენებასა დაქადამონებას, უბნელებდნენ ხალხს გონებას ათასგვარი ცრუმორწმუნეობით და აშინებდნენ ბნელი ძალებით.


ეგვიპტელებს ყველაზე უფრო ფარაონები ჩაგრავენ. ქურუმების ჩაგონებით ფარაონებს აღმერთებდნენ, მათ „დიდებულ ღმერთს“, „მზის შვილებს“ ეძახდნენ. ფარაონები მოხერხებულად იყენებდნენ ხალხის უფიცობას და არაადამიანურად ჩაგრავენ მათ, ამაში კი, როგორც ვთქვით, ქურუმები დიდად ეხმარებოდნენ.

ფარაონები მხოლოდ ქურუმებს უწევდნენ ანგარიშს

და კიდევ ეშინოდათ მათი. ქურუმებს ადგვილად შეეძლოთ ფარაონის წინააღმდეგ ხალხი აემხედრებინათ და ტახტიდან გადმოეგდოთ. ეგვიპტის ისტორიაში არის ბევრი შემთხვევა, როდესაც ქურუმებს ხალხი აუჯანყებიათ, ფარაონი ტახტიდან გადმოუგდიათ და თვითონ გამეფებულან. ფარაონებმა ეს ძალიან კარგად იცოდნენ და მათ განსაკუთრებულ უპირატესობას აძლევდნენ და ეფერებოდნენ, ფარაონის შემდეგ უფლების მხრივ ყველაზე მაღლა იდგა მთავარი ქურუმი.

ფარაონებს, ისე როგორც ყველა ეგვიპტელს, თავისი თავი უკვდავი ეგონათ, — ამიტომ სიცოცხლეშივე იგებდნენ „მუდმივ საცხოვრებელ ბინებს“ — პირამიდებს. სიკვდილის შემდეგ მათ ნეშტს ამ პირამიდებში ინახავდნენ. პირამიდებს საარაკო სიდიდისას აგებდნენ, როგორც შეეფერებოდა „მზის შვილს“, „მიწიერ ღმერთს“ — ფარაონს.

ვიდრე ფარაონი ცოცხალი იყო და მეფობდა, მისი პირამიდის



ეგვიპტური სავარძლები.

აგებაც განუწყვეტლივ მიმდინარეობდა. რამდენადაც ხანგრძლივი იყო მისი მეფობა, იმდენად განიერი და მაღალი იყო პირამიდაც.



ქურუმი.

გარდაიცვლებოდა ერთი ფარაონი და გამეფდებოდა მეორე—ახლამისთვის უნდა აეგოთ პირამიდა და ასე დაუსრულელებლივ¹. მაგრამ ფარაონები მარტო პირამიდების აგებით როდი კმაყოფილდებოდნენ. ყველა ფარაონი თავისთვის იგებდა უზარმაზარ სასახლესა და ტაძარს. ეგვიპტელები მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობდნენ ფარაონებისათვის. მაგრამ არა მარტო ფარაონებისათვის. ყველა ეგვიპტელი, რასაკვირველია, მდაბიო ხალხი, ვალდებული იყო წელიწადში სამი-ოთხი თვე ემუშავა როგორც ფარაონისათვის, ისე ქურუმებისა და მთავრებისათვის. მუშაობა კი უხდებოდათ ჯოჯოხეთურ პირობებში, საშინელ სიციხეში. მუშებს ზედამხედველები გრძელი ჯოხებით ადგნენ თავზე. საკმარისი იყო ზედამხედველს ვისმესთვის ოდნავი სიზანტე შეეძჩნია, რომ თავისი ჯოხი აემუშავებინა. მუშების

ბედ-იღბალი ზედამხედველობის ხელში იყო და რაც უფრო მეტ სიმკაცრეს გამოიჩინდა ზედამხედველი, მით მეტი ჯილდო მოელოდა როგორც ფარაონის ერთგულ მსახურს. მუშებისათვის სურსათ-სანოვავის დარიგებაც მათ ხელში იყო. ისინი თავის უფლებებს ხშირად ბოროტად იყენებდნენ და უფრო ნაკლებ სურსათს აძლევდნენ, ვიდრე მუშებს ეკუთვნოდათ. მართალია, ამ ნიადაგზე მუშებს ზედამხედველებისათვის ბევრჯერ დაუხელიათ გვერდები, მაგრამ ბოლოს მაინც უკანასკნელნი გამოსულან გამარჯვებულნი: ფარაონები და ქურუმები თავის ხალხს—ზედამხედველებს უფრო უჯერებდნენ, ვიდრე მუშებს, ზედამხედველის ცემისათვის კი მუშებს მკაცრად უსწორდებოდნენ.

მუშებს ღამე სამუშაოს ადგილზე უნდა გაეტარებინათ, ოჯახში წასვლა აკრძალული იყო. გზაში ყველგან გუშავები იდგნენ და ვინც წასვლას გაბედავდა, ჯოხის დარტყმით სჯიდნენ. რამდენიმე თვის

¹ პირამიდების მშენებლობა იყო ძვ. სამეფოს პერიოდში.

მუშაობით არაქათგამოლეულ და დაავადებულ მუშებს ახლადმოსულნი ცვლიდნენ და ასე გამუდმებით...

სამიათასი წლის წინათ

ოცნებით გადავიფრინოთ საუკუნეები, გავემგზავროთ ეგვიპტეში და გავცნოთ, როგორ ცხოვრობდნენ ეგვიპტელები ქალაქ თებეში სამიათასი წლის წინათ.

გადავლახოთ ზღვა და ხმელეთი, ავყვეთ ნდინარე ნილოსის მშვე-



ფარაონი იღებს თავის ვეზირს.

ნიერ ნაპირებს, ავიდეთ ზედა ეგვიპტეში და ვეწვიოთ სახელგანთქმულ ქალაქს...

აი, ჩვენი სასურველი თებეც თავისი ბრწყინვალე სასახლეებით, უზარმაზარი ტაძრებით, საარაკო სიდიდის ქანდაკებებით, წითელი გრანიტის ობელისკებით, თოვლივით თეთრი სფინქსების ხეივნებით, ხელოვნური ტბებით, აუზებით და თვალწარმტაცი ბალებით! აი, ეგვიპტელთა სავანე ლიბიის მთებიც თავისი აურაცხელი აკლდამებითა და სასაფლაოებით...

ნილოსი ქალაქ თებეს ორად ყოფს: მარჯვენა ნაპირზე აღმოსავლეთით გაშენებულია ე. წ. „ცოცხალთა ქალაქი“, მარცხენა ნაპი-

რზე დასავლეთით—„მკვდართა ქალაქი“. ორივე ქალაქი დატულია მძლავრი ჯებირებით, რომ ნილოსმა ადიდების დროს მოსახლეობა არ დააზარალოს. ჯებირებიდან ორივე ქალაქისაკენ გაყვანილია ფართო არხები, რომლებშიაც გედივით ყელმოღერებული კოხტა ნავეები დასრიალებენ. ნილოსის ნავთსადგურში დგას სხვადასხვა საქონლით დატვირთული მრავალი ხომალდი. ზოგი თებელთან აპირებს გამგზავრებას სხვა ქალაქებისაკენ, ზოგს კი მემფისიდან მოუტანია საუცხოო ღვინოები და უცდის განტვირთვას.

ჯერ გავეცნოთ „ცოცხალთა ქალაქს“. ქალაქის დათვალიერება დავიწყოთ განაპირა უბნიდან, სადაც მოსახლეობის დაბალი ფენაა. ვნახოთ, ამ მდიდარ ქალაქში როგორ ცხოვრობს მშრომელი ხალხი.

რა საბრალოდ გამოიყურება ღარიბთა საცხოვრებელი ბინა! თიხანარევი მიწის დაბალი კედლები, პალმების ფოთლებით გადახურული. შიგნით წარმოუდგენელი სიღარიბე გეცემათ თვალში: უბრალოდ გაკეთებული ხის დაბალი კუნიძები, სარეცელის მაგივრად—ჭილობი, ლეიბად—თივა; ერთი-ორი ხის ყუთი, ხორბლის დასანაყად—ორი ბრტყელი ქვა, სანოვავის შესანახად—საკუჭნაო, უკან კედელთან კერა, რამდენიმე თიხის ქოთანის, ჯამები და ხის კოვზები,—აი, ეგვიპტელი მღაბიოს მთელი ქონება...

რა ქნას, არც დრო აქვს და არც საშუალება, რომ შესაფერი-სად მოაწყოს თავისი ბინა და ადამიანურად იცხოვროს. ხშირად თვეობითაა მოწყვეტილი თავის ცოლ-შვილს—სახელმწიფო ბეგარას იხდის, მუშაობს ფარაონისათვის, ქურუმებისათვის, აგებს სასახლეებსა და ტაძრებს, გაჰყავს არხები და თხრის მიწას ხელოვნური ტბებისათვის. რასაკვირველია, ამ შრომისათვის ის არავითარ გასამჯელოს არ იღებს...

განთიადს ფეხზე ამდგარი უნდა შეხედეს, რომ დროზე მოასწროს ბაზარში მისვლა და სამუშაოს შოვნა. თუმცა წინააღმდეგობა და დაღლილ-დაქანცულ მის სხეულს ვერ მოუსწრია დასვენება და ძალის აღდგენა, მაგრამ ის მაინც გარბის ლუკმაპურისათვის. დაგვიანება შიმშილია, ეს კარგად იცის მან. შიმშილის აჩრდილი აავდებს ხოლმე ჯერ კიდევ ნახევრად ძძინარეს და მიერეკება საბრალო არსებობის შესანარჩუნებლად... ტანისამოსის ჩაცმას დიდხანს არ უნდება და არც აქვს რაიმე ჩასაცმელი. ავარდება თუ არა ლოგინიდან, თავს წაიკრავს სელის ტილოთი, რომ მზემ არ დასიცხოს, ტანის ზემო ნაწილს არაფრით არ იფარავს და არც არის საჭირო: სიცივე არ შეაწუხებს, აფრიკის ცხელ მზესთან კი შეგუებულია გაკა-ქებული მისი კანი. ტანის ქვედა ნაწილზე შემოიხვევს თხელ ტილოს,

რომელიც მუხლებამდის ძლივს სწვდება, და მზად არის: ფეხშიშველი გარბის სამუშაოს საძებრად... იშოვის თუ არა სამუშაოს, მთელი დღე ორად მოხრილი, თავჩაღუნული მუშაობს შეუჩერებლივ და ოფელში იწურება. მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეისვენებს ნახევარი საათით, რომ სული მოითქვას და პური ჭამოს. სადილი არა აქვს სახარბიელო: ორი-სამი თხელი ხმიადი, რამდენიმე თავი ხახვი და ნილოსის წყალი. ეს არის და ეს. ამით უნდა გაძლოს მთელი დღე და შეასრულოს ჯოჯოხეთური სამუშაო... გვიან, ღამით, დაღლილ-დაქანცული ბრუნდება თავის ოჯახში, სახელდახელოდ შეჭამს ცოლის გამზადებულ ღარიბულ უახშამს—მუხუდოს წვენს და მოწყვეტით მიწვება იქვე გამზადებულ ლოგინში... ალიონზე კვლავ წამოვარდება ფეხზე, რომ სამუშაოს საშოვნად გაიქცეს...

და ასე გამუდმებულ ტანჯვაში მიდის მისი სავალალო ცხოვრება.

აი, როგორ აგვიწერს მწერალი ხელოსნების უმწეო მდგომარეობას:

...„საბრალო ხელოსნები მთელი დღე შეუსვენებლივ მუშაობენ, რომ ლუკმაპური იშოვონ და მშვიერი კუჭი ამოივსონ. დღისით მუშაობით მოღლილნი მუშაობენ ღამითაც, მთელი ღამე უნთიათ სინათლე და არ იკარებენ ძილს, თუმცა მათი ჩამქრალი თვალები თავისთავად იხურებიან... საბრალო ქვისმთლელი! იმისათვის, რომ მშვიერი არ დარჩეს, ამუშავენს რკინასავით მაგარ ქვას. როდესაც ის მორჩა შეკვეთილ სამუშაოს და მისი მკლავები მოიღალნენ,—ისვენებს კი? განთიადზე ის კვლავ სამუშაოზეა, თუმცა მისი მუხლები და წელი ვერ იმართებიან... დალაქი შუალამემდის პარსავს, იმისათვის რომ მას შეეძლოს შემოუჯდეს მაგიდას და პური ჭამოს, მთელი დღე უბან-უბან დარბის, დაეძებს სამუშაოს. მუშაობს მანამდის, სანამ შეუძლია ფეხზე დგომა, სანამ მის გამხმარ მუხლებს შეუძლიათ გამოფიტული სხეულის დამაგრება, სანამ მის ჩხირების მსგავს თითებს შეუძლიათ მოძრაობა. ამის საფასურით კი ძლივს ივსებს თავის მშვიერ კუჭს... მღებავი, ნიადავ შეღებილი ხელებით, მთელი დღე ფეხზე ტრიალებს, დაფუსფუსებს ძონძებთან. დაღლილობისაგან ჩაცვივინია თვალები, მაგრამ მისი ხელები მაინც დაუღალავად მოძრაობენ, რომ საზრდო მიიღოს. იგი მუდამ უმადურია თავისი ბედის“.

შიმშილი ხშირად აიძულებს მუშებს, რომ აჯანყდნენ და იერიში მიიტანონ თავის ზედამხედველებზე.

...„ქუჩის ბოლოს მოისმა ხალხის ყვირილი და ჩქარა გამოჩნდა

ასამდე მუშა. მუშებს ხელპირი ქვიშითა და მიწით ჰქონდათ მოსვრილი, ყვიროდნენ, მუქარით იქნევდნენ ხელებს და თან საითკენღაც მიათრევდნენ სამ-ოთხ მწერალს. ესენი აღმოჩნდნენ ქვისმთელნი, რომლებიც მუშაობდნენ მეზობლად მდებარე ტაძრის გვერდით შენობის აგებაზე.

— წონაში დაგვაკლეს, რასაკვირველია, წონაში დაგვაკლეს! — ისმოდა აღშფოთებული ხმა მუშებში.

ასეთი შემთხვევა არ არის იშვიათი. მათ იწვევს შიმშილი... მუშებს თავის შრომაში აძლევენ პურს და კიდევ რაღაც სანოვავებს. მთელი თვის უღლუფას აძლევენ წინდაწინ. რომ დიდი გამოზომვით დაეწყოთ ჭამა, შეიძლება ჰყოფნოდათ, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, დილით ადრიან სამუშაოზე წასულ მუშას, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში არაფერი უჭამია, გარდა წყალში დამბალი პურის ნატეხებისა, შუალამისას დაბრუნებულს, დაღლილ-დაქანცულს განა შეუძლია გამოიანგარიშოს, გამოზომოს და აწონ-დაწონოს ყოველი ნაჭერი? თვის დასაწყისში ის და მისი ცოლ-შვილი მადღრისად ჭამენ, შემდეგ კი იძულებულნი არიან გამოზოგვით ჭამონ. ბოლოს იწყება ჩივილი. უკანასკნელ კვირას შიმშილით არ იციან რა ქნან და, აი, ხან აქ, ხან იქ იფეთქებს ხოლმე აჯანყება. ამ შემთხვევაშიც შიმშილით შეწუხებულმა ქვისმთლელებმა მიატოვეს სამუშაო, გაითანტნენ მახლობელ ტაძრის ჩრდილში და კვლავ ყვირიან: „სანოვავის მიღებამდე კიდევ თორმეტი დღეა დარჩენილი, ჩვენ კი არაფერი მოგვეპოვება საქმელად! შიმშილით ხომ არ უნდა ამოვიხოცოთ! მოგვცენ სანოვავე, თუ არა არ წავალთ სამუშაოზე!“

ნაკლები მისცეს მათ, თუ გამოზოგვით ვერ ჭამეს, ვინ იცის? მხოლოდ გაცხარებული დავაა გაჩაღებული. მუშები ირწმუნებიან, მწერლებმა წონაში დაგვაკლესო. მწერლები კი თავის მხრივ გაიძახიან: ხალხი აფთარივით მივარდება პურს, როგორც კი მიიღებს, და გამოზოგვაზე არ ფიქრობსო. არ ვიცი, რით ვათავდებოდა დავა. მაგრამ, აი, მოირბინა შენობის პატრონმა. მასთან ერთად მოცვივდნენ ჩაფრები თავისი გრძელი ჯოხებით და შეიქნა ერთი აურ-ზაური“.

როცა ქმარი სახელმწიფო ბეგარაზეა წასული, ოჯახს ცოლი არჩენს. ყოველდღიურად მიდის ბაზარში და მიაქვს გასაყიდად კვერცხი—თუ ფრინველი ჰყავს, ან რძე—თუ ძროხა ჰყავს. მაგრამ მშრომელ ოჯახს ძროხა იშვიათად მოეპოვება. უფრო ხშირად ქალებს ბაზარში მიაქვთ თავისი მოქსოვილი სელის ტილო, უსახელო გრძელი კაბა, ისეთი, როგორიც თვითონ აცვიათ, ქვეშ დასაგები ჭილობი, თიხის ჭურჭლები ან სხვა რაიმე თავისი ნახელავი.

ქალი დილით ადრიან დგება, ჯერ ოჯახს მოუვლის, შვილებს დაანაყრებს, შემდეგ ყველას საქმეს გაუჩენს: ერთს წყლის მოსატანად გაგზავნის, მეორეს ბატების სამწყესად, უფროსს კი ხორბლის დანაყვას დაავალებს. თუ ჩვილი ბავშვი ჰყავს, თან მიჰყავს: შინ რომ დატოვოს, ვინ იცის, ბაზრიდან როდის დაბრუნდება, როდის გაყიდის თავის ნახელავს და შეიძენს თავისათვის საჭირო საგანს? ერთ ხელში ბავშვს დაიჭერს, მეორეში გასაყიდ საქონელს და ამ ყოფით მიეშურება ბაზრისაკენ... ჩვენც გავყვეთ მას და გავეცნოთ თებებს ბაზარს.

რამდენადაც წინ მივდივართ, სურათი თანდათან იცვლება, აგურისა და ქვის მაღალი შენობები კოხტად გამოიყურებიან. ამწვანებულ ეზოებს ამშვენებს ფინიკის პალმები და აკაციის ხეები. ეზოებს ქვის გალავანი აქვს შემოვლებული. ეტყობა, აქ მდიდრები ცხოვრობენ.

ბაზრისაკენ მიმავალი ქუჩები ვიწროა და ბნელი. მაღალი სახლები ერთიმეორის გვერდითაა ჩამწყკრივებული. ქუჩიდან მოჩანს მხოლოდ მათი უკანა კედლები. აივნები და ფანჯრები ეზოს მხრივ აქვთ გაკეთებული.

მიდხარ ამ უხალისო მაღალ კედლებს შუა და მოთმინება გეკარგება: როდის გახვალ გაშლილ ადგილზე... აი, როგორც იქნა, გამოჩნდა ხალხით გაჭედილი მოედანი. ჩვენ მოვხვდით ქალაქის ერთ-ერთ ბაზარში. მოედანი მაღალი სახლებითაა შემოზღუდული და ოთხივე მხარეს ვიწრო ქუჩები მიუდის.

ერთი კედლის გასწვრივ ჩამწყკრივებულან გლახები, რომლებსაც გამოუტანიათ გასაყიდად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: ხორბალი, ბოსტნეული და ხილი. სანოვავე გაუშლიათ ხის დაბალ მაგიდეზე. მათ შემდეგ ყასბებს ქვის მაგიდეზე დაუწყვიათ ხარის, ძროხის, ხბოს ხორცი. მათ გვერდით მოთავსებულან შინაური ფრინველით მოვაჭრენი, ცოტა იქით-კი — მეთევზეები. ყველა ხმამაღლა უხმობს მყიდველთ და აქებს თავის საქონელს.

მოპირდაპირე კედლის გასწვრივ ჩამწყკრივებულან ხელოსნები, ოქრომჭედლები, ფეიქრები და მეწაღეები. მოედანზე მრავლად ირევთან ხელზე მოვაჭრენი, შინამრეწველნი, რომლებსაც გასაყიდად გამოუტანიათ თავისი ნაწარმი. აქ არიან უცხოელი ვაჭრებიც, მოსულნი ნუბიდან, ეთიოპიიდან (აბისინიიდან), ასურეთიდან, ფინიკიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ნუბიელ და ეთიოპელ ვაჭრებს გასაყიდად მოუტანიათ ძვირფასი ბეწვეულები, ნადირის ტყავები: ლომის, ვეფხვის, ჯიქის, პანტერასი და სხვების, სპილოს ეშვები, ნიან-

გის ტყავისაგან გაკეთებული სხვადასხვა საგნები, ძვირფასი ქვები და აგრეთვე ოქროს ზოდები. ასურელებს—ფერადი ქსოვილები, ფინიკიელებს—ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ნაწარმი.

მოედანზე არც ერთი კაცი არ არის, რომ ხელში რაიმე არ ეჭიროს გასაყიდად. ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მარტო გამყიდველებს მოეყაროთ თავი და მყიდველები კი არსად იყვნენ. მაგრამ ეს ასე არ არის. ყოველი გამყიდველი თავის მხრივ მყიდველია. მას გამოუტანია თავისი ნაწარმი, რომ სხვა საგანზე გადაცვალოს, იყიდოს ისეთი საგანი, რომელიც მისთვის საჭიროა. ერთი მეორესთან მიდის, სთავაზობს თავის ნაწარმს, სამაგიეროდ ითხოვს მისაგან რომელიმე საგანს. ერთმანეთის საგნებს სინჯავენ, წონიან, ზომავენ და თუ შეთანხმდნენ, მოხდება საქონლის გადაცვლა.

მაგრამ ასეთი ხერხით ვაჭრობა ძალიან ძნელია და მხარეებისათვის არც მაინცდამაინც ხელსაყრელი. ზოგი ტყუუდება, უფრო ნაკლებს იღებს, ვიდრე მისი საქონელი ღირს, ვერ ინაზღაურებს იმ შრომის საფასურს, რომელიც გასაყიდი საქონლის დამზადებაზე აქვს დახარჯული, ზოგი კი მეტს იღებს, ვიდრე მისი საქონელი ღირს. ამიტომ ვაჭრობის გასაადვილებლად, საქონლის ღირებულების საზომად საერთო ხმარებაში შემოღებულია წონა უთნუ (უთნუ = 91 გრამს). ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ბეჭდები ასრულებენ უფლის მაგიერობას. ბეჭდებს დალით აქვს აღნიშნული საკუთარი წონა. ზოგი ისე მძიმეა, რომ მთელ უთნუს იწონის, ზოგი ნახევარს, ზოგი მეოთხედს და ზოგიც ნაკლებს.

ბაზარზე დაახლოებით განსაზღვრულია საქონლის ღირებულება, მაგალითად: „წყვილი იხვი ღირს მეოთხედი უთნუ სპილენძი, ბრინჯაოს სამართებელი—მთელზე უთნუ, თხა—ორი უთნუ, ხარბს თავი ნახევარი უთნუ ვერცხლი, ღვინის ტიკი—სამი უთნუ ოქრო“ და სხვ.

ბაზრის ერთერთ ქუჩაზე ჩამწკრივებულია მალაზიები და ღუქნები. მალაზიები სავსეა სხვადასხვა საქონლით. ერთში ძვირფასი სამკაულებია: ოქროსა და ვერცხლის ქამრები, სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები და სხვა. მეორის ვიტრინები დამშვენებულია ფერადფერადი ქსოვილებით; მესამის—ბეწვეულობითა და ტყავულობით; მეოთხის—ხალიჩებით; მეხუთის—ოქროსაგან, ვერცხლისაგან, ბრინჯაოსა და სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ფუფუნების საგნებით; მეექვსის—ბროლის, ფაიფურისა და ფერადი მინის¹ ვაზებითა და

¹ მინის დამზადება ეგვიპტელებმა უძველესი დროიდან იცოდნენ.

სასმისებით: მეშვიდე მაღაზია, რომელსაც „სილამაზე“ ეწოდება, სავსეა სურნელოვანი სითხეებით, ფერ-უმარილით და წარბებისა და წამწამების შესაღებავი ნივთიერებებით.

მეორე ქუჩაზე ჩამწკრივებულან ოქრომჭედლები, ფეიქრები, მღებავები და სხვადასხვა სახელოსნოები. მესამე ქუჩა თითქმის მთლიანად მეტყავეებს აქეთ დაკავებულს. ქუჩის კუთხეში ნოთავსებულია სასადილოები, სამიკიტნოები და ლუღხანები. სამიკიტნოებში მრავალნაირი მაგარი სასმელია: სხვადასხვა ხარისხის თეთრი და წითელი ღვინოები, სურნელოვანი ლიქიორები და ფინიკის პალმისაგან გამოხდილი არაყი. ლუდიც მრავალნაირია: ტკბილი, შეზავებული სურნელოვანი ნივთიერებით, სქელი, თხელი და სხვ.

თებე ღვინოს უმთავრესად მემფისიდან იღებს, რადგან ზედა ეგვიპტეში ვენახები ძალიან მცირეა. მემფისს კი ღვინოებს აწვდის ნოყიერი დელტის მიდამოებში გაშენებული მშვენიერი ვენახები, წელიწადში ორჯერ რომ იძლევა მოსავალს...

* *

თებეში ვაჭრობა-მრეწველობა მზის ჩასვლამდის წარმოებს, ბაზრის მოედანი თანდათან იწყებს დაცარიელებას. ზოგ გლენს მოუსწრია თავისი ჭირნახულის გაყიდვა და მახლობელი სოფლისაკენ აჩქარებით მიერეკება სახედარს. ზოგს ეერ მოუსწრია და ლამის გასათევად საერთო ბინაში მოთავსებულა, რისთვისაც წინასწარ გადაუხდია ქირა ნატურით (ჭირნახულით). მაღაზიები, დუქნები და სახელოსნოებიც იკეტება და ყველა სახლისაკენ მიემშურება—ღარიბები დაქანცული სხეულის დასასვენებლად, მდიდრები კი დროს გასატარებლად.

ღამით დროს გასატარებლად მდიდრები და წარჩინებული პირნი ერთმანეთთან ოჯახებში მიდიან და იქ ერთობიან.

ეგვიპტელი ფუფუნების დიდი მოყვარულია და სტუმრად ისე არ წავა, რომ საზეიმოდ არ მოირთო და ძვირფასი სამკაულებით თავი არ დაიმშვენა. განსაკუთრებით კეკლუცობენ ქალები.

გარეგნულად ეგვიპტელი ქალი მომხიბლავი სილამაზისაა: შველივით მოქნილი და ქანდაკებასავით გამოკვეთილი ტანი, საშუალო სიმაღლის, მიხვრა-მოხვრა შნოიანი, ნარნარი, სახე ოვალური, ლამაზი მოხაზულობის; ჭკვიანი, დიდი, ნუშისებრ მოყვანილი თვალები, გრძელი წამწამები და ხშირი წარბები, კუპრივით შავი, ხუჭუჭი და აბრეშუმისებრ რბილი თმა. ასეთია ეგვიპტელი ქალი და არა ნაკლებ მშვენიერია ეგვიპტელი მამაკაცი...

დროს გასატარებლად ყოველ შეძლებულ ეგვიპტელს სპეციალურად მოწყობილი აქვს დიდი დარბაზი, სადაც ეწყობა მუსიკალური კონცერტები და წარმოდგენები. დარბაზის კედლების გასწვრივ სტუმრებისათვის ჩამწკრივებულია რბილი სავარძლები, ქალებისათვის ერთ მხარეს, კაცებისათვის—მოპირდაპირე მხარეს. ქალების სავარძლების წინ პატარა მაგიდებზე დგას ცოცხალი ყვავილებით სავსე, ბროლის ვაზები. კაცების წინ დაბალ მაგიდაზე შაშის დაფაა გაშლილი. შაშის კოჭები სპილოს ძვლისაა, წითლად და შავად შეღებილი. კონცერტის მოლოდინში კაცები შაშით იქცევენ თავს. ქალები საუბრობენ ერთმანეთთან, უზიარებენ დღისით მიღებულ შთაბეჭდილებას. მათ ახლოს ბავშვები ბურთის თამაშში არიან გაართული.

გართობა იწყება ცეკვით. ამას მოჰყვება მუსიკალურ-ვოკალური კონცერტი. უკრავენ არფებს, ფლეიტებს, დოლს და სხვა მუსიკალურ საკრავებს. მუსიკის ხმაზე მომღერლები ასრულებენ სხვადასხვა სიმღერებს. როგორც ცეკვაში, ისე სიმღერაში ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობის მიღება და თავისი უნარის გამოჩენა.

სტუმრები რიგრიგობით იღებენ მონაწილეობას და ყველა ცდილობს, რომ სხვაზე უკეთესად იცეკვოს ან იმღეროს. გამარჯვებულს დამსწრენი ტაშით და ალტაცებული შეძახილით აჯილდოებენ. ნიშნად ღრმად პატივისცემისა, ქალები ყვავილების თაიგულს სთავაზობენ. მაგრამ გამარჯვების მოპოება არც თუ ისე ადვილი საქმეა. ყველა ერთიმეორეზე უკეთესად ასრულებს. ბუნებით დიდი ნიჭით დაჯილდოებულ ეგვიპტელებს არტისტული ნიჭიც მოსდევთ. ამას ხელს უწყობს მათი გარეგნობა და შნოიანი მიხვრა-მოხვრა...

კონცერტის დასასრულს მასპინძელმა სტუმრები მეორე დარბაზში მიიპატიჟა, სადაც უკვე მოუსწრიათ საჭმელ-სასმელით მაგიდების გაწყობა. აქაც ქალები და კაცები ცალცალკე სხედან, საჭმელ-სასმელიც სხვადასხვანაირია. ქალების მაგიდებზე გაწყობილია ტკბილი სასმელები, ლოტოსის ფქვილრძან, მოხალული ნუშიდან და თაფლიდან დამზადებული გემრიელი და სურნელოვანი ნამცხვრები, დელტის მშვენიერი ყურძენი, ფინიკის ნაყოფი და სხვა მრავალი. კაცების მაგიდაზე კი—ფრინველისა და საქონლის შემწვარი ხორცი, ნილოსის თევზი და საუცხოო ღვინოები.

ჩვენც დავრჩეთ უხვ მასპინძელთან და შევექცეთ გემრიელ ვახშამს, დილით კი, მზის ამოსვლამდის, ვეწვიოთ „მკვდართა ქალაქს“, ჯერ მოვისმინოთ ქურუმთა გალობა, შემდეგ კი დავათვალიეროთ სახელგანთქმული ტაძრები...

დილით, როგორც კი მზის სხივები შეიჭრა ტაძრის ღია კარებში, არტუბის ტკბილ ჰანგებთან გაისმა ქურუმთა გალობა. კარებში გამოჩნდა თეთრად შემოსილი უფროსი ქურუმი, თაყვანი სცა ამომავალ მზეს და ხელაპყრობილმა მიმართა ქვეყნის მნათობს ქება-დიდებათ:

— ო, დიდებულო რა ¹, ჩვენო ბრწყინვალე ღმერთო! როგორც კი აღმოსავლეთით ამობრწყინდები და შენს ნათელ შუქს მოაფენ შიწას, ყველა სულდგმული შემოგხარის და ქედმოხრით მოგესალმება. ცხოველმყოფელო, შენს თვალთა ხედვით წარმოიშვა ყველა არსება: ხმელეთზე დადის, წყალში დაცურავს თუ თვალდაუწვდენ ზეცას დაფრინავს.

— სიცოცხლის წყაროვ, ყველგან შენა ხარ, სადაც კი მიხვალ, სიცოცხლესა სთეს; მკვდარს გააცოცხლებ, მოასულდგმულებ და შენს მადლიან სულსა შთაბერავ!

— ქვეყნის მნათობო! როს დასავლეთით ჩაესვენები და დღე ბრწყინვალე შენს კვალს გაჰყვება, ცასა ნათელსა ბნელი გადაჰკრავს, დღისით მეტყველი მიწა მუნჯდება და ძილს ეძლევა. მხოლოდ შორს, ტყეში, მსხვერპლის ძებნაში ფეხაკრეფით დაძრწის ნადირი. ღამის ყაჩაღი ღამით სარგებლობს, მძინარე ცხოველს სიცოცხლეს უსპობს! კაცი ბოროტი, წრეს გადასული, ნადირის მსგავსად თარეშობს ღამით. დღისით თუ მის ტუჩს ღიმილი აკრავს და სათნოებით შეინიღბება, ღამით კი გესლი ათამაშდება და ნამდვილი სახეც მაშინა ჩნდება...

— მაგრამ დილითა კვლავ აღმობრწყინდი! შენგან დევნილი წყვდიადი ვარბის და მასთან ერთად ბოროტი სულიც... ჩვენი მიწა კი, ძაძვახდილი, შენის ამბორით აღფრთოვანებულბ, შეილებთან ერთად ეძლევა ზეიმს. ხელაპყრობით ხალხი კეთილი ქვეყნისა მნათობს მოგესალმება, შემდეგ საშრომად გაეშურება. ფრინველიც ტოვებს თავის ბუდეს და ფოთებგაშლილი შენს სხივებში შეინავარდებს, შეიჭიკჭიკებს. ჩვენო იმედო, თავის ენაზე ისიც შენ გაქებს და შენ ვადიდებს! აგერ, წყლის პირას ჩვენი ნილოსის სატრფოს ლოტოსსა ² გულმკერდი თეთრად გადაუშლია; თავისი საქმროს დილის ცვარ-ნაში მარგალიტებად რომ დაფრქვევია, რარიგ კეკლუცობს, რარიგ შეგხარის, რომ ოქროს სხიკში გაგიხვევია, მისი ტურფა და ნაზი ყვავილი შარავანდელით დაგიშვენია!


¹ რა—ეგვიპტურად მხეს ეწოდება. ეგვიპტელები უძველესი დროიდან აღმერთებდნენ მხეს.

² ეგვიპტელები ლოტოსს „მდინარე ნილოსის საცოლეს“ ეძახდნენ

— ყოველის შემძლეო, ბრწყინვალე ღმერთო, გემუდარები: იყავი ჩვენთან, იყავი მარად!

დაამთავრა ქურუმმა და მიწას ეამბორა, რომელზედაც მზის სხივები თამაშობდნენ.

* *



ტაძარი.

„მკვდართა ქალაქი“ — ქურუმთა სამფლობელოა. საარაკო სიდიდის ტაძრები მთებივით ამართჟლან ნილოსის მარცხენა ნაპირზე.

ყოველი ტაძრის შესავლიდან იწყება ვეება სფინქსების გრძელი ხეივანი. ხეივნის ბოლოს მარჯვნივ და მარცხნივ დადგმულია წითელი გრანიტის მაღალი სვეტები. ესენი ობელისკებია¹. ობელისკი ოთხკუთხედიან, ზევით თანდათან ვიწროვდება და ჰატარა პირამიდით თავდება. ზოგი ობელისკის პირამიდა ბაჯალლო ოქროსაგანაა ჩამოსხმული. სარკესავით გაკრიალეზულ ობელისკის კედელზე ამოქრილია ჰიეროგლიფები — ეგვიპტური წარწერები. ჰიეროგლიფები მნახველთ მოუთხრობენ, რომელმა ფარაონმა როდის დაიწყო და დაამთავრა ტაძრის აგება და რომელი ღმერთის სახელზეა აგებული.


ობელისკები მთლიანი ლოდისაგანაა გამოკვეთილი და ზოგის სიმაღლე ოცდათექვსმეტ მეტრს უდრის, ხოლო სიმიძიე ოცდახუთითათას ფუთამდეა.

წარმოიდგინეთ, რა საშინელი სიძნელეების წინაშე უნდა დამღვარიყვნენ საბრალო ეგვიპტელები ამ ჯოჯოხეთური სამუშაოს შესრულების დროს. კლდისაგან გამოკვეთა ასეთი უზარმაზარი სვეტი. სა ისე, რომ არ გამტყდარიყო, მერე მიწაზე დაშვება და შელამაზე-

¹ სვეტებს სახელად „ობელისკი“ ბერძნებმა დაარქვეს. აღნიშნული სახელწოდება წარმოდგება ბერძნულ სიტყვა „ობელოს“-აგან, რაც ნიშნავს შუბს.

ბისა და წარწერებისათვის გადაბრუნ-გადმობრუნება, შემდეგ მისი გადატანა და ამართვა, რასაკვირველია, მძიმე და სახიფათო სამუშაოს წარმოადგენდა და ბევრ მსხვერპლსაც შეიწირავდა.

გამზადებულ ობელისკს ფინიკის პალმებზე დებდნენ და თოკების საშუალებით ტაძრებამდის მიაცურებდნენ. გაცურების გასაადვილებლად პალმებზე ზეთი იყო წასმული და გზადაგზა ქვეშ წყალს ასხამდნენ. ერთადერთი გამწვევი ძალა ხალხი იყო. თუმცა ეგვიპტეში ხარი ბლომად მოიპოვებოდა, მაგრამ ფარაონისათვის უფრო ხელსაყრელი იყო გამწვევ ძალად ადამიანი გამოეყენებინა, რომელსაც იძუ-



ობელისკი.


ლებითი წესით მუქთად ანუშავებდა. მუშებს ზედამხედველები ჯოჯებით ადგნენ თავს და თუ ვინმეს შეამჩნევდნენ ძალღონის დაზოგვას, როგორც პირუტყვს ისე სცემდნენ.

ობელისკების გვერდით ამართულა ფარაონის ქანდაკებები, გამოკვეთილი ზოგი ვარდისფერი ქვისაგან, ზოგი წითელი გრანიტისაგან.

ქანდაკებაც, როგორც ობელისკი, მთლიანი ლოდისაგანაა გამოქანდაკებული და ზოგის სიმაღლე თექვსმეტ მეტრზე მეტს აღწევს.

ქანდაკების მიტანა დანიშნულ ადგილას იმავე ხერხით ზღებოდა, როგორც ობელისკისა.

ყოველი ტაძარი აურაცხელ განძს წარმოადგენს. ზოგის კარები ბრინჯაოდანაა ჩამოსხმული და მისი ზედაპირი ოქროს სქელი ფურცლებითაა დაფარული. იატაკი წმინდა ვერცხლით არის დაგებული: კედლები ოქროს ჩუქურთმებითაა დამშვენებული. ჩუქურთმები ძვირფასი ქვებითაა მოჭედელი. ზოგ ადგილას კაკლის სისხო ბრილიანტები ვარსკვლავებივით ბრწყინავს. დარბაზში დადგმულია ღმერთების ოქროს ქანდაკებები, მათ წინ კი ოქროს ვეება თასი, რომელზედაც



ქანდაკების გადატანა.


ყოველდღიურად ხდება მსხვერპლის შეწირვა. მსხვერპლად სწირავდნენ ერთმანეთში არეულ ცხოველის სისხლს, ღვინოს და სურნელოვან სითხეებს¹.

დარბაზის ჭერი დაყრდნობილია უზარმაზარ სვეტზე, რომელთა სიმაღლე ოც მეტრამდე აღწევს. სვეტები აჭრელებულია ჰიეროგლიფებით და ღმერთების სურათებით.

ტაძრის აგების დროს ეგვიპტელებს არ გააჩნდათ რაიმე მექანიკური ამწევი, მათ განკარგულებაში იყო მხოლოდ თოკი, ბორბალი და საკუთარი ძალა. ამ პრიმიტიული საშუალებით უნდა აეზიდათ

¹ ქურუმები ამბობდნენ, ღმერთებსაც ისეთივე ჭამა და სმა უნდათ, როგორც ადამიანებსო, ტაძარი ღმერთის სადგომია, სადაც ის სულიერად და ზორციელად იკვებებაო. ხშირად თავის ღმერთებს მთელ ხარსაც სწირავდნენ.

20-30 მეტრის სიმაღლეზე 100-200 ფუთიანი ლოდები. ხშირად თოკი ვერ უძლებდა ლოდების სიმძიმეს, წყდებოდა და საქმე უბედურებით თავდებოდა: მუშათა რიცხვს რამდენიმე კაცი აკლდებოდა. ვინ იცის, რამდენი სისხლი და ცრემლი დაღვრილა ამ ტაძრების აგების დროს. ვკითხოთ ამის შესახებ ძალაღობელისკებს, ცისთვის რომ მიუბჯენიათ თავი.




ტაძრის შიგნითი ხედი.

ტაძრის დარბაზის უკან აშენებულია მრავალი ოთახი. ზოგი ოთახები ქურუმების საცხოვრებლად და დანიშნული, ზოგში შენახულია მსხვერპლის შესაწირავი სურსათ-სანოვაგე და სხვადასხვა სითხე, ზოგში მოწყობილია ლაბორატორიები, სადაც ქურუმები ქიმიურ ცდებს ახდენენ, ზოგში კი გახსნილია სკოლა, სადაც მოწაფეებს ასწავლიან გვამის ხელოვნურად გამოშრობას, ე. წ. მუმის დამზადებას. ამ საქმისათვის ისინი ხმარობენ ქიმიურ ნივთიერებებს, მაგრამ მათი

შემადგენლობა მხოლოდ ქურუმებმა იციან. მოწაფეებს ეძლევათ უკვე დამზადებული ქიმიური ნივთიერებანი, რომლების საშუალებითაც გვამი ხელოვნურად უნდა გამოაშრონ. თუ რისგან მზადდება ეს ნივთიერებანი—ეს არ იციან მოწაფეებმა, მომავალმა ოსტატებმა, ეს ქურუმთა საიდუმლოებაა. ამ საიდუმლოებით ცრუმორწმუნე ეგვიპტელები ხელში მაგრად ჰყავთ ქურუმებს ჩაჭერილი¹.

ყოველ ტაძარს ქვის მაღალი გალავანი აქვს შემოვლებული. გალავნის შიგნით გაშენებულია მშვენიერი ბაღები და გაკეთებულია დიდი აუზები.



სვეტები ტაძრის კედლის გასწვრივ.

¹ პირველი ქიმიკოსები ეგვიპტელი ქურუმები იყვნენ. თუმცა მათ ქიმიკა გარკვეულ მეცნიერებად არ ჩამოუყალიბებიათ და მათი მუშაობა უფრო კუსტარული იყო, ვიდრე მეცნიერული. ქურუმებს ბევრი აღმოჩენა ჰქონდათ, რომლებსაც დიდის საიდუმლოებით ინახავდნენ, იყენებდნენ უმთავრესად რელიგიური „სასწაულებისათვის“. ისინი იცნობდნენ ისეთ ნივთიერებებსაც, რომლებიც წყალში ცეცხლის ალს აჩენდნენ, ან კიდევ წყალში რომ ჩააგდებდნენ, ბოლი ჩნდებოდა და ჭაერში დახლართულ ზოლებად აღიოდა. რასაც „ფარაონის გველებს“ უწოდებდნენ. ქურუმები ამ ცდებს ახდენდნენ ტაძრებში, ხალხის წინაშე, რასაკვირველია მათ დასაშინებლად. ცრუმორწმუნე ეგვიპტელებს ყველაფერი ეს სასწაული ეგონათ და არ იცოდნენ, რომ ეს იყო მხოლოდ სხვადასხვა ნივთიერებათა ერთმანეთში გარევეთ გამოწვეული ქიმიური რეაქცია და მეტი არაფერი...

ნივთიერება, რომლის საშუალებით ქურუმები წყალში ცეცხლის ალს აჩენდნენ, ნატრი (Na). ნატრიუმი-მოიპოვება ჩვეულებრივ საკმელ მარილში.

ტაძრები ისეთი საარაკო სიდიდისაა, რომ ზოგიერთის სიგრძე 350 მეტრს უდრის, სიგანე — 100 მეტრს.

მაგრამ მნახველს უფრო აოცებს სახელგანთქმული ფარაონის რამზეს მეორის¹ სასახლე-ტაძარი თავისი უზარმაზარი ქანდაკებებით.

ტაძრის შესავალთან ამართულია რამზესის ოთხი ქანდაკება, რომლებიც კედელზეა მიყრდნობილი. ქანდაკებები გამოკვეთილია წითელი გრანიტისაგან და თვითუფლის სიმაღლე თვრამეტ მეტრამდის აღწევს. ქანდაკებებს შუა, შესავლის თავზე დადგმულია ღმერთი რას ქანდაკება თავზე მზის დისკოთი. რას მარჯვნივ და მარცხნივ კედელზე კვლავ რამზესია განსახიერებული. დიდი ქანდაკებების ფეხებს შუა მოთავსებულია სხვადასხვა ღმერთების ქანდაკებები.

ტაძრის წინ ამართულია ორი მაღალი ობელისკი, გამოკვეთილი აგრეთვე წითელი გრანიტისაგან. ერთერთ ობელისკზე ასეთი წარწერაა ამოჭრილი; „რამზესი, მპყრობელი ზედა და ქვედა ეგვიპტისა, შთამამავალი ღმერთებისა; ის. მზეა, მცველი სიმართლისა, ღმერთ რას შთაგონებით ააგო ესე ტაძარი-სასახლე დიდებული ამონისათვის და ამართა ორი ესე ქვის სვეტი რამზესის სასახლის წინ ქალაქ თებეში...“


ტაძრის კედელზე ჰიეროგლიფებით აღწერილია ის ბრძოლები, რომლებიც რამზესს უწარმოებია. აგრეთვე სურათებით განსახიერებულია მტრებზე გამარჯვების მომენტები. ყველა წარწერა თავდება რამზესის ქება-დიდებათ.

ფარაონმა რამზესმა თავის დროზე სახელი გაითქვა, როგორც ვულადმა და შეუპოვარმა მეგრძოლმა. ძისი შიშით ძრწოდა მრავალი სახელმწიფო და ზოგი დიდი წინააღმდეგობის გაწევას ვერ უბედავდა. ყოველი მისი ლაშქრობა თითქმის მუდამ გამარჯვებით მთავრდებოდა, რასაც ეგვიპტისათვის აურაცხელი სამხედრო ნადავლი მოჰქონდა. რამზესი ყოველ დაპყრობილ ქვეყანას ავალდებულებდა, რომ მისი ქვეყნისათვის ყოველწლიურად დიდი ხარკი ეძლია. ამან, რასაკვირველია, ხელი შეუწყო ეგვიპტის გაძლიერებას. არასოდეს ეგვიპტე იცე ძლიერი სახელმწიფო არ ყოფილა, როგორც რამზესისა და მისი მამის სეთი პირველის დროს...

ფარაონი რამზესი ძალიან ამპარტავანი და ქედმაღალი იყო. მას თავი ღმერთად, „მზის შვილად“ მიაჩნდა, დანარჩენი ადამიანები კი — მწერებად, რომლებიც „მისი ცხენის ფეხების წინ ირეოდნენ“. ომში გამარჯვებას მხოლოდ და მხოლოდ თავის გამირობასა და ღვთაებ-რივ ძალას მიაწერდა.

ფარაონ რამზეს მეორე მეფობდა 1300—1233 წლებში ჩვენს ერამდე.

ერთხელ, როდესაც მტერი დაამარცხა და ბრძოლის ველიდან გამარჯვებული დაბრუნდა, ეგვიპტელებს უტიფრად განუცხადა: ბრძოლაში მხოლოდ მე და ჩემმა მამამ—ღმერთმა ამონმა მივიღეთ მონაწილეობა. მხოლოდ ჩვენ შევემუსრეთ მტერი, ჩემი მეომრები კი ბრძოლის ველიდან ლაჩრულად გაიქცნენ და მტერთან მარტო დამტოვეს და მხოლოდ მაშინ დაბრუნდნენ, როცა მტერი ჩემ ფეხთქვეშ იყო განართხულიო. მეომრები გაკვირვებული უსმენდნენ რამზესის ასეთ უსირცხვო ცილისწამებას, ქურუმებმა კი რამზესის განცხადება ჭეშმარიტად აღიარეს და ერთმა მათგანმა ამ შემთხვევაზე პოე-



შესავალი ფარაონ რამზესის სასახლე-ტაძარში. ქვევით—მდინარე ნილოსში რამზესის დროინდელი ზომალდები და ნავები

მაც კი შეთხზა. პოეტმა ქურუმმა რამზესი ქება-დიდებით ცამდის აიყვანა და მისი სახელი შარაფანდელით შექოხა. ამგვარად ხალხმა რამზესის თავხედურ ყოყორივას გესლიანი დაცინვით უპასუხა: დაბატეს

კატებისა და ვირთაგვების ბრძოლა. ვირთაგვების წინამძღოლი რამ-
ზესივით გამოაწყვეს, ხელში მშველდ-ისარი დააკავებინეს და ეტლში
ჩასვეს. ეტლს ცხენებად ძაღლები შეუბეს. მოპირდაპირე მხარეს ცი-
ხქ-სიმაგრე დახატეს და მცველებად კატები დაუქენეს. მიქრის ეტ-
ლით ვირთაგვა რამზესი და თან კატებს ისარს ესვრის...

„მკვდართა ქალაქის“ ტაძრებს დიდი შემოსავალი აქვს. მოსა-
ხლეობა ვალდებულია ყოველწლიურად გარკვეული გადასახადი გაი-
ლოს ღმერთებისათვის მსხვერპლის შესაწირავად, უკეთ რომ ვთქვათ,
ქურუმების ჯიბეების გასასქელებლად.

გადასახადს ზოგი ნატურით იხდის: ხორბლით, ღვინით, ხორ-
ცით, ერბოთი, თაფლით და სხვა სანოვავით, ზოგიც — ოქროს, ვერ-
ცხლისა და სპილენძის ბეჭდებით.

გადასახადების შემოსავალი მარტო ვაჭრებისაგან და მრეწველე-
ბისაგან უდრის: ოქრო — 52 კილოგრამს, ვერცხლი — 993 კილოგრამს,
სპილენძი — 2 395 კილოგრამს. ტაძრები მიწების დიდ ნაკვეთებს-
ფლობენ, რომლებზედაც ყმა-გლეხებსა და ბონებს ამუშავებენ. ჰყავთ
მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, აქვთ საკუთარი ქალაქები
და დაბეები, სავაჭრო ხომალდები და სხვა. ყველა ეს უთავრესად
მიღებული აქვთ შემოწირულების სახით, „სულისმოსახსენებლად“,
ფარაონებისაგან, წარჩინებული პირებისა და მდიდრებისაგან. ტაძ-
რებისათვის მიწებისა და ქონების შეწირვა ჩვეულებრივ მოვლენა-
დაა გადაქცეული, ეს კი გამოწვეულია საიქიოს ცხოვრების რწმე-
ნით. ქურუმები ასწავლიან: ადამიანის სული უკვდავია, იგი მარადი-
ულად ცოცხლობს. მასაც ისეთივე ჰამა და სმა უნდა, როგორც
სხეულს. შეწირული მიწა და ქონება ბოლოს თქვენვე მოგხმარდე-
ბათ, როცა ამ დროებითი ქვეყნიდან წახვალთ ოზირისის სამეფოში
მარადიულად საცხოვრებლადო. რასაკვირველია, ეგვიპტელებს ქუ-
რუმების სიტყვები სჯერათ და სიცოცხლეშივე სწირავენ ტაძრებს
თავისი ქონების დიდ ნაწილს...

ყოველ ტაძარს აქვს საკუთარი დიდი ბედლები და საწყობები,
სადაც ჭირნახულს ინახავენ. მოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი იხა-
რჯება ქურუმთა გამოსაკვებად. დანარჩენს კი სხვა მიზნისათვის ხმა-
რობენ, რასაკვირველია, არა მოსახლეობის კეთილდღეობისათვის..

ქურუმები ჭირნახულით ვაჭრობას ეწევიან და არც მევახშეობას
თაკილობენ. როცა ნილოსს საკმაო შლამი არ მოაქვს და მცირე
მოსავალია, გლეხს ოჯახის გამოსაკვებად პური არ ჰყოფნის, იძუ-
ლებულია მიმართოს ქურუმს და სთხოვოს ხორბალი სესხის სახით.
ქურუმი აძლევს ხორბალს, მხოლოდ პირობით — ახალი მოსავლის

აღების დროს სესხი ერთიორად უნდა გადაიხადოს. მაგრამ თუ კვლავ ცუდი მოსავალი იქნა და გლეხმა ვერ შეძლო სესხის გადახდა, ქურუმი „ურჩ“ გლეხს ჯერ ჯარიმას შეაწერს, მერე კი იძულებით მიჰყავს ვალდებულ გლეხს ან თავის ყანებში ამუშავებს, ან ტაძრებისათვის ქვების საზიდავად გაგზავნის...

როცა ფარაონი ომიდან გამარჯვებული ბრუნდება და სამხედრო ნადავლი მოაქვს (მაგალითად, ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ქვები, მსხვილფეხა საქონელი და სხვა), მთავარ ქურუმს ნადავლის თითქმის ნახევარი მიაქვს, აქედან ნაწილს თვითონ ითვისებს, დანარჩენს კი ქურუმთა შორის ანაწილებს. თუ ფარაონმა ტყვეებიც მოიყვანა, ქურუმი ამათაც შუაზე ყოფს და ტაძრების საკუთრებად მიჰყავს, როგორც მონები. მაგრამ მთავარი ქურუმი მარტო ამით როდი კმაყოფილდება, დაპყრობილი ქვეყნიდან შემოტანილი ხარკის დიდი ნაწილიც თვითონ მიაქვს.



სწავლული ეგვიპტელი.

ქურუმებს „მკვდართა ქალაქში“ გახსნილი აქვთ მალაზიები, დუქნები, საყასბოები და სახელოსნოები. მალაზიებიდან იცივალეაულთა საჭიროებისათვის ყიდიან სხვადასხვა ნივთებს, სამკაულებს, სურნელოვან სითხეებს, ყვავილების თაიგულებს, გვირგვინებს და სხვა. საყასბოებსა და დუქნებში ყიდიან „სულის მოსახსენებლად“ ხორცს და სხვადასხვა სანოვაგეს. სახელოსნოებში კი ჰყავთ ოსტატები და ჰირისუფალთა შეკვეთით მიცვალბულთა გვამს ხელოვნურად აშრობენ, აკეთებენ გრანიტისა და ხის სარკოფაგებს, ხატავენ განსვენებულის პორტრეტსა და წარწერებს.

ყოველგვარი საქმიანობა „მკვდართა ქალაქში“ მხოლოდ მზის ჩასვლამდის სწარმოებს, როგორც კი მზე იწყებს ჩასვლას და ქურუმთა ვალობა გაისმის (ტაძრის კარები იღება მზის ამოსვლისას და

მზის ჩასვლისას), მალაზიები, დუქნები და სახელოსნოები აჩქარებით იკეტება.

* * *

„ცოცხალთა ქალაქის“ მოსახლეობის სწავლა-განათლების საქმე ქურუმთა ხელშია. მასწავლებლად უმთავრესად ქურუმები არიან.

ქალაქში მრავალი სასწავლებელია გახსნილი, როგორც დაწყებითი, ისე სხვადასხვა სპეციალობისა. სპეციალურ სასწავლებლებში ასწავლიან: მედიცინას, ხუროთმოძღვრებას, მოქანდაკეობას, მხატვრობას, მუსიკას, გალობას და სხვ.

არის სპეციალური სასწავლებელიც, სადაც ამზადებენ მომავალ მწერლებს-ზედამხედველებს.

მწერლები ფრიად საჭირო ხალხია თვარაონისა და ქურუმებისათვის. მათ აუარებელი საქმე აქვთ როგორც ქალაქად, ისე სოფლად. გადასახადების აკრეფა, მოსახლეობის სახელმწიფო ბეგარაზე გაყვანა, მუშაობის განაწილება, სურსათ-სანოვავის გაცემა, სამუშაოზე თვალყურის დევნება—ყველაფერი ეს მწერლების საქმეა.

ყველაზე მეტი საქმე სოფლის მწერლებსა აქვს. იგი დიდი უფლებებით სარგებლობს და სოფელში პირველ კაცად ითვლება; ყველა მოკრძალებითა და პატივისცემით ეკიდება მას და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სოფლების ბედ-იღბალი მის ხელშია.

მაგრამ სოფლის მწერალს უფლებებთან ერთად დიდი მოვალეობაც ეკისრება და პასუხისმგებელია სოფლის საქმეებზე, საქმე კი მას მთელი წლის განმავლობაში აუარებელი აქვს. ვიდრე ნილოსი აღიდებას დაიწყებს, გლეხებს ყველა ჯგებირი უნდა შეაკეთებინოს და გაამაგრებინოს, რომ მოვარდნილმა წყალმა მოსახლეობა არ დააზარალოს. თუ ვინცობაა წყალმა ჯგებირი გაარღვია და ვინმე დააზარალა, მან დახმარება უნდა აღ-



სოფლის მწერალი.

მოუჩინოს. საერთოდ ყოველდღიურად თვალყური უნდა ადევნოს ნილოსის ადიდების მიმდინარეობას.

როდესაც ადიდებული ნილოსი თავის კალაპოტში ჩადგება, დაღეჭილი შლამი თანაბრად უნდა გაანაწილოს ყანებსა და ბალებში, მებატრონეებს მიწების საზღვრები უნდა აღუდგინოს (როგორც ვიცით, ნილოსი ადიდების დროს ყანებს წყლით ფარავს და საზღვრებს შლის). სოფლის მწერალს დაწვრილებით აქვს ჩაწერილი, ვის რამდენი და რა ზომის მიწის ნაკვეთი აქვს და სად მდებარეობს. ამ ცნობების მიხედვით ის ადვილად აწესრიგებს სადაო საქმეებს.



სოფლის მამასახლისი

რომ მისი შვილი სოფლის მწერალი გამოვიდეს. რა კარგად წავა მაშინ მისი საქმე! ვერავინ გაუბედავს დაჩაგვრას, აღარ წაიყვანენ წლობით პირამიდებისა და ტაძრების აგებაზე, ყველგან პატივისცემით მიიღებენ როგორც „დიდი კაცის მამას“ და ადამიანურად იც-

მოსავლის აღებზე დროს გლახს თავზე ადგია, გადასახადი პირდაპირ კალოდან მიაქვს. გადასახადის რაოდენობა ყოველწლიურად იცვლება, ხან მეტია, ხან ნაკლები. ეს მოსავალზე დამოკიდებული; უხვი მოსავალი იქნება—მეტი მიაქვს, მცირე იქნება—ნაკლები.

საერთოდ კი გლახმა მთელი მოსავლის ერთი მეხუთედი ფარაონს უნდა მისცეს, თითქმის ამდენივე ქურუმებს მიაქვთ „ადგილობრივი ღმერთის მსხვერპლის შესაწირავად“. გლახს მოსავალი უნახვერდება, ახალ მოსავლამდის პური არ ჰყოფნის, იძულებულია ისესხოს ან მემამულისაგან, ან ქურუმებისაგან. თუ სესხი თავის დროზე ვერ ჩააბარა, ჩვენ უკვე ვიცით, რა ბედიც ეწევა.


ეგვიპტელს ძალიან უნდა,

ხოვრებს. „ახ, ნეტავ ჩემი შვილი სოფლის მწერალი იყოს“—ნატრობს იგი.

მაგრამ სოფლის მწერლად გახდომა ძალიან რთული და საძნელო საქმეა. მან უნდა იცოდეს წერა-კითხვა და მათემატიკა, მათი შესწავლა კი დიდ დროს მოითხოვს და ყველასათვის მისაწვდომი არ არის.

რატომ? ამას ქვეშოთ გავიგებთ...

ეგვიპტელებმა ადრევე შეამჩნიეს, რომ ადამიანის მეტყველება სხვადასხვა ბგერებისაგან წარმოიშობა. დაუგდეს ყური ამ ბგერებს და შეეცადნენ მათთვის სხვადასხვა ნიშნების გამოგონებას და ქვაზე ამოჭრის საშუალებით ამ ნიშნების წერილობით გამოხატვას. და, აი, მდინარე ნილოსის



წარჩინებული ეგვიპტელის
გასეირნება.

ნაპირებზე მცხოვრებმა ეგვიპტელებმა ყველაზე ადრე დაინახეს საჭიროდ და გამოიგონეს დამწერლობა, რითაც უდიდესი სამსახური გაუწიეს კაცობრიობას. ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეგვიპტელებმა იცოდნენ დამწერლობა. უფრო გვიან სხვა ქვეყნების ხალხებმაც ისარგებლეს ეგვიპტელების ამ ფრიად მნიშვნელოვანი გამოგონებით, გადმოიღეს, შეისწავლეს და თავისებურად გადააკეთეს.

პირველ ხანებში ეგვიპტური დამწერლობა იმდენად რთული იყო, რომ პრაქტიკულად მისი ცხოვრებაში გამოყენება მეტისმეტად საძნელო საქმეს შეადგენდა.


პირველად ეგვიპტელებს ასოები როდი გამოუგონებიათ. ასოებამდის თანდათანობით მივიდნენ. მათი უძველესი დამწერლობა რებუსებს მოგვაგონებს. ისინი უფრო ხატავდნენ, ვიდრე წერდნენ.

როდესაც ეგვიპტელს უნდოდა რომელიმე სიტყვის ან აზრის წერილობით გამოხატვა, ხატავდა ისეთ სულოათს, რომელიც მას შეესაბამებოდა. მაგალითად, თუ უნდოდა სიტყვა „მზის“ დაწერა, ხატავდა წრეს, ცენტრში წერტილით; თუ უნდოდა სიტყვა „ადამიანის“ დაწერა, ხატავდა ადამიანის ფიგურას; სიტყვა „წყალს“ გამოხატავდა ტალღაებური ხაზით და ა. შ.

მაგრამ ხმარებაში ისეთი ნიშნები და სურათებიც იყო, რომლებსაც გარეგნულად არავითარი მსგავსება არ ჰქონდა გამოსახატავს საგანთან, მაგალითად, ერთი ლოტოსის ყვავილით აღინიშნებოდა სიტყვა „ათასი“, შევარდენით აღინიშნებოდა „მეფე“ ა. შ.

ასეთი სურათები და ნიშნები, ანუ, როგორც ბერძნებმა დაარქვეს, ჰიეროგლიფები შემოღებული იყო ხმარებაში შვიდასი. ამდენი ჰიეროგლიფის შესწავლა და მერე მათი პრაქტიკულად გამოყენება, როგორც მკითხველი ხედავს, ფრიად რთული საქმე უნდა ყოფილიყო. ამას ეგვიპტელებიც გრძნობდნენ.

შემდეგ მათ გამოიგონეს ასოები და ამით თავის დამწერლობა შედარებით გააუმჯობესეს. ერთი რომელიმე ასოთი გამოხატავდნენ ამათუიმ საგნის სახელწოდებას. მაგალითად, სიტყვა „ხელს“, აღნიშნავდნენ ასო „ღ“-თი, სიტყვა „ლომს“ — ასო „ლ“¹ და ა. შ. მაგრამ ახალი დამწერლობა მაინც ძალიან რთული იყო და არსებითად ძველისაგან არ განსხვავდებოდა. თუ წინათ ამათუიმ სიტყვას რომელიმე სურათით გამოხატავდნენ, ახლა სურათის მაგივრად ასოს ხმარობდნენ.



ეგვიპტური ჰიეროგლიფები.

ეგვიპტელებმა ანბანური სიტყვებით წერა უფრო გვიან შემოიღეს. ამ საქმეში კი მათ ფინიკიელები დაეხმარნენ.

ფინიკიელებმა მოხერხებულად ისარგებლეს ეგვიპტელების ამ ფრიად მნიშვნელოვანი გამოგონებით და შექმნის წერის ახალი სისტემას. ეს ახალი სისტემა შედგებოდა ოცდაორი თანხმოვანი ასოსაგან. ეს მოხდა დაახლოებით ათას ხუთასი წლის წინათ.

ეგვიპტური ჰიეროგლიფებით წერის სისტემამ ოთხი ათას წლამდე იარსება, შემდეგ კი გზა დაუთმო თავის უმცროს შვილს — ანბანურ სისტემას.

ფინიკიელებმა უდიდესი სამსახური გაუწიეს კაცობრიობას წერის ახალი სისტემის შემოღებით. მათი ანბანის საფუძველზე შემუშავდა სხვადასხვა ხალხთა დამწერლობა.

¹ ცნობები ამოკარიბე ივანოვის წიგნიდან „ეგვიპტე და ეგვიპტელები“. (ავტ.).

მეცნიერთათვის დიდხანს იყო სიბნელით მოცული ეგვიპტური ჰიეროგლიფების ამოკითხვა. მათ ეგონათ, რომ ისინი ქურუმთა რა-
ლაც სიმბოლურ ნიშნებს შეადგენდნენ და რომ მათი ამოკითხვა მხო-
ლოდ უკანასკნელთ შეეძლოთ.

ბევრმა სცადა მიხვედრით ამოეკითხა ჰიეროგლიფები, მაგრამ
არათფერი გამოუვიდა. ზოგმა თავისებურად „ამოეკითხა“ და იქ, სა-
დაც, ვთქვათ, რომელიმე ფარაონის მარტო სახელი იყო მოხსენე-
ბული, სახელი მთელ ცნებად გადმოშალა. ასეთი არასწორი გზით
ეგვიპტის წარსულის შესწავლა, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა.

ისტორიკოსები თავის შრომებში, როდესაც უნდოდათ ეგვიპტის
წარსულის გადმოცემა, ჰიეროგლიფებს გვერდს უვლიდნენ და უმთა-
ვრესად ეყრდნობოდნენ ბერძნულ წყაროებს—ჰეროდოტესა და სხვე-
ბის შრომებს. მაგრამ ეს წყაროები საკმარისი არ იყო ეგვიპტის
ისტორიის დასაწერად. გარდა ამისა, ზოგიერთი ცნობა ეჭვს იწვევ-
და და მისი გამოყენება არ შეიძლებოდა.

როდესაც ჰეროდოტე და მისი თანამემამულენი ეგვიპტის ისტო-
რიას წერდნენ, ისინი უმთავრესად ეყრდნობოდნენ ქურუმთა და მო-
სახლეობის ზეპირგადმოცემებს, არ ჰქონდათ საშუალება, რომ ნათ-
ქვამი შეემოწმებინათ. რასაკვირველია, არც მათ იცოდნენ ჰიერო-
გლიფების წაკითხვა. ქურუმები მათ ხშირად განზრახ ატყუებდნენ
და ყალბ ცნობებს აძლევდნენ. ამას თვით ჰეროდოტეც ამჩნევდა და
ზოგიერთი ისტორიული ცნობის სინამდვილეში არ იყო დარწმუნე-
ბული.

ამიტომ აუცილებლად საჭირო იყო გასაღების პოვნა, რომლის
საშუალებითაც ჰიეროგლიფების „საიდუმლოებას“ ფარდა აეხდებო-
და და ამით ეგვიპტის ისტორიის კარებიც ფართოდ გაიღებოდა.

დიდხანს, ძალიან დიდხანს ეძებდნენ მეცნიერები ამ გასაღებს;
არც ცოდნას, არც უნარს არ იზოგავდნენ, რომ როგორმე მიეგნოთ
მისი კვალი.

ას ოცდაცხრამეტი წლის წინათ ეს გასაღებიც აღმოჩნდა, მაგრამ
სრულიად შემთხვევით, მოულოდნელად...

1799 წელს საფრანგეთის ჯარი ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ
ბონაპარტის სარდლობით შეიჭრა ეგვიპტეში¹. დელტის მიდამოე-
ბში ერთერთი სანგრის გათხრის დროს ფრანგები შემთხვევით წააწ-
ყდნენ საკმაოდ მოზრდილ შავ ქვას, რომელსაც უცნაური ნიშნები

¹ თუ რა მსხვერპლის გაღებით მოუხდა ნაპოლეონს ეგვიპტის დაპყრობა, ამა-
ზე შემდეგ ვისაუბრებთ.

და სურათები ამშვენებდნენ. ეს ეგვიპტური ჰიეროგლიფები იყო. ჰიეროგლიფების ქვეშ ქვაზე ამოკრილი იყო ბერძნული წარწერა. ბერძნული წარწერა ფრანგებმა ადვილად ამოიკითხეს, მაგრამ უცნაურ წარწერებს კი ვერაფერი გაუგეს.

ბერძნულ წარწერაში მოთხრობილი იყო ქურუმების დადგენილება ფარაონ პტოლემეს ძეგლის აღმართვისა და მისი დაბადების დღის დღესასწაულის შესახებ. ბერძნული წარწერთივე იყო აღნიშნული, ეგვიპტური წარწერაც ამავე შინაარსისა არისო. ფრანგები მიხვდნენ, რომ მათ ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლი აღმოაჩინეს, რომ ბერძნუ-



როზეტას ქვა.

ლი ტექსტის დახმარებით შეიძლებოდა ჰიეროგლიფების ამოკითხვა.

აღმოჩენილ ქვას სახელად როზეტა დაარქვეს (როზეტა ადგილის სახელია, სადაც ქვა აღმოაჩინეს).

ბევრჯერ სცადეს მეცნიერებმა როზეტის ქვიდან ეგვიპტური ჰიეროგლიფების ამოკითხვა, მაგრამ ვერ შეძლეს. მხოლოდ ოცდასამი წლის შემდეგ მისი აღმოჩენიდან ჰიეროგლიფები ამოიკითხა ახალგაზრდა ფრანგმა ფრანსუა შამპოლიონმა¹. რაკი ჰიეროგლიფების „საიდუმლოებას“ ფარდა აეხადა, ამის შემდეგ უკვე ადვილი გახდა ეგვიპტური უძველესი ძეგლების მეცნიერულად შესწავლა.

ოზირისის სამეფოში

როგორც ზევით აღვნიშნეთ, „მკვდართა ქალაქში“ არის სახელოსნოები, სადაც ამზადებენ მუმიებს. მაგრამ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ეგვიპტელები, როცა გვამს ხელოვნურად აშრობდნენ? როგორი წარმოდგენა ჰქონდათ სიკვდილ-სიცოცხლეზე?

ეგვიპტელებს უხსოვარი დროიდან ღრმად სწამდათ ადამიანის სიცოცხლის მარადიულობა. ქურუმების შთაგონებით ამ ქვეყანას ისინი „დროებით სამეფოს“ ეძახდნენ, სადაც ადამიანი უნდა მომზადებულიყო ძალიან შორს, „ოზირისის სამეფოში“, გასამგზავრებლად.

მათი წარმოდგენით მეორე ქვეყანა იყო დასავლეთით, ლიბიის მთებს იქით, სადაც ადამიანი მარადიულად ცოცხლობდა სრული

¹ ფრანსუა შამპოლიონი—სახელგანთქმული მეცნიერი, ეგვიპტოლოგიის ფუძემდებელი. დაიბადა 1791 წელს საფრანგეთში, წიგნებით მოვაჭრის ოჯახში. ბავშვობიდან იჩენდა დიდ ნიჭს, განსაკუთრებით ენების შესწავლაში. თორმეტივე წლისამ უკვე იცოდა ბერძნული და ლათინური ენები. ცხრამეტი წლისა არც კი იყო, რომ დაინიშნა აღმოსავლური ენების პროფესორად გრენობლის უნივერსიტეტში. თავისი უფროსი ძმის ჟაკ-ჟოზეფის ზეგავლენით გატაცებული იყო ეგვიპტის ისტორიით. როზეტის ქვის ამოკითხვის სურვილი მოხვეწებდას არ აძლევდა. მან იცოდა, რომ ეს ქვა იყო გასაღები ეგვიპტის ისტორიის მეცნიერულად შესასწავლად. და, აი, თავდადებული მუშაობის შემდეგ 1822 წელს როზეტის ქვიდან მან ამოიკითხა ეგვიპტური ჰიეროგლიფები. ამ შემთხვევამ ახალგაზრდა მეცნიერს საკვებწოდ გაუთქვა სახელი.

1828 წელს მეცნიერების თანხლებით ფრანსუა შამპოლიონი გაემგზავრა ეგვიპტეში, სადაც დაჰყო წელიწადნახევარს. ამ ხნის განმავლობაში მან უდიდესი მუშაობა ჩაატარა, მრავალი ძეგლი აღმოაჩინა და საფუძვლიანად შეისწავლა. მაგრამ მეცნიერებისათვის თავდადებულმა მუშაობამ ფრანსუას ისედაც სუსტი ჯანმრთელობა მოტეხა და დაავადმყოფა. 1832 წლის 3 მარტს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სახელოვანი მეცნიერი, ეგვიპტის კულტურის უდიდესი მოამაგე, ფრანსუა შამპოლიონი გარდაიცვალა.

განცხრომითა და შვებით. ამ ქვეყანას ისინი ოზირისის სამეფოს უწოდებდნენ...

ქურუმები ასწავლიდნენ, ადამიანი ორჯერ კვდებაო. ვიდრე სხეული გაუხრწნელია, სული განაგრძობს არსებობას, მაგრამ როგორც კი სხეული იწყებს გახრწნას, სულიც თანდათან იფიტება და ბოლოს იღუპებაო. ამიტომ ეგვიპტელებს ეგონათ, რაკი სხეულს დაიცავდნენ გახრწნისაგან, „სულიც“ იცოცხლებდა და, მაშასადამე, ადამიანიც „უკვდავი“ იქნებოდა. რომ ადამიანის გვამი გახრწნისაგან დაეცვათ, სხვადასხვა ხელოვნურ საშუალებას მიმართავდნენ. როდესაც რომელიმე ეგვიპტელი გარდაიცვლებოდა, ნათესავები მეორე დღესვე წაიღებდნენ გვამს „მკვდართა ქალაქში“. ამ ქალაქში ყოველ ტაძართან იყო მოწყობილი სახელოსნოები, სადაც ხდებოდა გვამის ხელოვნურად გამოშრობა და ზოგიერთი ნაწილის ოქროსაგან ჩამოსხმა. სახელოსნოებს განაგებდნენ ქურუმები და შემოსავალიც მათ ჯიბეში მიდიოდა.

სახელოსნოს ოსტატები, როგორც კი შეკვეთას მიიღებდნენ, დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ თავისი არასასიამოვნო საქმის შესრულებას. ჯერ გვამს გაკვეთავდნენ და კუჭნაწლავებს, გულსა და ფილტვებს ამოართმევდნენ, ცხვირის ღრუში მახვილი კოვზის შეყოფით თავიდან ტვინს გამოფხეკავდნენ და შემდეგ პალმის ღვინით გამოარეცხავდნენ.

ამის შემდეგ გვამს ერთხანს მარილიან წყალში გააჩერებდნენ, შემდეგ ამოიღებდნენ და ნელსაცხებით (მალამოთი) მაგრად დაზელდნენ. ზელდნენ იმდენ ხანს, სანამ ნელსაცხებით გვამი კარგად არ გააჟღენთებოდა. მუცლის ღრუს ამოავსებდნენ ზეთის მაგვარი სურნელოვანი სითხეებით და ამ ყოფით რამდენიმე დღეს აჩერებდნენ. ბოლოს დაიწყებდნენ გვამის ვიწრო ტილოებით შეხვევას. ტილოები წინასწარ ნელსაცხებით იყო გაჟღენთილი. შეხვევას იწყებდნენ თითებიდან და ბოლოს მთელ სხეულს ძალიან მჭიდროდ შეახვევდნენ. შეხვევის შემდეგ ნელსაცხებით გაჟღენთილი ტილო ჩქარა შრებოდა. ამ გზით სხეულს ჰაერის ზემოქმედებისაგან იცავდნენ და, მაშასადამე, გახრწნისაგანაც. ასეთი ხელოვნური გზით გამოშრობილ გვამს მ უ მ ი ა ს¹ ეძახიან. მუმიის დასამზადებლად 70 დღე იყო საჭირო. მუმიად გამოზადებული გვამი მრავალ საუკუნეს ძლებდა და ოდნავადაც არ ზიან-

¹ სიტყვა „მუშია“ არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს იმ ნელსაცხებთა საერთო სახელწოდებას, რომლებითაც გვამს ჟღენთავდნენ.

დებოდა. მუზეუმებში ინახება ისეთი მუმიები, რომლებიც სამი-ოთხი ათასი წლისაა და ისე საუცხოოააა შენახული, რომ მნახველს ეგონება სძინავთო¹.



გამზადებული მუმია


თუ გარდაცვლილი წარჩინებული ან მდიდარი პირი იყო, მათ მუმიებს განსაკუთრებულად ამზადებდნენ და შიგნით ძვირფას სამკაულებს ატანდნენ. მუცლის ღრუში ათავსებდნენ ოქროსაგან ჩამოსხმულ კუჭნაწლავებს და სილრუფეს ავსებდნენ აგრეთვე ოქროს გულითა და ფილტვებით. ფრჩხილებსაც ოქროს ფირფიტებით უფარავდნენ. მუმიას ოქროს ნიღაბსაც უკეთებდნენ.

გამზადების შემდეგ მუმიას ათავსებდნენ სარკოფაგში (კუბოში). ჩვეულებრივ სარკოფაგი გრანიტისაგან უნდა ყოფილიყო გაკეთებული, მაგრამ ხისაგან გაკეთებულითაც კმაყოფილდებოდნენ—იმისდა მიხედვით, თუ რა შეძლების პატრონი იყო განსვენებული. სარკოფაგი განსვენებულის ტანის ოდენა უნდა ყოფილიყო, ისე რომ ტანი მჭიდროდ ჩატეულიყო. მდიდრები და წარჩინებული პირები სარკოფაგს სიციცხლეშივე იკეთებდნენ და „იმ ქვეყნისათვის“ ღირსეულად ემზადებოდნენ. თუ ვისმეს სურდა, რომ მეგობრის სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინა, მისი დაბადების დღეს საჩუქრად სარკოფაგი უნდა მიეტანა. ამ საჩუქარს ეგვიპტელები ძალიან აფასებდნენ და მომტანს თავაზიანად ექცეოდნენ.

ეგვიპტელები იმ თვალსაზრისით როდი უყურებდნენ სარკოფაგს,

¹ 1871 წელს ეგვიპტელმა ფელაქებმა (გლეხებმა) შემთხვევით აღმოაჩინეს მრავალი მუმია და მასთან ერთად ძვირფასი სამკაულები. როდესაც დაინტერესებულმა მეცნიერებმა მუმიები გახსნეს, ზოგიერთ სამკაულზე მათი სახელები ამოიკითხეს. აღმოჩნდა, რომ ეს იყო ფარაონების მუმიები. მათ შორის იყო სახელგანთქმული ფარაონების: რამზეს მეორის, მისი მამის სეთი პირველისა და შვილის მენეფთახისა და სხვებისა. ეს ფარაონები მეფობდნენ ეგვიპტეში სამი ათასი წლის წინათ. მათი მუმიებიც სამიათასი წლისაა და საუცხოოააა შენახული.

როგორც, მაგალითად, ჩვენ ვუყურებთ კუბოს. ჩვენში კუბოს დანახვა არასასიამოვნო გრძნობას იწვევს, ეგვიპტელებში კი, პირიქით, სარკოფაგის დანახვა სიხარულს იწვევდა. ეს, რასაკვირველია, აიხსნება სიკვდილ-სიცოცხლეზე შემცდარი წარმოდგენით. სარკოფაგის იხინი ეძახდნენ „მუდმივ ბინას“, სადაც აღამიანს „მარადიულად უნდა ეცხოვრა“. ამიტომ ძველად ეგვიპტეში სარკოფაგის ჩუქება ჩვეულებრივი მოვლენა იყო.



მუშია სარკოფაგში.

მდიდრები თავისთვის ორ-სამ სარკოფაგს იკეობდნენ. სარკოფაგში

ფაგები ერთიმეორეში იყო მჭიდროდ ჩადგმული. ფარაონების მუმების ჩვეულებრივ სამ-ოთხ სარკოფაგში აოავსებდნენ. სარკოფაგის სახურავზე ამოჭრილი იყო განსვენებულის პორტრეტი, სარკესავით გაკრიალებულ გვერდებს ამშვენებდა ჰიეროგლიფები (წარწერები). ჩვეულებრივ სარკოფაგის კედლებზე ასეთი ხასიათის წარწერებს აკეთებდნენ: „...და იყოს ნარადიული სიცოცხლე შენი. და არ გაეთიშოს სული შენი ხორცთა შენსაგან. და იყოს სრული არსება შენი. და შეხვალ შენ სამოთხესა შინა“ და სხვ. აგრეთვე კედლებზე ამოჭრილი იყო სურათები, აღებული განსვენებულის ცხოვრების ეპიზოდებიდან (მაგალითად, რა საქმიანობას ეწეოდა, რადარა გასართობებს მისდევდა და სხვ.). ჰიეროგლიფები და სურათები, ოქროთი იყო მოვარაყებული და ძვირფასი ქვებით მოკედლილი. ფარაონები ოქროს სარკოფაგებსაც იკეთებდნენ.

ღარიბების საქმე კი სხვანაირად იყო. მათ საღ ჰქონდათ საშუალება, რომ სარკოფაგი გაეკეთებინათ, თუნდაც ხისა. მათ მუმებს პირდაპირ ფიცრებზე დებდნენ და ისე ინახავდნენ საერთო აკლდამებში. მათ მუმებსაც მარტივად აკეთებდნენ: ჩაუშვებდნენ მარილიან წყალში და დაახლოებით ორ თვემდე გააჩერებდნენ. შემდეგ ამოიღებდნენ, იაფფასიანი ნელსაცხებით გაჟღენთილი ტილოში შეახვევდნენ და მუმიაც მზად იყო.

მუმიას სარკოფაგში სხვადასხვა ძვირფას სამკაულებთან ერთად თან ატანდნენ პაპირუსის ფურცლებზე დაწერილ წიგნს, ე. წ. „მიცვალეულთა წიგნს“. წიგნი მუმიას თავქვეშ ჰქონდა ამოდებული. ეგვიპტელები ფიქრობდნენ, „საიქიოს“ მიცვალეულთა სულს გასამართლებს ოზირისი, წიგნი კი დაეხმარება თავის გამართლებაში. წიგნში ჩამოთვლილი იყო ყველაფერი, რაც კი უნდა ელაპარაკა „სულს“ ოზირისის სამსჯავროს წინაშე, რომ თავი გაემართლებინა.

წიგნი იწყებოდა ჯერ „სულის“ თავგადასავალით საიქიოში მოგზაურობის დროს, მერე აღწერილი იყო მისი გასამართლების სცენა და, ბოლოს, ყოფა-ცხოვრება ოზირისის სამეფოში.



რამზესის მამის სეტი პირველის მუმის თავი.

როცა სული დიდ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ მართლმსაჯულების დარბაზში მოხვდებოდა, სადაც ოზირისი ორმოცდაორი ღმერთით გარშემორტყემული იჯდა სამეფოს ტახტზე, ასეთი სიტყვებით მიმართავდა მას: „დიდება შენ, ოზირის, ყოვლის შემძლე ღმერთო სამართლიანობისა! მე მოველ შენთან, რათა თვალნი ჩემნი დატკბნენ შენის მშვენიერების ხილვით! გიხაროდეს, დიდებულო ოზირის! მე გიცნობ შენ და ვიცი სახელი იმ ორმოცდაორ ღმერთთა, რომელნიც ნთქავენ ბოროტთა და სვამენ მათ სისხლს განკითხვის



განსვენებულის პორტრეტი
სარკოფაგის სახურავზე

დღეს! და, აი, მე წარმოვდექ შენს წინაშე, რათა მოგიტხოო მხოლოდ სიმართლე..“ შემდეგ „სული“ იწყებს თავის გამართლებას; „...არ მისარგებლებია ვისიმე უმწეო მდგომარეობით; არ ვექცეოდი უდიერად ხალხს; სასამართლოსათვის არ მიმიცია ყალბი ჩვენება; არ მომიპარავს; არ მომიკლავს და არც წამიქეზებია მკვლელობისათვის; მე ვაკეთებდი იმას, რაც ასიამოვნებს ხალხს და ახარებს ღმერთს; მშვიერისათვის მიმიცია პური, მწყურვალისათვის—წყალი, შიშველისათვის—სამოსი, ბაგენი ჩემნი წმინდაა და ხელნი ჩემი წმინდაა ყოველი ბოროტისაგან!“

აი, განსვენებულმა დაამთავრა თავისი აღთქმა. მასთან მივიდა ღმერთი ანუ-

ბის, მკერდიდან ამოართვა გული და გადასცა ღმერთ ტოტს. ტოტმა გული მოათავსა მართლმსაჯულების სასწორის ერთერთ პინაზე, მეორეზე—ქალღმერთ ჰატორის ქანდაკება. უკანასკნელად განსვენებული ემუდარება თავის გულს და ითხოვს მისგან დახმარებას: „ო, გულო, მიღებულო ჩემის დედისაგან, ჩემო გულო, როცა შე ვიყავ ცოცხალი, ნუ აღსდგები ჩემს წინააღმდეგ, ნუ იქნები ჩემი მტერი და ნუ მისცემ ხმას ჩემ წინააღმდეგ ღვთაებრივ მსაჯულებას. მომძტვე და ნუ გამსჯი, თუ რამ შეგცოდენ!“

ტოტი განსვენებულის მხარეზეა, ცდილობს დაეხმაროს, მისი მდგომარეობა შეამსუბუქოს. მართლმსაჯულებას სასწორი განსვენებულის სასარგებლოდ გადინხრება. განსვენებული გულზე ხელდაკრეფილი მოუთმენლად უცდის თავის ხვედრს. ჯერ არ იცის, რა ბედი ეწევა—მარადიული სიცოცხლე, თუ სიკვდილი; ხედავს, ტოტმა აწო-




ფარაონ რამზეს II მუშია (მარცხნივ) და ქანდაკება (მარჯვნივ)

ნა დაამთავრა და რაღაც ჩაწერა, მერე ოზირისთან მივიდა და აცნობა სასიხარულო შედეგი: „დიდებულო ოზირის, განსვენებული უდანაშაულოა და წმინდაა მიწიერთა ცოდვათაგან!“ ოზირისი კმაყოფილია, განსვენებულს უსურვეს კარგ მომავალს და აგზავნის სამოთხეში.

მაგრამ თუ განსვენებული ვერ შესძლებდა თავის დაცვას და გამტყუნდებოდა, ოზირისის რისხვას ვერ ასცდებოდა: ან მეორე სიკვდილს (სამუდამოდ) მიუსჯიდა, ანდა ჯოჯოხეთში წამებას სხვადასხვა ვადით.

ქურუმები ხალხს არიგებდნენ: ვისაც კი წიგნი ექნება, ის ადვილად შეძლებს თავის გამართლებასო. ამიტომ ყველა ეგვიპტელი, ვისაც კი საშუალება ჰქონდა, სიცოცხლეშივე იძენდა „მიცვალებულთა წიგნს“, რომელსაც ქურუმები ყიდდნენ. წიგნი კი ძალიან ძვირად ფასობდა, მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ მისი შეძენა. უფრო



სულის გასამართლება (სურათი გადმოღებულია „მიცვალებულთა წიგნიდან“). მარცხნივ ტახტზე ზის ოზირისი, მოპირდაპირე მხარეს კუთხეში გაჩერებულია სული; შუცდის თავის ხვედრს—განაჩენის გამოცხადებას. სულის წინდგას ღვთაებრივი მართლმსაჯულება. სასწორის ერთ პინაზე დადებულია მიცვალებულის გული, ხოლო მეორეზე—მართლმსაჯულების პატარა ქანდაკება. ოზირისის წინ დგას ღმერთი ტოტი, შუცდის განაჩენის ჩაწერას.

ხშირად წიგნის ზოგიერთ თავს იძენდნენ. ლარიბები კი რამდენიმე გადმოწერილი ადგილითაც კმაყოფილდებოდნენ. ქურუმები მოხერხებულად იყენებდნენ ხალხის უფიცობას და შეუბრალებლად ყველფდნენ მათ.

მუმიის დასაფლავება

ეგვიპტელები მუმიებს მიწაში კი არ მარხავდნენ, არამედ ინახავდნენ ამისათვის წინასწარ გამზადებულ ადგილას. როგორც ვიცით, ფარაონები სიცოცხლეშივე აგებდნენ უზარმაზარ პირამიდებს, ანუ სასაფლაოებს. წარჩინებული პირნიც იკეთებდნენ პირამიდებს, მაგრამ გაცილებით უფრო მცირეს, ვიდრე ფარაონებისა. საერთოდ კი სასაფლაოები კლდეებში იყო გამოქრილი, მდიდრებისათვის ცალ-ცალკე იყო გაკეთებული და ძვირფასად მორთული, ღარიბებისათვის კი საერთოდ აკლდამა იყო გაკეთებული და იქ მათი მუმიები პირდაპირ მიწაზე ეწყო ერთიმეორის გვერდით. ჭირისუფალს ქურუმებისათვის წინასწარ გარკვეული გადასახადი უნდა მიეცა და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდა უფლება მუშია საერთოდ აკლდამაში მოეთავსებინა. ვისაც ამის საშუალება არ გააჩნდა, მუმიას მიწაში მარხავდა.

დასაფლავების დღეს ჭირისუფალნი მუმიას დილიდანვე ნავში მოათავსებდნენ და დააცურებდნენ მდინარე ნილოსში, რომ უკანასკნელად დამტკბარიყო მიწიური ცხოვრებით. ნავის უკან მიცურავდა მეორე დიდი ნავი, საოჯახო ნივთებით დატვირთული. ამ ნივთებით განსვენებულს „უნდა ესარგებლა საიქიოში“. ნივთები, როგორც იყო: სკამები, მაგიდები, სხვადასხვა ქურჭელი და აგრეთვე საომარი იარაღი, უნდა ყოფილიყო სრულიად ახალი, რადგან „ახალი ცხოვრებისათვის“ იყო დანიშნული. მათ თან ახლდა საკმელ-სასმელი: პური, ღვინო, ლუდი, ხილი და სხვა მრავალი, რაც კი განსვენებულს სიცოცხლეში უყვარდა.

ნავებს რამდენიმეჯერ უნდა გადაესვრათ ნილოსი ნაპირიდან ნაპირამდე, აღმოსავლეთიდან დასავლეთით. აღმოსავლეთ ნაპირზე იდგნენ განსვენებულის ნათესავი და მეგობარი კაცები, როგორც კი ნავი დასავლეთისაკენ დაიძვროდა, კაცები ქუდმოხდილნი შესძახებდნენ: „მშვიდობით, მშვიდობით, ოზირისთან! მოკითხვა ჩვენებს!“ — და ისინი ასახელებდნენ თავის მიცვალებულებს.

უკანასკნელად ნავები მიადგებოდნენ დასავლეთის ნაპირს და მუმიას ხმელეთზე გადაასვენებდნენ. მეორე ნავიდანაც საოჯახო ნივთებს გადაიტანდნენ. ამ ნაპირზე მუმიას უცდიდა 4-5 მსაჯული და მრავალი ცნობისმოყვარე მოქალაქე.


ეგვიპტელებს ჩვეულება ჰქონდათ: ვიდრე მუმიას დასაფლავებდნენ, წინასწარ საჯაროდ უნდა გაესამართლებინათ და მსაჯულებისაგან ჭირისუფალთ დასაფლავების ნებართვა მიეღოთ.

სარკოფაგს დადგამდნენ მსაჯულების წინ, უკან კი დადგებოდნენ

ახლო ნათესაეები. უფროსი მსაჯული, რომელსაც მხრებზე ჯიქის ტყავი ჰქონდა წამოსხმული, მალლობზე შედგებოდა და იქ მყოფთ ხმამალა მიმართავდა:

—ხალხნო ეგვიპტისა! თქვენს წინაშე მდებარე ითხოვს დაკრძალვას! ვინ დაზარალდა განსვენებულისაგან მისი მიწიერი სიცოცხლის დროს? ვინ გააწმინდა? ვინ დაჩაგრა? წინ წამოდექ შენი საჩივრით! სასამართლო განიხილავს შენს საჩივარს სინდისიერად და მიუდგომილად... ვინც ყალბი საჩივრით გამოვა და ცილს დასწამებს, მას თავზე დაატყდება მოკორილი ბრალდების სასჯელი! მაგრამ თუ ვისმე საფუძვლიანი საჩივარი გაქვს განსვენებულის მიმართ, ნუ შედრკები, გამოდი უშიშრად!

ჭირისუფალნი გულის კანკალით უცდიდნენ საქმის დაბოლოებას, მწუხრით აღსავსე თვალებით ხალხს ემუდარებოდნენ, რომ არავინ



მუშის გასამართლებს. უფროსი მსაჯული ეკითხება ხალხს: ვისა აქვს საჩივარი განსვენებულზე? მსაჯულის უკან დგანან ჭირისუფალნი, თავდაბრილნი უცდიან განაჩენის გამოცხადებას.

გამოსულიყო განსვენებულის წინააღმდეგ. მსაჯული ცოტახანს დაუცდიდა და კვლავ შეეკითხებოდა დამსწრეთ:

— არავის აქვს საჩივარი განსვენებულზე?

თუ ბრალდებით არავინ გამოვიდოდა, მაშინ მსაჯული აღაპყრობდა მალლა ხელებს და თავის განაჩენს გამოაცხადებდა:

— ჩვენ გაგასამართლეთ შენ და მე მსაჯულების სახელით ვაცხადებ, რომ შენა ხარ წმინდა ყოველგვარი ბოროტი საქმისაგან. დასაფლავება შენი ახდება. იძინე მშვიდად, უშიშრად, წარვედ დიდებულ მოსამართლე ოზირისთან და იქნები შენ ბედნიერი, თუ მისმა ღვთაებრივმა სიბრძნემ გიცნო სამართლიანად, როგორც გიცნეს შიწიერ მოსამართლეთ!

მოსამართლის უკანასკნელი სიტყვები იფარებოდა დამსწრეთა აღტაცებული შეძახილით: „ოზირისთან! ოზირისთან!“ გახარებულნი ჭირისუფალნი სიხარულის ცრემლებს ღვრიდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ და „გამარჯვებას“ ულოცავდნენ. ხალხი მათ ხმამაღლა ესალმებოდა და პატივისცემით უთმობდა გზას.

მაგრამ სამწუხარო სურათი დატრიალდებოდა, თუ ვინმე გამოვიდოდა და განსვენებულის მიმართ რაიმე ბრალდებას დაამტკიცებდა, მაშინ უფროსი მსაჯული მოლუშული სახით მიმართავდა განსვენებულს:


— ჩვენ გაგასამართლეთ შენ! წამოყენებული ბრალდება გვანით სამართლიანად! და მე მსაჯულების სახელით ვაცხადებ, რომ დაკარძალვა შენი არ ახდება!

ამ სიტყვების შემდეგ უფროსი მსაჯული დაუყოვნებლივ ტოვებდა თავის ადგილს, მას უკან გაჰყვებოდნენ დანარჩენი მსაჯულნი. მათთან ერთად დაღონებული ხალხიც იწყებდა უხმოდ დაშლას.

სულიერად განადგურებულ ჭირისუფლებს მეტი გზა არ ჰქონდათ, მუშია უკან უნდა წაეღოთ და სახლში დაესვენებინათ. მუშია დაუკარძალავი რჩებოდა მანამდის, სანამ მომჩივარი არ განაცხადებდა, რომ ის უკვე დაკმაყოფილებულია და აღარაფერი აქვს საწინააღმდეგო განსვენებულის მიმართ. რასაკვირველია, განცხადება საჯაროდ უნდა ყოფილიყო გაკეთებული. ამის შემდეგ მუშიას ასაფლავებდნენ.

საჯაროდ გასამართლება ფარაონის მუმიებზედაც ვრცელდებოდა, მაგრამ ვიდრე მუშიას ხალხის წინაშე გამოიტანდნენ, ჭირისუფალნი წინასწარ ასაჩუქრებდნენ უკმაყოფილო პირებს, ზოგს ტუქსავდნენ, მოკვლას ემუქრებოდნენ, ერთი სიტყვით, საქმეს შინაურულად აწესრიგებდნენ. საჯაროდ უკვე ველარ ბედავდნენ ადვილად გამოსვლას და ბრალის დადებას. თუმცა ყოფილა შემთხვევა, როდესაც აღშფოთებულ ხალხს ფარაონის მუმიები დაუწვავს. ასეთი ბედი ხვდა დიდი პირამიდების ამგებლების, ყველაზე უფრო სასტიკი ფარაონების ხეიპსისა და ხეფრენის მუმიებს...


როცა ქირისუფალნი მსაჯულებისაგან დასაფლავების ნებართვას მიიღებდნენ, მუმიას დიდი ცერემონიით წაასვენებდნენ დასავლეთით, ლიბიის მთებისაკენ; ჩვეულებრივ ამ მთებში კრიდნენ და აკეთებდნენ მუმიებისათვის „მუდმივ საცხოვრებელ აკლდამებს“. აკლდამებს წინასწარ მორთავდნენ საოჯახო ნივთებით. ჩვეულებრივ, მდიდრების სასაფლაოები სამი აკლდამისაგან შედგებოდა. პირველი აკლდამა დანიშნული იყო მნახველთათვის, მეორეში დგამდნენ განსვენებულის ქანდაკებას და ყველა საოჯახო ნივთსა და იარაღებს, მესამეში კი, რომელიც დაბლად იყო გაკეთებული, მოთავსებული იყო განსვენებულის მუმიამ. ორი უკანასკნელი ოთახი მნახველთათვის დახშული იყო. პირველი ოთახის კედლებზე ამოჭრილი იყო სხვადასხვა სურათი, რომლებიც ასახავდნენ განსვენებულის ამათუიმ საქმიანობას, მტრებთან ბრძოლის მოშენებებს, ნადირობას, თევზაობას, დროსტარებას და სხვ. სურათები შეღებილი იყო ძვირფასი საღებავებით. ეს იშვიათი საღებავები ისეთი ნივთიერებისაგან იყო შემზადებული, რომ რამდენიმე ათას წელს გაუძღეს და ჩვენ დრომდე მოაღწიეს...



აკლდამის შესავალი

როდესაც სარკოფაგს აკლდამაში შეიტანდნენ და დაასვენებდნენ, ნათესავეებს გამოეყოფოდა განსვენებულის უფროსი ვაჟი და წინ წადგებოდა, მივიდოდა სარკოფაგთან და თავს ახდიდა, მუმიას ამორღებდა და გულზე მიიკრავდა. ტუჩებით ოდნავ შეეხებოდა თვალების და ყურების ადგილებს და წყნარად ჩასძახოდა: „აღსდგე, მამაჩემო! აღსდგე, ოზირის! მე მოველ, შენი შვილი ჰორუსს, რათა განგზანო და განგწმინდო შენ და დაგიბრუნო სიცოცხლე!“

ამ სიტყვების შემდეგ შვილი წყნარად აკოცებდა მუმიას და დარწმუნებული იყო, რომ ამ კოცნით მამას სიცოცხლეს დაუბრუნებდა, როგორც „ჰორუსმა დაუბრუნა თავის მამას — ოზირისს სიცოცხლე“.



დასაფლავების ცერემონიის დროს ქურუმები უკრავენ არფებს

როდესაც შვილი მამის მუმიას ჰკოცნიდა, ნათესავეები და მეგობრები ერთხმად შესძახებდნენ: „ჰორუსს მოვიდა, ის შენ გეხვევა, ოზირის! შენმა შვილმა ჰორუსმა დაამარცხა შენი ავი ძმა სეთი!“ ამის შემდეგ მუმიას სარკოფაგში ჩადებდნენ, სახურავს მიადუღებდნენ და მესამე აკლდამაში შეინახავდნენ. მერე სასმელსა და გამოსათხოვარ სადილს შეექცეოდნენ. სადილობისას ქურუმები უკრავდნენ არფებს და გალობდნენ ოზირისის ქება-დიდებას. მოცეკვავე ქალები თმებგაშლილნი, ხელებაპყრობილნი, მუსიკის ხმაზე აკლდამას გარშემო უვლიდნენ და ცეკვავდნენ განსვენებულის პატივსაცემად. ამ ცერემონიის შესრულების დროს უფროსი ქურუმი აკლდამის თავზე ავიდოდა, ზურგს აღმოსავლეთს შეაქცევდა, ჩაშავალ მზეს ხელს მიაპყრობდა და სივრცეს მიმართავდა:

—ჰოი, ღმერთნო, თქვენ წაიყვანეთ ეს ოზირისი, რომელიც იცხოვრებს ისე, როგორც ცხოვრობთ თქვენ, რომელიც ჭამს იმას, რასაც ჭამთ თქვენ. იმ ქვეყანას, სადაც ეს მიდის, არ იქნება არასოდეს არც შიმშილი და არც წყურვილი.

—ჭეშმარიტად, არ იქნება არასოდეს არც შიმშილი, არც წყურვილი!—არფებზე დაამღერებდნენ ქურუმები.

ცრუმორწმუნე და გულუბრყვილო ეგვიპტელებს ქურუმების სიტყვები სჯეროდათ, რომ „იმ ქვეყანას ადამიანი განცხრომით და უღარღილად იცხოვრებს“ და, მაშასადამე, ამ ქვეყნად ყოველგვარი შევიწროება და ვაჭირვება მოთმენით უნდა აეტანათ, რათა ოზირისის სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინათ.



ღობიის მთებში გამოჩენილი აკლდამები.

სადილის გათავების შემდეგ მაგიდას კვლავ სანოვაგითა და სასმელებით აავსებდნენ და მუმიის „სულს“ დაუტოვებდნენ. ამის შემდეგ აკლდამის კარებს მაგრად დაკეტავდნენ, რომ უცხო პირებს არ გაეღოთ და სარკოფაგი არ გაეძარცვათ. მაგრამ ქურდები მაინც ახერხებდნენ კარების გაღებას და შიგნით შესვლას. შორიახლოს უთვალთვალებდნენ და როგორც კი პატრონები წავიდოდნენ და ქვეყნად სიბნელე ჩამოწვებოდა, მდიდრის აკლდამის წინ მუშაობა გაჩაღდებოდა.

დამშეულები რაკი შიგნით შეიჭრებოდნენ, კარებს მოხურავდნენ, რომ შემთხვევით გამვლელს არ შეემჩნიათ, და მაშუქას აანთებდნენ: პირველად თვალში მოხვდებოდათ აესებული მაგიდა; ყოველივე ამას, რასაკვირველია, შთანთქავდნენ და „სულის მოსახსენებლად“ ღვინოსაც დააყოლებდნენ. შემდეგ კი შეუდგებოდნენ მთავარ საქმეს: სარკოფაგისა და მუმის გაძარცვას. ჯერ სარკოფაგს გარეკანს შემოაცლიდნენ, ოქროს სამკაულებსა და ძვირფას ქვებს, შემდეგ თავსახურავს ახდიდნენ, ამოიღებდნენ მუმიას, შემოხსნიდნენ ფრთხილად ტილოს და შემდეგ, რაკი ყველა ძვირფას სამკაულს ამოაცლიდნენ, ისევ შეახვევდნენ, მაგრამ ისე ჩინებულად შეახვევდნენ, პატრონს რომ ენახა, ვერ შეამჩნევდა, მუმია გახსნილი იყო თუ არა. რასაკვირველია, გაძარცვული მუმია შეუმჩნეველი მაინც არ დარჩებოდა და აკლდამებს ღამლამობით გუშავებს უყენებდნენ.

III

ოზირისი და იზიდა

ეგვიპტელებს ეგონათ, რომ მითიური პირი ოზირისი ოდესღაც ეწეოდა მიწიერ ცხოვრებას და მეფობდა ეგვიპტეში. ცოლად ჰყავდა ქალღმერთი იზიდა. ოზირისი და იზიდა დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ეგვიპტეში. მათ ეძახდნენ „ზუსტად მზის ღმერთს“,




იზიდა.

„ჩაგრულთა მფარველს“, „ქვეყნად სიკეთისა და ბედნიერების მომფენს“ და სხვა. ქურუმებმა მათზე ლეგენდარული თქმულება შეთხზეს და ხალხში გააერცვლეს. აი, ამ ლეგენდის შინაარსი:

უხსოვარ დროს, მრავალი ათასი წლის წინათ, ეგვიპტის თვალწარმტაცი ბუნება ჯერ კიდევ არ იყო აყვავებული. მოსახლეობის რიცხვიც მცირე იყო და ველურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, იკვებებოდნენ ხის ნაყოფით, მცენარეულობით, თევზებითა და წყლის სხვა ცხოველებით, რომლებიც უხვად მოიპოვებოდნენ მდინარე ნილოსში. მაგრამ ამ საშუალებებით თავს ვერ იკმაყოფილებდნენ და

ნახევრად მშვირთ უხდებოდათ ცხოვრება. შიმშილობის ნიადაგზე მათ შორის გახშირებული იყო კაცობრიობა. მაგრამ, აი, ამონის (მთავარი ღმერთის) ბრძანებით იშვა ოზირისი. მან მოკლე ხანში გაანათლა ეგვიპტელები, გადააჩვია ცუდ ზნე-ჩვეულებას და მრავალ სასარგებლო საქმეს შეაჩვია. ამაში მას დაუღალავად ეხმარებოდა მისი ცოლი და მეგობარი—მშვენიერი იზიდა. მათ ასწავლეს მოსახლეობას მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა, მოაშინაურეს გარეული ცხოველები და განავითარეს მეცხოველეობა, ააგეს მრავალი ქალაქი და გააჩაღეს ვაჭრობა-მრეწველობა. დღითიდღე უმჯობესდებოდა მოსახლეობის კეთილდღეობა.

ხალხს გულწრფელად შეუყვარდა ოზირისი და ყოველ მის გამოჩენას ალტაცებით იგებებოდნენ. ეს არ მოსწონდა ოზირისის ძმას, ბუნებით ბოროტ სეთს, ძმის განდიდება მას ბრავს ჰგვრიდა და გესლიანი შურით ევსებოდა გული, მაგრამ ითმენდა. სხვებთან ერთად ისიც შეხაროდა ოზირისს და მის სახელს ქება-დიდებათ იხსენიებდა. რასაკვირველია, თვალთმაქცობდა, რომ ოზირისის ნდობა დაემსახურებინა. მოხერხებულ დროს ეძებდა, რომ ხალხი ძმის წინააღმდეგ ამხედრებინა, გადმოეგდო ტახტიდან და თვით გამეფებულიყო. ჩქარა კიდევ მიეცა შემთხვევა, რომ თავისი ბნელი ზრახვები განეხორციელებინა.



იზიდას ტაძრის ნანგრევები.

როდესაც ოზირისმა თავისი ქვეყანა ააყვავა და დაამშვენა, განიზრახა სხვა ქვეყნებში გამგზავრება, რომ მოსახლეობისათვის იქაც შეექმნა ბედნიერი ცხოვრება. წასვლის წინ მოიხმო თავისი ძმა სეთი, ჩააბარა სახელმწიფოს მმართველობა და დაავალა: „სეთ, მე იმედი მაქვს, ისე მოიქცევი, რომ ღირსეულად წარმოდგე ჩემს წინაშე, როდესაც დავბრუნდები ჩემს ქვეყანაში... გაბარებ ჩემს ცოლს იზიდას და შვილს ჰორუსს, შენს მზრუნველობას ნუ მოაკლებ მათ“. ძმები გადაეხვივნენ ერთმანეთს, გადააკოცნეს, პირველი გულწრფელი სიყვარულით კოცნიდა, მეორე კი პირმოთნობდა.

ამის შემდეგ ოზირისი მხურვალედ გამოეთხოვა ყველას და გაემგზავრა სხვა ქვეყნებისაკენ. თან წაიყვანა მრავალი მიწათმოქმედი, ხელოსნები, მხატვრები, მუსიკოსები და მომღერლები. პირველად ეწვია მეზობელ ქვეყნებს ნუბიასა და ეთიოპიას, იქიდან გადავიდა არაბეთში, შემდეგ ინდოეთში. ყველგან, სადაც კი მივიდოდა, ამყარებდა წესრიგს, ასწავლიდა ხალხს მიწის დამუშავებას და სხვა სასარგებლო საქმეს. ოზირისმა მიზანს მიაღწია: ხალხი გააკეთილშობილა და გააბედნიერა...

ოზირისის გამგზავრების შემდეგ სეთი დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი გემის განხორციელებას. სახელმწიფოს დიდ თანამდებობაზე მოიწვია ის ხალხი, რომელნიც თავია დროზე ოზირისის მიერ განდევნილ იქნენ სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის. მათ მიეცა საშუალება, რომ თავისუფლად ეთარეშათ და მოსახლეობა შეევიწროვებინათ. სამაგიეროდ მათგან ერთგულების ფიცი მოითხოვა. სეთი მოქმედებდა ოზირისის სახელით. ამით მას უნდოდა მოსახლეობის თვალში ძმის სახელი დაეცა, რომ შემდეგ გადავიღებოდა ეგვიპტიდან მისი განდევნა.

იზიდა ხედავდა, რომ ხალხი სასოწარკვეთილებით იყო მოცული, დიდხანია მოსწყდა მათ ბაგეს ღიმილი, მოღუშულნი და წელში მოხრილნი დაიარებოდნენ; ხედავდა, რომ მისი ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანებოდა, მაგრამ არ ძალუძდა, რომ სეთისა და მისი თანამოაზრეების თარეშისათვის საზღვარი დაედო. მიუთმენლად უცდიდა ოზირისის დაბრუნებას. მოსახლეობაში ფარულად დადიოდა და იმედს აძლევდა მათ: ჩქარა დაბრუნდება ოზირისი და ყველას, ვინც თქვენ გავიწროვებთ, სასტიკად დასჯისო.

ერთ დღეს უეცრად მოედვა ხალხს ცნობა: ოზირისი დაბრუნდა ეგვიპტეშიო. მთელი ეგვიპტის მოსახლეობა ფეხზე დადგა, სიხარულით ეგებებოდნენ თავის საყვარელ მასწავლებელს: „დიდება ჩვენს მასწავლებელს, ჩვენს მამას! სახელი და დიდება ოზირისს!“ გრგვინავდა ხალხი და ქუდმოხდილნი ესალმებოდნენ დაბრუნებულ ოზირისს.

ამ საერთო ზეიმში არ იღებდნენ მონაწილეობას მხოლოდ სეთი და მისი თანამოაზრენი. ხვალინდელი დღე კარგს არ უქადდათ, ბოროტმოქმედებისათვის ოზირისი თავზე ხელს არ გადაუსვამდა. მწარე სინამდვილემ სეთი გამოაფხიზლა, მიხვდა, რომ მის ბატონობას ბოლო ელება, მაგრამ ადვილად იარაღის დაყრა არ მოინდომა. ბოროტმა სეთმა განიზრახა ვერაგული საქმე. მან სასწრაფოდ დაიბარა თავისი ძეგობრები და ასეთი სიტყვებით მიმართა მათ:

— ძვირფასო მეგობრებო! ჩემი ძმა ოზირისი დაბრუნდა... დაბ-

რუნდა ჩვენდა სამწუხაროდ! ყველაფერს გაიგებს და მკაცრად დაგ-
ესჯის... თუმცა მე ეს არ მაშინებს... მე ხომ ძმა ვარ და ძმას არ
დასჯის... მაგრამ თქვენ კი ვერ გადურჩებით ოზირისს... ვაი, რომ
ვერ გადურჩებით! როცა თქვენზე ვფიქრობ, ტანში ჟრუანტელი მიე-
ლის და გული მტკივა!—და ცბიერ სეთს თვალეები ცრემლებით მოენამა.

— როგორ მოვიქცეთ? რა გვეშველება? გვიჩიე, დაგვეხმარე! —
შევედრნენ სეთს შეშინებული მეგობრები. სეთი ღრმად ჩაფიქრე-
ბული დუმდა, მეგობრები კვლავ ამეტყველდნენ:

— წავალთ, ფეხქვეშ ჩაფუვარდებით, ვთხოვთ პატივებას... შენც
დაგვეხმარე, სეთ!

სეთმა მწარედ გაიღიმა.

— რა გულუბრყვილონი ხართ... ნუთუ არ იცნობთ ოზირისს?
თქვენი დანაშაულის პატიებაზე ფიქრიც არ შეიძლება... მხოლოდ
ერთადერთი გზაა თქვენ დასახსნელად... — და სეთმა ხმას დაუდაბ-
ლა, — ოზირისი უნდა მოკვდეს, გესმით, უნდა მოკვდეს... მხოლოდ
მის სიკვდილს შეუძლია გიხსნათ თქვენ სასჯელისაგან!

შეშინებულმა მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს. ბოლოს ერთი
შეეკითხა:

— მერე ვინ შესძლებს ამას? ვინ იკისრებს?

— ჩვენ, ყველა...

— როგორ, რა გზით?

სეთმა უხმოდ გაიყვანა მეგობრები მეორე ოთახში, სადაც იყო
ძვირფასი სარკოფაგი დადგმული.

— ხედავთ ამ სარკოფაგს?

— დიახ, ვხედავთ,—მიუგეს მეგობრებმა.

— ეს სარკოფაგი უნდა გახდეს ოზირისის მარადიული ბინა...
ჩვენ როგორმე უნდა მოვახერხოთ, ოზირისი შემოვიტყუილოთ ამ
ოთახში და...—მან მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მეგობრებს.
მეგობრები მიხვდნენ სეთის განზრახვას.

დაბრუნებულ ოზირისს სეთი მუდამ თან ახლდა, ერთი წუთით
არ ტოვებდა მარტო: ეშინოდა, რომ ვისმეს მისთვის ცუდი რამე არ
ეთქვა. იზიდაც მოხერხებულ დროს ეძებდა, რომ თავის მეუღლისათ-
ვის ეამბა სეთის ბოროტმოქმედებანი. უკანასკნელი ამას გრძნობდა და
თავის ძმის ახლოს ტრიალებდა.

„გაიძვერა! დღეს თუ არა ხვალ მაინც ვეტყვი შენს ბნელ საქმე-
ებს ოზირისს“—ფიქრობდა იზიდა და სეთს მტრული თვალეებით შეჰ-
ყურებდა. სეთი კი განგებ მხიარულობდა, ოხუნჯობდა და ოზირისს
არწმუნებდა—შენმა მოსვლამ დიდად გამახარაო. ოზირისი ცუდს არა-

ფერს გრძნობდა, ძმის სიტყვები სჯეროდა და თავადაც ღიდად მხიარულობდა. მხოლოდ ვერ გაეგო, რატომ გამოიყურებოდა იზი-
და ასე ნაღვლიანად, რად ექცეოდა ასე გულცივად სეთს...

ბოლოს სეთმა, როგორც იქნა, მოახერხა, ოზირისი თავის სასა-
ხლეში შეიტყუილა, ვითომდა ნადიმისათვის. აქ მათ უცდიდა 72
შეთქმული.

— მეგობრებო!—მიმართა შეკრებილთ სეთმა,—ჩემმა საყვარელმა
ძმამ პატივი გვცა და გვესტუმრა ჩვენ.. მე მსურს, ნიშნად უღრმესი
პატივისცემისა, მივუძღვნა ჩვენს სასურველ სტუმარს ეს საჩუქარი...
ძმაო ოზირისი!—მიუბრუნდა სეთი ძმას,—შენთვის დავამზადე ეს სარ-
კოფავი, მიიღე ჩემგან სახსოვრად და ნუ განმსჯი ამ მცირე საჩუქ-
რისათვის...

ოზირისს სარკოფავი მოეწონა და სეთსა ყურადღებისათვის მად-
ლობა გადაუხადა.

— მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს,—დაიწყო ცოტა ხნის შემდეგ
სეთმა,—ვაითუ სარკოფავი ოზირისს ტანზე არ მოუფიდეს?... ხომ
არ ისურვებ, საყვარელო ძმაო, ჩვენს თანდასწრებით სარკოფავი
ტანზე გაიზომო?

ოზირისი, რასაკვირველია, სეთის ვერაგ განზრახვას ვერ მიხვდა,
სიამოვნებით დასთანხმდა და საბედისწერო სარკოფავში ჩაწვა. რო-
გორც კი ოზირისი სარკოფავის კედლებში მოემწყვდა, სწრაფად მის-
ცვივდნენ შეთქმულნი, სარკოფავს თავსახურავი ლურსმნებით მაგრად
მიაჭედეს. ხელო როცა შელამდა, ფარულად გაიტანეს სარკოფავი
და მდინარე ნილოსში გადააგდეს.

მეორე დღეს სეთმა ქალაქ თებეს მოსახლეობას ამცნო: ოზირი-
სი გუშინდამ სხვაგან გაემგზავრა და სახელმწიფოს მმართველობა
კვლავ მე ჩამაბარაო. ამ ამბავმა იზიდას თავზარი დასცა, იგრძნო,
რომ ოზირისის თავზე რალაც უბედურება უნდა მომხდარიყო. მისი
ასე სასწრაფოდ გამგზავრება არაბუნებრივი იყო. „არა, ოზირისი
უჩემოდ არსად წავიდოდა, აქ რალაც უბედურებაა ჩემს თავს! ნუთუ
სეთმა... მაგრამ, ღმერთო ჩემო, რას ვფიქრობ, ძმას როგორ გაიმეტებდა
მოსაკლავად!“—ფიქრობდა გამწარებული იზიდა და თავის მეუღლეს
დაეძებდა... ჩქარა მოსახლეობის დახმარებით იზიდამ მიაგნო ოზი-
რისის სარკოფავს, რომელიც მდინარეს ნაპირზე გაერიოცა. როცა
სარკოფავს თავსახურავი ახადეს და ოზირისის ტანჯული სახე გამო-
ჩნდა, იზიდამ თავში ხელები შემოიკრა და გონება მიხდილი დაეცა
თავისი მეუღლის გაციებულ გვაზე... დიდხანს დასტიროდა იზიდა
უღროოდ დაკარგულ ოზირისს. ბოლოს სარკოფავი ხშირ ტყეში და-

მალა და ჰორუსთან გაემგზავრა. დედას უნდოდა ფარულად მოეყვანა შვილი და ენახებინა დაღუპული მამა... მაგრამ, სამწუხაროდ, გამოჩნდა ბოროტი ადამიანი და სეთს ამცნო საშინელი სარკოფაგის პოვნა. სეთი მივიდა სარკოფაგთან, ამოიღო ძმის გვამი, მახვილით 26 ნაწილად დაჩეხა და ტყეში მიმოთანტა...

ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, იზიდავ მიავნო თავისი მეუღლის დაჩეხილ გვამს, შეაგროვა ყველა ნაწილი და წამოიღო შინ. თავისი შვილის ჰორუსის დახმარებით ოზირისის გვამიდან გააკეთა მუშია, სარკოფაგში ჩაასვენა და ფარულ ადგილას შეინახა.

გავიდა ხანი, ჰორუსი დავაუკაცდა. ახლა უკვე შეეძლო მამის მკვლელობისათვის შური ეძია. თავისი დედის დახმარებით მან შეაგროვა ჯარი და შეებრძოლა თავის ვერაგ ბიძას სეთს. დიდი ბრძოლის შემდეგ ჰორუსმა დაამარცხა მოწინააღმდეგის ჯარი და თვით სეთს თავი მოჰკვეთა.



ჰორუსი ჰკლავს სეთს

გამარჯვებული ჰორუსი ეახლა თავისი მამის მუშიას, გულში ჩაიკრა და წყნარად ჩასძახა: „აღსდექ, მამაჩემო, აღსდექ ოზირის, მე ვარ შენი შვილი ჰორუსი, მე მოვკალ ვერაგი სეთი!“—ამ სიტყვების შემდეგ ჰორუსი ეამბორა მამის მუშიას. მოხდა სასწაული: ოზირისი გაცოცხლდა, მისი სხეული მზესავით გაბრწყინდა და ზეცისაკენ იწ-

ყო ამალღება. ოზირისს გახარებული იზიდაც თან აჰყვა, რომელსაც უეცრად ფრთები გამოესხა, ჰორუსი კი ეგვიპტეში დარჩა ხალხის კეთილდღეობისათვის...

ამრიგად, ეგვიპტელები დარწმუნებულნი იყვნენ, თუ შვილი მამის მუმისას აკოცებდა, უკანასკნელს სიცოცხლე დაუბრუნდებოდა, როგორც ჰორუსმა კოცნით დაუბრუნა თავის მამას, ოზირისს—სიცოცხლე.

შინაუკი ცხოველების გაღმერთება


შინა თავებიდან მკითხველმა უკვე იცის, რომ ეგვიპტელები აღმერთებდნენ როგორც ბუნების ძალებს—მზესა და მდინარე ნილოსს, ისე გარეულ ცხოველთ—ნიანგს, გველს ურუესს და ფრინველს იბისს. ამათ გარდა ეგვიპტელები აღმერთებდნენ აგრეთვე შინაურ ცხოველებს: ხარს, ძროხასა და კატას.

ძველად ეგვიპტეში ხარი ერთადერთ გამწვევ ძალას წარმოადგენდა. ჯერ ცხენს არ იცნობდნენ (ცხენი უფრო გვიან შეიყვანეს უცხოელებმა)¹. სოფლის მეურნეობისათვის ხარს უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა. გარდა ამისა, ხარი აძლევდა ეგვიპტელებს ხორცსა და ტყავს, რომლებიც ესოდენ ესაჭიროებოდათ. ხარის შესახებ ეგვიპტელები ასე მსჯელობდნენ: ხარი ადამიანს უმსუბუქებს ცხოვრების მძიმე ტვირთს, იგი მისი ერთგული მეგობარია და მსახური, ამიტომ ღირსია პატივისცემისა.

გაღმერთებულ ხარს ჰაპისს ეძახდნენ. ჰაპისი შავი უნდა ყოფილიყო, შუბლზე თეთრი ნიშნით. მხოლოდ ასეთი ხარი შეიძლებოდა ელიარებინათ ქურუმებს ჰაპისად.

ქურუმები ხარ ჰაპისს ინახავდნენ ტაძრის გვერდზე საუცხოოდ მორთულ შენობაში და მას განსაკუთრებულად უვლიდნენ. მსახურად ათი ქალი ჰყავდა მიჩნეული.

ჰაპისს მთელი ტანი დაფარული ჰქონდა ძვირფასი სამკაულებით,



ხარი ჰაპისი

¹ ცხენი პირველად ეგვიპტეში ჰიქსოსებმა შეიყვანეს. ამის შესახებ იხილეთ ათვი „ჰიქსოსები“.

დღესასწაულების დროს ქურუმებს გარეთ გამოყავდათ და დიდის ცერემონიით დაატარებდნენ ქუჩა-ქუჩა ხალხის საჩვენებლად. ამით ისინი, რასაკვირველია, უფრო აღვივებდნენ ხალხში ცრუმორწმუნეობას. პროცესიას წინ მიუძღოდა უფროსი ქურუმი, ოქროს კვერთხით ხელში, შემდეგ მიდიოდა თეთრად მოსილი ორი ახალგაზრდა ქალი, რომლებსაც ქიშიშით ავსებული ოქროს სინი მიჰქონდათ; მათ კვალდაკვალ ცოხნით მიჰყვებოდა განებვიერებული ჰაპისი, უკანკი მისდევდა ქურუმთა გუნდი და ჰაპისის ქება-დიდებას ვალობდნენ. მოსახლეობა პირქვე დამხობილი ხვდებოდა თავის „ღმერთს“.

ჰაპისს ოცდარვა წლამდის ინახავდნენ და როდესაც ამ ასაკს მიაღწევდა, სიცოცხლეს ასალმებდნენ: მდინარე ნილოსში ახრჩობდნენ.—რატომ ოცდარვა წელი და არა ნაკლები ან მეტი?—იკითხავს მკითხველი. აი რატომ: ოცდარვა წლისა იყო ოზირისი (ეგვიპტელების ერთერთი მთავარი ღმერთი), როცა მისმა ავმა ძმამ სეთმა ვერაგულად მოკლა იგი და მდინარე ნილოსში გადაავდო. ვინაიდან ხარი ჰაპისი ქურუმების აზრით ოზირისის მიწიური განსახიერება იყო, ამიტომ ისიც უკანასკნელსავით ოცდარვა წლისა უნდა მომკვდარიყო, რასაკვირველია, არაბუნებრივი სიკვდილით.

მაგრამ თუ ჰაპისი ამ ხნოვანებას ვერ მიაღწევდა და მოკვდებოდა, ეს დიდ უბედურებას ნიშნავდა. შეიქნებოდა საერთო გლოვა და ტირილი. მთელი ეგვიპტე ძაძაში გაეხვეოდა და სამოცდათორმეტ დღეს გლოვობდა. აკეთებდნენ მკვდარი ჰაპისის მუმიას და ინახავდნენ სპეციალურად აგებულ უზარმაზარ აკლამაშირ —სერაპეუმში¹.

¹ 1851 წელს ფრანგმა მეცნიერმა მარიეტმა ერთერთი გათხრის დროს აღმოაჩინა უზარმაზარი სერაპეუმი. სერაპეუმი კლდეში იყო გამოჩენილი, მისი სიგრძე ას მეტრს უდრიდა, სიმაღლე —ხუთნახევარ მეტრს. შიგნით იდგა ხარების მუმიებისათვის უზარმაზარი სარკოფაგები წითელი და შავი გრანიტისაგან გამოკვეთილნი, მათი გარეკანი სარკესავით იყო გაკრიალებული. სარკოფაგი ოცდაოთხი ცალი იყო, მხოლოდ ყველა ცარიელი. აშკარად ეტყობოდა, რომ ისინი თავის დროზე მტრებს გაეძარცვათ და ძვირფასი სამკაულები გაეტაცნათ (როგორც ვიცით, ეგვიპტელები მუმიებს თან ოქროს სამკაულებს ატანდნენ).

მარიეტი სერაპეუმს უდიდესი ინტერესით ათვალიერებდა და ერთერთ მარცხენა გასავალში ოსტატურად დაფარული შესავალი იპოვა. როდესაც დიდი წვალების შემდეგ შესავალი განხნა და შიგნით შევიდა, მან დაინახა ხელუხლებელი გრანიტის ორი სარკოფაგი. სარკოფაგებში იდგა ხარების მუმიები. მაგრამ როდესაც მარიეტმა იატაკს დახედა, იქ ისეთი სურათი დაინახა, რომელმაც გული აუჩვილა და ცრემლები მოადინა: იატაკზე დაყრილ სილის თხელ ფენაზე მოჩანდა ადამიანის შიშველი ფეხის ნაკვალევი, რომელიც იყო აღბეჭდილი სამიათას შვიდასი წლის წინათ.

სერაპეუმიდან მარიეტმა ორმოცი კაცის დანმარებით გამოიტანა ხარის უზარმაზარი ქანდაკება. ბოლოს ეს იშვიათი ქანდაკება ქ. პარიზში გადაიტანეს.

დასაფლავების შემდეგ შეუდგებოდნენ ახალი ჰაპისის ძებნას. როდესაც ახალ ჰაპისს (ე. ი. შავ ხარს თეთრიწინით შუბლზე) აღმოაჩენდნენ, საერთო გლოვა საერთო ზეიმად შეიცვლებოდა, რომელიც გრძელდებოდა შვიდ დღეს. აღმოჩენილ ჰაპისს დიდის ამბით წამოიყვანდნენ და თავის შენობაში დააბინავებდნენ. იმ პატრონს, ვისთანაც ჰაპისი აღმოჩნდებოდა, უხვად ასაჩუქრებდნენ და დიდ პატივს სცემდნენ.

ძროხაც ეგვიპტელებში არა ნაკლები სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. მის შესახებაც ასე მსჯელობდნენ: ძროხა განსაკუთრებით სასარგებლო და ნაზი ცხოველია, იგი იძლევა რძეს. რძე კი ასაზრდოებს დიდსა და პატარას, მაშასადამე, ძროხა ადამიანის მეგობარია. თავის შვილს ნაზად ზრდის და ევფერება, მტრისაგან თავვამოღებით იცავს და ამიტომ ძროხა დიდად პატივსაცემია. ძროხა იმდენად საყვარელ ცხოველად ითვლებოდა, რომ ეგვიპტელები ქალღმერთს ძროხის თავით ასახიერებდნენ და ჰატორს ეძახდნენ.

ქალღმერთის ჰატორის სახელს ქალები უდიდესი სიყვარულით იხსენიებდნენ. ქალები მას უწოდებდნენ „სიყვარულისა და სილამა-



ჰატორი




ზის დედოფალს“ და განსაცდელში ჩავარდნილნი მფარველობისათვის მას მიმართავდნენ.

ჰატორს ტაძრის კედელზე ასახიერებდნენ ხან ძროხის თავითა და ადამიანის ტანით, ხან კიდევ ადამიანის სახით, რომელსაც თავზე რქები ჰქონდა გაკეთებული. რქებს შუა მოთავსებული ჰქონდა მზის დისკო, რომელიც იყო ნიშანი მისი ღვთაებრივი ძალისა. მარჯვენა ხელში ეჭირა

„სიცოცხლის გასაღები“, მარცხენაში—კვერთხი. კვერთხის თავზე გამოყვანილი იყო ლოტოსის ყვავილი—ნიშანი სიყვარულისა და ბედნიერებისა..

დიდი პირამიდის ამგებმა ფარაონმა ხეოპსმა ქალღმერთ ჰატორის სახელზე ააგო უზარმაზარი ტაძარი. შემდეგ საუკუნეებში სხვადასხვა ფარაონებმა ტაძარი უფრო გააღიღეს და გადააკეთეს. ტაძარში იღვა ბრინჯაოსა და ოქროსაგან ჩამოსხმული ჰატორის ქანდაკებები.



ქალღმერთ ჰატორის ტაძრის უკანა კედლის ნაწილი.

„კატა აღამიანის მეგობარია; თავებს სპობს, თავები კი კირ-

ნახულს ანადგურებენ, მაშასადამე კატა პატივისცემის ღირსია“— ამბობდნენ ეგვიპტელები.

ჰეროდოტეს თქმით, როდესაც ეგვიპტელის სახლს ცეცხლი გაუჩნდებოდა, ყველაზე პირველად კატა უნდა გადაერჩინა; კატის დაღუპვა პატრონისათვის დიდ უბედურობას ნიშნავდა. თუ ვინმე განზრახ ან შემთხვევით მოკლავდა კატას, თვითონაც სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა. აღშფოთებული ხალხი მკვლელს ქუჩაში გამოათრევდა და მოკლავდა. ვინც ვაბედავდა და შეეცდებოდა განწირულის დაცვას, მასაც პირველის კვალს გაუყენებდნენ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მკვლელს გამოქომაგებიან და ერთი კატის მოკვლისათვის რამდენიმე კაცი დაღუპულა...

კატის მკვლელის ერთერთ ასეთ საჯაროდ დასჯას შემთხვევით დასწრებია ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი¹. მკვლელი ყოფილა ახალგაზრდა რომაელი, რომელსაც კარგად არ სცოდნია ეგვიპტელების ზნე-ჩვეულება, კატაც სრულიად შემთხვევით მოუკლავს და გაუფრთხილებლობის მსხვერპლი კი გამხდარა.

„...უბედური რომაელი ვერ იხსნა სიკვდილისაგან ვერც შეფე ფტოლომეიმ და ვერც რომის წინაშე შიშმა“—დასძენს დიოდორე.

თუ კატა თავისი დღით მოკვდებოდა, პატრონი ძაძას ჩაიცვამდა და ნიშნად უღრმესი მწუხარებისა წარბებს გაიპარსავდა. ასევე იქცეოდნენ ოჯახის წევრებიც. ნათესავები და მეგობრები მოდიოდნენ და „ჭირისუფალს“ თანაგრძნობას უცხადებდნენ.

აკეთებდნენ მკვდარი კატის მუმიას და ათავსებდნენ პატარა სარკოფაგში. ამის შემდეგ კატის მუმიას აგზავნიდნენ ქალაქ ბუბასთში. მხოლოდ ამ ქალაქში შეიძლებოდა კატის დამარხვა, როგორც ხარის ჰაპისისა ქალაქ მემფისში.

რასაკვირველია, ქურუმები კატასა და სხვა ცხოველებს ღმერთებად არ თვლიდნენ, ისინი იმ დროისათვის საკმაოდ განვითარებულნი იყვნენ, რომ არ ჩაედინათ ასეთი უაზრობა, და თუ ამას მაინც ჩადიოდნენ, მხოლოდ იმისათვის, რომ ხალხის გონება დაეჩლუნგებინათ და ცრუმორწმუნეობის ბრქვალეებში ჰყოლოდათ, რაც მათთვის და ფარაონებისათვის ხელსაყრელი იყო.

ახლა კი ვავეცნოთ ერთ საინტერესო ამბავს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქალაქ თებეში დაახლოებით იმ ხანაში, როდესაც ჩვენ ოცნებით ვიმოგზაურეთ.

¹ დიოდორე სიცილიელმა იმოგზაურა ეგვიპტეში 32 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

შაკაონის საუნჯე და ხეობთმოძღვრის საიდუმლოება

სამიათას ას ოცდაათი წლის წინათ ქალაქ თებეში ცხოვრობდა ფარაონი რამესუ მეხუთე¹. ამ ფარაონმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი თავისი აურაცხელი სიმდიდრით და სიძუნწით. თუ თებეს სხვა ფარაონებს (მეფეებს) საცხოვრებლად მდინარე ნილოსის მარჯვენა ნაპირზე — „ცოცხალთა ქალაქში“ — სასახლეები ჰქონდათ აგებული, რამესუს საცხოვრებლად ნილოსის მარცხენა ნაპირი ჰქონდა არჩეული და „მკვდართა ქალაქში“ იყო დასახლებული თავისი ცოლშვილით. აქ ჰქონდა მას აგებული საარაკო სიდიდის სასახლე-ტაძარი. სასახლის ქვეშ კლდეში უზარმაზარი ტაძარი იყო გამოკვეთილი. ტაძარი სამი დიდი დარბაზისაგან შედგებოდა, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულებას ემსახურებოდნენ. პირველ დარბაზში იდგა კერპების ოქროსა და ბრინჯაოს ქანდაკებები. ამ დარბაზში ფარაონი ყოველდღიურად, მზის ამოსვლისა და ჩასვლის ჟამს, ლოკულობდა და სწირავდა მსხვერპლს თავის ღმერთებს. მეორე დარბაზში იდგა ბრილიანტებით მოჭედილი ორი ოქროს სარკოფაგი — ერთი ფარაონისათვის, მეორე მისი მეუღლისათვის; მესამე დარბაზში კი ინახავდა თავის აურაცხელ სიმდიდრეს: ოქრო-ვერცხლს, ბრილიანტს, მარ-

¹ ფარაონ რამესუ მეხუთეს საუნჯის ამბავი პირველად ჰეროდოტემ აღწერა, შემდგომ სხვა ისტორიკოსებს მოყავდათ აღნიშნული ამბავი, ზოგს უმნიშვნელო ცვლილებებით, ზოგს კი უფრო ფართოდ ჰქონდა აღწერილი.

ყველაზე უფრო პოპულარულად ეს ამბავი მოთხრობილი აქვს ცნობილ ეგვიპტოლოგს კარლ ოპელს. მაგრამ როგორც ოპელის, ისე სხვების შრომებში მთავარი ადგილი აქვს დათმობილი სუეეტის გადმოცემას, ხოლო მოქმედ პირთა დახასიათებას, მათი შინაგანი სამყაროს გამომხეურებას ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული, რაც, რასაკვირველია, ამბავს დამაჯერებლობის ტონს უკარგავს და მკითხველში შესაფერ ეფექტს ვერ იწვევს. ამბავი კი არსებითად ფსიქოლოგიურია.

„ფარაონის საუნჯისა და ხეობთმოძღვრის საიდუმლოების“ დაწერის დროს ძირითადად ვისარგებლე ჰეროდოტესა და კარლ ოპელის შრომებით. მოქმედ პირთა სახელებიც უკანასკნელისაგან მაქვს ნასესხები

გალიტს, მხატვრულად შესრულებულ ძვირფას ნივთებს, იარაღებს და სხვა. ასეთი იყო მიწისქვეშა ტაძრის დანიშნულება. ზევით, სასახლეში, ცხოვრობდა ფარაონი თავისი ცოლშვილით და იქვე იღებდა თავის ვეზირებს. სასახლის კარები, რომელიც აღმოსავლეთი-საკენ ჰქონდა გაკეთებული, მთლიანად ოქროსაგან იყო ჩამოსხმული და ძვირფასი ქვებით მოჭედილი. დღისით კარები წითელ-ყვითლად ელვარებდა და მისი ქვები პატარა ვარსკვლავებით ბრწყინავდა. სასახლის შესავლიდან იწყებოდა თოვლივით თეთრი სფინქსების გრძელი ხეივანი. ხეივნის ბოლოს მარჯვნივ და მარცხნივ აღმართულიყო წითელი გრანიტის მაღალი ობელისკები, რომელთა თავები ოქროს პატარა პირამიდებით იყო შემკობილი. სარკესავით გაკრიალეებული ობელისკების კედელზე ამოჭრილი იყო ჰიეროგლიფები, რომლებიც მნახველებს მოუთხრობდნენ, როდის იყო აგებული სასახლე-ტაძარი და რომელ ფარაონს ეკუთვნოდა. ობელისკებს შუა მოთავსებული იყო რამესუს ვეება ქანდაკება, მარჯვენა ობელისკის გვერდით კი მისი მეუღლის ქანდაკება. ორივე ქანდაკება გამოკვეთილი იყო მშვენიერი ვარდისფერი ქვისაგან. ობელისკების ბოლოს მოჩანდა ხელოვნურად გაკეთებული ტბა, რომლის ნაპირები აფერადებული იყო მრავალნაირი ტროპიკული მცენარეულობით, პაპირუსებთან და ლოტოსის ყვავილებით. ტბა ფართო არხით იყო შეერთებული მდინარე ნილოსთან. ამ არხით სარგებლობდა ფარაონი „ცოცხალთა ქალაქში“ გასამგზავრებლად.

ფარაონს აუარებელი შემოსავალი წყარო ჰქონდა. ერთის მხრივ, შინაური შემოსავალი (გარდა სახელმწიფო გადასახადების აკრეფისა, ეგვიპტელებს ათიათასობით ამუშავებდა მალაროებში და მიწის წიაღიდან იღებდა ძვირფას ლითონებსა და ქვებს), მეორე მხრივ—დაპყრობილ ქვეყნებიდან ყოველწლიურად დიდი ხარკი შემოჰქონდათ. ხარკი უნდა მოეტანათ ოქროთი, ზოდებად ჩამოსხმული და წონით ჩაებარებინათ. ფარაონი მიღებულ ოქროდან ნაწილს ზოდებად ინახავდა, ნაწილისაგან კი აკეთებდა სხვადასხვა ძვირფას ნივთს, ბეჭედებს, ფულებს (იმ დროს ეგვიპტეში ოქროს ბეჭედებს ფულის მაგივრად ხმარობდნენ): იმის მაგივრად, რომ ეს აურაცხელი სიმდიდრე ქვეყნის სასარგებლოდ მოეხმარა, რამესუს ტაძრის დარბაზში ინახავდა და თავისუფალ დროს მათი ცქერით ტკებებოდა.

ხაღზმა თანდათან შეიძულა ხარბი ფარაონი და მეტსახელად „ძუნწი ფარაონი“ დაარქვა.

დრო გადიოდა, განძს განძი ემატებოდა, ერთ მშვენიერ დღეს ფარაონმა დაინახა, რომ დარბაზში განძი აღარ ეტეოდა. მან გადა-

წყვიტა ახალი, დიდი განძთსაფარის აგება. გადაწყვეტილების შესრულება თავის სახელგანთქმულ ხუროთმოძღვარს დაავალა. ხუროთმოძღვარმა შეადგინა გეგმა და შეუდგა ფარაონის საუნჯისათვის განძთსაფარის აგებას. შენობის აგებაზე ყოველდღიურად ხუთთათასი კაცი მუშაობდა და იძულების წესით ხალხს რიგრიგობით ამუშავებდა, საკვებად კი პურისა და ხახვის მეტს არაფერს აძლევდა. კვირაში ერთხელ გირვანჯა მუხუდოს და ცოტაოდენ ზეთს თუ გაიმეტებდა, ესეც დიდი საქმე იყო.

ერთი წლის შემდეგ ხალხის ოფლითა და სისხლით ახალი განძთსაფარის აგება დამთავრდა. განძთსაფარი ერთი უზარმაზარი გრძელი დარბაზისაგან შედგებოდა, რომლის ერთი კედელი ფარაონის, სასახლის ჩრდილოეთის კედელთან იყო შეერთებული, სადაც შესავალი ჰქონდა გაგებებული. სხვა მხრიდან არც კარები ჰქონდა და არც ფანჯრები. გარშემო კედლების მეტი არაფერი მოჩანდა. სახურავიც უზარმაზარი ქვებით იყო გადახურული. ერთადერთი შესავალი, რომელიც სასახლეს კედლიდან ჰქონდა გაკეთებული, რკინის ხუთი კარისაგან შედგებოდა. ყოველ კარს საკუთარი გასაღები ჰქონდა. მისი კედლების ქვები ორ-ორი კუბიკური მეტრის მოცულობისა იყო და ერთმანეთთან შედუღებული. კედლების ზედაპირი ფერადი გრანიტით იყო დაფარული და სარკესავით გაკრიალებული. გარეკანზე ამოჭრილი იყო ჰიეროგლიფები და ღმერთების სურათები. სურათები დაფარული იყო ძვირფასი საღებავებით. ფარაონს თავისი ახალი განძთსაფარი ძალიან მოეწონა და ხუროთმოძღვარი უხვად დააჯილდოვა. მეორედღეს მთელი თავისი საუნჯეაახალ განძთსაფარში გადაიტანა.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე წელი. ერთხელ ხუროთმოძღვარს უბედურება დაატყდა თავს: ერთერთი შენობის აგების დროს ჩამოვარდნილმა ლოდმა ორივე ფეხი დაუშავა და ლოგინად ჩაავდო. მოხუცმა ხუროთმოძღვარმა იგრძნო, რომ მისი სიცოცხლის წუთები დათვლილია, იგრძნო, რომ დგებოდა ჟამი „ოზირისის სამეფოში გამგზავრებისა—მარადიული სიცოცხლისათვის“. სიკვდილის წინ მოიხმო თავისი ვაჟები ფთავმაი და ფეთიზი, ცოლს კი სთხოვა: მცირე ხანს მარტო დამტოვე შეილებთანო.

— ძვირფასო შეილებო ფთავმაი და ფეთიზ!—მიმართა მომაკვდავმა თავის შეილებს, როცა ისინი მარტო დარჩნენ.—მე ვგრძნობ, რომ სიკვდილი მიახლოვდება და ჩქარა დაგტოვებთ... დადგა დრო წარვდგე ოზირისის სამსჯავროს წინაშე... მაგრამ სიკვდილის წინ

მინდა ერთი საიდუმლოება გაგაცნოთ, საიდუმლოება, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ მე ვინახავდი...

ძმებმა ყურები ცქციტეს და ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს. რომ ნათქვამი კარგად გაეგოთ მამასთან უფრო ახლოს მიიწიეს. მოხუცმა ხმა დაიდაბლა.—თქვენ იცით, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ფარაონს საუნჯის შესანახავად განდთსაფარი ავუგე... სხვების. შეუმჩნევლად მას საიდუმლო შესავალი გაუჟკეთე... მაგრამ, იცოდეთ, მე ხოთ არასოდეს არ მისარგებლია. თუ თქვენ ოდესმე უმწევო მდგომარეობაში ჩავარდეთ და თქვენი მოსიყვარულე დედა გაჭირვებული დაინახოთ, მაშინ შედით განდთსაფარში და გამოიტანეთ იმდენი, რამდენიც თქვენთვის საჭირო იყოს...

მოხუცი შეჩერდა და ჩაფიქრდა. ეტყობოდა, საიდუმლოების გამოძიება უშიძიდა: ვაითუ ამით შეილები დავლუბო, გაიფიქრა. შეილები კი მოუთმენლად უცდიდნენ, თუ კიდევ რას იტყოდა მათი მამა. განსაკუთრებით მოუთმენლობას იჩენდა უმცროსი ძმა—ფეთიზი. ის გაბრწყინებული თვალებით, სმენაგამახვილებული შეჰყურებდა მამის ტუჩებს. უკანასკნელი კი ღუმიდა.

— მამა, თქვი, გეთაყვა, საიდუმლო შესავალი...—მოაგონა ფეთიზმა. მოხუცი გამოერკვა და დაიწყო:

— ჩრდილოეთის მხრით განდთსაფარის კედელზე შუა ადგილას არის დახატული ოზირისის სამეფო ტახტზე. ოზირისის უკან დგას იზიდა, იზიდას გვერდით კი მისი და, მშვენიერი ნებიფი. საკმარისია დააწვე ნებიფის მარცხენა ფეხს, რომ ლოდი, რომელზედაც ეს სამი ღვთაებაა განსახიერებული, შემოტრიალდეს. ეს ლოდი ღერძზე არის დადგმული და იგი თავისუფლად და უხმოდ ტრიალებს, თუმცა ას ფუთს იწონის. დახურვის დროს დააწვეით ოზირისის ტახტის მარჯვენა ფეხს,—და ლოდი თავის ადგილას დაბრუნდება. მხოლოდ გახსოვდეთ, როგორც გითხარით, განდთსაფარში შედით უკიდურეს შემთხვევაში. ახლა კი მომიხმეთ დედათქვენი...

ლამით მოხუცი ხუროთმოძღვარი გარდაიცვალა.

ფეთიზმა მთელი ღამე მოუსვენრად გაატარა. ერთ ადგილას ვერ დგებოდა, ოთახებში დაბოროილობდა, ხელებს უცნაურად შლიდა და თავისთავს ელაპარაკებოდა. იქნებ მკითხველს ჰგონია, რომ ფეთიზი მამის დაკარგვას დარდობდა? არა, ფეთიზს სხვა რამ აწუხებდა. მისი ოცნება ფარაონის სასახლეს დასტრიალებდა თავს. საუნჯის ხელში ჩაგდების სურვილი მოთმინებას უკარგავდა და გულს უწყალებდა, ოჰ, რარიგად უნდოდა წასულიყო და მამის ნათქვამი

შემოწმებინა, საკუთარი თვალთ ენახა ის მშვენიერი ქვა, ბედნიერების გასაღები. მაგრამ რა იცოდა საბრალომ, რომ ის ქვა მისთვის ერთი წლის შემდეგ საბედისწერო გახდებოდა...

სახლში გული არ დაუდგა, დედის ტირილს ვეღარ გაუძლო, გარეთ გამოვიდა. ნათელი და მშვენიერი ღამე იყო. ეგვიპტის მარადიულად მოწმენდილი ციდან პირბადრი მთვარე ოქროსფერ მიწას უხვად უგზავნიდა მზისაგან მოტაცებულ სხივებს. ჰაერში აკაციისა და ლოტოსის საამური სუნი ტრიალებდა. შორიდან ნიავს ნილოსის ნელი ხმაური მოჰქონდა. ეს ხმაური ადამიანს ყურში დედის ნანასავით ჩასჩურჩულებდა, სმენას ატკბობდა, და ეალერსებოდა.

— ოჰ, რა მშვენიერი ღამეა! — აღმოხდა უნებლიედ ფეთიზს. ნილოსის ხმაურს ყური მოჰკრა და მისკენ მძიმე ნაბიჯით გაემართა, თითქოს ნილოსისაგან მოელოდა აფორიაქებული გონების დაწყნარებას და სულის სიმშვიდის დაბრუნებას. ახლოს მივიდა, ჯებირს იქით გადაიხედა. ნილოსი ვერცხლის გველეშაპივით მიიკლაკნებოდა და თეთრ ზვირთებს მიაგორებდა. ხანდახან ნილოსი დაიქშინებდა, თავის მძლავრ ტალღებს ჯებირს შემოსტყორცნიდა. მთვარის შუქზე მისი ტალღები ჰაერში მარგალიტებივით იფრქვეოდა, დაბლა ეშვებოდა და მდინარეს ქოჩორს უყენებდა... ფეთიზმა მოპირდაპირედ მხარეს გააგოლა თვალი და უზარმაზარ ტაძრებს შორის ფარაონის მალალი სასახლე ადვილად მოძებნა.

— აი, იქ, იმ სასახლის კალთებთან, იფარება ფარაონის საუნჯე, რომელსაც ჩქარა მე დავეპატრონები... ფარაონი კი ვერ გაიგებს, ვინ მოსტაცა საუნჯე... ხა-ხა-ხა! ძუნწს ცხვირწინ საუნჯე უნდა ავართვა! რა ბედნიერი კაცი გავხდები, რა ბედნიერი!

აღტაცებულმა ფეთიზმა ტაში შემოკრა და გამოერკვა. შეშინებულმა იქით-აქით მიმოიხედა, ყურს ხომ არაფინმიგდებდა. აფორიაქებული გონების დასამშვიდებლად ჯებირს აჩქარებული ნაბიჯით გაჰყვა. ოცნებაში გართულმა მთელი ღამე ნილოსის ნაპირზე გაატარა. დილით ნავი დაიქირავა, მეორე ნაპირზე გადავიდა და ფარაონის სასახლისკენ გაემართა. გულმა აღარ მოუთმინა, დარბაზის ნახვა მოინდომა. სასახლე ნაპირიდან ორი კილომეტრით იყო დაშორებული. „მკვდართა ქალაქს“ გამოედგინა და ხმაურობდა. ქურუმებს ტაძრების კარები გაეღოთ და ამომავალ მზეს გალობითა და არფენის დაკვრით ესალმებოდნენ და აღიდებდნენ. ფეთიზი ცდილობდა შეუმჩნეველად გაეგლო და ტაძრებს მოხერხებულად გვერდს უგლიდა. როგორც იქნა, მიადწია სანატრელ ადგილს. სასახლეს ჩრდილოეთის მხრით შემოუარა და გრძელ ოფხკუთხედ შენობას წააწყდა. „აი, ეს

არის, ეს! იქ იფარება ბედნიერების წყარო!“ — ჩაილაპარაკა გახარებული და კედელი ხარბი თვალთ შეათვალიერა. შუა კედელზე ოზირისი დაინახა, მის უკან იდგა იზიდა, შემდეგ კი ნებიფი. სწორედ ისე, როგორც მამამ აუხსნა... როგორ მოიქცეს, ახლოს მივიდეს? ხელით შეეხოს? რომ მცველებმა დაინახონ? მაგრამ ჩქარა შეამჩნია, რომ ქვა საკმაოდ მაღლა იყო გაკეთებული, ადამიანს მისაწვდომად კიბე უნდა მიეშველებინა. ფეთიზი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ მივიდა და კედლის კუთხიდან ნაბიჯების გადათვლა დაიწყო. შუა ადგილამდის ოცდათორმეტი გამოუვიდა. რომ არ შემოლოდა, კვლავ გადათვალა და კვლავ იმდენივე მიიღო. დიდხანს უტრიალებდა შენობას გარშემო, ადგილმდებარეობას ათვალიერებდა. უნდოდა გაეგო, საიდან შეიძლებოდა მოხერხებულად მისვლა, რომ არავის შეემჩნია. შინ კმაყოფილი დაბრუნდა...

მეორე დღეს ფთავმაიმ მამის ცხედარი „მკვდართა ქალაქში“ წაასვენა, რომ იქ ერთერთი ტაძრის სახელოსნოში მიებარებინა ხელოვნურად გამოსაშრობად — მუმიის დასამზადებლად, რათა განსუფთვებული „ოზირისის სამეფოში მარადიულად ეცოცხლა“.

ფთავმაიმ მამის გვამი მიაბარა სახელოსნოში და მუმიის დამზადება შეუკვეთა, თან ბედ ხუთი ოქროს ბეჭედი დაუტოვა. ხუთი კიდევ დამზადების შემდეგ უნდა გადაეხალა. ხუროთმოძღვრის მუმიოპო, როგორც წარჩინებული პირის, განსაკუთრებულად უნდა დაემზადებინათ და ამიტომ ძალიან ძვირი ჯდებოდა.

იქიდან ფთავმაიმ მეორე სახელოსნოში შეიარა და მამისათვის სარკოფაგი შეუკვეთა. შინისკენ რომ მიდიოდა, გზაში ფეთიზი შემოხვდა. გაუკვირდა: ამას აქ რა უნდაო. მაგრამ არაფერი უთხრა. რა იცოდა, რომ მისი ძმა ფარაონის განძთსაფარის სანახავად მეორედ იყო მოსული.

პიკვილი ნაბიჯი

ფეთიზს მეტი გზა არ ჰქონდა, მამის დასაფლავებამდე უნდა მოეცადა და შემდეგ ეცადა ბუდი. მაგრამ უნდა მოეცადა არა რალს ორი-სამი დღე, როგორც, მაგალითად, ჩვენში ვიცით, არამედ სამოცდაათი დღე. ოჰ, ფეთიზისათვის ეს სამოცდაათი წელი ძყო. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ მით კმაყოფილდებოდა, რომ ყოველდღიურად დადიოდა საახლესთან და სანატრელ ქვას საათობით შეჰყურებდა ხარბი თვალთ.

მთელი დღეები ფიქრობდა მოცულნი დაიარებოდა, სამუშაოზე გული აიყარა და თითქმის არაფერს აკეთებდა. როგორც ფეთიზი, ისე

ფთავამი მამის პროფესიას მისდევდნენ და ხუროთმოძღვრები იყვნენ. საერთოდ, ეგვიპტელებს ჩვეულებად ჰქონდათ შვილს მამის ხელობა შეესწავლა!

დელასა და ძმას ეგონათ, ფეთიზი მამის დაკარგვას დარდობსო და თანაგრძნობით ეკიდებოდნენ.

როგორც იქნა, ხუროთმოძღვრის დასაფლავების დღეც დადგა, იმ დღეს ყველაზე უფრო ფეთიზი მოძრაობდა: ხან აქ ეცემოდა საქმეს და ხან იქ. ძმას ხელიდან ართმევდა საქმეს და თვითონ აკეთებდა. მაგრამ ვაი იმ გაკეთებას, ერთ საქმეს დაიწყებდა, არ დაამთავრებდა და მეორეზე გადადიოდა. მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებდა, მაგრამ არსებითად არაფერს აკეთებდა და ფთავამის მხოლოდ ხელს უშლიდა. ან რა უნდა გაეკეთებინა, როდესაც მისი აფორიაქებული გონება სხვაგან ქროდა.

ფთავამის მამისათვის ძვირფასი სარკოფაგი შეეკვთა. სარკოფაგი შავი გრანიტისაგან იყო გამოკვეთილი და მისი ზედაპირი სარკესავით იყო გაკრიალებული. სახურავზე განსვენებულის პორტრეტი იყო ამოჭრილი და ძვირფასი ფერებით შეღებილი. სარკოფაგის კედლებს სხვადასხვა სურათი ამშვენებდა.

ფარაონს უკანასკნელად ერთხელ კიდევ გახსენებოდა თავისი ხუროთმოძღვარი და მისთვის უჩვეულო გულუხვობა გამოეჩინა: მუმიის მოსართავად ოქროს სამკაულები გამოეგზავნა და თან ასი ოქროს ბეჭედი გამოეტანებინა. ოქროს სამკაულები, რასაკვირველია, როგორც წესი იყო, მუმიას სარკოფაგში თან ჩაატანეს, ბეჭდები კი სახარჯოდ დაიტოვეს.

როდესაც ყოველივე მზად იყო, ხუროთმოძღვრის მუმია ნათესავებისა და მეგობრების თანხლებით „მკვდართა ქალაქის“ მიმართულებით წაასვენეს.

პროცესია მდინარე ნილოსის ნაპირას შეჩერდა, სადაც მათ უკვე უცდიდა ხუთი მსაჯული და მრავალი მოქალაქე. სარკოფაგი მსაჯულების წინ დაასვენეს, უკან კი ჭირისუფალნი დაუდგნენ. უფროსმა მსაჯულმა სიტყვა წარმოთქვა, მოკლედ დაახასიათა განსვენებული, ბოლოს ჩვეულებრივი შეკითხვით მიმართა იქ მყოფთ:

— ვისაც რაიმე საჩივარი აქვს ხუროთმოძღვარზე, გამოდით და მოახსენეთ სასამართლოს.

ხალხმა ერთმანეთს გადახედა, უნდოდათ გაეგოთ, ხომ არავინ აპირებდა რაიმე ბრალდებით გასვლას. ძმები სულგანაბლუნი უცდიდნენ საქმის დაბოლოებას. განსაკუთრებით ღელავდა ხუროთმოძღვრის ქვრივი, ყოველი მოძრაობა მასში წარმოუდგენელ შიშს იწ-

ვევდა. საბრალოს ეგონა, აი, აგერ გამოვა ვინმე და რაიმე ბრალდებას წამოაყენებსო. მაგრამ მისი შიში უსაფუძვლო იყო, ხალხი დუმდა და როგორც ეტყობოდა, არავინ აპირებდა სასამართლოს წინაშე გამოსვლას.

— ფთავმაი, მგონი, კარგად მიდის საქმე, — გადაულაპარაკა დაბალი ხმით ძმას ფეთიზმა, გულში კი გაიფიქრა: მაგათ რომ იცოდნენ, რომ მამას საიდუმლო შესავალი აქვს გაკეთებული ფარაონის განძთსაფარში, მაშინ ვაი ჩვენი ბრალიო.

მსაჯული განმეორებით შეეკითხა ხალხს:

— არავის აქვს საჩივარი განსვენებულზე?

— არავის! — წამოიძახა ერთმა, — მაგისტანა სათნო და გულკეთილი კაცი თებეში მეორე არ მოიპოვება, ეგ პატიოსნების განსახიერება იყო!

— ცამდის მართალი კაცი იყო! — დაუმატა მეორემ.

— სწორეა, სწორე! — ძალაუნებურად დაემოწმნენ მათ სხვები.

თავდახრილი ფეთიზი თუმცა მოლაპარაკეთ ვერ ხედავდა, მაგრამ პირველი ხმაზე იცნო, სკოლის მეგობარი იყო, ხოლო მეორე — უცნობი.

— ფთავმაი, შენ ხომ არ იცი, მეორე ვინ არის?

— არა, მაგრამ ვინც უნდა იყოს, კარგი სამსახური გაგვიწია. გაიგე ვინ არის და ორივეს გულუხვად გაუმასპინძლდი. — დაარიგა ფთავმაიმ.

ამასობაში უფროსი მსაჯული ძირს ჩამოვიდა და სხვა მსაჯულებთან ჩუმი ხმით გამართა თათბირი. ფეთიზმა სმენა გაიმახვილა და კისერიც წაიგრძელა, მაგრამ ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგონა, თუმცა მათთან ძალიან ახლოს იდგა.

როცა მსაჯულმა გამოაცხადა, ხუროთმოძღვარი უცოდვილოა და შეიძლება მისი დასაფლავებაო, გახარებული დედა-შვილი ერთმანეთს გადაეხვივნენ. ნათესაებმა ხუროთმოძღვრის სარკოფაგი ლიბიის მთებისაკენ წაასვენეს, სადაც მას გამზადებული აკლდამა უცდიდა. პროცესიას ქურუმები მიუძღვოდნენ.

ფთავმაის მამისათვის კარგი აკლდამა დაემზადებინა და მდიდრულად მოერთო.

დასაფლავების ცერემონიის დამთავრების შემდეგ აკლდამის კარები მაგრად დაკეტეს და შინისაკენ წამოვიდნენ.

ფთავმაიმ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ფეთიზი მათთან არ იყო. „ნეტავ სად წავიდა? ამ ბოლო დროს ძალიან უცნაურად იქცევა, მუდამ სადღაც ვარბის, შეკითხვაზე პასუხს დაგვიანებით მაძლევს,

ძილშიაც შეფოთავს... ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა საწყალი ჩემო ძმის თავზე? — ფიქრობდა დაღონებული ფთავმაი. მაგრამ სად იყო ფეთიზი? როდესაც ხუთოთმოდღვარს ასაფლავებდნენ, ფეთიზმა მამის სასაფლაოს გვერდით ერთი უბატრონოდ მიტოვებული აკლდამა შეამჩნია, რომელსაც კარები ჩამოვარდნოდა და იქვე ეგდო. რატომღაც დაინტერესდა და შიგნით შევიდა. იატაკზე მაგიდისა და გრძელი სკამების ნამტვრევები ეყარა. „ეს კარგია, გამოჩადგება, ამით ჩინებული კიბე გაკეთდება“, — გაიფიქრა და გარეთ გამოვიდა. სადილობის დროს მამის აკლდამიდან შეუმჩნევლად გამოვიდა და „ცოცხალთა ქალაქისაკენ“ გაეშურა, იქ იყო და მახვილი და მაშუქა და ისევ უკან დაბრუნდა. მოფარებულ ადგილას დაიცადა, როცა ყველა წავიდნენ, წელან დათვალიერებულ აკლდამაში შევიდა და სკამებისა და მაგიდების ფიცრებისაგან სახელდახელოდ კიბე გააკეთა. ყველაფერი მზად იყო, მხოლოდ დაღამებას უცდიდა, რომ განძთსაფარზე იერიში მიეტანა. მეტი მოთმენა აღარ შეეძლო, დღეს უნდა ეცადა თავისი ბედი...

როგორც კი ქვეყანა სიბნელემ მოიცვა, ფეთიზმა მახვილი წელზე შეიბა, გული გაიმაგრა, კიბე ხელში აიღო და გარეთ გამოვიდა. მაგრამ იმავ წამს შეშინებული უკან შევარდა, კიბე დააგდო და მახვილი გაიძრო. ფეთიზის თავშესაფარს ორი ადამიანის ლანდი უახლოვდებოდა. სულგანაბული და მოულოდნელობით დაბნეული ფეთიზი მახვილამოწვილილი უცდიდა დაუბატიყებელ სტუმრებს და გონებას იკრებდა. აი, ლანდები კიდევ მოახლოვდნენ, აშკარად მოესმა მათი ფეხის ხმა. საფართან შეჩერდნენ.

— მგონი, მოვედით, — დაიწყო ერთმა, — აი, ცარიელი აკლდამის ჩამოვარდნილი კარები, ამის გვერდით კი ხუროთმოძღვრის სასაფლაო უნდა იყოს, არა?

— სწორეა. წელან ეს ადგილი აღვნიშნე, რომ უფრო კარგად მიგვეგნო, — უთხრა მეორემ.

— ამბობენ, ფარაონს ხუროთმოძღვრისათვის უამრავი ოქროს სამკაული გამოუგზავნია, ძვირფასი ქვებით მოჭედდები, — დაიწყო ისევ პირველმა ხმამ.

— მაშ დღეს, როგორც ეტყობა, დიდი ნადავლით წავალთ, არა? — გამოეხმაურა მეორე.

— რასაკვირველია, მხოლოდ ჩქარა უნდა ვიმოქმედოთ, რომ გათენებამ არ მოგვისწროს.

ფეთიზი თანდათან გაერკვა მდგომარეობაში. მისთვის აშკარად გახდა, რომ უცნობი პირნი ღამის ყაჩაღები იყვნენ და მისი მამის სარკოფაგის გასაძარცვად მოსულნი. დაყოვნება არ შეიძლებოდა, მძარცველები რკინის კეტებს აკლდამის კარებთან გულმოდგინედ ამოძრავებდნენ. განიზრახა მძარცველებზე უეცარი თავდასხმა, რომ ამ გზით მამის სარკოფაგიც გადაერჩინა და თავისი თავიც. აღელვებულმა გადადგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, სიბნელეში კიბეს ფეხი წამოსდო, წაბოროძიკდა და დაეცა. ხმაურზე მძარცველებმა უცბად შეაჩერეს მუშაობა და ყურები ცქვიტეს.

— ნეტავ რა უნდა იყოს?— მოისმა სიბნელიდან ხმა.

— აბა, რა ვიცი,— უპასუხა მეორე ხმამ,— შეიძლება ვერაფერი სუქია ¹ სადმე თავშეფარებული და მოხერხებულ დროს ეძებს, რომ თავისი საშინელი კბილები ჩვენზე სინჯოს!

— ო, დაგვიფაროს ოზირისმა და იზიღამ ამ საშინელებისაგან, მაგრამ სუქის აქ რა უნდა, იგი იაროს ნაპირებს არ შორდება... ალბათ, ქვა თუ ჩამოვარდა...

ამის შემდეგ ლაპარაკი შეწყდა, აღარც მუშაობის ხმაური ისმოდა, ეტყობოდა, სიფრთხილეს მძარცველები არ დაუტოვებია. ცოტა ხნის შემდეგ სიბნელიდან კვლავ ხმა მოისმა: მაშუქას ² მოუკიდე, შიგნით შევიხედოთ, ენახოთ, რა მოხდა. ფეთიზი შეკრთა. სიტყვა „შიგნით შევიხედოთ“ მის საფარს შეეხებოდა. კედელს გაეკვრა და მახვილმართული მოემზადა საბრძოლველად, ჩქარა ფეხის ხმაც მოესმა. ჯერ მკრთალი სინათლე გამოჩნდა, მერე ადამიანის გრძელი ჩრდილი წამოწვა და... ფეთიზს ახლა მხოლოდ გამბედაობა თუ იხსნის სიკვდილისაგან. ელვის სისწრაფით გადახტა სინათლისაკენ და მოწინავეს თავზე მახვილი მძლავრად დაუშვა. მძარცველმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, მის ფეხებთან ჩაიკეცა. მეორე მძარცველმა კი რა ამ საზარელ სურათს თვალი შეავლო, მაშუქა გააგდო და თავპირის მტვრევით თავქვე დაეშვა. ფეთიზი მსხვერპლს გადაახტა

¹ სუქი ეგვიპტურად ნიანგს ჰქვია.

² იმ დროს ეგვიპტელები ხმარობდნენ მინებიან ფარნებს, ანუ მაშუქას, საწვავ მასალად სურნელოვან ზეთს იყენებდნენ. ზეთი ჩასხმული იყო ფარნის რკინის ან ვერცხლის კოლოფში, რომელშიც ჩაშვებული იყო ბამბის პატრუქი. პატრუქი მიმავრებული იყო კოლოფის ყელთან. სურვილისამებრ შეიძლებოდა მისი აწვევ-დაწვევ. დღესასწაულებზე ფარნებს ფერად მინებს უკეთებდნენ და ღამით ქალაქების ქუჩებს აფერადებდნენ.

და გაქცეულს დაედევნა, მაგრამ იგი სიბნელეში სადღაც გაქრა და მისი ძებნა უკვე უაზრობა იყო და საშიშიც. სწრაფად დაბრუნდა უკან. მაშუქა ბალახებში ოდნავ ბუუტავდა. თავგაპობილი მძარცველი იქვე ეგდო უსულოდ. მაშუქა ჩააქრო, თავის საფარში შეიტანა და კიბეც ქვების უკან დამალა. შემდეგ იქვე წამოწვა და გონება-აფორიაქებულმა გათენებას დაუწყო მოლოდინი. გულში წყველა-კრულვას უგზავნიდა მძარცველებს, რომლებმაც დღევანდელი გეგმა ჩაუშალეს და შემთხვევით კაცის ძველი გახადეს.

ოცნააა თუ სინამდვილე?

ამ შემთხვევამ ფეთიზს სასელი გაუთქვა. მეორე დღეს მთელმა თებეს მოქალაქეებმა იცოდნენ ახალგაზრდა „გმირი“ ხუროთმოძღვრის თავგადასავალი. რასაკვირველია, შემთხვევას თავისებურად აზვიადებდნენ და ბევრ მოჭორილ ამბავსაც უმატებდნენ. ზოგმა სამი მძარცველი მოაკვლევინა, ზოგმა კიდევ ხუთი. თვით ფეთიზი ყველას არწმუნებდა, რომ მას სამი მძარცველი დაესხა თავს, როცა ის ღამით მამის აკლდამას ყარაულობდა. ერთი მოვკალ, ორი კი დაჭრილი გამექცა; ალბათ, ისინიც დაიხოცებიან, რადგან მძიმედ დაეჭვირო. ფეთიზს ნათქვამი დაუჯერეს. იმ დროს მდიდართა აკლდამების გაძარცვა ხშირი მოვლენა იყო და ამიტომ ღამლამობით მათ გუშავებს უყენებდნენ.

გახარებული დედა და ძმა მესაეჯერ ეკითხებოდნენ, როგორ გადაარჩინა მამის აკლდამა გაძარცვას და როგორ დაამარცხა მძარცველები, ფეთიზიც დაუხარებლად უამბობდა, ბევრს უმატებდა და თავის მოქმედებას აზვიადებდა. ყველას ეგონა, და მათ შორის დედასა და ძმასაც, რომ იმ ღამით ფეთიზი მამის აკლდამას ყარაულობდა. ნამდვილად კი, როგორც ვიცით, ფეთიზს ფიქრადაც არ მოსვლია ეს საქმე. მას ახლა საშუალება ეძლეოდა, რომ უფრო თავისუფლად ემოქმედა და თავისი გეგმა განეხორციელებინა. — სასახლის მცველებმა კიდევ რომ დამაპატიმრონ, თავს ადვილად გავიმართლებ, ვიტყვი: მძარცველები გამომექცნენ და იმათ ვეძებო.— ფიქრობდა იგი.

შუალამე იქნებოდა, როდესაც ფეთიზი კიბითა და მაშუქით ხელში ლიბიის მთებიდან ნელ-ნელა დაეშვა. სიფრთხილისათვის მაშუქა ჩამქრალი მოჭონდა, რომ სასახლის მცველების ყურადღება არ მიეპყრო. ტაძრები ჩუმად გამოიარა და ფარაონის სასახლეს მიუახლოვდა. ჩრდილოეთის მხრივ შემოუარა და ნაცნობი გრძელი შენობა დაინახა. მიწაზე წაწვა, ხოხვით მიუახლოვდა კედელს. წინასწარ დანიშნული ადგილი ადვილად მიაგნო. კიბე კედელზე მიადგა. ცოტახანს შეჩერდა და ყური დაუგდო. გარშემო სამარისებური სიჩუმე

იყო გამეფებული, არსაიდან ხმაური არ ისმოდა, გარდა საკუთარი გულისა, მკერდში აჩქარებულად რომ ცემდა. კიბეზე ნელნელა ავიდა და შეჩერდა. მღელვარება ვერ შეემარებინა. მთვარე დასავლეთით გადახრილიყო და სიბნელეში არათფერი მოჩანდა. საჭირო იყო მაშუქას ანთება, მაგრამ თითები არ ემორჩილებოდა, მაშუქას კარიც ჯიუტობდა და არ იღებოდა. როგორც იქნა, გაალო და აანთო. კედელს მიანათა და ოზირისის მკაცრ გამომეტყველებას წააწყდა, ვერ გაუძლო, თვალები ნებიფზე გადაიტანა და თან სინილისის დასამშვიდებლად ჩაილაპარაკა: „მე მხოლოდ მინდა შევხედო საუნჯეს და მეტი არათფერი“... აკანკალებული ხელით ნებიფის მარცხენა ფეხს დააწვა და უზარმაზარი ლოდი ადვილად და უხმოდ შემოტრიალდა. გახარებულმა ფეთიზმა თავი შიგნით შერგო. მაგრამ იქ არათფერი მოჩანდა, გარდა წყვილიადისა. ხერელში შევიდა და კიბეც თან აიტანა, შიგნით ჩაუშვა და თვითონაც ჩაჰყვა. უზარმაზარ დარბაზში მისი მაშუქა მკრთალად ანათებდა, კარგად არათფერი მოჩანდა. სვეტზე დიდი მაშუქა შეამჩნია. აანთო. რას ხედავს მისი თვალები! ოცნებაა თუ სინამდვილე?! მთელი დარბაზი სავსე იყო ოქრო-ვერცხლით და ძვირფასი ქვებით, მაგიდებზე უამრავი თვალმარგალიტი ელაგა, კაკლის სიმსხო ბრილიანტები პატარა ვარსკვლავებზევით ბრწყინავდა. მრავალი მაგიდა მოფენილი იყო ოქროს ნივთებით: ქამრები, საყელოები, სამაჯურები, თავმოსართავეები და სხვა მრავალი. ზოგიერთ მაგიდაზე ვერცხლის ვეება თასები იდგა ოქროს ბეჭდებით ავსებულნი. კუთხეში ყვითელი მთასავით ეწყო ოქროს ზოდები, მის გვერდით კი თეთრ მთასავით სპილოს ეშვები. სინათლის შუქზე დარბაზი მრავალ ფერად ეღვარებდა. ფეთიზს თავი სიზმარში ეგონა, საუნჯეს შორის გაოცებული დაიარებოდა. ზოგ ნივთს ხელში იღებდა, წონიდა, ასუფთავებდა და ისევ იმ ადგილას დებდა. ახლა სხვასთან მიდიოდა და ასე აჩრდილივით დაძრწოდა მაგიდებს შორის. უეცრად სიხარულმა აიტაცა, მოზღვავებული გრძნობები გულმა ველარ დაიტია და გარეთ გადმოიღვარა: ჯერ ატირდა, მერე ისტერიული სიცილი აუვარდა.

ხა-ხა-ხა! ვინა ვარ მე, ვინა?—ეკითხებოდა თავის თავს ფეთიზი, ნუთუ ფეთიზი ვარ, საბრალო ხუროთმოძღვრის შვილი?! არა, არა! მე ის ფეთიზი აღარა ვარ... მე ახლა ყველაზე უფრო მდიდარი კაცი ვარ, ყველაზე, თვით ფარაონზედაც კი! ყველაფერი ჩემია, ყველაფერი! ესეც ჩეჩია, ესეც, ესეც და... ამით კი დედას გავზახარებ!—ოქროს თავსართავმა ფეთიზი მოხიბლა. თავსართავს წინ ბრილიანტისაგან გამოთლილი ყელმოღერებული მტრედის თავი ამშვენებდა.

ფეთიზი მაგიდასთან ჩამოჯდა. სახეზე ბედნიერი ღიმილი უთა-

მშებდა, გაბრწყინებული თვალები ხსრბად შეჰყურებდა ძვირფასნივეთებს, რომლებიც თავისაკენ იზიდავდნენ. რომ დარწმუნებულიყო ეს სინამდვილეა და არა სიზმარიო, თითზე იკბინა, მაგრამ ტკივილი ვერ იგრძნო; აფორიაქებულ გონებას სხეულისათვის მგრძნობიარება წაერთმია.

ღამე შეუმჩნევლად გავიდა. საიდუმლო ხერხელიდან დილა ფეხაკრეფით შემოიპარა და ოცნებაში გართულ ჭაბუკს მოაგონა, რომ წასვლის დრო იყო. ფეთიზი გამოერკვა, შეშინებული წამოვარდა ფეხზე. კიბესთან მიიქრა და ხერხელში სწრაფად გაძვრა... მაგრამ გადასვლა ველარ ვაბედა. ვარედან ლაპარაკი შემოესმა. კედელთან თავი მოეყარათ გუშაგებს და რალაცაზე საუბრობდნენ. ფეთიზი ფრთხილად უკანვე გადმოძვრა და ხერხელი დაკეტა. მეტი გზა არ იყო, დაღამებამდის უნდა მოეცადა. ოქროს ზოდებს იქით კიბე დამალს და თვითონაც იქვე წამოწვა. ჩქარა ტბილად ჩათვლიდა...

რალაც ხმაურმა ძილი დაუფრთხო. გულგახეთქილმა ფეთიზმა თავი წამოყო და დაინახა, რომ დარბაზში ორი კაცი შემოვიდა. ორივე იცნო. პირველი ფარაონი იყო, მეორე—მისი ვეზირი. შემოსულნი გაოცებულნი შედგნენ. მათი ყურადღება მიიპყრო ანთებულმა მაშუქამ. ფეთიზს დავიწყებოდა მისი ჩაქრობა.

— ამენგოთეპ!—მიმართა ფარაონმა თავის ვეზირს,—თუ მეხსიერება არ მღალატობს, გუშინ, როცა დარბაზი დავტოვეთ, მგონი, ჩააქრე ეს მაშუქა, არა?

— დიად, დიდებულო შეფევე, წასვლის ჟამს ჩავაქრე, ეს კარგად მახსოვს.

— მაშ, ვის უნდა აენთო, მაშუქა თავისთავად ხომ არ აინთებოდა? ამენგოთეპმა ამაზე ვერაფერი უპასუხა, დარბაზს თვალი მიმოავლო და კუთხეში ოქროს ზოდებს დააკვირდა. ფეთიზი იატაკს უფრო გაეკრა და სუნთქვა შეწყვიტა. —დავიღუპე, მგონი, შემამჩნია“, გაიფიქრა მან. მაგრამ ამენგოთეპს არაფერი შეუმჩნევია, იგი მხოლოდ ცდილობდა მოეგონებინა, მაშუქა ჩააქრო თუ არა. ფარაონმა მაგილებს ჩამოუარა, ყველაფერი რიგზე ეწყო. ცოტა დამშვიდდა.

დარბაზში მსახურნი შემოვიდნენ და ოქროს ზოდები შემოიტანეს. ფეთიზს ბედმა გაუღიმა, ზოდები მეორე კუთხეში დააწყეს. ფარაონი მსახურთ თავზე ადგა და ხელებში შეჰყურებდა—არაფერი მომპარონო. დარბაზიდან ყველაზე ბოლოს ფარაონი გავიდა. რასაკვირველია, მაშუქას ჩაქრობა არ დაივიწყა. ფეთიზმა თავისუფლად ამოსუნთქა და ჭირის ოფლი მოიწმინდა. მთელი დღე მოუთმენლად გავ

ატარა, დაღამებას უცდიდა. წასვლისას გაბედა, რამდენიმე მუჭა ოქროს ბეჭდები ჯიბეში ჩაიყარა და ხვრელში გაძვრა.

ფეთიზმა სიფრთხილისათვის ღამე აკლდამაში გაატარა: ემინო-
და, გზაში სასახლის მცველები არ შეჰყროდნენ და მისი საიდუმლო-
ებისათვის ფარდა არ აეხადათ. დალილ-დაქანცული კუთხეში მოწყ-
ვეტით იჯდა და გონებას იკრებდა. თავი და მუხლები საშინლად
სტკიოდა; განვილი მღელვარებას თავისი კვალი დაემჩნია და სხეუ-
ლი მოეთენთა. მაშუქას შუქზე ბეჭდები გადათვალა, სამოცს ერთი
აკლდა. ბეჭდები სხვადასხვა წონისა და ზომისა იყო. მას უნდოდა
გამოენგარიშა, რადარა საგნის ყიდვა შეიძლებოდა ამ თანხით, მაგ-
რამ არაფერი გამოუვიდა, აზრი უწყდებოდა. რამდენიმე ბეჭედი
თითზე გაიკეთა და სინათლეზე შეათვალიერა. მერე ისევ ჯიბეში
შეინახა დი ჩაფიქრდა. ერთი აზრი აწუხებდა და ტვინს უღრღნიდა: —
ალარ ახსოვდა, საიდუმლო შესავალი დაზურა თუ არა, „რასაკვირ-
ველია, დავხურე“ — მოიგონა მან ბოლოს და ფეხზე წამოდგა. კიბე-
და მაშუქა ქვებს იქით დამალა. ცას გახედა, განთიადი ახლოვდებო-
და, გათენების მოლოდინში მამის აკლდამის წინ დაიწყო სიარული.

ჩქარა ვერცხლისფერი მთების იქიდან მზემ ოქროს სხივები გად-
მოისროლა და „მკვდართა ქალაქი“ ამოძრავა. ტაძრების ღია კა-
რებიდან ქურუმთა გალობა და მუსიკის ხმა გაისმა. ფეთიზი ლიბიის
მთებიდან დაეშვა. გაბრწყინებული სახით შეჰხაროდა ამომავალ მზეს,
ხელში ოქროს ბეჭდები ჩაებლუჯა და გულით კი უსაზღვრო სიხა-
რული მიჰქონდა.

ჰარაქონის გესაჭირი

ამ დღიდან ფეთიზი ფარაონის საუნჯის ხშირი სტუმარი იყო, ამ
საქმეში თავისი უფროსი ძმა ფთავმაიც ჩაითრია და ერთად დაიწყეს
საუნჯის ძარცვა. გამოტანილი წარავლით ღვინის სმასა და ნაღიმში
ატარებდნენ დროს. ღვინომ ძმები ფუქსავატურ ცხოვრებას შეაჩვია,
ხვალინდელ დღეზე ფიქრი გადაავიწყდათ და საეჭვო პირებს დაუახ-
ლოვდნენ. რომ თებეში ეჭვი არ აელოთ, ხშირად მემფისში მიემგზა-
ვებოდნენ. მოგზაურობისათვის საკუთარი ზომალდიც შეიძინეს.

პირველ ხანებში ძმები მხოლოდ ოქროს ბეჭდების გამოტანით
კმაყოფილდებოდნენ, ხანდახან ოქროს ზოდებსაც ესტუმრებოდ-
ნენ. ბეჭდები აურაცხელი იყო, ზოდები კიდევ უამრავი, ამიტომ და-
ნაკლისი შეუმჩნეველი იყო, მაგრამ როდესაც წათამამდნენ და ძვირ-
ფასი ნივთების გატანა დაიწყეს და თანაც კაკლის სიმსხობრილიან-

ტებიც გააყოლეს, ეს უკვე მეტიმეტი იყო და შეუძნეველად არ ჩაივლიდა.

ფარაონი საგონებელში ჩავარდა, ატყობდა, რომ მისთავზე კარგი ამბავი არ ზდებოდა და ძვირფასი ნივთები განძთსაფარიდან ქრებოდა.

— ამენგოთებ! — მიმართა ფარაონმა თავის უფროს ვეზირს, რომელიც მუდამ თან ახლდა. — მე ვამჩნევ, რომ ჩემი ძვირფასი ნივთები თანდათან იკარგება, მე მძარცვავენ...

— ო, დიდებულო მეფევ, — მიუგო გაკვირვებულმა ვეზირმა, — შეუძლებელია აქედან რამფს დაკარგვა, ალბათ ცდები.

— ჩემი თვალები არ ცდება, მე არ ვიცი როგორ, მაგრამ ვიცი, რომ მძარცვავენ!

აღლევებული ფარაონი ვერცხლის თასებს მიუახლოვდა და გაცეხებული შედგა. ორი ვერცხლის თასი ცარიელი დახვდა, ქურდს არცერთი ბეჭედი აღარ დაეტოვებინა შიგ.

— ამენგოთებ! ამაზე რაღას იტყვი? — გაჯავრებულმა ფარაონმა ცარიელ თასებზე მიუთითა, — ესეც ხომ შეცდომა არ არის.

ამენგოთები შეწუხდა, მისთვისაც აშკარა გახდა, რომ საუნჯე გაქურდული იყო. მაგრამ რა გზით, როგორ მოახერხა ქურდმა აქ შემოსვლა? აი, რაზე იტყვნენ თავს ფარაონი და ამენგოთები. იმისათვის, რომ ქურდი შიგნით შესულიყო, უნდა გამოსხლტომოდა მცველებს და სასახლეში შემოსულიყო, გამოეგლო უთვალავი ოთახი, ფარაონის საწოლი და ბოლოს განძთსაფარის კარებს მისდგომოდა. სხვადასხვა გასაღებით უნდა გაეღო კარები და ამ გზით დარბაზიდან საუნჯე გამოეტანა, რაც, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. მაგრამ ქურდი კი შემოდოდა, ეს ორივესათვის ცხადი იყო. მხოლოდ რა გზით, საიდან, — ეს კი ვერ გაეგოთ. ამენგოთების რჩევით ფარაონმა განძთსაფარის იატაკი ფხვნილის თხელი ფენით დააფარვინა, ერთხელ კიდევ შეავლო მაგიდებს თვალი და დარბაზიდან გავიდა, ყველა კარი დალუქა და სასახლის გარეთ გაძლიერებული რაზმი დააყენა.

მთელი ღამე მოუსვენრად გაატარა, რამდენჯერმე ამენგოთები გაგზავნა, რომ მცველები შეემოწმებინა, ფრთხილად იყვნენ თუ არა...

მეორე დღეს ფარაონი განძთსაფარის კარებს მიაღწა, ამენგოთებიც თან ახლდა. ლუქი ხელუხლებელი იყო. კარი გააღო და შიგნით შევიდნენ. მაგიდებს რომ მიუახლოვდნენ, კიდევ ერთი ვერცხლის თასი დახვდათ ცარიელი. ძირს დაიხედეს და იატაკზე ფეხის ნაკვალები შეამჩნიეს. ნაკვალები სხვადასხვა ზომისა იყო. ეტყობოდა, რომ ქურდები ორი ან რამდენიმე იყვნენ. ეჭვს გარეშე იყო, რომ ქურ-

დები ფარული შემოსასვლელით სარგებლობდნენ. მთელი კუთხეები შემოიარეს, კედლები დაათვალიერეს, ბოლოს სახურავზედაც ავიდნენ, მაგრამ ვერსად პატარა ხვრელიც კი ვერ იპოვეს. გაოცებულნი ერთმანეთს შეჰყურებდნენ და უკვირდათ, თუ რა გზით ახერხებდნენ ქურდები შემოსვლას.

— მეფევ, რამდენიმე დღეში ქურდები ჩვენს ხელში იქნებიან!

— რა გზით, როგორ?

— აი, როგორ, — და ამენგოთეპმა მსახურთ რკინის მძიმე მახეები შემოატანიწა, სწორედ ისეთები, გარეულ ნადირებს რომ იჭერენ, ყოველ მაგიდასთან იატაკი ამოაჭრეწინა და შიგ მახე ჩაადგმეწინა და ხრახნილებით დაამაგრებინა. რომ ქურდს არ შეემწინა, მახეებს ზევიდან თხელი ხალიჩები გადააფარეს.

— დიდებულაი, ამენგოთეპ, დიდებული! ახლა კი ქურდები ჩვენ ხელში იქნებიან, — თქვა კმაყოფილებით ფარაონმა და სიამოვნების ნიშნად ხელიხელს გაუსვა.

შეთიზის თავზე ღკუბღები იპიკიპაპა

მეორე დღეს ფარაონს იმედი არ გაუმართლდა: მახე ხელუხლებელი და ცარიელი დახვდა, იატაკზე ადამიანის კვალი არ მოჩანდა, როგორც ეტყობოდა, ამ ღამით ქურდებს განძთსაფარში არ გაველოთ. „დღეს ვადამირჩინენ, მაგრამ არაფერია, ხვალ ჩეჰს ხელში იქნებიან“, — გაიფიქრა ფარაონმა და კარები გაიხურა.

ქურდები საუნჯეს არც მეორე დღეს ესტუმრნენ. გადიოდა დღეები, მაგრამ ქურდები იგვიანებდნენ და მოსვლას არ იჩქაროდნენ, თითქოს ეგრძნოთ ხიფათი და განძთსაფარს ახლოს არ ეკარებოდნენ. ფარაონი დაღონდა: ვაითუ აღარ მოვიდნენ და ჩემი გულის ჯავრი მათზე ვერ ვიყაროო, მაგრამ ამენგოთეპი ამშვიდებდა და იმედს აძლევდა: ქურდები შეჩვეულ საუნჯეს აუცილებლად კიდევ მოაკითხავენ, მხოლოდ საჭიროა მოთმენაო.

ამ ხანებში ძმები მემფისში იყვნენ წასულნი და ფარაონის საუნჯისათვის არ ეცალათ. ჯიბეები ოქრო-ვერცხლით ჰქონდათ სავსე და დროს გასატარებლად ჯერ კიდევ დიდხანს ეყოფოდათ. თავისი მშვენიერი ხომალდით ხან ერთ ქალაქს ესტუმრებოდნენ და ხან მეორეს. ნილოსის ნაპირებზე თავაწყვეტილ ქეიფში ატარებდნენ დროს. ბოლოს, როგორც იქნა, მოიფიქრეს და მემფისში სახლი იყიდეს. შეიძინეს ძვირფასი საოჯახო ნივთები და ოთახები მდიდრულად მორთეს. ძმებმა გადაწყვიტეს მემფისში სამუდამოდ დასახ-

ლება. დედას წერილი მისწერეს, თავისი გადაწყვეტილება აცნობეს და თან შეპირდნენ: ერთ თვეში ამოვალთო.

ხუროთმოძღვრის ქვრივს ეგონა, რომ მისი ვაჟები პატიოსანი რომით შოულობდნენ ასე უხვად ფულს და ბედნიერად მიაჩნდა თავი. ყოველ მათ მიერ გამოგზავნილ საჩუქარს სინხარულით იღებდა და ისევ მათ უნახავდა უკლებლივ. წინააღმდეგობით (ეს დღე მან კარგად დაიმახსოვრა) შეილისაგან საჩუქრად ძვირფასი საჩუქრები მიიღო, წარწერით: „სახსოვრად ჩემ ძვირფას დედას მისი უღირსი შეილის ფეთხისაგან“. ამ საჩუქარმა დედა დიდად გაახარა, მხოლოდ უკანასკნელმა სიტყვებმა ჩააფიქრა. ამ სიტყვების აზრი მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გაიგო.

მემფისში ძმებმა მოკლე ხნის განმავლობაში აუარებელი ნაცნობ-მეგობარი შეიძინეს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, „მეგობრებმა“ ძმები მოძებნეს, მოძებნეს და მათ თბილ კალთას თავი შეაფარეს. ეს „მეგობრები“ უმთავრესად ისეთი ხალხისაგან შედგებოდნენ, რომლებსაც დიდი ხანია დაეკარგათ თავმოყვარეობა და ძირითად ხელობად შემთხვევითი ბედის ძიება და „სხვის ცეცხლზე ხელის მოთბობა“ გაეხადათ.

მდიდარ და ხელგაშლილ ძმებს, (რა ენაღვლებოდათ სხვისი ოქროები) ხალხი ისე ეტანებოდა, როგორც ბუზები თაფლს, მათ ფიანდაზად ეშლებოდნენ. საკვირველია, ასეთები რა საოცარი სისწრაფით მიაგნებენ ხოლმე „მუქთა კუბოს“ და მოუფრთხილად შიგ წვებიან.

„მეგობრები“ არ ცდილობდნენ გაეგოთ, საიდან და რა გზით ჰქონდათ შეძენილი სიმდიდრე ძმებს, იცოდნენ, რომ ისინი ხუროთმოძღვრები იყვნენ და ცნობილი ხუროთმოძღვრის შვილები. სხვა მათ არ აინტერესებდათ, გარდა ერთისა: რაც შეიძლება მეტი ოქრო დაეცანცლათ და მათ ხარჯზე დრო გაეტარებინათ. გამოცდილი ძმები ამას კარგად ხედავდნენ, მაგრამ არ იმჩინებდნენ და თვალებს განგებ იბრმავებდნენ. თავის მხრივ არც მათ აინტერესებდა „მეგობართა“ ვინაობა და არ ფიქრობდნენ მათთან სულიერი სიმების გაბმას; დროს გასატარებლად კი ასეთი პირები საჭირო იყვნენ და სასურველიც.

ხშირად ძმები შაშს თამაშობდნენ და „მეგობრების“ სასიხარულოდ, ბევრ ფულსაც აგებდნენ, მაგრამ ეს მათ ნაკლებად აწუხებდა, იოლი გზით შეძენილ ოქროებს უდარდელად ფლანგავდნენ, თამაშობდნენ მხოლოდ თავის გასართობად.

ლამით დროს გასატარებლად რომელიმე მდიდრის სახლში მიდიოდნენ და იქ დილაამდის ერთობოდნენ.

ასე უდარდელად ატარებდნენ დროს ძმებო და არ გრძნობდნენ, მათ თავზე რა უბედურება მზადდებოდა.

დადგა ძმების გამგზავრების დღე. დედისათვის სხვადასხვა საჩუქრებით დატვირთულნი თავის ხომალდში ჩასხდნენ და სიხარულით აღსავსე გულით ქალაქ თებესაკენ გაემგზავრნენ. ოცნებაში გართული ძმები გააჭურებდნენ დიდებულ მემფისს, რომელიც თანდათან იკარგებოდა ჰორიზონტს იქით. ერთი საათის შემდეგ მემფისის უზარმაზარი ტაძრები, ბრწყინვალე სასახლეები, მშვენიერი ბაღები და პალმების ხეივნები თვალთ მიეფარნენ, მხოლოდ მისი სიამაყე დიდი პირამიდები კი ჯერ კიდევ კარგად მოჩანდა.

ფეთიზმა დიდი პირამიდისაკენ გაიშვირა ხელი.

— ფთაგმაი, აი, ვინ ააგო თავისათვის დიადი მუდმივი საცხოვრებელი ბინა! ეგვიპტელთა შორის ფარაონი ხუფუ¹ ყველაზე უფრო სახელგანთქმული კაცია!

ფთაგმაიმ ზიზლით თავი გვერდზე მიიღო და გაბრაზებულმა წამოიძახა:

— იგი ყველაზე საზიზლარი იყო!

— ძმაო, რად იხსენიებ ასე ცუდად ხუფუს?— უსაყვედურა ფეთიზმა.

— როგორ, განა არ იცი, რა ზნედაცემული კაცი იყო, მამას არ უთქვამს?

— მე ვიცი, რომ იგი ძალიან მკაცრი მმართველი იყო, რომ იგი შეუბრალებლად ჩაგრაგდა თავის ქვეშევრდომთ და ისიც ვიცი, რომ ამ ბინის აგების დროს ყოველდღიურად ასიათას კაცს ამუშავებდა და რომ ეს მუშაობა ოცდაათ წელს გაგრძელდა... განა სხვა ფარაონები ნაკლებად ჩაგრაგდნენ ხალხს?

— ოჰ, შენ მთავარი არ გცოდნია.

— მაინც რა?— დაინტერესდა ფეთიზი.

— შენ იცი, რომ საზიზლარი ხუფუ თავისი შვილის სხეულით ვაჭრობდა?

— რას ამბობ, ძმაო, მე ვფიქრობ, ეგ ცილისწამებია!— აღშფოთდა ფეთიზი.

— სრული სიმართლეა! აი, დამიგდე ყური...

ფთაგმაი ცოტა ჩაფიქრდა და მერე დაიწყო:

— ოცდახუთ წელს აგებდა ხუფუ თავის მარადიულ ბინას, მაგ-

¹ ფარაონ ხეოპსს ეგვიპტელები ხუფუს ეძახდნენ.

რამ ამ ბუმბერაზის აგება მაინც ვერ დაამთავრა. სახელმწიფო გააპარტახა, ხაზინა დააცარიელა, მისი აურაცხელი სიმდიდრე მშენებლობამ შთანთქა. მართალია, მუშებს შრომის საფასურს არ აძლევდა და იძულების წესით ამუშავებდა, მაგრამ მათ ჭამა ხომ უნდოდა? ყოველდღიურად ასიათასი კაცის გამოკვება, თუნდაც მარტო პური-თა და ხახვით, სახუშრო საქმე არ იყო. ფული გამოეღია. მშენებლობაც შეჩერდა. ავადმყოფური თავმოყვარეობით შეპყრობილი ხუფუ საგონებელში ჩავარდა. დახმარებისათვის მთავრებს მიმართა, მაგრამ მათ მის თხოვნას დუმილით უპასუხეს. მიემართა მკაცრი ზომებისათვის? ძალით წაერთმია მათთვის ოქრო-ვერცხლი? ეშინოდა, მთავრები აუჯანყდებოდნენ და ტახტიდან გადმოაგდებდნენ. მაშინ სახელმწიფო არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ჩვენ დროს. მან ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ იპოვა გამოსავალი.

ხუფუს ჰყავდა მშვენიერი და სათნოებით აღსავსე ასული მერისი. ფეთიზ, შენ იცი ჩვენი ფარაონის ასული, თვალწარმტაცი ბერტრერი, ჩვენ ბედნიერი შემთხვევა მოგვეცა, რომ საკუთარი თვალით გვენახა იგი, როცა ერთხელ მამასთან სასახლეში ვიყავით. მაგრამ ბერტრერის სილამაზე ისეთივე მკრთალი გამოჩნდებოდა მერისის სილამაზესთან, როგორც მთვარე მზესთან, და, აი, ხუფუმ მისცა წინადადება მერისს, რომ მას მეძაობა დაეწყო, რათა ამ სამარცხვინო გზით შემოტანილი ფულით ბინის მშენებლობა დაემთავრებინა.

საბრალო მერისს თავზარი დასცა მამის სიტყვებმა. ვერც ცრემლებმა, ვერც მუდარამ ვერ მოაღბო ვერაგი მამის გული.

მაშინ მერისმა დახმარებისათვის მიმართა თავის სატრფოს, ახალგაზრდა სარდალს ნებექარს.

მამაცი ნებექარი თავისი რაზმით აუჯანყდა ფარაონს და პირველ ხანებში წარმატებასაც მიაღწია და მერისის გულში იმედის ლამპარი დაანთო. მაგრამ ნებექარს ბედმა უმუხთლა, ფარაონმა მთავრების დახმარებით დაამარცხა აჯანყებულები. მხარშეკრული და სისხლით მოსვრილი ნებექარი მრისხანე ფარაონის წინაშე წარადგინეს. ფარაონმა მერისის მოყვანა ბრძანა, რომ მას საკუთარი თვალთ ენახა საყვარელი კაცის უბედურება.

— მშვიდობით, საყვარელო მერის! მინდოდა სამარცხვინო გზას ამეცდინე, მაგრამ ვერ შევძელ... ბედმა მიმუხთლა!—ეს იყო ნებექარის უკანასკნელი სიტყვები: ჯალათის მოქნეულმა ნაჯახმა მისი თავი მერისის ფეხების წინ დააგორა.

— მეც მომკალ, მაღლია!—შევედრა მერისი და ჯალათის წინ

მუხლებზე დაეცა. ჯალათს გასისხლიანებული ნაჯახი ხელიდან გაუვარდა... ვილაცას გულიდან ყრუ გმინვა აღმოხდა...

უკანასკნელი დასაყრდენის დაკარგვის შემდეგ მშვენიერი მერისი დაეცა სულიერად და... მან მეძაობა დაიწყო... ხუფუმ სურვილს მიადწია. ხუთი წლის შემდეგ მუდმივი ბინის მშენებლობა დამთავრებულ იქნა... და ამით მან თავის სახელი ისტორიის სამარცხვინო ბოძზე გააკრა!

ფთავმაი დადუმდა. დანალღვიანებულმა ფეთიზმა მემფისისაკენ გააცოლა თვალი. შორიდან პირამიდების მწვერვალები მკრთალად მოჩანდა.

ქ ე რ უ ს თ ა ნ

მეოთხე დღეს ძმები თებეში ავიდნენ მოხუცი დედის წამოსაყვანად.

— ფთავმაი, — მიმართა ძმას ფეთიზმა, როდესაც ისინი „ცოცხალთა ქალაქში“ შევიდნენ, — დღეს კიდევ ვეწვიოთ ფარაონის განძთსაფარს და ეს იყოს უკანასკნელი. რას იტყვი ამაზე?

— არა, ფეთიზ, საკმაოდ ბევრი გამოვიტანეთ, გვეყოფა... ხომ იცი, კოკა წყალს მუდამ არ მოიტანს, ერთხელაც იქნება, გატყდება... შენ სრულიად არ ფიქრობ იმაზე, რომ შეიძლება დაგვაპატიმრონ და დავიღუპოთ. რა ეშველება მაშინ საყვარელ დედას?! მოიგონე მამის უკანასკნელი სიტყვები... არა, სჯობს ფარაონის საუნჯეს სამუდამოდ თავი დავანებოთ.

— ოჰ, რა გაუბედავი და მშიშარა ხარ, ფთავმაი! ჩვენ ხომ თითქმის ერთი წელია, რაც საუნჯეში დავდივართ, მაგრამ, ხომ ხედავ ფარაონს აზრადაც არ მოსვლია, რომ მას ძარცვავენ... ასე, ჩემო ძვირფასო ფთავმაი, დღეს კიდევ ერთხელ, უკანასკნელად, და მეტი არასოდეს, არასოდეს...

— ო, ფეთიზ, დამიჯერე, დღეს ნუ წავალთ... ცუდი წინათგრძნობა მაქვს, სხვა დროს იყოს.

— დაანებე თავი მაგ შენს წინათგრძნობებს, — უთხრა სიცილით ფეთიზმა და ძმას ხელი მოხვია. — წამო, ახლა ჩვენი საყვარელი დედავნახოთ... ო, ღმერთნო ჩემნო, რამდენი ხანია არ გვინახავს! იცი, ფთავმაი, როგორ მომენატრა დედა?!

ფთავმაიმ ძმას მადლიანი თვალთ შეხედა, გადაეხვია და დიდი თვალები მხურვალედ დაუკოცნა.

— ჩემო. იმედო, განა მე კი არ მომენატრა...

ძმებმა ფეხი აუჩქარეს. ფეთიზი ძმას სიცილ-ხარხარით მიარბენინებდა, თან ზურგზე ეკიდებოდა — დედასთან ასე მიმიყვანეო.

— აი, საყვარელი დედაც მოდის!— წამოიძახეს გახარებულმა ძმებმა და მისკენ გაექანენ.

მოხუც დედას შვილები შორიდან შეემჩნია და გახარებული მოიჩქაროდა მათკენ.

— შვილებო, ჩემო ძვირფასო შვილებო!— და აცრემლებულმა დედამ ვაჟები გულში ჩაიკრა.

უკანასკნელი გზა

შუალამე იყო, როდესაც ძმები სახლიდან ფეხაკრფით გამოვიდნენ და განძთსაფარისაკენ გაემართნენ. ფთავგმის ყოველი შეშთხვევისათვის მახვილი თან წამოეღო, ფეთიზს კი საუნჯისათვის სელის დიდი პარკი. უკანასკნელად ჩვეულებრივზე მეტი განძის წამოღებას აპირებდნენ.

ძმები უხმოდ და ფრთხილად მიდიოდნენ, ეშინოდათ, რომ დამის მკველებს არ შეემჩნიათ, ხშირად ჩერდებოდნენ, სმენას იმახვილებდნენ და თავდაცვისათვის ემზადებოდნენ. როგორც იქნა, მიუახლოვდნენ განძთსაფარს.

— ფთავგმაი, — უთხრა ჩუმი ხმით ფეთიზმა, როდესაც ისინი ოზირისის წინ კედელთან შეჩერდნენ, — სამი თასი ოქროს ბეჭდები წამოვიღოთ, ორი თასი კი ძვირფასი ქვები-ბრილიანტები და მარგალიტები. ეს იქნება აურაცხელი სიმდიდრე, რომელიც მთელ სიცოცხლეს განცხრომით გაგვატარებინებს....

უთხრა რა ფეთიზმა, პასუხს აღარ დაუცადა, კიბეზე ავიდა და შეჩვეულ ხერგელში მარდად გაძვრა. ფთავგმაიც ავიდა კიბეზე და ის იყო დააპირა ხერგელში გაძვრომა, რომ ქვევიდან შემოესმა გულშემზარავი ღრიალი:

— ვაი, ძმაო, მიშველე, დავიღუპე!

გულგახეთქილი ფთავგმაი სასწრაფოდ ჩახტა დარბაზში და მაშუქით ხელში მიიჭრა ძმასთან. მის წინ გადიშალა შემადრწუნებელი სურათი: ფეთიზს ფეხი მუხლამდის ჩავარდნოდა მახეში, რკინის წვეტიანი კბილები ძვლებამდის წასულიყო; კრილობებიდან სისხლი შაღრევანივითა ცემდა. ფთავგმაიმ მახვილა გაიძრო, მუხლებზე დაეცა და შეეცადა მახის გაღებას. ფეთიზი აღარ ღრიალებდა, პირქვე დამხობილი მხოლოდ ყრუდ გმინავდა, საშინელი ტკივილებისაგან სახე დაღრეჯოდა და თვალებში სისხლი ჩამოქცეოდა.

დიდხანს ეწვალებოდა მახეს ფთავგმაი, მთელ ძალღონეს ხმარობდა, ოფლში იწურებოდა, მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო, წყუელი მახე არა ნებდებოდა. წვალების დროს მახვილი შუაზე გადაუტყდა.

— ვაი, დაღუპულო ძმაო!— შემოიკრა ფთავმაიმ თავში ხელი და ცრემლები წასკდა. ფეთიზიც მწარედ ატირდა. სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილი ფთავმაი ძმას გადაეხვია და გულში ჩაიკრა. დიდხანს ტიროდნენ გადახვეული ძმები და თავსა და ბედს იწყევლიდნენ.

— ძმაო,— მიმართა ბოლოს მისუსტებული ხმით ფეთიზმა ატირებულ ფთავმაის, ვხედავ, ჩემი გადარჩენა შეუძლებელია... იფიქრე შენს თავზე... დედაზე... ვაი, რომ ვეღარ ვიხილავ საყვარელ დედას... აჰ, ერთი ახლა მანახვა დედა, ერთი წუთით მაინც! ფთავმაი, ნუ ტირი... გაჯავრებული ხომ არა ხარ ჩემზე, რომ ბნელ საქმეში ჩავითრიე? არა? გმადლობ... გადაეცი დედას ჩემი უკანასკნელი თხოვნა: თუ შეუძლია, მიუტეოს შეცდომა თავის უღირს შვილს, სიხარბით დაღუპულ ფეთიზს...

ფთავმაი ხმამაღლა ატირდა.

— ფთავმაი, გახსოვს ერთხელ ნილოსში ბანაობის დროს რომ სიკვდილს გადამარჩინე? ნეტავ არ გადაგერჩინე... დედას რომ გაეგო და თმაგაწეწილი გამოობოდა... საბრალო, როგორ ტიროდა: მაჩვენეთ ჩემი ფეთიზიო... ახლა ხომ ვეღარ მნახავს... ფთავმაი, არ გებრალეები?!

— ვაი, ვაი, ძმაო ფეთიზ, რა უბედურება დაგვატყდა თავს! როგორ დავიხსნა?! რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?!— ტიროდა ფთავმაი და თავში ხელს იცემდა.

— ფთავმაი!— წამოიძახა მტკიცე ხმით ფეთიზმა,— კმარა ტირილი... აიღე მახვილი და მომკვეთე თავი!

შეშინებული ფთავმაი უკან მიაწყდა.

— რას ამბობ, ძმაო, რას?!

— მისმინე, ძმაო, ვარწმუნებ, რომ ეს იქნება ერთადერთი საშუალება შენი და დედის გადასარჩენად... ხომ ხედავ, ჩემი გადარჩენა შეუძლებელია, მე მაინც სიკვდილით დამსჯიან. შენც დაგსჯიან, როგორც თანამონაწილეს, დედას კიდევ აწამებენ, როგორც ქურდების დედას... ოჰ, ეს შეუძლებელია! იჩქარე, ძმაო, იჩქარე, ვიდრე განთიადი არ მოსულა.

სულიერად განადგურებულმა ფთავმაიმ არ იცოდა როგორ მოეცეულიყო, ფეთიზი მართალს ამბობდა, გადარჩენაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა... მაგრამ როგორ? საკუთარი ხელით გამოჰკრას ყელი საყვარელ ძმას?! ოჰ, ეს საშინელებაა, საშინელება!

— ძმაო, სხვა გზა არაა, გაბედე, მე მზად ვარ!— არ ეშვებოდა ფეთიზი.

— საბრალო! მერე რა ვუთხრა დედას, როგორ შევხედო თავ-

ლებში? შეილი მოვსტაცო, სამაგიერო რა მივცე? ო, ძმაო ფეთიზ, რა ვერაგობას მირჩევ, ვაი ჩემ თავს!

ფთაგმაი სასოწარკვეთილებით მუხლებზე დაეცა, ხელებს იმტვრევდა და იატაკს თავს გამეტებით ურტყამდა: უღმობელი ფეთიზი კი კვლავ საშინელი საქმის შესრულებას სთხოვდა...

განთიადისას კედლის ხვრელიდან ერთი კაცი გამოძვრა, ხელში შეხვეული რაღაც ეჭირა, კედელს ამღვრეული თვალები მიაშტერა, ერთხანს გარინდებული მისჩერებოდა, თითქოს ვიღაცას უცდისო, მერე მუხლებზე დაეშვა, შეხვეული გულში ჩაიკრა, ორად მოიხარა და აქვითინდა. ერთხანს მიწას ჩასტიროდა და თავში ხელებს იშენდა. ბოლოს წელმოწყვეტილი წამოდგა, ცრემლები მოიწურა, გულში რამდენჯერ მუშტი ჩაირტყა, მიტრიალდა დაგზას ლასლასით გაუდგა.

მკითხველი მიხვდებოდა, რომ ეს კაცი ფთაგმაი იყო. საშინელი აზრებით შინ მარტოდ მარტო ბრუნდებოდა და დედისათვის კაეშანი მიჰქონდა. წელში მოხრილი, თმაგაწეწილი, გაფითრებული სახით და ჩაცვნიული თვალებით ოცდახუთი წლის ფთაგმაი სამოცი წლის მოხუცად გამოიყურებოდა. ხალხისაგან ფარულად მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა და გზადაგზა ტიროდა. ამ დილას ფარაონის დარბაზიდან მხოლოდ ერთად-ერთი, მაგრამ ყველაზე უფრო ძვირფასი განძი მიჰქონდა—ეს იყო უმცროსი ძმის, ფეთიზის, მოკვეთილი თავი...

შთაბგაი, სარ პრის ჩამი შვილი?

დილით ფარაონი ჩვეულებისამებრ თავის განძთსაფარში შევიდა და გახარებულმა წამოიძახა:

— ამენგოთეპ! ხედავ, გაბმულა ქურდი მახეში! ო, შე ავაზაკო, კიდევ ითარეშებ ჩემ საუნჯეში?! ჩავარდი, განა, ჩემს ხელში!! და გაბრაზებული ფარაონი მივარდა, რომ ქურდისათვის ერთი ლაზათიანი სილა ეჭმია და გული მოეოხა. მაგრამ მიუახლოვდა თუ არა, გველის ნაკბენივით უკან გადმოხტა და შეშინებულმა წამოიძახა:

— უთავო კაცი?!

ამენგოთეპიც ახლოს მიიჭრა და გაცეცხული შედგა: მახეში გაბმულ კაცს მართლაც თავი ჰქონდა მოკვეთილი. ეტყობოდა, ქურდს ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ამხანაგისათვის თავი მოეკვეთა და თან წაეღო. მაგრამ საიდან იყო ქურდი შემოსული ან გასული—ეს აოცებდა მათ. მართალია, დაიჭირეს ბოროტმოქმედი, მაგრამ უთავო კაცი კი შერჩათ ხელში. წადი ახლა და ეძებე, ვინ იყო იგი! საიდუმლო შემოსასვლელი ისევ ქურდების განკარგულება-

ში რჩებოდა. გაჯავრებულებს შეეძლოთ შური ეძიათ და ფარაონის საუნჯე გაენადგურებინათ. ეს აშინებდა ფარაონს. ამენგოთევის რჩევით, მან ქურდის გვამი გარეთ გაატანინა და განძთსაფარის კედელზე ჩამოაკიდინა. მცველებს დაავალა მნახველებისათვის თვალყური ედევნებინათ: ვინც ძალიან შეწუხდებოდა და ტირილს დაიწყებდა, დაუყოვნებლივ უნდა დაეპატიმრებინათ. მართალია, ფარაონი გრძნობდა, რომ ამ ხერხით გამოცდილი ქურდის დაჭერა ძნელი საქმე იყო, მაგრამ მაინც სცადა. სხვა რა გზა ჰქონდა.

თავმოკვეთილი კაცის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს. ყველა მისწრაფოდა, რომ საკუთარი თვალთ ენახა უბედური. ცნობისმოყვარეთა რიცხვში ხუროთმოძღვრის ქვრივიც ერია. დედამ, რასაკვირველია, შვილი ვერ იცნო, ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ თავმოკვეთილი კაცი მისი შვილი ფეთიზი იქნებოდა. მაგრამ რატომღაც ტანისამოსს დააშტერდა და თავისათვის ჩაილაპარაკა: „რა ვქნა, ტანისამოსი შეცნაურება, თითქოს ეს კაცი სადღაც მინახავსო“. ჩაფიქრდა, მაგრამ ვერ მოიგონა, სად ენახა. გაურკვეველი შიში იგრძნო. უფრო ახლოს მისვლა დააპირა, მაგრამ აუარებელ ხალხში ვერ მოახერხა. შინ მძიმე შთაბეჭდილებით დაბრუნდა, ეზოში რომ შევიდა, გაფითრებული ფთავმაი შემოხვდა, რომელსაც ხელში რაღაც შეხვეული ეჭირა და, ეტყობოდა, სადღაც მიეჩქარებოდა. ისე მოეჩვენა, თითქოს შვილს თავის არიდება უნდოდა.

— ფთავმაი, ნახე კედელზე ჩამოკიდებული კაცი? ვაი იმ უბედურის დედას... რა მოგდის, შვილო, როგორ გაფითრებულხარ და კანკალებ?! დედა გენაცვალოს, ავად ხომ არა ხარ? სად იყავით გუშინდამ შენ და ფეთიზი?

ძმის სახელის გაგონებაზე ფთავმაის სახე უფრო დაეღრიჯა, ტუჩები აუცახცახდა, თავი ვერ შეიკავა და ატირდა. ატირდა და დედაც აატირა. მიტრიალდა, გაქცევა დააპირა, მაგრამ დედა კალთაში სწვდა და შეაჩერა.

— ფთავმაი, შვილო, მითხარ, რა უბედურებაა ჩემ თავს?! რას მოასწავებს შენი ცრემლები? რატომ პირდაპირ არ მიყურებ?! წელან შეგამჩნიე, თავს მარიდებდი... სად არის ჩემი ფეთიზი?

ფთავმაი სამარესავით დუმდა და ხმას არ იღებდა. თავი დაბლა დაეხარა და მიწას დაჟინებით დასცქეროდა. აკანკალებული დედა მოუთმენლად შეჰყურებდა და ელოდა, ელოტა, რას იტყოდა მისი შვილი. ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ ფეთიზი ცოცხალი იქნებოდა. მაგრამ ფთავმაი პასუხს აგვიანებდა, დედის წინ ღამესავით იღუპა შავი წამოსასხამით. დუმილი დიდხანს გაგრძელდა. შვილს თქმი-

სა ეშინოდა, დედას—გაგონებისა. რაც დრო გადიოდა, შიში უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

დედამ შეამჩნია, რომ ფთავმაიმ წამოსასხამ ქვეშ რაღაც შეხვეული რგვალი საგანი დამალა და კალთა გადაათარა. გაურკვეველმა შიშმა პოიცივა.

— შეილო, რატომ ხმას არა მცემ? რა შეინახე კალთის ქვეშ? შეშინებული ფთავმაი გვერდზე გადახტა.

— არაფერია, დედი, არაფერი...

— ფთავმაი!—ბრძანების კილოთი შესძახა დედამ,—მოდი აქ! შეილი მორჩილებით მიუახლოვდა. დედამ მოჰკიდა მკლავში ხელი და სახლში შეიყვანა.

— გახსენ და დამანახვე, რა გაქვს მანდ შეხვეული? არ გესმის? ჩქარა!

ფთავმაი მუხლებზე დაეცა და დედას შემოეხვია.

— მაპატიე, დედი... სხვა გზა არ იყო... თვით ფეთიშმა მაიძულა, მთხოვა...

— ფეთიშმა გთხოვა? რა გთხოვა, შეილო? მაშ ცოცხალია ჩემი ბიჭიკო?

ფთავმაიმ თვალეზე ხელი მიიფარა და აქვითინდა. დედამ ათრთოლებული ხელებით შეხვეულს დაუწყო გახსნა. გახსნა და... საშინელი ხმით დაიწვილა. მის წინ სისხლში მოსვრილი შეილის მოკვეთილი თავი იდგა...

— ფთავმაი, მითხარ, ვინ დამლუბა, ვინ შეიღება ჩემი შეილის სისხლით ხელები, მითხარ, რომ წავიდე და საკუთარი ხელით გავუპო მას გული?!

— მე დავლუპე, დედი, მე... აი ჩემი მკერდიც,—და ფთავმაიმ გულისპირი გადისხია. გაფითრებულ დედას თავზარი დაეცა. საბრალო ამას კი არ მოელოდა. ერთხანს შეილს უაზრო თვალეებით შემოილიღვით შეჰყურებდა, ბოლოს, როგორც იქნა, წამოიხრიალა:

— შენ... შენ მოკალ ჩემი ფეთიზი? მერე რათა, შე წყეულო, რათა? როგორ გაიმეტე?! ვაი, შეილო ფეთიზ, ამას რას შევესწარ?!

გაუბედურებულმა დედამ თავში წაიშინა ხელები. ფთავმაიმ არეულად უამბო საქმის შინაარსი და თან დასძინა:—ეს საშინელი საქმე იმისთვის ჩავიდინე, რომ გადამერჩინე შენ წამებისაგან და ჩვენი ოჯახი შერცხვენისაგანო.

— ტყუი, შე საზიზლარო, სულმდაბალო ადამიანო! ძმა მოკალ, რომ საკუთარი ტყავი გადაგერჩინა! რატომ შენც მასთან არ მოკვდი, განა შენ კი არ იპარავდი, განა შენ კი არ არცხვენდი ჩვენს

ოჯახს?! ო, წყეულო, ძმის ჯალათო!—და გამწარებული დედა შვილს ყელში სწვდა. მაგრამ გულმა უღალატა: შვილის წინ გონებამიხდილი ჩაიკეცა. აღღვებულმა ფთავმაიმ დედას სახეზე წყალი შეასხა და გონს მოიყვანა.

— ხვალ მე თვით მივალ ფარაონთან და გამოვთხოვ შვილის გვამს,—თქვა მისუსტებული ხმით დედამ და წამოსადგომად წამოიწია. შვილის მიშველებული ხელი ზიზღით მოიშორა.

— რას ამბობ, დედი?! ეგ შეუძლებელია... ფარაონი ორივეს თანამონაწილეებად ჩაგვთვლის და სიკვდილით დაგვსჯის... აბა, დაფიქრდი.

— არავითარი ფიქრი; მე მინდა ჩემი ფეთიზი ჩემთან იყოს, გესმის, ჩემთან, შენ კი შორს, შორს ჩემგან!!

— ამაღამ ან ფეთიზის გვამს მოგიტან, ან ხვალ მის გვერდით მნახავ კედელზე ჩამოკიდებულს!—წამოიძახა ფთავმაიმ და გიჟივით გავარდა გარეთ.

შთაგამის ოინი

ფთავმაიმ ერთი ტიკი იშოვა, ბანგგარეული ღვინით აავსო, სახედარს გადაჰკიდა და ფარაონის სასახლისაკენ გასწია. ჯერ კიდევ დღე იყო, რომ „მკვდართა ქალაქში“ შევიდა. „ჯერ ადრეა“—გაიფიქრა, სახედარი მიფარებულ ადგილას დააბა, თვითონ დასაზვერავად წავიდა. ფეთიზის უთავო გვამი ისევ კედელზე ეკიდა. ცნობისმოყვარე ხალხი დაშლილიყო, გვამთან საყარაულოდ მხოლოდ ორი გუშაგი იდგა. ფთავმაი კმაყოფილი დაბრუნდა...

მზემ უკანასკნელად შესტყორცნა ოქროს სხივები ტაძრების მწვერვალებს და ლიბიის მთებს იქით ჩაესვენა. მოღამდა. საგუშაგოს სახედრიანი კაწი მიუახლოვდა, შეუმჩნევლად ტიკს თავი მოხსნა და აყვირდა:

— არიქა, ბიჭებო, მიშველეთ, ღვინო მექცევა!

მცველები მიცვივდნენ, მუზარადები¹ მოიხადეს და გადმოდენილ ღვინოს შეუშვირეს. აავსეს და დალიეს. ფთავმაი განგებ გაჯავრდა:

— რას ჩადიხარ, თქვე ოხრებო, სვამთ?

— არა, გემოს ვუსინჯავთ,—იხუმრა ერთმა და მუზარადი მეორედ აავსო.

— მიქარავ—დაიყვირა ფთავმაიმ, მუზარადს წაეტანა, მაგრამ მცველმა მოასწრო დაცლა და ღვინის პატრონს კბილები უჩვენა:

¹ მუზარადი—საბრძოლო რკინის ქუდი.

— შე კაი კაცო, რა გაყვირებს? შენთვის სულერთი არ არის, ღვინო მიწაზე დაიქცევა თუ ჩვენ კუჭში ჩავა?

— მამა გიცხონდა, „ჩვენ კუჭში ჩავა“. — გამოაჯავრა ფთაგმაიმ, — თითქოს მუქთად მქონდეს ნაშოვნი!.

მათი ლაპარაკით ისარგებლა მეორე მცველმა, მუზარადი მესამედ აავსო და საგუშაგოსკენ მოუსვა. პირველიც მას აედევნა.

— ძმობილო, არ გეწყინოს, შენი საღლეგრძელო იყოს! — მცველებმა შორიდან მუზარადი უჩვენეს და გადიხარხარეს.

— შხამად, ავაზაკებო, შხამად! — მიიძახა მათ ფთაგმაიმ და ლანძღვა-გინებით მოშორდა, თან თავისი „გულისჯავრი“ უღანაშაულო სახედარზე იყარა, სახრით გვერდები აუჭრელა. ფთაგმაიმ მიზანს „მიადწია. მხოლოდ ცოტა მოცდა იყო საჭირო და მშვენივრად დაწყებული საქმე კარგად დაბოლოვდებოდა.

— უჰ, შენი გულისა, რა ღვინო იყო! — წამოიძახა ალტაცებით ერთმა და ტუჩები გაამწლაკუნა.

— ვფიცავ რას, მაგისტანა ღვინო მემფისშიც არ იქნება, ცეცხლივით წავიდა ძარღვებში, — დაემოწმა მეორე და მუზარადი გამოამშრალა.

ცოტა ხნის შემდეგ ორივეს ძილი მოუვიდა. ბანგმა მოქმედება დაიწყო.

— ზეთაყვა, ცოტახანს თვალს მოვატყუებ და მერე შენ რამდენიც

გინდა, იმდენი იძინე, — უთხრა ერთმა და იქვე უღარდელად წამოწვა.

— არა, ძმაო, ჯერ მე დავიძინებ, ტყვიასავით დამძიმდა თავი...

მაგრამ პირველს უკვე აზრაფერი ესმოდა. მეორემ რამდენიმე წუთი იტრიალა, შეეცადა ძილის გაფანტვას, მაგრამ თვალები თავის-



შხამად, ავაზაკებო, შხამად!..

თავად ეხუტებოდა, ათი წუთის შემდეგ ორივე მცველი ტკბილად ხვრინავდა.

ფთავმაი შორიანლოს უთვალთვალებდა მათ. ფეხაკრეფით მიუახლოვდა, თოკები ჩამოჭრა და ძმის გვამი ჩამოიღო. წაიღო და სახედარს გადაჰკიდა. მერე დაბრუნდა და ორივე მცველს ნახევრად თავები გადაპარსა და შუბლზე კუპრი წაუსვა, მუზარადები ღვინით აუვსო და ხელში დააკავებინა. „ახლა წადით და თქვენ ფარაონს უთხარით, სადაც თავისი ახსენოს, იქ ჩემიც არ დაივიწყოს“. — ჩაილაპარაკა გესლიანად და შინისაკენ გაეშურა.

უმნაუკი სანახაოზის მსხვერპლი

ღილით გამვლელები უცნაურ სანახაობას წააწყდნენ: ნახევრად გაპარსული და შუბლზე კუპრწასმული მცველები ისევ მიწაზე ეყარნენ და ხვრინავდნენ. ცარიელი მუზარადები ხელში ეჭირათ, ღვინო კი გულზე გადაესხათ და თეთრი სამოსი წითლად შეეღებათ.

— ბიკოს! ამათ აქ ქეიფი გაუმართავთ! — წამოიძახა ერთმა და მცველს მკლავში სწვდა:

— ე, ე, თამადავ, არ გესმის, ადექ! სტუმრები გაგპარვიან, შენ კი არხეინად გძინავს! აბა, ეგ სადაური წესია?!

მაგრამ მცველი არ ინძრეოდა.

— ეტყობათ, მაგრად ჩაუსხამთ... მაგათ წყალი თუ გააღვიძებს! — შემოიტანა წინადადება ვილაცამ. წყალიც ჩქარა გაჩნდა, მანლობელმა მელუქნემ მოარბენინა.

ღიღინის წვალების შემდეგ, როგორც იქნა, მცველებმა თვალეები დააქციტეს, ჯერ ვერ გამოურკენენ, თავი სიზმარში ეგონათ, თვალეებს უაზროდ აქეთ-იქეთ აცეცებდნენ და, როგორც ეტყობოდათ, ადგომასაც არ ფაქრობდნენ. მაგრამ როდესაც მელუქნემ თითო ჯამი წყალი კიდევ დაუშვა თავებზე და თანაც დააყოლა გაამოთ, მაშინ კი, იცოცხლე, იკადრეს ფეხზე წამოვარდნა.

— ხალხო, რა ამბავია, სადა ვართ?! — იკითხეს შეშინებულებმა. მელუქნე ახითხითდა:

— ჯერ ჩვენთან, მერე კი, მგონი, აბანოში უნდა ამოყოთ თავი! — უთხრა მათ გამხიარულებულმა მელუქნემ. მცველმა თავგასულ მელუქნეს თვალეები გადაუტრიალა და მუშტით უჩვენა კბილებს ჩაგიმტვრევო.

— ვაა, რას მაშინებ... მართალია, თავი გადაგიპარსავს და შუბლიც გაგიმშვენიერებია, მაგრამ ჯერ ქურუმობა ხომ არ მიგიღია? — შიდახა სიცილით მელუქნემ და ყოველი შემთხვევისათვის ხალხს

ამოფეარა. მცველებმა თავზე ხელი მოისვეს და მერე ერთმანეთს შეხედეს.

— კაცო, ეგ რა მოგსვლია?—უთხრა ერთმა მეორეს და სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც გამოეხატა, მაგრამ უფრო ტირილს ჰგავდა, ვიდრე ღიმილს.

— მე რა უნდა მომსვლოდეს... შენს თავს შეხედე, რას გავხარ! ხალხმა სიცილ-ხარხარი ატეხა.

— დახე, რა ოინი გვიყო იმ გაიძვერა მეღვინემ!—ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ერთმა. ჯერ მცველებმა არ იცოდნენ მთავარი უბედურება.

— ხალხნო, აქ კედელზე გუშინ თავმოკვეთილი კაცი ეკიდა; ნეტა სად წაიღეს?—იკითხა მეღუქნემ.

მცველებს მხოლოდ ახლა მოაგონდათ, შეშინებული თვალები კედელს შეავლეს და რა იქ ვერაფერი იხილეს, ერთმა მათგანმა თავში ხელი წაიშინა და აღრიალდა:

— ვაი, დაღუპულო ჩემო თავო! ამისათვის ფარაონი ხომ სიკვდილით დაგვსჯის!

ამხანაგს მეორე მცველი აჰყვა და სამწუხარო სურათი დატრიალდა. გაჭირვებულებს ისევ მეღუქნე მიეშველა და დაარიაგა:

— ბიჭებო, ღრიალით მკვდარს ვერ დააბრუნებთ, ვერც სიცოცხლეს შეინარჩუნებთ! ახლავე თავს უშველეთ, გაიქეციოთ რაღა!— და მეღუქნემ ხელით ლიბიის მთებისაკენ ანიშნა.

მცველებმა უნაყოფო ღრიალს თავი გაანებეს, მეღუქნის აზრი მოეწონათ და თავპირის მტვრევით მთებისაკენ მოკურცხლეს.

ხალხი ჩუმად დაიშალა. მეღუქნეც თავის ღუქანში შეძვრა, ვითომ აქ არაფერი იყო, პირდაღებულ ბიჭს კისერში უთაქა და თან დააყოლა:

— ყურუმსალო, რა გაშტერებით მიყურებ, ვერ მიცანი? ისევ ისა ვარ, ვინც ვიყავი...

ცოტა ხნის შემდეგ მეღუქნესთან მივარდა აღელვებული რაზმის უფროსი მცველებით, ყელში სწვდა და დაულრიალა:

— თქვე ჩქარა, სად დაიმაღნენ გუშაგები?

ფერდაკარგულმა მეღუქნემ ძლივს ამოიხრიალა:

— ვა, ხათაა? მე რა ვიცი, სად დაიმაღნენ?

— არამზადავ, შენ გითქვამს გაიქეციოთ!

— ო, ვფიცავ ამონ-რას¹, აგრე არ მითქვამს... მე მხოლოდ ვუთ-

¹ ამონ-რა—ეგვიპტელების მთავარი „ღმერთი“. ე. წ. „მზე-ღმერთი“

ხარი, აქ რას ღრიალებთ მეთქი.

— აბა, გაგვიძებ წინ! ჩქარა! ჩქარა! და რაზმის უფროსმა მახვილი გაიძრო, შეშინებული მედუქნე გვერდზე გადახტა:

— არა, მე კი წამოვალ... მაგრამ ალალმართალ კაცს კი ღუპავთ...

„არა, შე თავმკვდარო, რომ უთხარი—აბა, ბიჭებო, თუ შეგიძლიათ, თავს უშველეთო, მამა იყავი მათი, პაპა იყავი, თუ ვინ იყავი? რაც მოგივა შენზე ახია, ჭკუას ისწავლი!“ ფიქრობდა გამწარებული მედუქნე და მცველებ შუა ცოცხალ-მკვდარი მიაბიჯებდა.

— გამიშვი, შენი ჭირიმე, მე არაფერ შუაში ვარ!—ქუდმოხდით დაეღრიჯა მედუქნე რაზმის უფროსს, როცა ისინი ფარაონის სასახლის შესავალს მიუახლოვდნენ.

უკანასკნელმა კაკლის სიმსხო თვალები უჩვენა და თავით ანიშნა, გზა განავრძეო.

მედუქნე რაკი დარწმუნდა, რომ თხოვნით თავს ვერ დაიძვრენდა, ახლა სხვა გზით შემოუარა, ქრთამით ჯოჯოხეთის ანთება მოინდომა, სული კბილით დაიჭირა და თავის მწვალებელს ოცი ოქრო შეაძლია. მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ცეცხლზე ნავთი დაასხა და დანაშაული უფრო დაიმძიმა.

„სხვა საქმისათვის და სხვა პირობებში შეიძლება ამ პირუტყვი-საგან ეს ოქროები ამეღო, რომლებიც ესეოდენ მჭირდება, მაგრამ დღევანდელი საქმე სახუმრო არ არის, სიკვდილის სუნი უდის“—გაიფიქრა რაზმის უფროსმა, როცა სასახლის კიბეზე შიშით წელში მოხრილი მედუქნე აჰყავდა.

შთაგამის ბერი ულიძის

როცა ფარაონმა ქურდის გვამის მოპარვის ამბავი მოისმინა, ჯავრი მედუქნეზე იყარა, ათი წლით ასუანში გაგზავნა, ქვის მალაროებში სამუშაოდ, გაქვეულ მცველებს კი მღვეარი დაადევნა.

— ამენგოთებ, ხედავ ქურდი რა ოინებს სჩადის?—უთხრა დანაწებით ფარაონმა.

— მეფევ, ეტყობა, ქურდი დიდი მოხერხებული კაცი უნდა იყოს, როგორც ხედავ, მისი დაჭერა ძალიან ძნელია.

— შევეცდები, რომ სასახლეში როგორმე შემოვიტყუო, ამის შესახებ მე უკვე მოვიფიქრე...—და ფარაონმა თავის ვეზირს ქურდის დაჭერის გეგმა გააცნო.

მეორე დღეს მეფის მსახურნი ქალაქის ქუჩებში დადიოდნენ და ხალხს ხმამაღლა აუწყებდნენ ფარაონის სურვილს: „ვინაიდან ღმერთებმა არ დალოცეს ჩენი. მბრძანებელი ვაჟიშვილით, თვით კი არ

იცის როდის წარსდგება ოზირისის სამსჯავროს წინაშე ანგარიშის წასაბარებლად, ამიტომ ბრძნული მოფიქრების შემდეგ მან გადაწყვიტა: აირჩიოს შვილად და სიძედ და მისცეს მეუღლედ თავისი მშვენიერი ასული ბერტრერი იმას, ვინც ყველაზე უფრო ჭკვიანი და ბრძენი აღმოჩნდება. ვინც დაჯილდოებულია ასეთი თვისებებით და აქვს თავის იმედი, სასახლეში გამოცხადდეს მეფის ქალიშვილის ოთახში და უშიშრად უამბოს მას, რადარა ბრძნული საქმე გაუკეთებია თავის სიცოცხლეში, სულერტია, ეს საქმენი იქნებთან კეთილნი თუ ბოროტნი, რომელიც მათ შორის აღმოჩნდება ყველაზე ბრძენი. ბერტრერი მას მისცემს თავის ხელს. ასეთია სურვილი ფარაონისა“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბავმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა და თებეს ახალგაზრდობა აამოძრავა. ბევრს იმედის ლამპარი დაუნთო გულში: იქნებ მეფის ასულს მოგვეწონო და ფარაონი გავხედო.

ფარაონის სასახლეს აუარებელი მსურველი მიაწყდა, რომლებსაც თავი ბრძენებად მოჰქონდათ, მაგრამ ბერტრერის ცნობისმოყვარეობა ვერც ერთმა ვერ დააკმაყოფილა და ყურებჩამოყრილნი და იმედგაცრუებულნი გამოდიოდნენ.

როდესაც კარგად დაღამდა, ფარაონის სასახლეს ერთი ახოვანი ჭაბუკი მიუახლოვდა. ჭაბუკი საზეიმოდ იყო მორთული და მის განიერ ბეჭებს ძვირფასი მოსასხამი ამშვენებდა. სასახლეს შემოუარა და ბერტრერის ოთახის ფანჯარა მოძებნა. უხმოდ ავიდა კედელზე და ფანჯრის ქვეშ თოკი გამოაბა, მერე თოკის წვერი ღაბლა დაუშვა და თვითონაც თან ჩამოჰყვა. ტანისამოსი შეისწორა და სასახლის კარს გაბედულად მიადგა. როდესაც მცველებმა მოსვლის მიზეზი მოისმინეს, ახალმოსული შიგნით შეუშვეს. მსახურმა ქალმა ჭაბუკი ბერტრერს წარუდგინა. ჭაბუკის გარეგნულმა სილამაზემ ბერტრერი მოხიბლა. მსახურ ქალს ანიშნა ოთახი დაეტოვებინა.

— მე გავკადნიერდი და გავბედე თქვენთან მოსვლა, მშვენიერო, ასულო, — დაიწყო ტკბილი ხმით ჭაბუკმა, — მე ბევრი მაქვს თქვენთან სათქმელი, მაგრამ... მან ეჭვის თვალით შეათვალიერა ოთახი, ბერტრერმა დაამშვიდა.

— ნუ შიშობთ, ჩვენ მარტონი ვართ, თამამად თქვით.

— არ ვიცი, შევეძლებ თუ არა დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა, მაგრამ მე მაინც მინდა მოგიტხროთ ჩემი სამწუხარო თავგადასავალი, რომელიც თქვენი სასახლის ირგვლივ გადამხდა.

ჭაბუკი ცოტახანს შეჩერდა და ბერტრერს გამოცდილი თვალე-

ბით შეხედა. ბერტრერმა სმენა გაიმახვილა და ჭაბუკს თავით ანიშნა: გთხოვთ დაიწყოთო.

— დიახ, ჩემი უბედურების სათავე თქვენი სასახლიდან იწყება... აქ დავღვარე ჩემი საყვარელი ძმის სისხლი, რომ ფარაონის რისხვა ამეცდინა... მე ის კაცი ვარ, რომელიც ფარულად შედიოდა მამათქვენის განძთსაფარში და საუნჯეს იტაცებდა.

გახარებული ბერტრერი ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ ჭაბუკმა ანიშნა—ნუ მიშლითო.

— მე ის კაცი ვარ, რომელმაც მახეში გაბმულ ძმას თავი მოჰკვეთა, თან წაიღო და ამით ბოროტმოქმედების კვალი დაფარა...

ბერტრერმა ხელი გაუწოდა და აღტაცებით შესძახა:

— ო, შენ ყველაზე ბრძენი და მოხერხებული კაცი ყოფილხარ! მოიტა შენი ხელი!

ჭაბუკმა გაიღიმა და თავაზიანად მიმართა:

— ნუ ჩქარობთ, მშვენიერო ასულო, მე კიდევ მაქვს სათქმელი; მე მოვიტაცე ძმის გვამი, ამით მამათქვენს წავართვი ბოროტმოქმედების კვალის მიგნების უკანასკნელი საშუალება...

— კმარა!—წამოიძახა ბერტრერმა,—აი, ჩემი ხელი, მხოლოდ შენ გეძებდი მე!

ჭაბუკმა ხელი გაუწოდა. ბერტრერმა ორივე ხელი მაგრად ჩაავლო და წინასწარ გამზადებული ოქროს სამაჯური სწრაფად გაუკეთა. სამაჯურზე წვრილი ჯაჭვი იყო გამობმული. ჯაჭვი მოსასხამ ქვეშ ოსტატურად ჰქონდა დაფარული და წელზე შემოხვეული.

— ო, მძარცველო, ჩემი ტყვე ხარ! ეი, ხალხნო მიშველეთ! ჭაბუკმა ბერტრერის ძახილზე გადიხარხარა. ჯაჭვით დაბმული სხვისი ხელი შეატოვა და თვითონ კი ფანჯარაზე შეხტა და სწრაფად ქვევით გადაეშვა. ბერტრერის ყვირილზე ოთახში შეიარაღებული ხალხი შემოცვივდა ჭაბუკის შესაპყრობად, მაგრამ გაოცებულნი შედგნენ: გულშეღონებული ბერტრერი სავარძელზე იყო მისვენებული და ხელში ადამიანის მოჭრილი ხელი ეჭირა...

ამ შემთხვევაძ ფარაონი მეტად გააოცა. ის დარწმუნდა, რომ ქურდი მართლაც ძალიან ჭკვიანი და მოხერხებული კაცი უნდა ყოფილიყო.

— ამენგოთეპ!—მიმართა ფარაონმა,—ქურდზე მე აზრი შევიცვალე, ის კაცი ჩვენ გვჯობნის როგორც ჭკუით, ისე მოხერხებით... მე მართლაც გადავწყვიტე, რომ მას მივცე ჩემი შვილი ცოლად.

ამენგოთეპმა გადაწყვეტილება მოუწონა და თავის მხრივ ქურდის ჭკუა და გამბედაობა შეაქო.

ფარაონის ხალხი ერთხელ კიდევ გაემართა ქუჩებისაკენ და მოსახლეობას აუწყა ახალი გადაწყვეტილება: „ჩემი ქალიშვილის მადებართაგან ბერტრერმა უპირატესობა მისცა იმას, რომელიც მასთან იყო გვიან ღამით და ხელი დაუტოვა. მეც თვით ავირჩიე ის შვი-



ფთაგმის შეხვედრა ბერტრერთან.

ლად და სიძედ; ცოლად ვაძლევ ჩემს ქალიშვილს ბერტრერს და ვაცხადებ ხალხის წინაშე, რომ საიდუმლოდ იქნება შენახული ყოველივე, რაც მან უამბო ჩემ ქალიშვილს და არც დაისჯება. ამავე დროს ვუბრძანებ მას, რომ დღესვე წარმოადგეს ჩემს წინაშე კურთხევის მისაღებად! ასე ლაპარაკობს მეგობარი ჭეშმარიტებისა, მზის შვილი რამესუ“.

საზეიმოდ მორთული ფთაგმაი მეორედ წარსდგა ბერტრერის წინაშე. ბერტრერმა იცნო და მხიარულად მიეგება:

— ო, თქვენა ხართ? მობრძანდით! გაიგეთ მამაჩემის გადაწყვეტილება? კმაყოფილი ხართ?

ფთავმაიმ დაბლა დახარა თავი და ბერტრერის ხელს ეამბორა.

— ციურო ასულო, მიბრძანებთ—კმაყოფილი ხართო? ენა ჩემი უძლურია გამოთქვას ის უდიდესი სიხარულის გრძნობა, რასაც განვიცდი მე... მხოლოდ ოცნებით შემეძლო ასეთ ბედნიერების მწვერვალზე აფრენა...

— მე მჯერა. თქვენი გულწრფელი აღიარება... მაგრამ თქვენ შაინც ძალიან დიდი, დიდი ეშმაკი და მოხერხებული კაცი ყოფილხართ?—და ბერტრერმა მხიარულად გადიკისკისა. ფთავმაიმაც ჩაიცინა.

— თქვენ გინდოდათ ჩემი შეპყრობა, მაგრამ მიცვალებულის ხელი კი შეგრჩათ...

როდესაც ფარაონმა და ამენგოთებმა მოისმინეს მოძრავი ქვის ამბავი, მოინდომეს მისი ნახვა. ფთავმაი უკანასკნელად ერთხელ კიდევ გაძვრა ხვრელში და დარბაზში ჩახტა, სადაც გაკვირვებული იდგნენ რამესუ, ამენგოთები და ბერტრერი.

რამდენიმე დღის შემდეგ ფთავმაისა და ბერტრერის ქორწილი დიდის ამბით გადაიხადეს, ქორწილს ხუროთმოძღვრის ქვრივი არ დაესწრო. შვილის თხოვნაზე დედამ შემოუთვალა: „მე შენსავით სულმდებალი არა ვარ, რომ შვილის გვამს გადავაბიჯო, სისხლით მორწყული გზით დიდებისაკენ წავიდე, ჩემი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ავაგო“.


როდესაც ფარაონი გარდაიცვალა, ეგვიპტის სამეფოს ტახტზე ფთავმაი ავიდა.

სანახოუბა, რომედამს არამიანს განსაძრედი რაჰინყა

როდესაც ნაპოლეონი ეგვიპტის დასაპყრობად იბრძოდა, ერთ-ერთ შეტაკებაში დამარცხებული მოწინააღმდეგის ჯარი ჩრდილოეთისაკენ გაიქცა. გაქცეულებს ფრანგები უკან დაედევნენ და ძალიან შორსაც მიჰყვნენ. მტერმა თავს უშველა, სადაც მიიმალა. გამარჯვებით თავბრულახვეული ფრანგები კვლავ წინ მიიწევდნენ. მაგრამ აფრიკის საშინელმა სიცხემ ფრანგები ჩქარა მოთენთა და არაქათი გამოაცალა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ და აღარ იცოდნენ თავი სად შეეფარებინათ. წყურვილისაგან ყელი უშრებოდათ, მაგრამ წყალი კი არსად ჩანდა. მდინარე ნილოსისაგან საკმაოდ დაშორებულ იყვნენ. ადგილმდებარეობასაც კარგად არ იცნობდნენ და დაიბ-

ნენ. სურსათ-სანოვაგეც შემოელიათ და უმწეო მდგომარეობაში ჩა-
ფარდნენ. დაღონებულნი წინ უწესრიგოდ მიიწევედნენ და ფეხებს
ძლივს მიათრევდნენ.

ნაპოლეონი საგონებელში ჩავარდა, სულის სიმტკიცე ოდნავ გაი-
ბზარა. უკან დაბრუნება განიზრახა, მაგრამ ჩქარა დარწმუნდა, რომ
ეს არ უშველიდა მდგომარეობას. ჯარს გასამხნეველად წინ გაუძღვა-
და თან იმედს აძლევდა: ჩქარა მდინარესთან მივალთო. დიდი გა-
ჭირვებით ერთი კილომეტრი კიდევ გაიარეს... უეცრად ფრანგების
თვალწინ გადიშალა არაჩვეულებრივი სანახაობა, რომელმაც მათ დაავი-
წყა დაღლილობა, შიმშილი, წყურვილი და როგორც ერთმა კაცმა, ისე
შესძახეს ვაჟა და დასცხეს ძრიელი ტაში. ჯარისკაცების ხმას შეუერ-
თდა ნაპოლეონის ხმაც, სანახაობა მართლაც აღტაცებად ღირდა:



ქალაქ თებეს ტაძრის ნანგრევები.

ეს იყო ქალაქ თებეს სახელგანთქმული ტაძრის ნანგრევები. ჯარის-
კაცებს მტერი დაავიწყდათ და წასვლას არ ჩქარობდნენ. წასვლას

არც ნაპოლეონი ჩქარობდა და წარსული ცხოვრების იშვიათ ნაშთებს უდიდესი ყურადღებით ათვალთვლებდა.

ტაძარი, რომელმაც ასე აღაფრთოვანა ჯვარისკაცები და მათი მთავარსარდალი, აკებულ იყო ორიათას ხუთასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მზის ღმერთის ამონ-რას პატივსაცემად. თავის დროზე იგი ყველა ტაძარზე უფრო დიდი მოცულობისა იყო და მისი სიგრძე სამას სამოც მეტრს აღწევდა, ხოლო სიგანე—ას მეტრს. ოდესღაც ტაძარს ქვის მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გალავნის შიგნით მშვენიერი ბაღები იყო გაშენებული. როგორც სხვა ტაძრებს, მასაც სფინქსების გრძელი ხეივანი ჩაუდიოდა. ხეივნის მარჯვნივ და მარცხენივ წითელი გრანიტის მაღალი ობელისკები იყო აღმართული. ტაძრის დარბაზში დადგმული იყო ამონ-რას ოქროს ქანდაკება, კედლებს ამშვენებდა მისივე ბარელიეფები. ბარელიეფებით ამონ-რა განსახიერებული იყო ადამიანის ტანით და ცხვრის თავით, ზოგან კი ფრინველის თავით. ყველას თავზე მზის დისკო ჰქონდა მოთავსებული.

ამონ-რას ტაძარი მდებარეობდა ფარაონ რამზეს მეორის ტაძრის ახლოს. ნაპოლეონმა რამზესის ტაძრის ნანგრევებიც დაათვალიერა და მისი ობელისკები ძალიან მოეწონა. ერთერთი ობელისკის საფრანგეთში გადატანა განიზრახა. ნაპოლეონმა თავისი განზრახვა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ განახორციელა. რამზესის ტაძრის ობელისკი მართლაც გადატანილ იქნა საფრანგეთში. მაგრამ ობელისკის გადატანა ფრანგებს ძალიან ძვირი დაუჯდათ (ღარი მილიონი ფრანკი¹, გადატანის დროსაც გზაში დიდი გაჭირვება განიცადეს. თექვსმეტი მეტრის სიმაღლისა და თორმეტიათას ხუთასი ფუთი სიმძიმის სვეტის ეგვიპტიდან საფრანგეთში გადატანა ადვილი საქმე არ იყო.

ამჟამად რამზესის ობელისკი პარიზის ერთერთ მოედანზეა აღმართული და მოქალაქე ისე არ გაივლის, რომ ცოტახანს არ შეჩერდეს და ამ იშვიათ სანახაობით არ დატკბეს.


მომღიარლი ქანდაკება

იმ ადგილზე, სადაც ოდესღაც ქალაქ თებეს ტაძრები ბრწყინავდა, აღმართულია ორი გიგანტური ქანდაკება. ეს ქანდაკებები ეკუთვნოდა ფარაონ ამენგოთებ მესამეს, რომელიც მეფობდა ეგვიპტეში

¹ ფრანკი 37 კაპიკს უდრის ოქროთი.

სამიათას ექვსასი წლის წინათ. ერთი ქანდაკებით განსახიერებულია თვით ფარაონი, მეორით კი მისი დედა—დედოფალი მეტემუე.

ოდესღაც ქანდაკებები ამშვენებდა უზარმაზარი ტაძრის შესავალს, მათ გვერდით იდგა ობელისკები. ობელისკებიდან იწყებოდა ქვის



მემნონის ქანდაკებები.

აფთარათა გრძელი ხეივანი. დროთა განმავლობაში ტაძარი აღიგავა მიწის პირიდან. მხოლოდ ქანდაკებებმა კი გაუძლეს საუკუნეების ქარიშხალს და ჩვენამდის მოაღწიეს.

ქანდაკებები დამჯდარ მდგომარეობაშია გამოკვეთილი და თითოეულის სიმაღლე თვრამეტ მეტრამდის აღწევს, ხოლო სიგანე მხრებში ექვს მეტრზე მეტია. ტახტის წინა ფეხებზე გამოქანდაკებულია ქალის ფიგურები, წარწერის თანახმად, ესენი არიან ფარაონის ახლო ნათესავები.

ერთმა შემთხვევამ ერთერთ ამ ქანდაკებას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი და მას მრავალი უცხოელი მნახველი მოაწყდა.

ჩვენი წელთაღრიცხვის ოცდაშვიდ წელს ეგვიპტეში მოხდა კატასტროფული მიწისძვრა, რომელმაც საშინლად დააზარალა ქალაქი

თებე და ადამიანთა აუარებელი მსხვერპლი შეიწირა. მიწისძვრის დროს ერთერთი ქანდაკება, სახელდობრ, რომლითაც ფარაონი იყო განსახიერებული, შუაზე გადაიმტვრა და ტანის ზევითა ნაწილი მიწაზე გადმოვარდა. ამ შემთხვევის შემდეგ მოსახლეობამ ჩქარა შეამჩნია, რომ გატეხილი ქანდაკების მეორე ნახევარი მზის ამოსვლის დროს, როგორც კი პირველი სხივები მოხვედროდა, ისეთ ხმას გამოსცემდა, რომელიც წააგავდა არფის უეცრად გაწყვეტილი სიმის ხმას. ზოგი ადამიანის ხმასაც ამსგავსებდა. ქანდაკების სეფდიანი ხმით ამღერებამ ცრუმორწმუნე ეგვიპტელებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ქანდაკების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სოფლიდან სოფელს, ქალაქიდან ქალაქს და ბოლოს დიდი ხმაურით მოიარა მთელი მსოფლიო. ეგვიპტეს ქვეყნის ყოველი კუთხიდან მიაწყდა ხალხი, რომ საკუთარი თვალთ ენახათ „სასწაულქმედი“ ქანდაკება და მოესმინათ მისი ხმა. ბევრმა უცხოელმა ინახულა ეს ქანდაკება და თავისი შთაბეჭდილება მის ფეხებზე ამოჭრა. სამოცდათორმეტი წარწერთაა დაფარული მისი ფეხები; წარწერები მკითხველებს მოუთხოვრობენ, რომ მათ დამწერთ მიეცათ ბედნიერი შემთხვევა, ინახულეს ქანდაკება და შოისმინეს მისი საუცხოო ხმა. მნახველთა შორის იყო აგრეთვე ცნობილი მოგზაური-გეოგრაფი სტრაბონი. სტრაბონიც სხვებსავით აღტაცებას გამოთქვამს ქანდაკების ნახვითა და მოსმენით. დრო გადიოდა და მომღერალი ქანდაკების სახელიც იზრდებოდა. მას კვლავ აუარებელი მნახველი აწყდებოდა. ორ საუკუნეზე მეტი, ყოველწლიურად ათასობით მიდიოდნენ უცხოელები სპეციალურად მისი ხმის მოსამენად.

ჩვენი წელთაღრიცხვის ორას წელს ეგვიპტეს ეწვია რომის იმპერატორი სევეტიმი სევერი, რომელმაც ინახულა აღნიშნული ქანდაკება და მოისმინა მისი ხმა. მან იფიქრა, რომ ქანდაკება უფრო ამღერებდა, თუ ჩამოვარდნილ ნახევარს თავის ადგილას დაადგამდა და მთლიან სახეს მისცემდა. ჩქარა განახორციელა კიდევ თავისი განზრახვა, ქანდაკების ჩამოვარდნილი ნახევარი თავის ადგილას დაადგმევინა და ყველა გაბზარული ადგილი შეალესვინა. იმპერატორი მოუთმენლად უცდიდა, როდის დამთავრდებოდა ქანდაკების შეკეთება, რომ მისი ხმით დამტკბარიყო. მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. შეკეთების შემდეგ ქანდაკება სამუდამოდ დამუნჯდა და ამაოდ ათევდა ღამეებს მის ახლოს იმპერატორი. ქანდაკება დამუნჯდა და მისი სახელიც, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე ქონდა, დავიწყებას მიეცა.

როგორც ახლა ფიქრობენ მეცნიერები, ქანდაკების ახმაურება მზის

ამოსვლის დროს უნდა გამოეწვია შემდეგ გარემოებას: გატეხილ-ქანდაკება მრავალ ადგილას ყოფილა გაბზარული, რომელშიდაც, რასაკვირველია, ჰაერი იყო შეჭრილი. მზის ამოსვლისას, როგორც კი მოხვდებოდა მას სხივები, ღამით გაციებული ქვა უცბად თბებოდა. ჰაერი, რომელიც გაბზარულ ადგილებში იყო შეჭრილი, სიცხის ზემოქმედებით ფართოვდებოდა და იქიდან ამოსვლის დროს გამოსცემდა ხმას, რომლის მოსმენა ასე აღელვებდა მნახველებს. ქანდაკების შეკეთებასა და შელესვას ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა მისი დამუშავება...

ბერძნებმა ეს ქანდაკებები შეცდომით მიაკუთვნეს ლეგენდარულ გმირს მემნონს და მისი სახელიც უწოდეს. ძველად ეს ქანდაკებები „მემნონის ქანდაკებების“ სახელით იყო ცნობილი და ახლაც კი უწოდებენ ასე.


მემნონი, რომლის სახელიც ბერძნებმა შეცდომით მიაწერეს სხვის ქანდაკებას, ჰომეროსის¹ თქმულებით იყო შვილი ტიფონისა და ავრორასი, მეფობდა ეთიოპიაში (აბისინიაში) და განთქმული იყო თავისი გმირობით. თავისი სიძის პრიამის დასახმარებლად გაილაშქრა საბერძნეთის წინააღმდეგ. საბერძნეთში მან დიდი გმირობა გამოიჩინა და მოწინააღმდეგეს დიდი ზიანი მიაყენა. უშიშრად შეებრძოლა ჰექტორის მკვლელს ძლიერ აქილესს და კიდევ დაჭრა იგი, მაგრამ ბოლოს მისი ხელით დაეცა განგმირული. გაუბედურებულმა დედამ ბრძოლის ველიდან წამოიღო თავისი შვილის გვამი და ეგვიპტეში დამარხა. ასეთია მოკლედ მემნონის თავგადასავალი.

გატეხილი ქანდაკება რომ ხმას გამოსცემდა, ბერძნების თქმით, ეს მემნონი განთიადისას ესალმებოდა თავის დედას და სევდიანის ხმით უამბობდა თავის უბედურებას: ბერძნები ამბობდნენ: «ყოველ დილას მემნონი მელოდიური სიმღერით ესალმება თავის ნაზად მოსიყვარულე დედას-განთიადს, დედას ესმის რა სევდიანი ძახილი უდროოდ დაღუპული შვილისა, დასტირის და აფრქვევს მწარე ცრემლებს. დედის ცრემლები დილით ცვარ-ნამად ეპკურება გმირი ჭაბუკის ვატეხილ გვამს».

შემდგომ, როდესაც ქანდაკებიდან ეგვიპტური ჰიეროგლიფების ამოკითხვა მოხერხდა, აღმოჩნდა, რომ მას საერთო არაფერი ჰქონდა ლეგენდარულ მემნონთან და რომ ეს ქანდაკებები ფარაონ ამენგოთეპ მესამეს ეკუთვნოდა.

¹ ჰომეროსი—ძველი საბერძნეთის უდიდესი პოეტი-მომღერალი, ავტორი სახელგანთქმული პოემების „ილიადასა“ და „ოდისეიასი“.

აი, მოკლედ ერთერთი წარწერა: „მფარველი სამართლიანობისა, შხის შვილი ამენგოთევი, თავისი მამის აამონის პატივსაცემად ააგო ესე სასახლე და მას უძღვნა ეს უზარმაზარი ქანდაკებები, გამოთლილი მგარი ქვისაგან“ და სხვ.



ვაკე გიზეხი და დიდი პირამიდები.

რიდი პირამიდები

შუა ეგვიპტეში არის ერთი ვაკე ქვიშნარი ადგილი, რომელსაც გიზეხი ეწოდება. ოდესღაც აქ მდებარეობდა ეგვიპტის უძველესი და სახელგანთქმული ქალაქი მემფისი¹, ბევრი ბრძოლისა და უბედურე-

¹ მემფისი ეგვიპტის პირველი სატახტო ქალაქი იყო. მის აგებას მიაწერენ პირველ ფარაონს მენესს. თავის დროზე მენესს უდიდესი მუშაობა ჩაუტარებია ამ ქალაქის გასაშენებლად. ოდესღაც იმ ადგილას, სადაც მემფისი მდებარეობდა, ნილოსის კალაპოტი ყოფილა და მდინარე თითქმის მთის ძირში მიმდინარეობდა, ფარაონ მენესს ნილოსისათვის ახალი კალაპოტი გაუჭურია და მდინარე სხვა მხარეს, აღმოსავლეთით გადაუყვანია. მრავალი კილომეტრის გასწვრივ მაღალი და მკვრივი ჯებირი აუგია, პირველი კალაპოტი წყლისაგან სრულიად გაუთავისუფლებია, მიწით ამოუვსია და იმ ადგილზე, რომელიც წინათ წყლით ყოფილა დაფარული. გაუშენებია მშვენიერი ქალაქი მენ-ნოფერი (კარგი ადგილი), ანუ მემფისი, როგორც შემდეგ ბერძნებმა დაარქვეს. თავის დროზე მემფისი ბრწყინავდა

ბის მოწმეა ეს ადგილი, ბევრი სისხლი და ცრემლი შეუშვრია და ბევრი უსარგებლო შრომა დაუმარხავს ამ ადგილს! ეგვიპტის ფარაონებმა თავისი სისასტიკის წარუშლელი კვალი დატოვეს აქ, რომ შემდეგ ხალხს მათი სახელი წყველითა და კრულვით მოეხსენებია.



პალმების ხეივანი. შორიდან მხჩანს პირამიდები.

ფარაონების სასახლეებით, ტაძრებით, პირამიდებით და იქ გაჩაღებული იყო კვაკ-რობა-მრეწველობა.

დროთა განმავლობაში მემფისი მტრების ძიერ განადგურდა, მისგან დარჩა მხოლოდ იშვიათი ნანგრევები და ფარაონების პირამიდები. დაახლოებით ათასი წლის წინათ მემფისის ნანგრევებით არაბებმა ააგეს თანამედროვე ეგვიპტის დედაქალაქი ქაირი.

ამ ვაკეზე სამოცდაათი კილომეტრის გასწვრივ ჩამწკრივებულან ასამდე ფარაონების პირამიდები. ზოგი ძალიან დიდია, ზოგი კი პატარა, მაგრამ მათში თავისი სიდიდით ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავია სამი. ეს პირამიდები ეკუთვნოდა სამ ფარაონს: ხეოპსს, ხეფრენსა და მიკერინოს. ხეოპსი და ხეფრენი ძმები იყვნენ. მიკერინოსი კი პირველის შვილი იყო. მეფობდნენ დაახლოებით ხუთიათასი წლის წინათ. ეს პირამიდებიც თავისი არსებობის ხუთიათასი წელს ითვლიან და ვერავითარ ძალას ისინი ადგილიდან ვერ დაუძრავს, თუმცა ბევრს განუზრახავს მათი დანგრევა. არაბებმა ამ პირამიდებზე მოსწრებული ანდაზა შეთხზეს: „ყველა საგანს ეშინიათ დროსი, მაგრამ დროსი ეშინია პირამიდების“. მართლაც, დროს ვერაფერი დაუკლია ამ ბუმბერაზებისათვის და მათ წინაშე უძლური აღმოჩენილა, საუკუნეები გადმოუღახავთ და ჩვენამდის მოუღწევიათ. როგორც სამი იალბუზი, ასე აღმართულან ამ ვაკე ადგილზე და თავები ცისთვის მიუბჯენიათ. სამ პირამიდაში ყველაზე დიდი ფარაონ ხეოპსისაა. მისი მეფობაც ყველაზე უფრო ხანგრძლივი იყო—ორმოცდაათ წელს გასტანა და პირამიდაც უფრო მაღალი ააგო. მაგრამ ხეოპსმა მძიმე შთაბეჭდილება და სიძულვილი დაუტოვა ეგვიპტელებს. მისი სახელი საუკუნეების მანძილზე წყევლა-კრულვითა და ზიზლით იხსენიებოდა¹.


ფარაონი ხეოპსი ძალიან სასტიკი მმართველი იყო, შეუბრალებლად ჩაგრადა ეგვიპტელებს და კიდევ უფრო მეტად—სამხედრო ტყვეებს, მონებს. ეგვიპტელებს ძალიან სძულდათ ხეოპსი და მას „უსამართლოს“ და „უღმერთო მმართველს“ ეძახოდნენ.

ხეოპსი თავის უზარმაზარ პირამიდას ოცდაათი წლის განმავლობაში აგებდა და ყოველდღიურად იძულებითი წესით ასიათას კაცს ამუშავებდა. მარტო გზების გასაყვანად, რომელზედაც ქვები უნდა ეზიდათ, ათ წელზე მეტი მოსდომიათ.

ხეოპსის პირამიდა ოთკუთხედიან, ფუძე ძალიან განიერი აქვს და ზევით თანდათან ვიწროვდება, მისი სიმაღლე ას ორმოცდაშვიდ მეტრს უდრის, ხოლო სიგანე ფუძეში—ორას ოცდაცამეტ მეტრს და ორმოცდაათი ჰექტარი ფართობი უკავია.

¹ როდესაც პეროდოტეს დიდი პირამიდები დაუთვალიერებია, ეგვიპტელებისათვის მათი ფარაონების ვინაობა უკითხავს. მაგრამ მათ პასუხის მაგივრად უკანასკნელთა მისამართით წყევლა-კრულვა დაუწყიათ და მეტი სიძულვილით ფარაონების სახელებიც კი არ უთქვამთ. ამდენად ღრმად ყოფილა დარჩენილი ხალხში ხეოპსისა და სხვა ფარაონების სიძულვილი.

აი, რას წერს ისტორიკოსი რაგოზინი ამ პირამიდის საარაკო სიდიდეზე: „მისი ქვის მასა სამოცდათხუთმეტ მილიონ ფუტს უდრის. ამ ქვის მასით შეიძლება აიგოს ისეთი კედელი, რომელსაც ოთხი-ათას ხუთასი ვერსი სიგრძე ექნება, ექვსი ფუტი სიმაღლე და ორი ფუტი სიგანე“.



შესავალი ხეობის პირამიდაში.

ასეთი უზარმაზარი პირამიდის შიგნით ვაკეთებულია მხოლოდ ორი შედარებით პატარა აკლდამა. ერთ აკლდამაში იდგა ფარაონის სარკოფაგი, მეორეში დედოფლისა. შესავალი ვაკეთებული აქვს სამხრეთის კედლიდან, შუა ადგილას. თუმცა ის ძალიან ოსტატურად იყო დაფარული, მაგრამ არაბებმა მაინც იპოვეს და შეიჭრნენ პირამიდაში: ეგებ განძს წავაწყდეთო. გარდა დამტვრეული სარკოფაგისა შიგნით არაფერი დახვდათ. ოდესღაც პირა-

მიდის კედლები მოპირკეთებული იყო ფერადი გრანიტით და სარკესავით ვაკრიალებული, მაგრამ არაბებმა შემოაცალეს და დაიტაცეს.

ფარაონ ხეფრენის პირამიდა ხეობის პირამიდის ასლია, მხოლოდ ცოტა მასზე მცირე ზომისა. მისი სიმაღლე ასოცდათვრამეტ მეტრს უდრის, სიგანე—ორას თხუთმეტ მეტრს.


ფარაონ მიკერინოსის პირამიდა კი ორივე პირამიდაზე ვაცილებით „პატარაა“ და მისი სიმაღლე სამოცდაექვს მეტრს უდრის, სიგანე—ას რვა მეტრს.

პროფესორი ბრულში ამბობს, პირამიდები მოგვითბრობენ განწირული ხალხის ცრემლებსა და ტანჯვაზე. და მართლაც მათი აგების დროს ვინ იცის რამდენმა ეგვიპტელმა უდროოდ ჩაყარა ძვლები გიზეხის ცხელ ქვიშაში.

დიდი სფინქსი

დიდი პირამიდებიდან დაშორებით, მოპირდაპირე მხარეს მოჩანს პატარა კლდე, მაგრამ როცა უახლოვდებით, გაცეცხული შედგებით: კლდის მაგივრად უზარმაზარი ქანდაკებაა აღმართული. ოდესღაც ეს ქანდაკება კლდე ყოფილა, მაგრამ ეგვიპტელების მადლიან ხელებს გამოუკვეთიათ და განუმეორებელი ძეგლი შეუქმნიათ.

ეს ქანდაკება არის დიდი სფინქსი, რომელსაც ლომის ტანი აქვს და ადამიანის თავი¹. მისი სიმაღლე თვრამეტ მეტრს უდრის, სიგრძე



მიკერინოსის პირამიდის აკლდამა

კი სამოც მეტრს. მისი ტანი ტლანქადაა დამუშავებული და დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ თავი კი ჩინებულადაა გამოქანდაკებული. სახისა და თვალების გამომეტყველება ლამაზი და მიმზიდველი აქვს, მისი მშვენიერი თვალები, საიდუმლოებით მოცულნი, სადღაც შორს გაიყურებიან და თითქოს სასურველი სტუმარი შეუმჩნევიან, ტუჩებზე ოდნავი ღიმილი უთამაშებს...

¹ ზოგი ფიქრობს, ეგვიპტელები სფინქსის სახით აზრსა და ძალას გამოხატავდნენო.

სფინქსი ეგვიპტური ხელოვნების უკვდავი ქმნილებაა, რომლის მსგავსი მსოფლიოში არ მოიპოვება. სფინქსი მაჩვენებელია ეგვიპტელების უდიდესი კულტურული წარსულისა. მარტო ეს იშვიათი ქანდაკება რომ ღებოვებინათ ეგვიპტელებს, ესეც საკმარისი იყო მათი სახელის უკვდავსაყოფად.



ხეფრენის ქანდაკება

ვინ იცის, რამდენ ათას წელს ითვლის ეს იშვიათი სანახაობა! თვით ეგვიპტელებს არ ახსოვდათ მისი შექმნის დრო. იგი მსოფლიოში ყველაზე უძველესი ქანდაკებაა.

ოდესღაც სფინქსი ფერადი საღებავებით იყო დაფარული, თავი კი შემკობილი ჰქონდა ოქროს ვეება დისკოთი. მზის ამოსვლის ჟამს მისი თავი ისე ელვარებდა, თითქოს ცეცხლის ალშია გახვეულიო.

დროსთან ბრძოლაში სფინქსი გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ადამიანთან კი დამარცხდა: ადამიანმა მისი მშვენიერი სახე

ღრმა ქრილობებით დასერა და დაამახინჯა.

როცა არაბები ეგვიპტეში თარეშობდნენ და საუკუნოებით შექმნილ ძეგლებს ანადგურებდნენ, სფინქსის დანგრევაც მოინდომეს. ზარბაზნებით სროლა დაუწყეს, მაგრამ მისი დანგრევა მაინც ვერ შეძლეს, მხოლოდ სახე და ცხვირი დაუმახინჯეს. სფინქსის სახეს უწინდელი სილამაზე აღარ აქვს, მაგრამ მნახველში ახლაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სფინქსის ქვედა ნაწილი დიდხანს იყო სილით დაფარული და არ იცოდნენ, თუ რა იყო მის ქვეშ მოთავსებული. დაინტერესებულმა მეცნიერებმა განიზრახეს მისი გათხრა და საფუძვლიანად შესწავლა. როცა გათხარეს და მისი ქვედა მხარე სილისაგან გაათავისუფლეს, თათებქვეშ გამოჩნდა პატარა ტაძარი. ტაძრის გარშემო აღმოაჩინეს მრავალი სასაფლაო ძვირფასი განძეულობით.


ზოგი ფიქრობს, სფინქსი ერთერთი ფარაონის სასაფლაო უნდა იყოს და ოდესღაც, ალბათ, მისი მუშია ტაძარში იყო დასვენებულ-

ლიო. მას ზოგი ეგვიპტის პირველ ფარაონ მენეს მიაკუთვნებს, ზოგიც ხეფრენს.

მერიდის ვა და სასახლე დაბირინთი

ქვედა ეგვიპტეში არის ერთი ტბა, რომელსაც მერიდის ტბა ეწოდება. ეს ტბა ხელოვნურად არის გაკეთებული და ოდესღაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვედა ეგვიპტის ყანებისა და მინდვრებისათვის.


უძველეს დროს იმ ადგილას, სადაც ამჟამად ტბა არის, მხოლოდ ჩაღრმავებული ადგილი ყოფილა გადამხმარი მიდამოებით. ოთხიათას ხუთასი წლის წინათ ფარაონს ამენემეს მარესმა განიზრახა ამ ბუნებრივად ჩაღრმავებულ ადგილას ხელოვნური ტბის გაკეთება და მის გარშემო მდებარე მიდამოების ამწვანება. ამ მიზნით მან ეს ადგილი გააფართოვა და ფართო არხით მდინარე ნილოსს შეუერთა: მას უნ-



თუ წარმოვიდგინოთ პირამიდას შუაზე გაჭრილს, ასეთ სურათს მივიღებთ: ხევიტ — მარჯვნივ და მარცხნივ ვიწრო ჩასასვლელი აკლდამაში, სადაც იდგა ფარაონის სარკოფაგი. ფარაონის აკლდამიდან ქვევით მიდის ფართო ჩასასვლელი დედოფლის აკლდამისაკენ, ქვევით — ჩასასვლელი მიწისქვეშა აკლდამაში. ეს აკლდამა გამოჩნებოდა კლდეში. მთელი პირამიდის საფუძველსაც კლდე შეადგენს.

დოდა, რომ ნილოსის ადიდებით ესარგებლა და არხის საშუალებით წყლით აევსო. მაგრამ ვიდრე წყალს ჩაუშვებდა, შუა ადგილზე ორი დიდი პირამიდა ააგებინა, ერთი თავისთვის, მეორე კი მეუღლისა-

თვის. აქ, შუა ტბაში, უნდოდა „მარადიულ ბინაში“ „მარადიული ცხოვრება“. პირამიდების თავზე თავისი ქანდაკებები ააღმართვინა. პირამიდებს შესავალი მიწისქვეშ გაუკეთა ისე, რომ გვირაბს ტბის ქვეშ უნდა გაევიდოდა და შუაგულამდის მისულიყო, სადაც პირამიდები იდგა. გვირაბის სიგრძე რამდენიმე კილომეტრს უდრიდა.



ყველაზე უძველესი სართულებიანი პირამიდა (აგებულია 6000 წლის წინათ). მდებარეობს გიზეხიდინ კოტა დაშორებით სოფელ საქარასთან და სახელადაც საქარის პირამიდაა ეძახიან. მისი სართულების სიმაღლე თორმეტიდან ცხრამეტ მეტრამდეა მთელი სიმაღლე კი სამოც მეტრამდე აღწევს.

ფარაონმა შემდეგ ტბის ყველა მიმართულებით, ყანებისა და მინდვრების მოსარწყავად, არხები გააყვანინა. სურვილისამებრ შეიძლება ბოლო არხების გაღება და დაკეტვა.

ფარაონ ამენემესმა თავისი სახელის უკვდავსაყოფად ამ ტბის ნაპირზე დაიწყო სასახლე-ტაძრის აგება. შემდგომ სხვა ფარაონებმა დაასრულეს მისი მშენებლობა.

სასახლე ლაბირინთი (ბერძნებმა დაარქვეს ეს სახელი¹ საარაკო სიღადისა იყო და ძვირფასად მორთული. მისი სიგრძე ასოცდარვა მეტრს უდრიდა. სასახლეს პალმების ფართო ხეივანი ჩაუდიოდა, რომელიც მასთან თავდებოდა. ხეივანს მარჯვნივ და მარცხნივ ოქროთი


¹ ლაბირინთის სახელწოდება წარმოსდგა ფარაონ ამენემესეტ მესამის სახელ „ლაბირე“-დან. ეს სახელწოდება ბერძნებმა გადასახვეაფერეს.

მოვარაყებულო სფინქსები ამშვენებდა. სასახლის შესავალთან ფარაონის ვეება ქანდაკება იყო აღმართული. სასახლე სამიათასი ოთახისაგან შედგებოდა, ათას ხუთასი მიწის ქვეშ იყო გაკეთებული, ათას ხუთასი კი მიწის ზევით. ზევითა ოთახები ფარაონების საცხ.ოვრებლად და მთხოვნელთა მისაღებად იყო დანიშნული. მიწისქვეშა ოთახებში კი დასვენებული იყო ფარაონების მუმიები, რომლებიც ამ სასახლის აგებაში იღებდნენ მონაწილეობას. ამ ოთახებში იყო მოთავსებული მათი „წმინდა“ ნიანგების მუმიებიც.

ოთახები ძვირფასი სამკაულებითა და ოქროს ქანდაკებებით იყო მორთული, მათი კედლები დაფარული იყო მხატვრული სურათებითა და ჰიეროგლიფებით. ყოველი ოთახის ქერი მთლიანი ქვისაგან იყო გამოთლილი და ჩუქურთმებით შემკობილი.

„...სასახლე ლაბირინთის ნაგებობა ისეთ მრავალფეროვნად და რთულად იყო შეარულებული და ისეთი თვალწარმტაცი იყო, რომ მნახველნი უარს ამბობდნენ მის დაწვრილებით აღწერაზე“. — ამბობს ერთი ისტორიკოსი.

საუკუნეების მანძილზე ეს იშვიათი სასახლეც გაანადგურა მტერ-



დიდი სფინქსი.

მა და მისი ძვირფასი მორთულება კი დაიტაცა... პირამიდებიც გაქრნენ, შუა ტბაში რომ იყვნენ აღმართულნი. ტბაც თითქმის დაშრა, არხები მიწით ამოივსო და დაინგრა.

ახლა ტბას მხოლოდ წყაროები ასაზრდოებს, მის ფსკერზე რომ უხვად ამოჩუხჩუხებენ.

ჩაგრულთა აჯანყება

სამიათას შვიდასი წლის წინათ ეგვიპტე სამოქალაქო ომის ცეცხლის ალში გაეხვია. საუკუნეებით დამონებულმა მშრომელმა ხალხმა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ხმა აღიმალლა. ერთ ბედში მყოფი ხელოსნები, გლეხები და მონები გაერთიანდნენ და იარაღით ხელში გაილაშქრეს საერთო შტრების წინააღმდეგ.

მოხდა ის, რასაც არ მოელოდნენ არც ფარარნი და მით უმეტეს არც ქურუმები. მათი სიტყვით რომ ვთქვათ, „ეგვიპტეში ყველაფერი ძირფესვიანად შეირყა, ქვეყნის წიგნით საშინელი არეულობაა... ქვეყანა სავესეა აჯანყებულებით“.



სფინქსი ქვედა ნაწილის ქვიშისაგან განთავისუფლების შემდეგ. თათებქვეშ მოსჩანს პატარა ტაძარი. უკან—დიდი პირამიდა.


აჯანყება დაიწყო სოფლებში, სოფლებიდან ქალაქებზე გადავიდა და ჩქარა მთელ ეგვიპტეს მოედო. რამდენიმე დღის განმავლობაში

აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს თითქმის ყველა სოფელი და მრავალი ქალაქი.

აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ ხალხის მიერ არჩეული მეთაურები. მეთაურთა შორის ბევრი ყოფილი მონაც იყო. მათ დიდი დახმარება გაუწიეს აჯანყებულებს ფარაონისა და მთავრების ჯარებთან ბრძოლაში: მონებმა კარგად იცოდნენ სამხედრო საქმე, ისინი ხომ ოდესღაც შეომრები იყვნენ.

აჯანყებულებთან ბრძოლაში მრავალი მთავარი და მემამულე დაიხოცა, ზოგმა კი გაქცევით უშველა თავს. მათი ადგილ-მამული და ქონება ღარიბ-ღატაკთა შორის განაწილდა, ბინებში ჩასახლდნენ ყოფილი ყმები და მონები.

პირველ დღეებში აჯანყებულები ქურუმებს არ შეეხნენ, მათ აღ-




სასახლე-ლაბირინთის ნანგრევები.

გილ-მამულს გვერდი აუარეს, მხოლოდ ტაძრების კუთვნილი გლეხები და მონები გაათავისუფლეს და ჯერჯერობით ამით დაკმაყოფილდნენ. ქურუმები ამ გარემოებამ წაათამაშა და შეეცადნენ აჯანყება შეეჩერებინათ. თავისი გავლენის გასაძლიერებლად და ხალხის დასაშინებლად ათასნაირ „სასწაულს“ მიმართავდნენ, აჯანყებულებს განგებ ეთანხმებოდნენ და ფარაონს წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ. მაგრამ ყოველი მათი ცდა ამაო იყო. „სასწაულები“ უძლური აღმოჩნდა აჯანყებულთა დასამშვიდებლად. აღშფოთებულ ხალხს ქუ-

ჩაგრძლია აჯანყება

სამიათას შვიდასი წლის წინათ ეგვიპტე სამოქალაქო ომის ცეცხლის ალში გაეხვია. საუკუნეებით დაძმონებულმა მშრომელმა ხალხმა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ხმა აღიმალლა. ერთ ბედში მყოფი ხელოსნები, გლეხები და მონები გაერთიანდნენ და იარაღით ხელში გაილაშქრეს საერთო მტრების წინააღმდეგ.

მოხდა ის, რასაც არ მოელოდნენ არც ფარაონი და მით უმეტეს არც ქურუმები. მათი სიტყვით რომ ვთქვათ, „ეგვიპტეში ყველაფერი ძირფესვიანად შეირყა, ქვეყნის შიგნით საშინელი არეულობაა... ქვეყანა სავსეა აჯანყებულებით“.



სფინქსი ქვედა ხაწილის კვიშისაგან განთავისუფლების წემდეგ. თათებქვეშ მოსჩანს პატარა ტაძარი, უკან--დიდი პირამიდა.


აჯანყება დაიწყო სოფლებში, სოფლებიდან ქალაქებზე გადავიდა და ჩქარა მთელ ეგვიპტეს მოედო. რამდენიმე დღის განმავლობაში

აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს თითქმის ყველა სოფელი და მრავალი ქალაქი.

აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ ხალხის მიერ არჩეული მეთაურები. მეთაურთა შორის ბევრი ყოფილი მონაც იყო. მათ დიდი დახმარება გაუწიეს აჯანყებულებს ფარაონისა და მთავრების ჯარებთან ბრძოლაში: მონებმა კარგად იცოდნენ სამხედრო საქმე, ისინი ხომ ოდესღაც მეომრები იყვნენ.

აჯანყებულებთან ბრძოლაში მრავალი მთავარი და მემამულე დაინოცა, ზოგმა კი გაქცევით უშველა თავს. მათი ადგილ-მამული და ქონება ლარიბ-ლატაკთა შორის განაწილდა, ბინებში ჩასახლდნენ ყოფილი ყმები და მონები.

პირველ დღეებში აჯანყებულები ქურუმებს არ შეეხნენ, მათ აღ-



სასახლე-ლაბირინთის ნანგრევები.

გილ-მამულს გვერდი აუარეს, მხოლოდ ტაძრების კუთვნილი გლეხები და მონები გაათავისუფლეს და ჯერჯერობით ამით დაკმაყოფილდნენ. ქურუმები ამ გარემოებამ წაათამაშა და შეეცადნენ აჯანყება შეეჩერებინათ. თავისი გავლენის გასაძლიერებლად და ხალხის დასაშინებლად ათასნაირ „სასწაულს“ მიმართავდნენ, აჯანყებულებს განგებ ეთანხმებოდნენ და ფარაონს წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ. მაგრამ ყოველი მათი ცდა ამაო იყო. „სასწაულები“ უძლური აღმოჩნდა აჯანყებულთა დასამშვიდებლად. აღშფოთებულ ხალხს ქუ-

რუმების სიტყვები უკვე აღარ სჯეროდა. მაგრამ როდესაც ქურუმები შეეცადნენ აჯანყებულთა მეთაურებს შორის განხეთქილება მოეხდინათ და შური და მტრობა ჩამოეგდოთ, მაშინ კი აჯანყებულებმა მიაკითხეს მათ ბელლებს.

ბევრი იყვირეს ქურუმებმა: „შეწირული პურის შეჭმა ვის გაუგიაო, ოზირისი მაგისათვის მკაცრად დაგსჯითო, მაგრამ არაფერი გაუვიდათ, ბელლები დაცარიელდა და თან მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელიც გაჰყვა...“

დაფუგდოთ ყური, რას მოგვითხრობს თვალეზზე ცრემლმორეული ერთერთი ქურუმი:

„...დედამიწა ყირაზე გადატრიალდა, ქალაქისა და სოფლის ღარიბ-ღატაკები, რომლებსაც არასოდეს არ უნახავთ დღის სინათლე და რომლებიც რწყავდნენ მიწას, ამალდნენ, განდიდნენ და ყოველ ახალ დღეს უშიშრად ეგებებიან... მონებმა დაიჭირეს ბატონების ადგილი, ღარიბებმა ხელში ჩაიგდეს მდიდრების ქონება და სარგებლობენ ყოველივე სასიცოცხლო დოვლათით, იმ დროს, როდესაც წინანდელი დიდგვარიანები და შთამამავლობით თავადები დაეხეტებიან სახელმწიფოში უსახლკარონი და მშვიერი... ხალხი ჭამს შეწირულ პურს“ და სხვ.

ჩქარა აჯანყებულები მემფისში შევიდნენ. ფარაონის ვეზირები და დიდებულნი ამოხოცეს, დაანგრიეს ფარაონთა და დიდებულთა აკლდამები, დაამტვრიეს მათი ქანდაკებები. მერე ხეობსი და ხეფრენი მოიგონეს და დიდ პირამიდებს მიაშურეს. შიგნით შევარდნენ, სარკოფაგები დაამტვრიეს, მუმიები გარეთ გამოათრიეს და საჯაროდ მოუკიდეს ცეცხლი. პირამიდების დანგრევაც მოინდომეს, მაგრამ ეს საქმე არც ისე ადვილი აღმოჩნდა, სხვა დროისათვის გადადევს.

აჯანყებულებმა დაამარცხეს შინაური მტრები და სახელმწიფოს ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს. მონობის უღლიდან განთავისუფლებული ხალხი ახალი ძალითა და სიხარულით შეუდგა ძველის ნანგრევებზე ახალი ცხოვრების აგებას...

მაგრამ მშრომელმა ხალხმა დიდხანს ვერ შეინარჩუნა ბრძოლით მოპოებული თავისუფლება. ეგვიპტის ბედილბალს გარეშე მტრები დაესაკუთრნენ. ესენი იყვნენ ჰიქსოსები.

ჰ ი ქ ს ო ს ე პ ი

ჩქარა ეგვიპტეს დიდი უბედურება დაატყდა თავს: მოულოდნელად არაბეთიდან შეიჭრნენ მრავალრიცხოვანი მომთაბარე ტომები, ე. წ. ჰიქსოსები.

ჰიკსოსები მოხეტიალე ტომებიდან შედგებოდნენ, რომლებიც მესაქონლეობას მისდევდნენ და ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ. რასაკვირველია, ახალ საძოვრებს ძალით იპყრობდნენ. მათ რიცხვში შედიოდა ერთი ნახევრადველური ტომი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ყაჩაღობით ირჩენდა თავს. მისი წევრები თავის თავს შასუს, ანუ ყაჩაღს უწოდებდნენ.

ჰიკსოსებს უმთავრესად იზიდავდა ეგვიპტის მდიდარი საძოვრები. შასუს ტომს კი სხვა მისწრაფება ამოძრავებდა. ეს ნახევრადველური ტომი აპირებდა ეგვიპტის ხელში ჩაგდებას.

ჰიკსოსები ვერ გაბედავდნენ ეგვიპტეზე თავდასხმას, რომ მათ არ დახმარებოდნენ ეგვიპტიდან გადახვეწილი მთავრები. მთავრებს უნდოდათ გარეშე მტრების დახმარებით ჩაეხშოთ აჯანყება და დაებრუნებინათ დაკარგული უფლებები და ადგილ-მამული.

ჰიკსოსებმა პირველად ქვედა ეგვიპტე დაიპყრეს, მერე მემფისზე მიიტანეს იერიში, სადაც აჯანყებულები იყვნენ გამაგრებულნი. სამოქალაქო ომებით დასუსტებული მემფისი მტერს მომზადებული ვერ შეხვდა და დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ხანმოკლე შებრძოლების შემდეგ ჰიკსოსებმა ეგვიპტის დედაქალაქი აიღეს და დაიწყეს მოსახლეობის რბევა.

თუმცა გარეშე მტრის დახმარებით მთავრებმა შეძლეს აჯანყებულების დამარცხება, მაგრამ სასტიკად მოტყუდნენ: ჰიკსოსები მათაც მკაცრად გაუსწორდნენ.

აი, რას მოგვითხრობს ჰიკსოსების შესახებ ეგვიპტელი ისტორიკოსი მანეფონი: „...თიმაიოსის მეფობის დროს, არ ვიცი რატომ, განრისხდა ჩვენზე ლეერთი. აღმოსავლეთიდან მოულოდნელად მოგვევლინა უცნობი ვინაობის ხალხი. უხეშად გამოილაშქრეს მათ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და ადვილად დაიმორჩილეს იგი. დაწვეს და დაანგრეს ქალაქები და დაბები. მოსახლეობას ძალიან მკაცრად მოექცნენ: ზოგი დახოცეს, ზოგი კი ცოლ-შვილით მონებად აქციეს. ბოლოს ერთი მათგანი მეფედ დაჯდა. მას სალათისი ერქვა. სალათისი შევიდა მემფისში, დაადგა გადასახადი ქვედა და ზედა ეგვიპტეს და მეციხოვნე ჯარები მარჯვე ადგილებზე მოათავსა. ყველაზე უფრო მან გაამაგრა აღმოსავლეთის საზღვარი, ვინაიდან ეშინოდა მაშინდელი ძლიერი ასირელების თავდასხმისა... ქალაქ ავარისში მან მოათავსა მძიმედ შეიარაღებული 240 ათასი მეციხოვნე ჯარი. აქ მოდიოდა ის ყოველ ზაფხულს, რომ დაერიგებინა პური და ჯამაგირი და აგრეთვე ავარჯიშებდა ჯარს... მან იმეფა 19 წელი და მოკვდა. მის შემდეგ 44 წელს იჯდა მეორე მეფე ბნონი, ბნონის შემ-

დღე აპახნაჩი—36 წელს, აპოფისი—61 წელს, იანი—50 წელს, ასი-
სი—49 წელს... ხალხი მათ ჰიკსოსებს ეძახდა, რაც ნიშნავს „მეფე—
მწყემსს“. ჰიკსოსებმა თავის სატახტო ქალაქად აირჩიეს ქალაქი ავა-
რისი...“

მართალია, ჰიკსოსები პირველ ხანებში მოსახლეობას მკაცრად
მოეპყრნენ, მაგრამ როცა კარგად გაიცნეს ეგვიპტელები, მათდამი
დამოკიდებულება შეცვალეს. ჩქარა დარწმუნდნენ, რომ საქმე ჰქონ-
დათ კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომ ერთან, რომლისაგანაც
ბევრი სასარგებლო ცოდნის მიღება შეიძლებოდა. ჰიკსოსები თანდა-
თან მოექცნენ ეგვიპტური კულტურის გავლენის ქვეშ და ყველაფერში
ეგვიპტელებს ჰბაძავდნენ.

ჰიკსოსებმა ერთი მეტად დიდი სარგებლობა მოუტანეს ეგვიპტეს:
ამ ქვეყანაში პირველად მათ შეიყვანეს ცხენი, რითაც უდიდესი სამ-
სახური გაუწიეს სამხედრო საქმეს...

ჰიკსოსების ბატონობა ეგვიპტეში ასორმოცდაათ წლამდე გაგ-
რძელდა. ამ ხნის განმავლობაში ჰიკსოსებმა შეძლეს ქვედა და შუა
ეგვიპტის დამორჩილება. ზედა ეგვიპტე დამოუკიდებლად მოქმედო-
ბდა, მხოლოდ ყოველწლიურად აძლევდა ჰიკსოსებს განსაზღვრულ
ხარკს. ბევრჯერ შეეცადნენ ჰიკსოსები თებეს დამორჩილებას, მაგრამ
მათი ცდა მუდამ მარცხით თავდებოდა. თებე სალი კლდესავით იდგა
და მხოლოდ იქ ფრიალებდა თავისუფლების დროშა და იქვე მზად-
დებოდა ჰიკსოსებზე თავდასხმის გეგმები.

ჰიკსოსების მეფეები მუდამ მიზეზებს ეძებდნენ, რომ თებეს ფა-
რაონისათვის ომი გამოეცხადებინათ. ჰიკსოსთა ერთერთმა მეფემ—
აპოპიმ წარმომადგენლები გაგზავნა თებეში და ფარაონ სეკენერას
შეუთვალა: ტბიდან განდევნე ჰიპოპოტამები, რომლებიც თავისი
ხმაურით არ მაძლევენ მოსვენებას არც დღისით და არც ღამითო..
ამ უცნაურმა მოთხოვნამ ფარაონი სეკენერა მოთმინებიდან გამოიყ-
ვანა და მან ომი გამოუცხადა აპოპის. თუმცა ფარაონი ბრძოლაში
დაიღუპა, მაგრამ ჰიკსოსებმა მაინც ვერ შეძლეს თებეს აღება.

მხოლოდ ფარაონმა იახმოსმა მოახერხა ჰიკსოსების განდევნა
ეგვიპტიდან. იახმოსი მიღწეულ გამარჯვებაზე არ შეჩერდა, ახლა მან
მიიტანა იერიში სხვა სახელმწიფოზე. იახმოსის შემდეგ მისი მემკვი-
დრეებიც განაგრძობდნენ სხვადასხვა სახელმწიფოზე გალაშქრებას.
მათ დაიპყრეს ეთიოპია (აბისინია), ასურეთი, პალესტინა, ბაბილო-
ნი და ფინიკია. ასე ძლევამოსილებით მიდიოდა წინ ეგვიპტე, ვიდ-
რე პირისპირ არ შეხვდა თავის დაუძინებელ მტერს—სპარსეთის მე-
ფე კამბიზს.

კამბიზ მძვინვარე

უკანასკნელი უკაონი

525 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე სპარსეთის მეფე კამბიზმა აურაცხელი ჯარით გაილაშქრა ეგვიპტეზე.

იმ დროს ეგვიპტეს განაგებდა ფარაონ ფსამენიტი. ფსამენიტი ფარაონ ამაზისის შვილი იყო. ამაზისმა ეგვიპტის ისტორიაში სახელი გაითქვა როგორც მშვიდობიანობის მოყვარემ და გონიერმა მმართველმა. შთამომავლობით იგი დაბალ წოდებას ეკუთვნოდა. მტრებთან ბრძოლებში მან დიდი გმირობა გამოიჩინა. ჯერ ჯარისკაცად მსახურობდა, მერე თანდათან დაწინაურდა და ბოლოს მთავარსარდალიც კი გახდა. ერთხელ, როდესაც დაუსრულებელი ბრძოლების გამო ფარაონ აპრიასს ჯარის ნაწილი აუჯანყდა, უკანასკნელმა ამაზისი გაგზავნა აჯანყების ჩასაქრობად. ამაზისმა შემთხვევა მოხერხებულად გამოიყენა, აჯანყებულებს მიემხრო და ფარაონის მთავარი ძალებისაკენ გაილაშქრა. ხანმოკლე შებრძოლების შემდეგ ამაზისმა მოწინააღმდეგე დაამარცხა და თვით ფარაონი ტყვედ ჩაიგდო. აჯანყებულებმა ფარაონი აპრიასი სიკვდილით დასაჯეს და მის ადგილზე ამაზისი აირჩიეს.

როცა კამბიზი ეგვიპტეში შეიჭრა, ამაზისი უკვე ექვსი თვის გარდაცვლილი იყო. კამბიზმა თავისი ჯარი მეფისიდან სამი დღის სავალზე დააბანაკა და შეტევითი მზადებას შეუდგა.

სპარსელების შემოსევა ფარაონ ფსამენიტისათვის მოულოდნელი იყო. მართალია, მან იცოდა, რომ ჯერ კიდევ კამბიზის მამა კიროსი ეგვიპტეს დაპყრობას ემუქრებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამ მუქარის განხორციელება არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. ჯერ ერთი, სპარსელებმა კარგად არ იცოდნენ ეგვიპტის მისასვლელი გზები, მეორე—ამ მიზნისათვის რომ მიეღწიათ, ხუთი დღე საშინელ პაპანაქებაში უნდა ეარათ უდაბნოზე, სადაც ერთი ოაზისიც არ მოიპოვებოდა, რომ წყურვილი მოეკლათ. მაშ როგორ შეძლო კამბიზ-

მა ამ სიძნელეთა გადალახვა? ფსამენიტმა ჩქარა გაიგო, რომ მოლა-
ლატე ფანესს ესწავლებინა სპარსელებისათვის ეგვიპტის მისასვლელი
გზები და მასვე მოესყიდა არაბები, რომლებსაც წყლით მოემარაგე-
ბინათ სპარსეთის ჯარი უდაბნოზე გადასვლისას.

ფანესი ტომით ბერძენი იყო, ოდესღაც ის ფარაონ ამაზისთან,
მსახურობდა და დაქირავებულ ბერძენთა ჯარს სარდლობდა. რაღაც
დანაშაულისათვის ამაზისმა იგი თანამდებობიდან გადააყენა და და-
პატიმრება მოუწოდოდა, მაგრამ ფანესმა გაქცევა მოასწორო და სპარ-
სეთში გადაიხვეწა. დევნილი სარდალი კამბიზმა მოხერხებულად მოი-
სყიდა და როცა ეგვიპტეზე გაილაშქრა, გზის მაჩვენებლად თან წაი-
ყვანა.

ფარაონმა სწრაფად შეყარა ჯარი და სპარსელებისაგან გაილაშ-
ქრა. იგი დელტის მიდამოებში გამაგრდა იმ იმედით, რომ მტრის
ძალა საბოლოოდ იქ შეეჩერებინა.

ფანესის გამცემლობამ ბერძნები დიდად გაარისხა. ფარაონისათ-
ვის რომ თავისი ერთგულება დაემტკიცებინათ, ბრძოლის ველზე
მოწინავე ხაზი თვითონ დაიკავეს. ბერძნებს თან ჰყავდათ ფანესის
ორი ვაჟი. გაქცევის დროს ფანესმა ველარ მოასწორო მათი წაყვანა-
და ახლა მოისწრაფოდა, რომ ეგვიპტეში გამარჯვებული შესულიყო
და თავისი ვაჟები ენახა.

სისხლიანი ნადიმი ბრძოლის წინ

როცა სპარსელები ისრის სასროლ მანძილზე მოახლოვდნენ, ბერ-
ძნებმა დაინახეს, რომ მტერს წინ ფანესი მოუძლოდა. ეს უკვე მეტისმეტი
იყო და გაბრაზებულებმა თავის უღირს თანამემამულეს გადასძახეს:

— ფანეს, ფანეს! საზიზღარო მოლალატევი! ბერძენთა სახელის
შემარცხვენელო, საკუთარი თავით აგებ პასუხს ლალატისათვის! მაგ-
რამ ჯერ შვილების უბედურებას განახვებთ!

ამ სიტყვების შემდეგ ბერძნებმა ვეება თასი მოიტანეს. თავზარ-
დაცემული მამის თვალწინ მის ორივე ვაჟს ყელი გამოსჭრეს, მათ
სისხლმა ღვინო და წყალი აურიეს და სასმისებით დასალევად ჩა-
მოარიგეს.

ფანესი დაჭრილი ნადირივით ღრიალებდა, სასოწარკვეთით თავ-
ში ხელებს იცემდა და სპარსელებისაგან შველას ითხოვდა. საშინე-
ლმა სურათმა ორივე მხარე შეაძრწუნა, სისხლიანი ნადიმი რამდე-
ნიმე წუთს გაგრძელდა, მაგრამ იგი საუკუნეებს უღრიდა...

ამის შემდეგ ბერძნებმა ხმლები იშიშვლეს და იერიშზე გადავი-
დნენ. მათ მიჰყვნენ ეგვიპტელები და გაიმართა სასტიკი ხელჩართუ-

ლი ბრძოლა. შეტევას თვით ფარაონი ხელმძღვანელობდა; თავისი საბრძოლო ეტლით ის გრიგალივით დაქროდა და ჯარს ამხნევებდა. თავგანწირვით იბრძოდნენ ბერძნები და ეგვიპტელები და მტერს დიდი ზარალიც მიაყენეს. მაგრამ მათი რიცხვი თანდათან მცირდებოდა, მტრის ძალა მათ ერთიორად სჭარბობდა და ბრძოლის ბედიც წარადენობამ გადასწყვიტა.

მზის ჩასვლისას ეგვიპტელები უკვე თავდაცვაზე გადავიდნენ და მემფისისაკენ უწესრიგოდ იხევდნენ. მხოლოდ ღამემ დაუდვა საზღვარი საშინელ სისხლის ღვრას. იმ დღეს ბრძოლამ იმსხვერპლა სა-



ეგვიპტური საბრძოლო ეტლი

შოციათასი ეგვიპტელი და ბერძენი და ორმოცდახუთიათასი სპარსელი.

ღამარცხებულმა ფარაონმა მემფისს მიაშურა და იქ გამაგრდა. კამბიზს ჯერ მემფისისათვის არ ეცალა, მან ქვედა ეგვიპტეს მიაშურა, საითკენაც გზა გახსნილი იყო, მისი ბრძანებით სპარსელებმა მშვიდობიანი მოსახლეობა დაარბიეს. როცა ქვედა ეგვიპტე გაძარცვა და ააოხრა, მერე მემფისს მიაკითხა, ფსამენიტს კაცები გაუგზავნა და დამორჩილება მოსთხოვა. როცა ეგვიპტელებმა სპარსელების მოსვლის მიზეზი გაიგეს, გაჯავრებულებმა ყველანი დახოცეს და მათი

გვამები მდინარეში გადაყარეს. ეს იყო სამაგიეროს მიზღვევა ქვედა ეგვიპტის აოხრებისათვის.


განრიხნებულმა კამბიზმა მემფისს ალყა შემოარტყა და სურსათ-სანოვარის შემოსატანი გზები გადაუჭრა. დიდხანს იცავდნენ ეგვიპტელები თავის დედაქალაქს, არ უნდოდათ ადვილად დაეთმოთ თავისუფლება. მაგრამ შიმშილმა აიძულა ისინი მტრისთვის კარები გაეღოთ, თუმცა უბრძოლველად მაინც არ დამორჩილდნენ, დაეცა მემფისი და ეგვიპტის თავისუფლების შზეც ჩაესვენა.

გაბოროტებული სპარსელები ქალაქში მჭიჭრნენ და დაიწყეს თავაწყვეტილი თარეში. შეშინებულმა მოსახლეობამ ლიბიის მთებს შეაფარა თავი. ფარაონი და მისი დიდებულნი კამბიზმა ტყვედ ჩაიგდო. რგი არა ჩქარობდა მათ სიკვდილით დასჯას: ჯერ უნდოდა სულიერად დაესაჯა, შვილების უბედურება ეყურებინათ და მერე ფიზიკურად მოესპო. მათ ქალიშვილებს ძონძები ჩააცვა და ფეხშიშველებს წყალს აზიდვინებდა სპარსელებისათვის. მძიმე კოკების ზიდვით დიდებულთა ქალიშვილები წელში იდრიკებოდნენ, მაგრამ შესვენებას ვერ ბედავდნენ, უკან სპარსელები მოსდევდნენ და მათრახებს სცემდნენ, როგორც პირუტყვებს. მათ შორის ფსამენიტის ქალიშვილიც იყო. სპარსელებს მისთვის უფრო დიდი კოკა აეკიდათ და ყოველი ფეხის გადადგმაზე ცემა-ტყეპით უმასპინძლებოდნენ... აი, ქალიშვილებმა ჩამოუარეს მამებს, რომლებიც გზის პირას განგებ დაესვათ. ტუსალების დანახვაზე ქალიშვილებმა წივილ-კივილი ატეხეს და შველა ითხოვეს. შვილებს მამები აპყვნენ და სამწუხარო სურათი დატრიალდა. შვილების უბედურების შემყურე ილაჯგაწყვეტილნი მამები მწარედ ტიროდნენ და თავში იცემდნენ ხელს. ტიროდა ყველა, გარდა ფსამენიტისა. იგი გაყინული სახით უძრავად იჯდა და ერთი წერტილისათვის მიეშტერებინა თვალები. რას ფიქრობდა ამ დროს ეგვიპტის ყოფილი ფარაონი? ნუთუ შვილის უბედურება მის გულს არ სწვდებოდა, მის სულს არ აფორიაქებდა? „გულქვა“ მამას გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ ტუსალები, მის თვალებზე ცრემლს ეძებდნენ, მაგრამ ვერ პოულობდნენ. იჯდა ქანდაკებასავით, როგორც უსულო არსება. თითქოს არ გრძნობდა, რა ხდებოდა მის გარშემო, მაგრამ ეს იყო მხოლოდ გარეგნული სიმშვიდე, სულიერად იგი საშინლად იტანჯებოდა. განა ლაჩრული ტირილით საქმეს უშველიდა, შვილს ტანჯვა-წამებას ააშორებდა? რასაკვირველია, ვერა. კამბიზს კი უნდოდა ფსამენიტს ეტირა. თავი და მცირებინა ხალხისა და ქვეყნის წინაშე. სპარსეთის მეფის სურვილს გრძნობს ფსამენიტი, იგი მოკვდება ღირსეულად, როგორც ნამდვილი ეგვიპტელი, და არა ლაჩ-

რულად, თვალეზზე ცრემლებით... ფსამენიტმა თავი გვერდზე მიიღო და უკმაყოფილო თვალეზი შეავლო დიდებულთ, რომლებიც სამარცხვინოდ ტიროდნენ. ერთხანს ითმინა, ეგებ თავად დაწყნარდნენო, მერე კი მრისხანე ხმით შესძახა:

— რა დაგემართათ, თქვენ, ლაჩრებო?! ნუთუ შვილები უბედურებამ ასე დაგცათ?. ნუთუ ვერა გრძნობთ, რომ თქვენი ცრემლები კამბიზს ახარებს?! სად არის თქვენი თავმოყვარეობა?!

ამ სიტყვებმა იმოქმედა, დიდებულებმა უნაყოფო ტირილი შეწყვიტეს, მაგრამ ახალი უბედურების დანახვამ ტუსალები კვლავ აღორიალა. სპარსელებს ახლა მათი ვაჟებისათვის ჩაებათ თოკები და დასასჯელად მოჰყავდათ. უკან ვეება ნაჯახებით მოსდევდნენ ჯალათები. წინ მოდიოდა ფსამენიტის ათი წლის ვაჟი. როცა განწირუ-



საბრძოლო ნაჯახი

ლნი ტუსალებს მოუახლოვდნენ, მოწინავემ ფსამენიტი იცნო, მცველებს გამოუხსლტა, მამას აან მავარდა, მუხლებზე შემოეხვია და შეევედრა:

— მიშველე, მათი! მეშინია აი იმ კაცის! — პატარამ ხელი ჯალათისაკენ გაიშვირა და მწარედ ატირდა. ფსამენიტს გაყინული სახე გვერდზე მოექცა, ქვედა ტუჩი ოდნავ აუკანკალდა, მაგრამ უმაღვე თავი შეიმაგრა, შვილს თავზე გადუსვა ხელი, ცრემლები მოაწმინდა, პატარა ხელები მხურვალედ დაუკოცა, მერე ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა. სახის გამომეტყველება მშვიდი ჰქონდა, მაგრამ თავის ოდნავი მოძრაობა მოწმობდა, მამის გულში რა ჯოჯოხეთიც ტრიალებდა.

მცველებმა ძლივს მოჰგლიჯეს შვილი მამას. პატარა მაგრად ჩაბლაუჭებოდა მამის კალთას და არას გზით არ აპირებდა წასვლას.

კამბიზი ფარულად უთვალთვალებდა ფსამენიტს და ძალიან გოცდა, როდესაც უკანასკნელმა შვილთან გამოთხოვების დროს ერთი ცრემლიც არ ჩამოაგდო.

ცოტა ხნის შემდეგ სპარსელებს ჩამოუარა ერთმა მოხუცმა, რომელსაც ძონძები ეცვა, და მოწყალება ითხოვა. მოხუცის დანახვავზე

ფსამენიტი ფეხზე წამოიჭრა და ხმამაღლა ატირდა.

— ო, საბრალოვ, რა უბედურებაა შენს თავს! ნუთუ ისე დაეცი სულით, რომ მტრისაგან მოწყალებას ითხოვ?—გადასძახა ფსამენიტმა მოხუცს.

მოხუცი, რომლის დანახვამაც ასე ააფორიაქა ფსამენიტი, იყო მისი აღმზრდელი და სულიერი მამა—მემფისის მთავარი ქურუმი.

გაოცებული კამბიზი ფსამენიტს მიუახლოვდა და რბილად უთხრა:

— მითხარ, უცნაურო კაცო, საკუთარი შვილების უბედურების დანახვის დროს შენს თვალებზე ცრემლები ვერ შევნიშნე, ამ მოხუცისათვის კი, რომელიც, ვეცი, შენი ნათესავი არ არის, ასე თავს იკლავ?

— კიროსის შვილო, საკუთარი უბედურება ისე დიდია, რომ მას ცრემლებით ვერ გამოხატავ, მეგობრის უბედურება კი თანაგრძნობისა და ცრემლების ღირსია,—ნაღვლიანად მიუგო ფსამენიტმა.

კამბიზს პასუხი მოეწონა და იმავე წუთს გასცა ბრძანება, რომ მისი შვილი არ დაესაჯათ. მაგრამ უკვე გვიან იყო: ჯალათმა პირველად მას გააგდებინა თავი.

ამ შემთხვევის შემდეგ კამბიზმა ტუსალები გაათავისუფლა, ფსამენიტს კი წინადადება მისცა:

— თუ მე დამზორჩილდები, ეგვიპტის მმართველობას კვლავ შენ ჩაგაბარებო, რაზედაც უკანასკნელმა უპასუხა:

— შენ შეგიძლია უბრძანო ჯალათს თავი ვამაგდებინოს, მაგრამ ვერ მაიძულებ, რომ გემსახურო.—კამბიზი დაემუქრა:

— მიფრთხილდი, ეგვიპტელო! დღეს თუ სიცოცხლე და თავისუფლება გაჩუქე, ხვალ შეიძლება ერთსაც და მეორესაც სამუდამოდ გამოეთხოვო!

— მე მაშინებს მონობა, და არა სიკვდილი,—დინჯად მიუგო ფსამენიტმა.

განთავისუფლებულმა ფსამენიტმა სპარსელების წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო, მაგრამ გაუგეხ და დააპატიმრეს. განკრისხებულმა კამბიზმა ბრძანება გასცა დილით მზის ამოსვლის ქამს ფსამენიტი საჯაროდ სიკვდილით დაესაჯათ.

ქ ა მ

მეორე დღეს შეიარაღებული კამბიზი მოედანზე გავიდა და ფსამენიტის მოყვანა ბრძანა. მოედნის გარშემო ჯარი იდგა, მათ უკან კი დაღვრემილი ეგვიპტელები. შებოჰვილი ფსამენიტი შუა მოედანზე გაიყვანეს და კამბიზის წინ გააჩერეს.

— მოიყვათ ხარი! — გასცა ბრძანება კამბიზმა.

ექვსმა სპარსელმა უზარმაზარი შავი ხარი ჰაპისი მოედანზე შეიყვანა. ეგვიპტელებმა ჰაპისი იცნეს და ბავშვებზე ატირდნენ. გამწარეულ ფსამენიტს ოთხი კაცი ძლივს აკავებდა. კამბიზმა ხელის სიფართე მახვილი გაიძრო და ხარს მიუახლოვდა. მისმა აჭრელებულმა სამოსმა და იარაღის ელვარებამ ხარი დააფრთხო, თავდალუნულმა უკან მძლავრად დაიხია და თან ექვსი კაცი დაითრია. კამბიზმა ხარს ზურგიდან მოუარა და გვერდში ჩასცა მახვილი. ხარმა საშინლად დაიბღვლა, გააფრთხილებული მივარდა ერთერთ მცველს და რქებზე აიგო. მერე თავი მძლავრად გაიქნია და მსხვერპლი ჰაერში ბურთივით შეისროლა. გულგახეთქილი მცველები შემოიფანტნენ: მოედანზე დარჩა მხოლოდ კამბიზი და ხარიც მისკენ გაექანა. ეგვიპტელებმა სისარულის ყიჟინა დასცეს. სპარსელებმა ყრუდ ამოიგმინეს და შეშინებულნი ერთ წერტილს მიაჩერდნენ, მოულოდნელობით დაბნეულებს შველა ვერ მოეხერხებინათ.

კამბიზმა მოასწრო და დაოთხილ ხარს ისარი სტყორცნა. მარჯვედ ნასროლი ისარი მარჯვენა ბეჭს მოხვდა და ნახევრად შიგ გაიარა. ხარმა უკანასკნელი ნახტომი გააკეთა, მთელი სიმძიმით წინა მუხლებზე დაეცა და ცხვირით მიწა მოთხარა. უმაღლე ზეზე წამოვარდა, მაგრამ კვლავ ჩაიკეცა: მარცხენა ფეხმა უღალატა. კამბიზი ახლოს მიიჭრა და მისმა მახვილმა ხარის წინ ერთხელ კიდევ გაიღვია. ხარი ზურგზე გადავარდა, კისერი გაჭიმა და უკანა ფეხები მიწას მძლავრად გაუსვა — სიკვდილს შეებრძოლა. კამბიზმა დაბნეულ მცველებს ხელით რალაც ანიშნა და იმავე წუთს მის წინ ვეება თასი გაჩნდა. კამბიზმა ხარის სისხლით თასი პირამდის აავსო და ფსამენიტისაკენ წამოვიდა.

— გაულეთ პირი! — დაიღრიალა მან. ოთხ კაცს ოთხი მიეშველა და ფსამენიტი მიწაზე დასცეს. ორმა კაცმა ძალით პირი გაუღო და კამბიზმა სისხლით სავსე თასი შიგ ჩაცალა. რამდენიმე წუთის შემდეგ ეგვიპტის უკანასკნელი ფარაონი, ხარის სისხლით დამხრჩვალნი, მიწაზე უსულოდ ეგდო.

განრისხებული კამბიზი ამით არ დაკმაყოფილდა, ამაზისის პირამიდას მიაშურა და იქიდან მუშია გამოათრევინა. ჯერ უბრძანა ჯოხებით ეცემათ, თმები დაეგლიჯათ. ბოლოს ამაზისის მუშია ცეცხლში დააწვევინა ¹.

¹ ჰეროდოტეს გადმოცემით, კამბიზს ამაზისის პირადი მტრობაც ჰქონია. ამაზისის ჰყავდა მშვენიერი ასული, რომლის სილამაზე განთქმული იყო მთელ ეგვიპტეში.

საპერსნაკო ეპიკლი

ეგვიპტის დამოწილების შემდეგ კამბიზს დაპყრობის მადა გავ-
ხსნა. მან განიზრახა ახალი ქვეყნების დაპყრობა და დამონება, პირ-
ველ რიგში კი ისეთი ქვეყნის, რომელიც ტერიტორიულად ეგვიპტე-
სთან ახლოს იქნებოდა. ასეთი კი იყო ეთიოპია (აბისინია) და კამ-
ბიზის არჩევანიც უკანასკნელზე შეჩერდა. მაგრამ ამ გეგმის განხორ-
ციელებას მთელი რიგი დაბრკოლებები გადაეღობა წინ: ჯერ ერთი,
სპარსელები კარგად არ იცნობდნენ ეთიოპიის ადგილმდებარეობას
და მისასვლელ გზებს, არ იცნობდნენ არც მის ბრძოლისუნარიანო-
ბას. ამიტომ კამბიზმა განიზრახა წინასწარ ამ ქვეყნის დაზვერვა და
საჭირო ცნობების შეგროვება. ამ მიზნით მან ეთიოპიის მეფესთან
გაგზავნა რამდენიმე სამხედრო ჯაშუში ძვირფასი საჩუქრებით, ვი-
თომდა კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად.

ეთიოპიის მეფე კამბიზის „ელჩებს“ ტკბილად დაუხვდა და საჩუ-
ქრებიც სიამოვნებით მიიღო, „სასურველ სტუმრებს“ ჯერ უხვად
გაუმასპინძლდა, მერე კი უთხრა:

— თქვენ არ იფიქროთ, თითქოს მე არ ვიცოდე თქვენი მოსვ-
ლის ნამდვილი მიზეზი. მე ვიცი, რა განზრახვაც გამოძრავებთ თქვენ...
კამბიზი სრულიადაც არ ფიქრობს ჩემს დამეგობრებას. მისი მიზანი-
სხვაა—ჩემი დამონება და ჩემი ქვეყნის განადგურება; მას სურს, ეგ-
ვიპტის ბედი გვარგოს ჩვენ! მაგრამ კამბიზს ავიწყდება, რომ ცეცხლს
ეთამაშება... გადაეცით ჩემგან საჩუქრად ეს მშვილდი და უთხარით
მას, რომ თუ სპარსელები შეძლებენ ერთხელ მაინც ამის საბლის
მოწვევას ისე თავისუფლად, როგორც მე,—და მან სპარსელების თვალ-
წინ მშვილდი რამდენიმეჯერ მოხარა,—მაშინ შეუძლიათ გაბედონ
ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრება. მანამდის კი შინ ისხდნენ და ღმერთს
მადლობა შესწირონ, რომ ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდის მათზე თავდ
დასხმა.

გაწბილებული სპარსელები უკან დაბრუნდნენ და კამბიზს არა-
სასიამოვნო ამბავი მიუტანეს. გაბრაზებულმა კამბიზმა წამოიძახა:

— როგორ? იმ წვრილფეხა მეფეს სურს მე დამცინოს, მე, რომ-

პტეში. ბოლოს ამ ამბავმა კამბიზის ყურამდისაც მიაღწია, ამაზისს ელჩები გაუ-
გზავნა ძვირფასი საჩუქრებით და ქალიშვილის ხელი სთხოვა. ამაზისი კამბიზის
მტრობას მოერიდა და უარი არ უთხრა, მაგრამ თავისი ქალიშვილის მაგივრად
სხვისი ქალიშვილი (ფარაონ აპრიასის) მიათხოვა. რამდენიმე წლის შემდეგ კამ-
ბიზმა შემთხვევით გაიგო, რომ ამაზისს უეშმაკია და სხვისი შვილი შეუტყუებია.
ამ ამბავმა ავგული კამბიზი ძალიან განარისხა და ამაზისს სამაგიეროს გადახდას
დაემუქრა.

ლის წინაშეც ცახცახებს მთელი მსოფლიო?! ჯერ, ალბათ მას არ სმენია კამბიზის ძლევამოსილება და სიმტკიცე ჩემი მკლავისა! მომავლედეთ ეგ რალაც მშვილდი!—და გაცეცხლებულმა კამბიზმა მშვილდის საბელი მთელი ძალით მოსწია... მაგრამ ხვეულნი ლითონი არ დანებდა, ოდნავიდაც არ მოიხიდა, კვლავ მოსწია, მაგრამ კვლავ უნაყოფოდ. გაწბილებულმა კამბიზმა ჩანისხლიანებული თვალები იქმყოფთ მიმოავლო, ხომ არავინ დამცინისო, მაგრამ შეშინებულ სარდლებს თავი დაბლა დაეხარათ. კამბიზი ცოტა დამშვილდა.

— ეს მშვილდი კი არა, რალაც მაცდურობაა!—წამოიძახა თავის გასამართლებლად,—ამის მოწვევა არავის ძალუძს... პრეკზასპეს! აჰა, შენც გასინჯე და დარწმუნდები, რომ მე მართალი ვარ,—და კამბიზმა მშვილდი ერთერთ სარდალს გაუწოდა. უკანასკნელმა მშვილდი ჩამოართვა და გაუბედავად მოსწია. საბელი უძრავად დარჩა. კამბიზს თვალები გაუბრწყინდა:

— ხომ გითხარით, ამის მოწვევა არავის ძალუძს-მეთქი!

— დიახ, ჩემო მბრძანებელო, არავის!— უმაღვე შეესიტყვა პრეკზასპესი.

— ვის სურს კიდევ გასინჯოს მშვილდი?— მიმართა კამბიზმა ირგვლივ მყოფთ. მსურველი არავინ აღმოჩნდა. კამბიზმა წინადადება გაიმეორა.

— მეფევე, მე მსურს, თუ ნებას დამრთავ,— წამოიძახა ოქროსთმიანმა ლამაზმა ჭაბუკმა და კამბიზის წინ თამამად გაჩერდა. ეს იყო კამბიზის უმცროსი ძმა ბარდია, სპარსელებში განთქმული ვაჟკაცობითა და მკლავის სიძლიერით.

კამბიზმა ძმას უკმაყოფილოდ შეხედა, მაგრამ მშვილდი მაინც გადასცა. ბარდიამ საშველად ღმერთი მოიხმო და საბელი მძლავრად მოსწია. ღონიერ მკლავებს ლითონის მკვრივი ხვეული დანებდა, მშვილდი მოიხარა. კამბიზს შურითა და სიბრახით ავესო თვალები, მაგრამ თავი შეიკავა, წინადაუხედავ ძმას ზურგი შეაქცია და კარები ისაკენ წავიდა, თან პრეკზასპესს თვალით ანიშნა გაჰყოლოდა.

— პრეკზასპეს! ხედავ, ბარდიას თავხედობა სადამდის მივიდა? მან დღეს საჯაროდ შემარცხვინა და ის შესაფერისად უნდა დანსაჯოს, საკუთარი სისხლით უნდა გამოისყიდოს თავისი დანაშაული... პრეკზასპეს! შენ უნდა წაიყვანო სადმე ბარდია და საკუთარი ხელით მოკლა, გესმის, საკუთარი ხელით!

ამ სიტყვებით თავზარდაცემული პრეკზასპესი ფეხზე ძლივს იდგა, მთელი ტანით ცახცახებდა და თვალებს უაზროდ იქით-აქით აცლცლებდა. სარდალი ორ კეცხლშუა ტრიალებდა: შეესრულებინა ბრძანე-

ბა—საშინელება იყო, არ შეესრულებინა—ავგული კამბიზი ცოლში-ლიანად აიკლებდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეხედა:

— ო, დიდებულო მეფევ! მონა შენი უძღურია ამ საქმეში!—კამბიზმა მას ზიზლით შეხედა:

— თუ შენ გიმძიმს ეს საქმე, მაშ ამ სიმძიმემ გაგსრისოს! გამშორდი! მოიცა, სამ დღეში მაცნობებ შედეგს.

— ბრძანება შენი შესრულდება.—წაილულულა პრეკზასპესმა და დარბაზიდან ფეხები ძლივს გაათრია. მიდიოდა შინისაკენ და თავში საშინელი აზრები უტრიალებდა. „როგორ მოვიქცე, მოვკლა თუ არა? ბრძანება უნდა შესრულდეს. უნდა მოკვდეს ბარდია... სხვა გამოსავალი არაა... ურჩობისათვის კამბიზი ოჯახს გამინადგურებს, მეც თავს მომკვეტს... საბრალო ბარდია! არ იცი, რა ღრუბლები იკრიბება შენს თავზე, ოჰ, კამბიზ, კამბიზ! საკუთარ ძმასაც არ ინდობ... ვაი ჩვენ შენს ხელში!“

რამდენიმე დღის შემდეგ გაყვითლებული სახით და ჩაცვინული თვალებით პრეკზასპესი კამბიზის წინაშე წარსდგა. მის დანახვაზე კამბიზი ფეხზე წამოვარდა და მიაყვირა:

— რა ჰქენ, მოკალ თუ არა?

— მოვკალ, დიდებულო მეფევ, მოგკალ, საკუთარი ხელით მოგკალ...

და სარდალმა თავში ხელი შემოიკრა და აქვითინდა, კამბიზმა ძმის მკვლელი უხვად დააჯილდოვა.

უღანაშუალო მსხვერპლი

ბარდიას ფარული მკვლელობა სპარსელებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩა. მითქმა-მოთქმა და ჩურჩული გახშირდა „საკუთარი ძმა არ დაინდო და ჩვენ რა ხეირს დაგვაყრის!“—ამბობდნენ უკმაყოფილო სარდლები. კამბიზმა უკმაყოფილება გაიგო და პრეკზასპესი დაიბარა.

— პრეკზასპეს!—მიმართა კამბიზმა,—მე მსურს შენგან გავიგო სიმართლე. რას ლაპარაკობენ ჩემზე სპარსელები?—შეშინებულმა სარდალმა უპასუხა:

— ოჰ, დიდებულო მეფევ! რა უნდა თქვან, გარდა იმისა, რომ შენა ხარ დიდი გმირი, ბრწყინვალე სარდალი, რომლის მსგავსიც ჯერ არ უხილავს კაცობრიობას...

— ეგ სიტყვები წინათაც მსმენია... კიდევ რას ლაპარაკობენ ჩემზე?—არ ეშვებოდა კამბიზი,—მითხარ! ყველაფერი მინდა ვიცოდე!

— ისინი ლაპარაკობენ, რომ შენა ხარ დიდებულთა დიდებული

მეფე, რომლის მსგავსიც ჯერ არ დაბადებულა!—კამბიზმა სიამოვნებით წვერზე ხელი მოისვა, სახეზედაც ღიმილის მსგავსი რაღაცაღებეჭდა. პრეკზასპესის გამჭრიახ თვალს ეს არ გამოეპარა, იმედი მიეცა და ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა. „ღმერთო, მიშველე, მგონი, გადავრჩი“—გაიფიქრა. კამბიზმა ხელით ანიშნა—ახლოს მოდიო. პრეკზასპესი გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდა და მის წინ ტანმოხრილი გაჩერდა. კამბიზმა მკლავში ხელი წაავლო, წელში გაასწორა და თვალეში მკაცრად ჩახედა:

— მაინც, მაინც არ მკიცხავენ, უკმაყოფილონი არ არიან ჩემი საქციელით, პრეკზასპეს! მე მსურს სრული სიმართლე, გესმის, სრული სიმართლე!—და მან შეშინებული სარდალი მძლავრად შეარხია.

— ოჰ, ჩემო ბრძანებელო, რა შეუძლიათ მათ, უბრალო მომაკვდავთ, შენში ცუდი დაინახონ... შენა ხარ დიდებული და მიუწვდომელი, როგორც ღმერ...

— თვალთმაქცობ!!—დაიღრიალა კამბიზმა,—გაიძვერავ! თავს ვერ დააღწევ ჩემი ხელიდან, სანამ სიმართლეს არ მეტყვი! თქვი ჩქარა, რა უარყოფით მხარეს ამჩნევენ ჩემში? ვაი შენ, თუ რამ დაფარე!

აკანკალებულმა პრეკზასპესმა წამოიხრიალა:

— სპარსელები გაქებენ, მაგრამ... აქ პრეკზასპესს ხმა ჩაუწყდა.

— ო, თქვი, მაგრამ რა?—კამბიზმა სმენა გაიძახვილა.

— გადაჭარბებით ღვინოს სვამსო.

— გადაჭარბებით ღვინოს სვამსო? აი, თურმე რაში ყოფილა

საქმე! მე ეს არ ვიცოდი,—და კამბიზს სახეზე გესლიანმა ღიმილმა გადაუარა.

— მაშ, მათ ჰგონიათ, რომ მე მუდამ მთვრალი ვარ? და შენ კი, ჩემო სახელოვანო სარდალო, ეს ჭორები გჯერა?!—პრეკზასპესმა უარყოფის ნიშნად ხელები გაასავსავა და შეეცადა თავის გამართლებას, მაგრამ უღმობელმა კამბიზმა შეაჩერა.

— არა, მე მსურს გიჩვენო შენ, პრეკზასპეს, რომ მთვრალი არა ვარ!

კამბიზი ფანჯარას მიუახლოვდა და ჭალში გადაიხედა. ძირს ვიღაც შეამჩნია.

— პრეკზასპეს! ვინ არის ის ჭაბუკი, ბაღში ჩაფიქრებული რომ ზის?

— პრეკზასპესმა ჭაბუკს შეხედა და გახევედა.

— არ გესმის, ვინ არის მეთქი?—გაუმეორა, თუმცა კარგად იცოდა, ვინც იყო ჭაბუკი.

— ჩემი შვილია, დიდებულო მეფევე,—უპასუხა ოდნავ გასაგონი ხმით სარდალმა.

— შენი ვაჟია? კარგი შემთხვევაა... პრეკზასპეს! მომწოდე ჩემი მშვილდ-ისარი!

სარდალი შეკრთა, თავში საშინელმა აზრმა გაუელვა. ანგარიშ-მიუცემლად მტარვალს მშვილდ-ისარი გაუწოდა. კამბიზმა იარაღი მომართა.

— პრეკზასპეს! თუ შენ შვილს ისარს ავაცდენ, მაშინ შეიძლება ისინი მართალი არიან, მაგრამ თუ შიგ გულში გავუტარე, მაშინ შენ დარწმუნდი, რომ მე ჯერ კიდევ მთვრალი არა ვარ! შეივედრე ღმერთს, რომ ისარო მიზანს არ მოხვდეს...

თავზარდაცემული პრეკზასპესი ფანჯარას მიაწყდა და კამბიზს მკერდი მოუშვირა.

— ოჰ, მეფევე, გემუდარები, მე მომკალ, მე... იმას არაფერი დაუ-შავებია შენთვის... თუმცა არც მე დამიშავებია რამ... მე ხომ შე-ნის ბრძანებით მოვკალ ბარდია!

ძმის სახელის გაგონებაზე კამბიზს სახე დაეღრიჯა, ხელის მძლავრი დარტყმით სარდალი გვერდზე გადაისროლა და მსხვერპლი ნი-შანში ამოიღო. მერე მარჯვენა ხელი საბელს მოსწყვიტა და იმავე წამს ჭაბუკიც უცნაურად შეხტა და მოცელილივით პირქვე დაემხო. მარჯვენა ბეჭის ზევით წითლად შეღებილი ისარი გამოჩნდა.

— ვაიმე, შვილო!!— დაიღრიალა სასოწარკვეთილებით გაუბედუ-რებულმა მამამ და გონებაშიხდილი ჩაიკეცა კამბიზის წინ. მისი სხეუ-ლი ძირს უძრავად ეგდო.

კამბიზის ბრძანებით განგმირულ ჭაბუკს მკერდი გაუკვეთეს და გული ამოაცალეს. ისარს მართლაც შიგ გულში გაეველო. კამბიზის ველურ თვალებში აღტაცების ცეცხლი ელვარებდა. მტარვალი გამა-რჯევბას ზეიმობდა...

კირეკ პატი მსხვერპლი

ამ შემთხვევის შემდეგ კამბიზმა გართობის მიზნით სანახაობა მოაწყო. მას ჰყავდა ძაღლის ორი ლეკვი, ერთი ხვადი, ხოლო მეო-რე—ძუ. ლეკვები დიდ გამბჭდაობასა და ძალას იჩენდნენ, ადვილად შეებმებოდნენ ხოლმე დიდ ძაღლებს და ხშირად კიდევ ამარცხებ-დნენ მათ. კამბიზმა მოინდომა ლომის ლეკვთან ხვადი ლეკვის გამო-ცდა: ვნახოთ, როგორ შეებრძობებაო.

სანახაობას აუარებელი ხალხი დაესწრო. მათ შორის იყო კამ-ბიზის უმცროსი დაც, რომელსაც ძაძა ჩაეცვა და კუთხეში განმარ-ტობებია იჯდა. იგი გლოვობდა თავის საყვარელ ძმას ბარდიას. მა-

საც გაეგო, რომ ბარდიას მკვლელობა კამბიზის საქმე იყო, ამიტომ თავის მტარვალ ძმას ახლოს აღარ ეკარებოდა.

ლექვების ბრძოლის მოლოდინში კამბიზი თავის სარდლებს არ წმუენებდა: ძაღლის ლეკვი გაიმარჯვებსო.

წრეში ჯერ ლომის ლეკვი შეიყვანეს და შუა ადგილას გააჩერეს, ხალხის ხმაურით შეშინებული ლეკვი იქით-აქით იყურებოდა და თავშესაფარ ხერხებს ეძებდა. უეცრად მან თვალი მოჰკრა მოწინააღმდეგეს, რომელიც მისკენ ღრენით გამოეჭანა. დაუცადა, ვიდრე ახლოს მოვარდებოდა, მერე მარცხენა თათი ისე შემოჰკრა, რომ ძაღლის ლეკვი ყირაზე გადაატრიალა. მაგრამ გამარჯვება ჯერ ნაადრევი იყო. მოულოდნელი დარტყმით დარეტიანებული ლეკვი ფეხზე წამოვარდა და თავის მოწინააღმდეგე თვალებით მოძებნა. ჯერ უკან დაიწყო დახევა, გონებას იკრებდა, მერე გააფთრებით ეძგერა ლომის ლეკვს, მისი კისერი პირში მოიგდო, მაგრად გაქაჩ-გამოქაჩა და მიწაზე დაითრია. ერთხანს ძირს გორაობდნენ და კორიანტელი ააყენეს. ბოლოს ლომის ლეკვმა დასძლია, ქვეშ მოიგდო და თათებით დაუწყო ცემა, მეორე ძუ ლეკვმა, რომელიც იქვე იყო დაბმული და ხმაბაღლა ყეფით დიდი ხანია ითხოვდა აშვებას, თავისი ძმა რომ ასეთ გაჭირვებაში დაინახა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიწია და თოკი გაწყვიტა, ლომის ლეკვს მივარდა და გვერდზე გადააგორა. განთავისუფლებული ხედი ლეკვი ზეზე წამოვარდა, თავის დას მიეშველა და ნადირთა მეფის ლეკვი აღრიალეს.

ამ სანახაობამ დამსწრენი დიდად გაამხიარულა, გარდა ერთისა, რომელიც მწარედ ატირდა: ტიროდა კამბიზის და.

— დაო, რად ტირი?!—ჰკითხა გაკვირვებულმა კამბიზმა¹ და თავზე ხელი გადაუსვა. დამ მწყრალად მოიშორა ძმის ხელი და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— ამ შემთხვევამ მე მომაგონა ჩემი საყვარელი ძმა ბარდია. ლეკვმა გადაარჩინა თავისი ძმა სიკვდილს, მე კი, საბრალოს, არა მყოფნის გამბედაობა ძმის მკვლელზე შური ვიძიო! თუმცა კარგად ვიცი, ვინც მოკლა იგი!

— შენ იცი, ვინ მოკლა ბარდია?—კამბიზმა დისაკენ ნაბიჯი გადადგა და თვალბში მკაცრად ჩახედა.

— ვიცი!

— ვინ მოკლა?

¹ ჰეროდოტეს გადმოცემით, კამბიზი მძიმე სენით — ეპილეპსიით (ავიზნით) ყოფილა დაავადებული. როცა ვინმე გააბრაზებდა, გონიერებას კარგავდა და თავის მოქმედებას ანგარიშს აღარ უწევდა.

— ვინ მოკლა და შენ! შე საზიზღარო! შენ! შენ მოკალ ჩემი ბარ...

ბრაზმორეულმა კამბიზმა უკანასკნელი სიტყვა აღარ დაამთავრებინა, ისე მძლავრად ჩაჰკრა გვერდში ფეხი, რომ საბრალო ქალი მიწაზე უსულოდ დაეცა. ასეთი იყო კამბიზ მძვინვარე.

ჰაიპერია უდაბნოში

ეთიოპიის დაპყრობის სურვილი კამბიზს მოსვენებას არ აძლევდა. ჩქარა მან დიდძალი ჯარი გაგზავნა ამ ქვეყნის ასაოხრებლად. მაგრამ კამბიზმა მიზანს ვერ მიაღწია. ეთიოპიის დასაპყრობად გაგზავნილ ჯარს დიდი უბედურება დაატყდა თავზე. ორი თვის განმავლობაში უგზოუკვლოდ დაეხეტებოდნენ აფრიკის მთებში და ვერ მიეგნოთ ამ ქვეყნისათვის. სურსათ-სანოვავე შემოეღიათ და ჩქარა ისეთ ყოფაში ჩავარდნენ, შიმშილით ისე გაველურდნენ, რომ ერთმანეთს ჭამდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, უკან გამოსაბრუნებელი გზა იპოვეს და გაძვალტყავებულნი დაბრუნდნენ ეგვიპტეში.

კამბიზს იმედი ჰქონდა, რომ სპარსელები ეთიოპიას ასაოხრებდნენ და დიდ სამხედრო ნადავლს მოუტანდნენ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუფარდა.

ერთი თვის შემდეგ კამბიზმა კვლავ სალაშქროდ გაამზადა ჯარი, მაგრამ ახლა სხვა მხარის დასაპყრობად. ეთიოპიაზე სამუდამოდ აიღო ხელი.

ორმოცდაათი ათასი შეიარაღებული სპარსელი გაემგზავრა ოაზის უაგ-ამონის მოსახლეობის დასარბევად და მისი ტაძრის ამონ-რას გასაძარცვად. გზის მაჩვენებლად თან ოცდაათი ეგვიპტელი გაიყოლიეს. არც ერთმა სპარსელმა არ იცოდა მდიდარი ოაზისისკენ გზა და უნებლიედ თავისი ბედ-იღბალი ეგვიპტელებს ჩააბარეს.

გამგზავრების წინ კამბიზმა გამყოლი ეგვიპტელები უხვად დაასაჩუქრა და უკან დაბრუნებისას კვლავ დიდ საჩუქრებს შეჰპირდა. ეგვიპტელებმა საჩუქრები ვითომდა დიდი სიხარულით მიიღეს, მაგრამ გულში კი სხვა განზრახვა ედვათ. მათ ახლა ეძლეოდათ საშუალება, რომ ესარგებლათ შემთხვევით და სპარსელებზე შური ეძიათ. გადაწყვიტეს სპარსელების უდაბნოში დაღუპვა...

ოაზისი უაგ-ამონი ლიბიის უდაბნოში მდებარეობს და ეგვიპტიდან ოთხი-ხუთი დღის სავალზეა დაშორებული. მისი ნიადაგი მდიდარია და ნოყიერი, როგორც ეგვიპტისა, აქ არ არის ბარაქიანი ნილოსი, მაგრამ სამაგიეროდ დედამიწის სიღრმიდან უხვად ჩქეფენ

წყაროების შადრევნები. წყარო უამრავია, მათ შორის განირჩევა თავისი სამკურნალო თვისებებით ერთი დიდი წყარო. ეს წყარო მზის ამოსვლამდე თბილია, მაგრამ მზის ამოსვლასთან ერთად თანდათან ცივდება და როდესაც მზე უმაღლეს მწვერვალს მიაღწევს, ყინულივით ცივია. მაგრამ როგორც კი მზე დასავლეთისაკენ იწყებს გადახრას, წყაროც თანდათან თბება და შუალამისას საგრძნობლად გამთბარიან. ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ იშვიათ წყაროს „მზის გასაღები“ დაარქვა და მის ახლოს ააგო უზარმაზარი ტაძარი.

ლიბიის მთები სპარსელებმა მშვიდობიანად გადაიარეს და უდაბნოსაკენ დაეშინენ. უდაბნოში საშინელი ბული ტრიალებდა, გავარვარებული სილა ფეხსაცმელებს წვადა და ფეხებს საშინლად ახურებდა. აუტანელი სიცხით სპარსელებს სული ეხუთებოდათ და სუნთქვა უძნელდებოდათ. პირველი დღის მოგზაურობამ სპარსელებზე ცუდად იმოქმედა, მეორე და მესამე დღეს ხომ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ; ბევრს გონება ეკარგებოდა, გზაში ვარდებოდა და გახურებულ სილაში იღუპებოდა. წყალიც შემოვლიათ და აუწერელ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

სპარსელების წინ მძიმედ მიაბიჯებდნენ დაღვრემილი ეგვიპტელები. ყოველ მათგანს მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში: დაელუპათ სპარსელები, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ მათთან ერთად ისინიც უნდა გამხდარიყვნენ უდაბნოს მსხვერპლნი. ეს თავგანწირული ხალხი სამსხვერპლოზე შეგნებულად მიდიოდა.

მეოთხე დღეს სპარსელებმა სილის ბორცვებს იქით ნათლად დაინახეს პალმები და მობიბინე ველი. ამ სურათმა ისინი გამოაცოცხლა და აღაფრთოვანა.

— ვაშა! ვაშა! გადავრჩით! გადავრჩით!—ღრიალებდნენ გახარებული სპარსელები და ოაზისისაკენ მირბოდნენ. შეიქმნა ერთი ორომტრიალი; ყველა ცდილობდა გაესწრო სხვებისათვის და პირველი მისულიყო... აი, როგორც იქნა, ბორცვებს მიუახლოვდნენ, მაგრამ ოაზისი ახლა სხვა ბორცვებს იქით მოექცა. არაქათგამოლეული სპარსელები რის ვაივავლახით მიიწევდნენ წინ, მაგრამ მათ საუბედუროდ სანატრელ ადგილს მაინც ვერ აღწევდნენ. მათთან ერთად ოაზისიც თითქოს წინ მიიწევდა და გარბოდა...

— დავიღუპეთ! მოჩვენებაა!—დაიღრიალეს სასოწარკვეთილებით სპარსელებმა და ღონემიხდილნი ცხელ სილაზე დაეყარნენ...

ოაზისი, რომელიც სპარსელებმა დაინახეს, იყო მხოლოდ ატმოსფერული მოვლენა, ანუ, როგორც ეძახიან—მირაჟი.

სპარსელები კვლავ ზედავდნენ ოაზისის მირაჟს, მაგრამ მისკენ

ალარ მიიწვედნენ. უეცრად ოაზისი გაქრა და ცოტა ხნის შემდეგ ამოვარდა გახურებული ქარი. რამდენიმე წუთში გავარვარებული სილის ღრუბლებმა დაჩრდილა მზე და უდაბნო ბურუსში გაახვიდა. სილის ღრუბელი საოცარი სისწრაფით ტრიალებდა და აქეთ-იქით დაქროდა. ისეთი აუტანელი სიციხე დატრიალდა, რომ ადამიანს ეგონებოდა ჰაერი იწვის და არემარე ხანძარშია გახვეულიო. ჰაერის წითელი ფერი ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა... აქლემებმა, იგრძნეს რა უბედურების მოახლოება, სწრაფად ჩაიჩოქეს, ვადიდეს კისერი და თავი ცხელ სილაში ჩარგეს.

საშინელი სურათი დატრიალდა, ჯარი პირქვე დაემხო და ყველა ცდილობდა რაიმე გადაეფარა და ამ გზით დაეცვა თავი გახურებული სილის ქარისაგან...

რაც დრო გადიოდა, ქარი უფროდაუფრო მძინვარებდა: აუარებელი სილის ღრუბლები ხან ზეცას ავარდებოდა, ხან დაბლა დაეშვებოდა. სილაზე გაკრულ ხალხს სუნთქვა დაუმძიმდა, გახურებული სილა ცხვირში და ყურებში უცვიოდა, თავი საშინლად ასტკივდათ; თავდაცვისათვის მოძრაობა თანდათან შენედა...

გავარვარებული ქარი კი კვლავ ზრიალებდა და უდაბნოს ცეცხლს უკიდებდა... რამდენიმე საათის შემდეგ ქარი ჩადგა, სილის სქელი ღრუბელიც დაბლა დაეშვა. როდესაც მშემ კვლავ გააბრწყინა უდაბნო, ერთ ადგილას ამობორცვილი ადგილი გამოჩნდა. აქ იყო ცხელ სილაში ცოცხლად დამარხული სპარსელების ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცი და თავგანწირული ეკვიპტელები. ვერც ერთი მათგანი ვერ გაექცა უდაბნოს ბუნების ამ საშინელებას¹. ვერ იხილეს სპარსელებმა მშვენიერი ოაზისი უაგ-ამონი და ვერც მისი სახელგანთქმული ტაძარი ამონ-რა...

კამბიზის სიკვდილი

როდესაც კამბიზმა თავისი ჯარის დაღუპვის ამბავი გაიგო, გაბრაზებულმა დაიბარა თავისი სარდლები და მრისხანედ შეეკითხა:

— იცოდით თუ არა თქვენ, რომ უდაბნოში შეიძლებოდა დაღუპულიყო ჯარი?

შეშინებულმა სარდლებმა ერთხმად მიუგეს:

— დიახ, დიდებულო მეფევ, ვიცოდით...

— თუ კი იცოდით და საეჭვოდ იყო საქმე, რატომ არ გადამაფიქრებინეთ იქ ჯარის გაგზავნა? მიპასუხეთ!!

თავჩაქინდრულნი სარდალნი დუმდნენ.

¹ უდაბნოს ამ სტიქიურ მოვლენას სამუმს ეძახიან.

კამბიზმა გასცა ბრძანება ამოეთხარათ ორმო. თორმეტი სარდა-
ლი შიგ თავით ჩააღიდვინა და თავქვე ცოცხლად ჩაამარხვინა: თქვე-
ნი თავები ამ ჯილდოს ღირსნი არიანო.

— ცხენი! — დაიძახა მან ბოლოს. — საკუთარი ხელით უნდა ამოვ-
ზოცო მოლალატე ეგვიპტელები!

ცხენიც დაუყოვნებლივ მიჰგვარეს და განრისხებული კამბიზი ელ-
ვის სისწრაფით ზედ მოეელო... მაგრამ ქარქაშიდან გამოვარდნილ
მახვილზე მარცხენა გვერდით დაეგო. საკუთარი იარაღით სასიკვდი-
ლოდ დაჭრილი კამბიზი ცხენიდან გადმოვარდა გონებამიხდილი.

ოც დღესა და ოც ღამეს ებრძოდა სიკვდილს განწირული კამბი-
ზი, არ უნდოდა ადვილად დაეთმო სიცოცხლე, თუმცა სხვებს ადვი-
ლად ართმევდა. საშინელ წამებაში აღმოხდა სული. მისი უკანასკნე-
ლი სურვილი იყო მკაცრად დაესაჯა „მოლალატე“ ეგვიპტელები.
ასე ტრაგიკულად დაასრულა იმ კაცმა სიცოცხლე, რომელმაც ეგვი-
პტე უფსკრულში გადაჩეხა.

კამბიზის სიკვდილის შემდეგ ეგვიპტე კვლავ სპარსეთს დარჩა.
ორასი წელი გმინავდა ეგვიპტე სპარსეთის მეფეების მონობის უღელ-
ქვეშ, რამაც ქვეყანა ააოხრა და გააპარტახა.

გავიდა ხანი და ასპარეზზე გამოჩნდა ახალგაზრდა ბერძენი, სა-
ხელგანთქმული სარდალი ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც სას-
ტიკად დაამარცხა სპარსეთი და მისი ძლევამოსილება საბოლოოდ
წელში გატეხა, წაართვა სპარსეთს ყველა დაპყრობილი ქვეყანა და
მათ რიცხვში ეგვიპტეც. ეს მოხდა სამას ოცდათორმეტ წელს ჩვენს
ერამდე.

ეგვიპტელებმა ცოტა შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ თავისუფლე-
ბა ჯერ კიდევ შორს იყო.

ბეჩინები და რომაელები ეგვიპტეში

ალექსანდრე მაკედონელი ფრიად განვითარებული კაცი იყო
და დიდად უწყობდა ხელს მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავ-
ვებას. ეგვიპტელებს, როგორც კულტურულ ერს, ღირსეულად
მოეპყრა და მოქალაქეობრივი უფლებები მიანიჭა. ადამიანური
მოპყრობით მან ეგვიპტელებში დიდი ნდობა და სიყვარული დაიმ-
სახურა. ქურუმებმა იგი ფარაოხად აღიარეს და „მზის შვი-
ლი“ უწოდეს. ქურუმებს უფრო ის უხაროდათ, რომ მაკედონელმა
მათ ზნე-ჩვეულებასა და სარწმუნეობას არ დაუწყო დევნა, როგორც
ამას ჩადიოდნენ სპარსელები, პირიქით, ყოველმხრივ მფარველობდა.

მაკედონელი ჭკვიანი კაცი იყო და მან კარგად იცოდა, რომ

ამ გზით საბერძნეთი ნიჭიერი ეგვიპტელებისაგან მეტ სარგებლობას მიიღებდა, ვიდრე უხეში ძალის გამოყენებით. რასაკვირველია, არც მოტყუვდა, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ეგვიპტის კულტურის საფუძვლიანად გაცნობასა და შესწავლას. ამ მიზნით მან თავი მოუყარა უძველეს ხელნაწერ წიგნებს და დაარსა დიდი ბიბლიოთეკა. შემდგომ ეს ბიბლიოთეკა მოათავსა ქალაქ ალექსანდრიაში.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ დაპყრობილი ქვეყნები მისმა სარდლებმა გაინაწილეს. ეგვიპტე ერგო სახელოვან სარდალს პტოლომეის. პტოლომეი მაკედონელის ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა. მის ხელში ეგვიპტე კვლავ აყვავდა და დამშვენდა და, რაც მთავარია, იგი გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ეგვიპტეში პტოლომეის შთამომავლობამ სამას წლამდე იმეფა, შემდეგ ეგვიპტის ბედს რომაელები დაესაკუთრნენ.

რომაელებამდე ეგვიპტეს განაგებდა პტოლომეის საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი — დედოფალი კლეოპატრა.

კლეოპატრა მომხიბლავი სილამაზის პატრონი იყო, მაგრამ ამ მშვენიერ არსებაში იფარებოდა ცბიერებისა და ვერაგობის დაუმორეგელი წყარო. თავისი ცბიერებით რომაელების მოსვლის შემდეგაც კი კარგახანს შეინარჩუნა სამეფო ტახტი და არა ერთი გამოჩენილი სარდალი დაღუპა.

როდესაც ეგვიპტეში პირველად რომის გამოჩენილი სარდალი იულიოს კეისარი შევიდა, კლეოპატრამ მოხიბლა იგი თავისი სილამაზით და ცოლად გაჰყვა.

არეულობის გამო როგორც კი კეისარი რომში დაბრუნდა და იქ სახელმწიფოს უმაღლესი მოხელის კასიას მიერ მოკლულ იქნა, კლეოპატრამ ქმრის მკვლელს სიყვარული აღუთქვა, მაგრამ საკმარისი იყო კასია დაემარცხებინა რომაელ ახალგაზრდა სარდალს ანტონიოს, რომ კლეოპატრა უკანასკნელს გაჰყოლოდა ცოლად.

კლეოპატრა იქითკენ მისიწრაფოდა, საითკენაც ძალა და დიდება იყო. მის მიერ მოხიბლულმა, გრძნობების ამყარებმა ანტონიოსმა თავის „ღვთაებას“ მრავალი დაპყრობილი ქალაქი და მაზრები აჩუქა და მასთან ერთად ეგვიპტეში თავაწყვეტილ ნადიმებში ატარებდა დროს.

ანტონიოსის ფუქსავატურმა საქციელმა რომი აღაშფოთა და მის წინააღმდეგ ჯარი გაიგზავნა ოქტავიანის სარდლობით (ოქტავიანი ანტონიოსის პირველი ცოლის ძმა იყო). დაუსრულებელ ნადიმში. გართული ანტონიოსი მოწინააღმდეგეს მომზადებული ვერ შეხვდა. ბრძოლაში ანტონიოსს კლეოპატრაც თან ახლდა. ბრძოლის დროს

ანტონიოსს ჯარის დიდმა ნაწილმა უღალატა და მტრის მხარეზე გადავიდა. კლეოპატრა მიხვდა, რომ ბრძოლა წაგებულ იყო, შეშინებული გაიპარა ბრძოლის ველიდან და თან სამოცი სამხედრო ხომალდი გაიყოლა.

გაწბილებულმა ანტონიოსმა მოწინააღმდეგე ოქტავიანი ხმალში გაიწვია, ამით უნდოდა შელახული თავმოყვარეობის აღდგენა, მაგრამ ოქტავიანმა, კარგად იცნობდა რა ანტონიოსის მკლავის სიძლიერასა და ბრძოლისუნარიანობას, წინადადება უარყო, მხოლოდ შეუთვალა: უჩემოდაც მალე გამოეთხოვები სიცოცხლესო.

ცუდი წინაგრძობით გაეშურა ანტონიოსი კლეოპატრასაკენ. თავისი საქციელით შეშინებული კლეოპატრა ანტონიოსს დაემალა, რომ მისი რისხვა თავიდან აეცდინა. როდესაც ანტონიოსმა იკითხა: სად არის ჩემი კლეოპატრაო, მსახურმა ქალმა მწუხარე ხმით მიუგო: კლეოპატრამ შენს დამარცხებას ვერ გაუძლო და თავი მოიკლაო. ეს განცხადება საკმარისი იყო ისედაც გონებაამღვრეული და სულეერად დაცემული ანტონიოსისათვის, რომ მას თავის მოკვლა გადაეწყვიტა.

— კლეოპატრას სიკვდილის შემდეგ ჩემი სიცოცხლე აღარ ღირს!— წამოიძახა ანტონიოსმა და მახვილი მკერდში ჩაიკა. მაგრამ მახვილი გულის არეს აცდა და მძიმედ დაჭრილი ანტონიოსი ირგვლივ მყოფთ ეხვეწებოდა მომკალითო.

კლეოპატრა ამ დროს ჩაკეტილ სასახლეში იმყოფებოდა. ერთის მხრივ, ეშინოდა ანტონიოსის შურისძიებისა, ხოლო მეორეს მხრივ, ოქტავიანისა—რომ არ დაეტუსალებინა.

როცა კლეოპატრამ ანტონიოსის უბედურება გაიგო, საშინელი ზმით მორთო წივილ-კივილი და სასოწარკვეთილებით ურტყამდა იატაკს თავს. იმ დღეს პირველად გაიღვიძა ამ ბოროტ არსებაში ადამიანურმა გრძობებმა და მიხვდა, თუ რა დანაშაული ჩაიდინა ანტონიოსის წინაშე. მას უნდოდა, რომ იმ წამსვე გაქცეულიყო ანტონიოსთან, მაგრამ მსახურმა ქალმა მოაგონა ოქტავიანის ჯარისკაცები გარეთ გიცდიანო. მაშინ კლეოპატრა მიიჭრა ფანჯარასთან და დაბლამყოფთ მუდარით გადასძახა, რომ ანტონიოსი მოეყვანათ.

მომაკვდავი ანტონიოსი საკაცით მიიტანეს და სასახლის წინ დაასვენეს, კლეოპატრამ კარების გაღება ვერ გაბედა, ფანჯრიდან თოკები ჩაჟღემა და ორი მსახური ქალის დახმარებით დიდი გაჭირვებით აიტანა ანტონიოსი. ბევრს ცდილობდა კლეოპატრა რომ ანტონიოსი გადაერჩინა, მაგრამ ვერას ვახდა. ანტონიოსის სიცოცხლის წუთები დათვლილი იყო. სიკვდილის წინ ანტონიოსმა კლეოპატრას სთხოვა

შენც ჩემთან წამოდიო. კლეოპატრამ უმაღლე დაამიგდა: „კი, ჩემო ანტონიოს, მეც ჩქარა წამოვალ შენთან!“

ოქტავიანმა კლეოპატრას მცველები დაუყენა და მკაცრად ადევნებდა თვალყურს, რომ თავი არ მოეკლა. მას უნდოდა კლეოპატრა ცოცხლად ჩაეყვანა რომში. „კლეოპატრა თეხით უკან გამოჰყვება ჩემს ეტლს, როცა რომში საზეიმოდ შევალ.“ — ამბობდა მეგობრებში ოქტავიანი. ჩქარა კლეოპატრას აცნობა: მოემზადე რომში გასამგზავრებლადო. კლეოპატრამ შემოუთვალა: მე მზადა ვარ ავასრულო შენი ბრძანება, მხოლოდ გთხოვთ ნუბა დამართო ანტონიოსის საფლავს გამოვეთხოვო.

მცველების თანხლებით კლეოპატრამ ინახულა ანტონიოსის საფლავი. პირქვე დამხობილი დიდხანს დასტიროდა და ჰკოცნიდა ცივ ქვას. გამოთხოვების დროს ჩუმი ხმით ჩაატირა: „...უბედურო ანტონიოს, მე დაგღუპე და მევე გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს! ჩქარა გნახავ, ჩემო ანტონიოს, ძალიან ჩქარა... მანამდის კი მშვიდად იძინე!“

მეორე დღეს კლეოპატრა საზეიმოდ მოირთო, ჩაჯდა სავარძელში და მსახურ ქალს სთხოვა მოეტანა მისთვის ყვავილებით სავსე კალათი, წინადლით რომ დაავალა. კლეოპატრამ ფრთხილად გადაშალა ყვავილები და დაგრავნილი მძინარე გველი დაინახა. კლეოპატრამ გააღვიძა გველი და თვალის წინ გაუჩერა თითი. გველი ელვის სისწრაფით ჩაეჭიდა გამოწვდილ თითს... ერთი საათის შემდეგ კლეოპატრას უსულო სხეული სავარძელზე იყო დასვენებული¹.

ოქტავიანის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს ეგვიპტის ტახტის მომავალი მემკვიდრე კლეოპატრას უფროსი ვაჟი ცეზარიონი (ცეზარიონი კლეოპატრას იულიოს კეისრის ხელში შეეძინა).

ამრიგად, 30 წელს ჩვენს წელთ აღრიცხვამდე ეგვიპტემ დაკარგა დამოუკიდებლობა და რომის მახრად გადაიქცა. სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ყველგან რომაელები ჩადგნენ, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ თავის თანამდებობას და ჩაგრავდნენ და ავიწროებდნენ ეგვიპტელებს.

რომმა ეგვიპტე საწველ ფურად გაიხადა: ყოველწლიურად გაჭ-

¹ მას აქვთ გავიდა თითქმის ორიათასი წელი და მკითხველმა შეიძლება არ იცის, რომ კლეოპატრასა და ანტონიოსის მუმიები ამჟამად ლონდონის მუზეუმში ინახება.

ინგლისელმა გენიალურმა დრამატურგმა უილიამ შექსპირმა ისარგებლა მათი ისტორიით და დაწერა ცნობილი ტრაგედია: „ანტონიოსი და კლეოპატრა“. აღნიშნული ტრაგედია ქართულად ნათარგმნია ივ. მაჩაბლის მიერ.

ქონდა დიდძალი სორბლეული და ტექნიკური კულტურები (ბამბა, სელი და სხვ). ნოჟრიდებლად ეზიდებოდა უძველეს ძეგლებსაც, მარტო ობელისკი თორშეტი გაიტანა.

რომაელების ბატონობა ეგვიპტეში ექვსას სამოცდაათ წელს გაგრძელდა. ერთი ისტორიკოსის თქმით, რომაელებმა ოდესღაც მდიდარი და მშვენიერი ეგვიპტე სიღარიბისა და ნანგრევების ქვეყნად გადააქციეს.

აკაბეგის და რომაელების გავრცობა ეგვიპტეში

ექვსას ორმოც წელს ეგვიპტეში შეიჭრა არაბთა აურაცხელი ჯარი სარდალ ამრუს ხელმძღვანელობით. ხანმოკლე შეტაკებების შემდეგ არაბებმა დაამარცხეს რომაელები და თვით დაეპატრონენ ეგვიპტეს. მაგრამ რომაელებთან შედარებით არაბები უფრო მკაცრად მოექცნენ დაპყრობილებს და ისედაც გაძვალტყავებული ეგვიპტე მიწასთან გაასწორეს: რასაც კი მისწვდნენ, ყველაფერი დაანგრის და ააოხრეს. ტაძრებიდან და სასახლეებიდან გამოჰქონდათ იშვიათი ქანდაკებები, რომლებიც ათას წლებს ითვლიდნენ, და საჯაროდ ამტვრევდნენ. მერე თვით ტაძრებს ანგრევდნენ. აშკარად მიჰქვეს ხელი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯას, შემდეგ მკვდრებზე მიიტანეს იერიში—აკლდამები დაარბიეს. გამოჰქონდათ მუმიები, ჯერ ძარცვავდნენ, შემდეგ კი ცეცხლში წვაავდნენ. ფეხქვეშ თელავდნენ აღმიანურ ღირსებებს, დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ ეგვიპტელების ადათსა და ხნე-ჩვეულებას, ბეგრავდნენ მოსახლეობას დიდი გადასახადებით, ვინც ვერ შეძლებდა გადახდას მათ მონებად ყიდდნენ. ცეცხლითა და მახვილით ამტკიცებდნენ თავის ხნე-ჩვეულებას და სარწმუნეობას—შაჰმადიანობას.

მაგრამ არაბებმა ერთი ისეთი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს კაცობრიობის წინაშე, რომელმაც დაჩრდილა ყველა მათი ვერაგობა. როდესაც არაბთა სარდალი ამრუ ქალაქ ალექსანდრიას აოხრებდა, ხელნაწერ წიგნების დიდ ბიბლიოთეკას წააწყდა. ამრუმ ხალიფ ომარს აცნობა: როგორ მოვექცე აუარებელ წიგნებსო. უკანასკნელმა შემოუთვალა: „თუ მაგ წიგნებში ყოველივე ის წერია, რაც საღვთო წიგნში (ყურანში), მაშინ ჩვენთვის საკმარისია მხოლოდ ერთერთი წიგნი, სხვები არაა საჭირო. მაგრამ თუ მათში არის ისეთი რამ, რომელიც წინააღმდეგია წმინდა წიგნისა, მაშინ ისინი საშიშია. ორივე შემთხვევაში დაწვი!“ და ხალიფ ომარის ბრძანება ამრუმ შეასრულა: ცეცხლმა შთანთქა ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკა და კაცობრიობას ფასდაუღებელი განძი დაეკარგა. ეგვიპტე-

ლების მიერ ათასი წლობით შექმნილი მეცნიერული ძეგლები ფანატოკოსებმა ერთ დღეში ფერფლად აქციეს!

ეგვიპტელები ბევრჯერ შეეცადნენ გაეთავისუფლებინათ თავი არაბთა ბატონობისაგან, მაგრამ მათი ცდა ყოველთვის სამწუხაროდ თავდებოდა. არაბები საშინელი სიმკაცრით აქრობდნენ აჯანყებას და დაუზოგავად ხოცავდნენ ეგვიპტელებს. უთანასწორო ბრძოლებმა გაანახევრა ეგვიპტის მკვიდრი მოსახლეობა.

ილაჯგაწყვეტილი და თვალებზე ცრემლმორეული ეგვიპტელები ძალაუნებურად ითმენდნენ თავგასული მტრის თარეშს. მოქალაქეობრივ უფლებებს მოკლებულთა, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოშორებულთ, ცხოვრებიდან გარიყულთ, მათ მხოლოდ ერთერთი უფლება ჰქონდათ: მოეკიდათ ხელი სოფლის მეურნეობისათვის და ეძლიათ ხარკი მოძალადეებისათვის.

არაბების ხელში ეგვიპტელები, თანდათან დაქვეითდნენ და დაკარგეს რწმენა საკუთარი ღირსებისადმი. ოფსლაც ნიჭიერი. შეუღარებელი ხელოსანი, შრომის მოყვარე, სპეტაკი და გულმართალი ეგვიპტელი საბრალო არსებად გარდაიქცა: გახდა უუნარო, ზარმაცი, პირმოთნე და გულღვარძლიანი. ასე გარდაქმნა სულიერად საუკუნეების მონობამ და უხეშმა ძალამ ის ერთ-რომელმაც კაცობრიობას პირფელმა დაუნთო კულტურის ჩირაღდანი და ღამის წყვდიადიდან დღის სინათლეზე გამოიყვანა.

ექვსასი წელი ედგა ეგვიპტეს არაბთა მონობის უღელი.

ათას ორას ორმოც წელს ხალხის მოადგილემ ეგვიპტეში ე. წ. „ეგვიპტის სულთანმა“ ნეჯე ედინმა განიზრახა განსაკუთრებული დამცველი ჯარის შედგენა. ამ მიზნით მან შეისყიდა თორმეტი ათასი ახალგაზრდა მონა. ეს მონები სხვადასხვა ეროვნებებს ეკუთვნოდნენ, მათ რიცხვში ბევრი ქართველი და ჩერქეზიც ერია.

როგორც კი ეგვიპტეში მოიყვანეს, დაიწყეს მათი გაწვრთნა და ჩინებულად შეისწავლეს სამხედრო ხელოვნება. რამდენიმე წლის შემდეგ სულთანს უკვე ჰყავდა ძალიან გულადი და მებრძოლი მეომრები, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ გარეშე მტრებს. მათ მამულუკები დაარქვეს¹.

მამულუკები უთვისტომო ხალხი იყო, ბავშვობისას ძალად მოტაცებულნი, მოწყვეტილნი მშობლიურ კერას, დედის აღერსს, ბევრმა არც კი იცოდა, ვინ იყო ან სადაური; იცოდა მხოლოდ, რომ ის

¹ სახელწოდება „მამულუკი“ არაბული „მამელიკი“-დან წარმოდგება და ნიშნავს მონას.

იყო მამელუკი, ერტყა ხმალი და მისი დანიშნულება იყო ვაჟკაცურად ბრძოლა.

მამელუკების სულიერ განცდასა და საბრძოლო განწყობილებას საუცხოოდ გადმოგვცემს ქართველი მწერალი უიარაღო (თათარიშვილი) თავის მშვენიერ მოთხრობა „მამელუკში“. „...ზღაზღვით მოგორავს ნილოსი, მიაქვს ქვევითა ჩვენი ამბები, რომ განუზომელ ზღვას და იქიდან მთელ ქვეყანას ამცნოს და გააგებინოს ჩვენი სიმტკიცე, ჩვენი ერთობა და ჩვენი შეუდრეკელი გამბედაობა. სხვა რაღა უნდა მიქოს ნილოსმა: პაპას ვერ მიქებს დიდებულს და პაპის პაპას ჩინებულს. მე არც კი ვიცი ვინა ვარ, სადაური ვარ, მხოლოდ ვიცი, მამელუკი ვარ! ხმალი ჩემი დედ-მამაა ჩემი. მკლავი ჩემი—სიმტკიცე ჩემი!“ და სხვ.

მამელუკებს ხშირად უხდებოდათ ვარეში მტრებთან შეჯახება და ბრძოლიდან მუდამ გამარჯვებულნი გამოდიოდნენ. აფრიკის მრავალი ტომი დაამარცხეს და დიდი სამხედრო ნადავლი წამოიღეს. სულთანნი მათ ანებივრებდა, ეფერებოდა და მეზობელი ტომების აწიოკებაზე აქეზებდა, სამხედრო ნადავლის ნახევარს მათ უნაწილებდა.

რაც დრო გადიოდა, მამელუკები უფრო ძლიერდებოდნენ და ჩქარა სულთანის ხელისუფლებას საფრთხე შეუქმნეს. მამელუკები თანდათან გაერკვნენ მდგომარეობაში და დაინახეს, რომ ძალა და იარაღი მათ ხელში იყო, აკლდათ მხოლოდ ბატონობა. ამისათვის კი საჭირო იყო ჯერ გზის გაწმენდა—სულთანის თავიდან მოშორება. ჩქარა თავისი განზრახვა კიდევ განახორციელეს, აუჯანყდნენ სულთანს, ადვილად დაამარცხეს და მის ადგილზე თავისი ამხანაგი აირჩიეს.

ახალმა სულთანმა დიდი უფლებები მიანიჭა მამელუკებს და ნება დართო თავისუფლად ეთარეშათ ეგვიპტეში. ეგვიპტეს ისე უყურებდნენ, როგორც დაპყრობილ ქვეყანას და არაბების მსგავსად ავიწროებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. საერთოდ მამელუკები ყველადფერში თავის აღმზრდელთ ბაძავდნენ.

მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა მათ: რაც შეიძლებოდა მეტი სიმდიდრე შეეძინათ და განცხრომით და ლაღად ეცხოვრათ. რას დაეძებდნენ, თუ ამ მიზნის მისაღწევად სხვის გვამზე გადააბიჯებდნენ და თავის ბედნიერებას სხვის უბედურებაზე ააგებდნენ. ან კი მეტი რა მოეთხოვებოდა ამ ხალხს, რომლებიც ბავშვობიდან ბრძოლებსა და ძარცვა-გლეჯაში იყვნენ აღზრდილნი. დაუსრულებელმა ომებმა და სისხლისღვრამ მათი გონება გაყინა და გულს წაართვა ადამიანური გრძნობები.

მამელუკებმა რამდენიმეჯერ დაიპყრეს და დაკარგეს არაბეთი და ასურეთი. ოცდაათი ათასი მამელუკი მუდამ საბრძოლველად იყო გამზადებული.

ექვსასი წელი იყო ეგვიპტე მამელუკების ხელში (სამასი წელი დამოუკიდებლად ბატონობდნენ, სამასი წელი თურქებთან შეთანხმებით). ამ ხნის განმავლობაში ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა მშვიდობიან მდგომარეობაში.

მაგრამ ისტორიამ სასტიკი განაჩენი გამოუტანა მამელუკებს, განაჩენის შესრულება წილად ხვდა სახელოვან სარდალს ნაპოლეონ ბონაპარტეს.

ურანგუბისა და მამელუკების ბრძოლა

1799 წელს საფრანგეთის ახალგაზრდა გენერალი (შემდგომ საფრანგეთის იმპერატორი) ნაპოლეონ ბონაპარტე ეგვიპტეს ჯარით მიადგა და დედაქალაქს საფრთხე შეუქმნა. ნაპოლეონს საფრანგეთის ბურჟუაზიისაგან დავალებული ჰქონდა დაეპყრო მდიდარი ეგვიპტე და საფრანგეთის კოლონიად გადაექცია. მათ უნდოდათ, რომ ინგლისელებისათვის დაესწროთ და გემრიელი ლუკმა თავად ჩაეგდოთ ხელში. მიღწიეს თუ არა მიზანს, ამას ქვემოთ დავინახავთ.

მამელუკები და თურქები ქალაქ ქაირის დასაცავად სასწრაფოდ საომრად მოეზადნენ. ფრანგების წინააღმდეგ გამოვიდნენ ათიათასი მამაცი მამელუკი და ოციათასი თურქი ორმოცი ქვემეხით. საბრძოლო ასპარეზად გიზების ვაკე აირჩიეს და დიდ პირამიდებში ჯარი ჩაასაფრეს იმ იმედით, რომ მტრის ძალა საბოლოოდ იქ შეეჩერებინათ და „მათი ლეშები გიზების ცხელ ქვიშაში ჩაეფლათ“.

მამელუკებს მაშინ წინამძღოლობდა მურად-ბეი, კაცი ლომ-გული და ბრძოლაში შეუპოვარი. მურად-ბეიმ მამელუკები ორად გაყო. შვიდიათასი თავის სარდლობის ქვეშ დააყენა, სამიათასი კი თავის მარჯვენა ხელს, ბრძოლაში გამოზრდილს მამაც ორუჩ-ბეის ჩააბარა, მხურვალედ გადაჰკოცნა და გაამხნევა:

1517 წელს ეგვიპტე თურქებმა დაიპყრეს და მამელუკების თავაწყვეტილ თარეშს საზღვარი დაუდეს. თურქებმა თუმცა მამელუკების უკანასკნელი სულთანი ჩამოახრჩეს, მაგრამ მათი საბოლოოდ დამორჩილება მაინც ვერ შეძლეს. თურქებმა მამელუკები შემდეგ პირობაზე შეითანხმეს: ეგვიპტე ოცდაათხუთსაზრდად დაყვეს და ყოველ მახრაში მამელუკ-ბეები დააყენეს მმართველად. ჯარის უფროსებიც მამელუკები უნდა ყოფილიყვნენ და ხარკიც მათვე უნდა აეკრიფათ. თავის სხრივ მამელუკ-ბეები უნდა დამორჩილებოდნენ თურქეთის სულთანის მოადგილეს, რომელიც ქალაქ ქაირში იმყოფებოდა. ასეთისე ეგვიპტის ბედ-ილბალი ისევ მამელუკების ხელში რჩებოდა.

— აბა, ორუჩ! შენ იცი, როგორ მასახელებ. მტერმა ზურგი არ დაგინახოს!

— ვერც ნახავს, ვიდრე თავი მხრებზე წაქვს! — შესძახა ორუჩმა და თავის მეგობარს ერთხელ კიდევ გადაეხვია...

ფრანგების ჯარიც ჩქარა გაიშინდა. ბრძოლის წინ ნაპოლეონმა ჯარს გასამხნეველად ჩამოუარა და მოვალეობა მოაგონა:

— ჯარისკაცო! — დაიწყო ნაპოლეონმა, — თქვენ მიდიხართ ევ-ვიპტელების შემეწროებლების წინააღმდეგ, რომლებმაც ათასი წლობით შექმნილი კულტურა ფეხქვეშ გათელეს! გახსოვდეთ, — და ნაპო-ლეონმა დიდ პირამიდებისაკენ გაიშვირა ხელი, — რომ ამ პირამი-დების მწვერვალებიდან ორმოცი საუკუნე დაგყურებთ თქვენ! სიკვ-დილი მოძალადეებს! — დაამთავრა ნაპოლეონმა.

— სიკვდილი მოძალადეებს!! — შესძახა ჯარმა.

ნაპოლეონმა თავისი ჩვეული ხერხით მიზანს მიაღწია; მისმა სი-ტყვეებმა ჯარისკაცებზე დიდი ეფექტი მოახდინა, ბრძოლის მოწყუ-რებულთ თვალები ცეცხლივით აღენთოთ...

თავის მხრივ მურად-ბეიმ მამელუკებს ჩამოუარა:

— უშიშარო და მამაცო მამელუკო! — მიმართა მან სმენაგამახვი-ლებულ მამელუკებს, — ექვსასი წელია ჩვენა ვართ ბატონ-ბატონნი-ეგვიპტის მიწა-წყლისა! ვის შეუძლია ძალით გამოგლიჯოს მამაც მა-მელუკებს სისხლით მონაპოვარი! — და მურად ბეიმ ოქროსტარიანი ხმალი ჰაერში შეათამაშა.

— არავის!! — შესძახეს მამელუკებმა და თავის მხრივ ხმლები იში-შვლეს. მურად-ბეიმ მრისხანე თვალებით გაიშვირა ხმალი ფრანგე-ბისაკენ:

— აი, ესენი აბირებენ ჩვენ დამხობას, რომ თავად გაბატონდ-ნენ. გესმით, მამელუკო, რომ თავად გაბატონდნენ! სიკვდილი მათ!

— სიკვდილი მათ!! — შეჰღრიალეს სისხლმოწყურებულმა მამე-ლუკებმა.

ნაპოლეონმა შემოუთვალა: ტყუილ-უბრალოდ სისხლს ნუ დამა-ღრვენიებთ; თუ დამმორჩილდებით, სიცოცხლეს და თავისუფლებას გაჩუქებთ და სამსახურსაც მოგცემო.

გაბრაზებულმა მურად-ბეიმ უპასუხა: მამელუკებს არ სჩვევიათ მტრის წინაშე იარაღის დაყრა და ქედის მოხრა! ალბათ, არ გსმე-ნია ჩვენი სახელი, თორემ მაჯვარ სიტყვებს როგორ გაგვიბედავდიო-ამის შემდეგ მოწინააღმდეგენი საბრძოლველად მოემზადნენ.

მურად-ბეიმ განიზრახა ზურგიდან უეცარი დარტყმით მტრის ბანაკში არეც-დარევის შეტანა. ამ მიზნით მან ფარული გზით წაიყ-

ვანა შვიდი ათასი მამელუკი თავისი საუცხოო არაბული ცხენებით და ხუთი ათასი რჩეული თურქი ცხენოსანი. დანარჩენი თხუთმეტი ათასი თურქი, როგორც კი მტრის ბანაკში არეულებას შეამჩნევდნენ, შეტევაზე უნდა გადასულიყო. ორუჩ-ბეის თავისი რაზმით მტრისათვის მარცხენა ფრთიდან უნდა დაერთყა.

მურად-ბეის შეტევის გეგმა კარგად ჰქონდა მოფიქრებული, მაგრამ რა იცოდა, თუ საქმე ჰქონდა სამხედრო გენიასთან...

და, აი, მამელუკების ამ საბედისწერო დღეს, 22 ივლისს, ნაშუადღევს 2 საათზე, მურად-ბეის ჯერ ნახევარი გზა არც კი ჰქონდა გავლილი, რომ ბორცვებს იქით ფრანგების ცხენოსანთა დიდი რაზმი შეამჩნია, რომლებიც მისკენ მოდიოდნენ.

— მამელუკო, წინ! — დაიღრიალა მურად-ბეიმ და ხმალამოწვილმა ცხენს ქუსლი ჰკრა. ტყვიასავით მოწყდნენ მამელუკები ადგილებიდან და მტრისაკენ გააფრინეს ცხენები. მოულოდნელად ფრანგებმა ცხენები შეაბრუნეს და გაიქცნენ. მამელუკები გაქცეულებს დაედევნენ, მაგრამ ჩქარა ჩასაფრებულ მტრის ალყაში კი მოემწყდნენ. მურად-ბეი მიხვდა, რომ მტერმა განგებ შემოიტყუილა, მაგრამ არ დაიბნა, მამელუკები გაამხნევა და მტერს მედგრად შეუტია.

შეუპოვრად იბრძოდნენ მამაცი მამელუკები, მტრებს მარჯვნივ და მარცხნივ კაფავდნენ, მაგრამ მათი რიცხვი ფრანგების ფართო ხიშტების ქვეშ თანდათან მცირდებოდა.

როდესაც მურად-ბეი მოულოდნელად ასეთ განსაცდელში ჩავარდა და მტრის რკალში მოემწყვდა, ნაპოლეონის ქვემეხებმა თურქების ჩასაფრებული ჯარი და ორუჩ-ბეის რაზმი ააფორიაქა. საპასუხოდ თურქების ორშოცმა ქვემეხმა დაიქექა. თურქებმა აღარ დააყოვნეს და ალაჰის ღრიალითა და ქვემეხების დახმარებით იერიშზე გადავიდნენ. ორუჩ ბეიმაც თავისი რაზმით მტერს მარცხენა ფრთიდან გამალებით შეუტია, მაგრამ ვიდრე მტერს მიუახლოვდებოდნენ, თურქები და მამელუკები ფრანგების ქვემეხებმა გაანახევრა. ოთხი საათი გრძელდებოდა სასტიკი ხელჩართული ბრძოლა. თურქები და მამაცი მამელუკები უძლურნი აღმოჩნდნენ ფრანგების სამხედრო ხელოვნების წინაშე... მცირე რაზმით დარჩენილი ორუჩ-ბეი მტერს მამაცად იგერიებდა, მურად-ბეის დაეძებდა და მის სახელს ხმამაღლა იძახდა.

რვა ადგილას დაქრილი მურად-ბეი ბრძოლით იკაფავდა გზას და მტრის რკალის გარღვევას ლამობდა, საკუთარი ხელით მოკლა ნაპოლეონის ხუთი ოფიცერი, ჯარისკაცებს ხომ ანგარიში არ ჰქონდა. ბევრჯერ შეეცადა რკალის გარღვევას. მაგრამ ვერ შეძლო და

ბრანზორეული ლომივითა ქუხდა. ელვასავით სწრაფი მისი არაბული ცხენი ჯარისკაცებს შორის გრივალევით დაქროდა და ტორებით პატრონს ბრძოლაში ეჯიბრებოდა.

— ნეტავ სად არის ჩემი ორუჩი?— გაიფიქრა მურად-ბეიმ, როცა კრილობებმა ძალზე შეაწუხა და მკლავში სისუსტე იგრძნო, ნუთუ ისე უნდა მოგვედე, რომ ვერ ვიხილო მეგობარი? რა დროს მიმუხთლა ბედმა! მაგრამ ვინ ეძახის მურადს? ძმაო ორუჩ, შენა ხარ?!— წამოიძახა უზომოდ გახარებულმა მურად-ბეიმ, როცა მტრის რკალში ვეფხევით შემოჭრილ მეგობარს მოჰკრა თვალი.

— ჩემკენ, მურად, ჩემკენ! მაღლი ალაჰს, რომ ცოცხალს გხედავ!— მიაძახა ორუჩმა და ხმალამოწვდილი კვლავ მტერს მიუტრიალდა. მისი მამელუკები მტრის მოვარდნილ ტალღას შედგრად აკავებდნენ და წინამძღოლთ გასასვლელ გზას ხმლებით უკაფავდნენ. შეერთებული ძალით, როგორც იქნა, შეძლეს მტრის რკალის გარღვევა და თავს უშველეს... მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც მტრის რკალიდან განთავისუფლებულ მურად-ბეის ორუჩ-ბეი მხარდაეხარ მისდევდა და მამელუკებთან ერთად სამშვიდობოსაკენ მიაქროლებდნენ ცხენებს, ორუჩ-ბეის მტრის ტყვიამ მარცხენა ბეჭში გაუარა. უცნაურ ხრიალზე მურად-ბეიმ გვერდზე მიიხედა და ორუჩ-ბეის სახეში შეხედა. შეხედა და დაინახა, რომ მისი საყვარელი ორუჩი ამ ქვეყნისა აღარ იყო. თავზარდაცემულმა შეაშველა ორუჩ-ბეის ხელი, რომ ცხენიდან არ გადმოვარდნილიყო, და აყვირდა:

— ვალაჰ!! ძმაო ორუჩ, ვაი ჩემს თავს!!

მურად-ბეიმ შუბლში შემოირტყა ხელი და ბავშვივით ატირდა. მამელუკებმა ერთმანეთს გადასძახეს, აქაფებული ცხენები შეაჩერეს, ჩალმები მოიხადეს, წინამძღოლს გზა მისცეს და დააწინაურეს. და როდესაც მზემ თავისი ოქროს სხივები პირამიდების მწვერვალებს უკანასკნელად შესტყორცნა და ლიბიის მთებს იქით ჩაესვენა, დაჭრილი და დამარცხებული სახელგანთქმული მამელუკი მურად-ბეი ბრძოლის ველიდან მიქროდა. მიქროდა და მკლავებში თავისი სიყრმის მეგობრის ორუჩის უსიცოცხლო გვამი ესვენა, გულით კი ბოღმა და ვარამი მიჰქონდა. წინამძღოლს უკან ჩალმა მოხდილი და თავებდახრილი ორიათას ხუთასი მამელუკი მისდევდა. ათიათას მამელუკში მხოლოდ ამდენი გადურჩა.

დამარცხდნენ მამაცი მამელუკები, თავის სიცოცხლეში მტერს მხოლოდ ერთხელ უჩვენეს ზურგი, მაგრამ მურადი არ შეარჩენს მტერს თავის ასეთ სამარცხვინო დამარცხებას, არ შეარჩენს მამე-

ლუკების სისხლს, ორუჩის სისხლს, ის კიდევ შეხვდება მტერს პირისპირ და მაშინ უფროთხილდნენ მას...

არც ერთი მამეღუკი არ ჩაუფარდა ცოცხლად ხელში მტერს, ბრძოლის ველზე ვაჟკაცურად შეხვდნენ სიკვდილს პირისპირ, საკუთარი სისხლით გამოიყიდეს თავისი და წინაპართა დანაშაული. მაგრამ გამოიყიდეს კი?

იმ დღეს გიზების პირამიდების ჩრდილში ჩაქრა ათიათასი თურქის, შვიდიათას ხუთასი მამეღუკისა და მრავალი ფრანგი ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე.

მართალია, შემდგომ ნაპოლეონმა თავის მთავრობას აცნობა, მამეღუკებთან ბრძოლაში სულ რაღაც ორმოც კაცამდე დამეღუპაო, მაგრამ მან დაღუპულთა რიცხვი განგებ დამალა და, ეგვიპტოლოგ კარლოპელის ირონიული შენიშვნისა არ იყის, „ნაპოლეონმა ანგარიშში „ცოტა“ შეცდომა დაუშვა“.

ბრძოლის ველზე ფრანგ ჯარისკაცებს დიდი სამხედრო ნადავლი დარჩათ: ყოველ მამეღუკს ეცვა ძვირფასი ტანსაცმელი და მათი იარაღი ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით იყო მოჭედილი.

ნაპოლეონს კი თურქების ორმოცი ქვემეხი ხვდა წილად.

მეორე დღეს გამარჯვებულ ნაპოლეონს ეგვიპტის დედაქალაქი ქაირი უბრძოლველად დამორჩილდა.

მაგრამ ათი დღეც არ იყო გასული ეგვიპტის დაპყრობიდან, რომ ნაპოლეონს სამწუხარო ამბავი მოუვიდა: ინგლისელებმა და თურქებმა სამხედრო ფლოტი დაუღუპეს. ამ შემთხვევით ისარგებლეს ქაირში მცხოვრებმა თურქებმა და არაბებმა და დაიწყეს ქუჩებში ფრანგების ხოცვა-ჟლეტა. ნაპოლეონს კრიტიკული მომენტი დაუდგა, მაგრამ სწრაფად მოუყარა თავი ჯარს და შეტევაზე გადავიდა. თუ აქამდის შედარებით რბილად მოექცა თურქებს და არაბებს, ახლა უკვე შეუბრალებლად ხოცავდა მათ. ორი-სამი დღის განმავლობაში ოცდაათი ათასზე მეტი მაჰმადიანი დახოცა და მათი მეჩეთები (მაჰმადიანთა სამლოცველოები) ქვემეხებით დაანგრია. ერთერთ დიდ მეჩეთში არაბები გამაგრდნენ და იქიდან დაუწყეს ფრანგებს წინააღმდეგობის გაწევა. ნაპოლეონმა შეუთვალა მათ: დამნებდით თუ არა სასტიკად დაგსჯითო. უკანასკნელებმა უარი შემოუთვალეს. მაშინ ნაპოლეონმა გასცა ბრძანება მეჩეთისათვის ქვემეხები დაეშინათ. მეჩეთი ცეცხლის ალში გაეხვია. შეშინებულმა არაბებმა პატიება ითხოვეს, მაგრამ ნაპოლეონმა უპასუხა: უკვე ძალიან გვიანაა, თქვენ დაიწყეთ, მე კი დავამთავრებ, ისე როგორც მომესურვებოა. მართლაც,

ნაპოლეონი არაბებს მკაცრად მოექცა. მეჩეთის ნანგრევებოდან ერთი კაციც ვერ გამოვიდა ცოცხალი.

აჯანყებულებს იმედი ჰქონდათ, რომ ზღვიდან ინგლისელები და თურქები დაეხმარებოდნენ, მაგრამ „ფრთხილი“ ინგლისელები მოერიდნენ სახელგანთქმულ სარდალთან ხმელეთზე შეტაკებას. ეს საქმე თურქებმა იკისრეს, აჯანყებულთა დასახმარებლად თურქების ჯარი ხმელეთზე გადმოვიდა. ნაპოლეონსაც ეს უნდოდა, იგი თურქებს ზღვის პირას დაუხვდა და სასტიკად დაამარცხა. ფრანგებისაგან დევნილი ოთხიათასი თურქი ჯარისკაცი ზღვაში დაიხრჩო. დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

ნაპოლეონს უფრო ინგლისელების ჯავრი სჭირდა, მან იცოდა, რომ საფრანგეთის ფლოტის დაღუპვა მათი საქმე იყო. მაგრამ რა უნდა ექნა, სამხედრო გემები აღარ ჰქონდა, რომ მტერს შებრძოლებოდა და სამაგიერო გადაეხადა, ხმელეთზე გადმოსვლას კი ინგლისელები ვერ ბედავდნენ.

ეგვიპტეში მდგომარეობა უფრო რთულდებოდა, მოსახლეობა ფრანგებისადმი მტრულად იყო განწყობილი. გადასახადების მიცემაზე უარს ამბობდნენ და მოხერხებულ დროს ეძებდნენ, რომ აჯანყებულიყვნენ.

ნაპოლეონი ჩქარა მიხვდა, რომ ეგვიპტის დიდი ხნით ხელში დაქერა შეუძლებელი იყო იმ ჯარით, რომელიც კიდევ გადურჩა. (ეგვიპტეში ნაპოლეონს დაეღუპა ორიათას ოთხასი კაცი). საჭირო იყო ახალი ძალების მოყვანა. ნაპოლეონმა ეგვიპტეში თავის მოადგილედ გენერალი კლებერი დატოვა, თვით კი საფრანგეთში გაემგზავრა.

ეგვიპტეში ყოფნის დროს ნაპოლეონმა დაარსა ე. წ. „ეგვიპტის ინსტიტუტი“, სადაც თავი მოუყარა უძველეს ძეგლებს. ნაპოლეონს თან ახლდნენ ცნობილი ფრანგი მეცნიერები, რომლებიც აწარმოებდნენ ამ ძეგლების შესწავლას.

თურქები და ინგლისელები ეგვიპტეში

1801 წელს ინგლისელებისა და თურქების შეერთებულმა ჯარებმა ფრანგები აიძულეს ეგვიპტე დაეტოვებინათ. ფრანგების წასვლის შემდეგ ეგვიპტე დაიკავა სულთანის ჯარმა მაჰმედალის მთავარსარდლობით.

დარჩენილმა მამულუკებმა თავი წამოყვეს და მაჰმედალის მოსთხოვეს—ხელისუფლება ჩვენც უნდა გავვიზიარო, მამულუკები კვლავ

აპირებდნენ დაკარგული უფლებების აღდგენას. მაჰმედალიმ განიზრახა მამელუკების საბოლოოდ თავიდან მოშორება. ამ მიზნით მან დაიბარა მამელუკ-ბეები, ვითომდა მოსალაპარაკებლად. შეიტყუა ძვირფასად მორთულ დარბაზში და რომ მათ ეჭვი არ აეღოთ, უხვად გაუმასპინძლდა.

და, აი, როდესაც ფეხზე ამდგარი მამელუკ-ბეები მაჰმედალის სადღერძოქელოს სვამდნენ, ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებდნენ და ერთგულებას ეფიცებოდნენ, ყოველი მხრიდან იჭეპა თოფებმა. მამელუკ-ბეებმა ღვინით სავსე თასები გადაისროლეს და ხმლებზე მოისვეს ხელი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ჩასაფრებულნი მათ ტყვიებს სეტყვასავით აყრიდნენ... ათი წუთის შემდეგ სისხლიანი ნადიმი დამთავრებული იყო, ვერც ერთმა მამელუკ-ბეიმ თავს ვერ უშველა, სიკვდილს ვერ გაექცა.

მაჰმედალი კი, ძალიან კმაყოფილი თავისი თავის, რომ ასე იოლად ჩამოიშორა საშიში მოქიშპენი, სასახლისაკენ მხიარულად მიდიოდა.

ასე ტრაგიკულად დაასრულეს მამელუკებმა ეგვიპტეში ექვსასიწლის ბატონობა.

1888 წლიდან დღემდე ეგვიპტე ინგლისის ბატონობის ქვეშ იმყოფება. ინგლისმა ოდნავადაც არ შეამსუბუქა ეგვიპტის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა, სხვების მსგავსად თვითონაც დიდი ხარჯი შეაწერა და ისედაც გაპარტახებული ქვეყანა საწველ ფურად გაიხადა.

ამრიგად, ეგვიპტე მრავალ საუკუნის მანძილზე საბრძოლო ასპარეზად იყო გადაქცეული და ხელიდან ხელში გადადიოდა. ამ ბრძოლებში, რასაკვირველია, მკვიდრი მოსახლეობა ნადგურდებოდა.


შედეგები და კომკავშირი

როდესაც არაბებმა ეგვიპტე დაიპყრეს, ადგილობრივი მოსახლეობა ორ ნაწილად გაიყო. პირველმა ნაწილმა მიიღო მათი სარწმუნეობა— მაჰმადიანობა და ადგილობრივ დარჩა, მეორე ნაწილმა კი არ მიიღო მაჰმადიანობა და იძულებული გახდა მთებსა და ტაძრების ნანგრევებში შეეფარებინა თავი და იქ ეცხოვრა. მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელმაც მიიღო არაბთა სარწმუნეობა ფელახებს¹ ეძახიან. მეორე ნაწილს კი, რომელმაც არ მიიღეს—კოპტებს. აი, ესენი ითვლებიან უძველესი ერის—ეგვიპტელების შთამომავლებად.

¹ ფელახი ნიშნავს გლეხს.

არაბთა ხელში არც ფელახები და მით უმეტეს არც კობტები არა-
 ვითარი მოქალაქეობრივი უფლებებით არ სარგებლობდნენ. მათთვის
 დახშული იყო როგორც სასწავლებლის კარები, ისე სახელმწიფო
 სამსახურიც. მათ მიეცათ საშუალება მხოლოდ სოფლის მეურნეობა
 ეწარმოებინათ და გადასახადები ეძლიათ არაბებისათვის.

ამჟამად ფელახები ისევ სოფლის მეურნეობას მისდევენ და დიდი
 გადასახადების გამო ძალიან გაკირვებულად ცხოვრობენ.



ეგვიპტელი ფელახები-გლეზები და მათი მიწურები

ესენი სრულიადაც აღარ ჰგვანან უძველეს ეგვიპტელებს. საუკუ-
 ნეების განმავლობაში მონობის უღელმა თავისი დაღი დაასვა მათ
 ცხოვრებასა და ხასიათს და დააქვეითა ისინი გონებრივად.

უცხოელი მოგზაურები, რომლებმაც ინახულეს ფელახები და შეი-
 სწავლეს მათი ყოფა-ცხოვრების პირობები, წერენ „...ფელახები ზარ-
 მაცები, კუჭყიანები და გონებრივად ძალიან ჩამოქვეითებულნი არიან.
 საცხოვრებელ ბინებად მიწურები აქვთ, რომლებსაც არც კი აქვთ
 ფანჯრები და სინათლე მხოლოდ კარებიდან შედის. მათ ერთად-
 ერთ საზოგადოებას საგანს შეადგენს როგორმე გაიტანონ თავი და შეი-
 ნარჩუნონ საბრალო არსებობა... ისინი უმთავრესად ბოსტნეულით
 იკვებებიან და თვეში ერთხელ თუ იშოვიან ხორცს, თავს ბედნიე-
 რად გრძნობენ... გარეგნულადაც აღარ ჰგვანან თავის სახელოვან
 წინაპრებს და არც აქვთ მათზე რაიმე წარმოდგენა. როგორც ფე-
 ლახებმა, ისე კობტებმა დიდხანია დაივიწყეს თავისი მშობლიური
 ენა და ერთი სიტყვაც არ იციან ეგვიპტურად“. აი, სადამდის მიიყ-

ვანა მონურმა ცხოვრებამ ოდესღაც უაღრესად კულტურული ერი—
ფგვიპტელები! აი, როგორ ჩაკლა უხეშმა ძალამ მათში შემოქმედ-
ების უნარი და თვითშეგნება...

რასაკვირველია, ეგვიპტის ახლანდელი მთავრობა ოდნავადაც არ
ცდილობს, რომ ფელახებს გააუმჯობესოს ყოფა-ცხოვრების პირობე-
ბი და დაუბრუნოს მათ ადამიანური უფლებები.

მაგრამ ოქტომბრის ძღვეამოსილმა რევოლუციამ გამოაფხიზლა
ყველა ჩაგრული ერი და მათ რიცხვში ფელახებიც. საუკუნეების მო-
ნობით დაბეჩავებული და გულგახეთქილი ფელახიც წელში გაასწორა
და დამჩავერელთა წინააღმდეგ ხმა აიმაღლა.

იმედმიცემული ფელახები წითელი დროშებით ხელში ორგანი-
ზებულად გამოდიან ქუჩებში, აწყობენ დემონსტრაციებს და ხმამალ-
ლა მოითხოვენ მოქალაქეობრივ უფლებებს და ყოფა-ცხოვრების გაუ-
მჯობესებას.

და შორს არ არის ის დრო, როდესაც ეს დაბეჩავებული ხალხი
შვებით ამოისუნთქავს და დაუბრუნდება ადამიანურ ცხოვრებას.
შორს არ არის ის დრო, როდესაც საუკუნეების მონობის უღლიდან
საბოლოოდ განთავისუფლდება იმ ქვეყნის ხალხი, რომლის მიწაზეც
პირველად დაინთო კაცობრიობის კულტურის ჩირაღდანი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	83-3
I. ეგვიპტე	7
მდინარე ნილოსი	9
II. ეგვიპტელები	37
სამიათასი წლის წინათ	43
ოზირისის სამეფოში	67
მუმის დასაფლავება	75
III. ოზირისი და იზიდა	82
IV. შინაური ცხოველების გაღმერთება	89
V. ფარაონის საუნჯე და ხუროთმოძღვრის საიდუმლოება	94
პირველი ნაბიჯი	99
ოცნებაა თუ სინამდვილე	104
ფარაონის გასაჭირი	107
ფეთიხის თავზე ღრუბლები იკრიბება	109
დედასთან	113
ფთავგამი, სად არის ჩემი შვილი	116
ფთავგამის ოინი	119
უცნაური სანახაობის მსხვერპლი	121
ფთავგამის ბედი ულიმის	123
სანახაობა, რომელმაც ადამიანს განსაცდელი დაავიწყა	127
მომღერალი ქანდაკება	129
დიდი პირამიდები	133
დიდი სფინქსი	137
მერიდის ტბა და სასახლე ლაბირინთი	139
ჩაგრულთა აჯანყება	142
ჰიქსოსები	144
VI კამბიზ მფინვარე	147
სისხლიანი ნადიმი ბრძოლის წინ	148
დასჯა	152
საბედისწერო შვილდი	154
უდანაშაულო მსხვერპლი	156
კიდევ ერთი მსხვერპლი	158
ტრაგედია უდაბნოში	160
კამბიზის სიკვდილი	162
ბერძნები და რომაელები ეგვიპტეში	163
არაბების და მამელუკების ბატონობა ეგვიპტეში	167
ფრანგებისა და მამელუკების ბრძოლა	170
თურქები და ინგლისელები ეგვიპტეში	175
ფელახები და კობტები	176

შ. მარიანიშვილი
В стране сфинксов

ЦК ЛКСМ Грузии
Детониздат

Тбилиси—1941

რედაქტორი — კ. ქანტუჩიშვილი

ტექნიკური რედაქტორი ა. ვადაკეტიანი. გადაეცა წარმოებას 13/VII—40 წ.
შეკვეთა (Зак.) № 913. ტირ. (Тир.) 4.000. ხელმოწ. დასაბეჭდად 10/XII—1940 წ.
შე (Уд) 4738. ქაღალდის ფორმატი 60×92. საბეჭდი ფორმა 11,25.

ლ. პ. ბერიას ხაზ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. 28.
Полиграфкомбинат „Комунисти“, им. Л. П. Берия, Тбилиси, Ленина 28

988 8 806.

91
2 706